

1522
2011



რეტენატუნა და სეროვნება

N3
3/2011



წერილეზი

შორენა შტოიარი

თეატრი

მანანა თევზაძე

აღმოსრუნა

ალეკო ცინცაძე

ბიუზის

ზაზა ქინქლაძე

სკენოვლთუი

დიმიტრი თავაძე

სსოუნა

მიხეილ ქურდიანი
ავთანდილ ადგიშვილი



ლიტერატურა და ხელოვნება

N3(63)

3/2011

ყოველთვიური ჟურნალი

Founder and Head editor

Vaja Otarashvili

Literature And Art

ISSN 1512-3189

ს ა რ რ ე ე ბ ი

დამფუძნებელი,
და მთავარი რედაქტორი:

ვაჟა ოთარაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერი:

ლექსო ოთარაშვილი

გარეკანის მხატვრობა:

ირაკლი გამრეკელი

რედაქციის მისამართი:

დიღმის მას: 5კვ. 14კორ, ბ.80

ტელ.: (+995 32) 52 60 14;

(+995 99) 25 60 14;

E-mail: litandart@live.com

litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

ვისთვისაც ძვირფასია
ჟურნალი „ლიტერატურა
და ხელოვნება“ გთხოვთ
შეგვეწიოთ!

გამომცემელი

ვაიპ ლიტერატურა და
ხელოვნება

ქრონოზ. ქოროზ

- 3. გოჩგი შეხვაშიძე - მოთხრობები
- 9. ზაზა ქინქაძე - ლექსები
- 13. მაკა სეფაშვილი - ძმები (ზღაპარი)
- 24. ვასილ ბოსტაშვილი - ლექსები
- 26. მეჩაბ შათიხი - ლელა + ლევანი (ხმანი)
- 35. გვანცა ქუჩიაშვილი - მოთხრობები
- 40. მამა აჩილი (გვახამაძე) - ლექსები
- 43. ნინო ოთახაშვილი - ხინის სელი

არგმანი

- 44. იოსებ ბოდბე - ლექსები
(თხზნა უიუ გიგოლაძე)

ალბომი

- 46. ალექსი ცინცაძე - ქართული ანბანის შესახებ

წერილები

- 48. შოხენა შტოიეი - უიუიუი და ქართული ენისა
- 60. გოჩგი კანდია - თუქელი დიუი (დასახელი)

ხსენი

- 66. მიხეილ ქუჩიანი - 30 თუბუხალი (პიესა)
ავთანდილ ადიშვილი

თქრონი

- 70. მანანა თუვუაძე - ოთახ ბალათუიხა

წუბოკარაფი

- 74. თუა უუუაძე - დიმიტი თუვუაძე
- 76. დოკოაქივი

„როგორც უფალო, სამშობლოც ერითა ქვეყანაზედა“

რადიელ ერისთავი

ცოდვაჲ!

ცოდვაჲ, როგორი ტკბილი ხარ,
როგორ მაცდურად ტკბილი...
ვეფხს ვკლავ — ვზივარ და ვტირივარ,
წყლის პირს ვზივარ და ვტირი...
ველარც არაბეთს დავდექი,
ვერც ხატაეთს და ჰინდოს...
არ მნამს ბუდა თუ პასექი
და ვეფერები დიდგორს...
არ დამკლებია არშიყი,
ღვინის სმა... თევა თრობით...
და მალრებიდან მაშრიყი
ჰგავდა გაფრენას ორბის...
ივერთა სევდის შვილი ვარ,
ქართულს ვატარებ ტკივილს
ცოდვაჲ როგორი ტკბილი ხარ,
რა უცნაურად ტკბილი...

ვაჟა ოთარაშვილი



ჰოეწის ახალი წიგნი



კოორკი შერვაშიძე

ჯიჯხი ხასი

27872

ერთი კაცი იყო ძალზედ ჯიუტი. არასდროს არავის ყურს არ უგდებდა და არც სხვა რამ სხეულის ნაწილს ატოკებდა სხვისი რჩევისას. იმდენად შეუგნებელი გამოდგა, რომ კედელზე უარესი. რა მგელი და რა სახარება, რა უდაბნო და რა მის შინა მლაღადებელი. შავი ფერი რომ შავია, მისთვის ისიც კი ხან თეთრი იყო და ხანაც ისევ შავი. მოკლედ, ბოლოს იმდენი ქნა და იმდენი იჯიუტა, რომ გარშემო ყველა მოინდურა და საკუთარ თავსაც კი აღარ ელაპარაკებოდა. განუდგა ცოლი, შვილი, და, ძმა, მშობელი, ორიც მეზობელი და გამველელებმაც კი თავის დაკვრა მოიშალეს. დარჩა სულ მარტო. თუმცა კი დიდად არც ეს ამბავი განუცდია, რადგან არც ეს იკმარა და სულ ბოლოს, ღმერთსაც კი წაეჩხუბა. როგორ? აი ეგრე, სულ მარტივად. ღმერთმა სიკეთე მისცა და მან კი მტვრად აქცია.

რომ დაიბადა, მშობელმა აღზრდა დაუნყო და დანიშნულება მისცა. სავარძელზე დასვა და ბეჭებში გამართა. მაგიდასთან მისწია და

ჩანგალი მარცხენა ხელში დააჭერინა. წვნიანი კოვზით აჭამა და ჩაი უხმოდ მოარევინა. ამანაც, თავიდან ჯერ ეგრე ჰქნა, მშობლისამებრ. ეგრე ჭამა და ეგრე სვა, მაგრამ მერე გაძღა თუ რა იყო, არავინ იცის და გაჯორებით კი პირუტყვისაც აჯობა. დაჰკრა ხელი მაგიდას და ახლა ჩემებურადო. ეტიკეტი გვერდზე გადადო და ფეხით დაიწყო ჭამა. გადაირივნენ აღმზდელნი და დიდად იწყინეს მისი ეს ბატის ჭუკობა. სულ დიახობით ელეპარაკენ და რევერანსები უკეთეს, მაგრამ არც ამან გასჭრა. "არაუშავრაო" ჩაილაპარაკა პირგამოტენილმა და ფეხის თითზე ფრჩხილი მოიკენიტა. მშობლებს ახლა უფრო ძალიან ეწყინათ და ადგნენ და წავიდნენ. ზოგი გაღმა და ზოგიც გამოღმა. ისიც თითქოს დაწყნარდა, რადგან დამრიგებელი აღარავინ ჰყავდა და მარტო ჭიდაობას კი დიდი საზრისი აღარ ჰქონდა. მართალია, ფეხს ისევ ისე ოსტატურად ხმარობდა, ოღონდ ახლა უფრო ტლინკებისთვის, ვიდრე პურის გასატეხად და ბანქოს სათამაშოდ.

მერე რაღაც აერია და ეიფორიაში ჩავარდა. საკუთარ თავთან ველარ დალაგდა და "მოიჩვარა". განსაცდელს არ აღიარებდა და აღარც გამოსავლის ძიება დაუნყია. არც ღმერთზე უფიქრია და აღარც სხვა რამეზე ეფიქრებოდა. ჯერ ერთი დღე ვერ იფიქრა ვერაფერზე, მერე მეორე და მიჰყვნენ თვეები ერთმანეთს. წლის თავზე გარეთ გავიდა და დალაქს წვერი გააპარსინა. ცალთვალას ფულიც ბევრი აჩუქა და თმაც. ისიც გამხიარულდა და მოდი, ბარემ, ეგ შენი განსაცდელიც აქ დამიტოვეო. იმანაც, დიდი სიამოვნებითო და იქვე დაივიწყა "ყოველივეცდილი". ან კი როგორ დაიხსომებდა იმას, რისი სახელიც კი არ უწყოდა და განსაცდელის სახელი ხომ ღმერთი იყო. არადა, შორიდან მჭვრეტათავის სულ ადვილი რამ საკურნებლად სენი სჭირდა. ასაკი და ყრმობა სტანჯავთა თავისი სიჯიუტითა და სიკერპით. მან კი ვერ გაუძლო თავის არეულ თავს და დაიღალა უკუსვლით წინსვლის მაგიერ. ისე ძლიერ დაიღალა, რომ საწოლიც კი მტრად ექცა. ეგრე სცოდნია თურმე უსაზღვრო სიჯიუტეს და ისიც ოთხკედელში გამოიკეტა. თანაც დამრიგებელიც აღარავინ ჰყავდა, რომ ეთქვა, შვილო მოდი, ერთი გარეთ გაიხედე, რა ლამაზი დარი დგასო.

არადა, გარეთ მართლაც, რომ ჩინებულნი ამინდი იყო და ყოველი ღვთის მადიდებელი, თავისი სახლის კარს, წითელ ჯვარს ასვამდა, ჩვენთან არს ღმერთიო. ჰოდა, ისიც ფეხის ხმას აჰყვა, მითუმეტეს, რომ სიარულს თავიდან სწავლობდა და ახალფეხადგმულს კი ყოველთვის მეგზური სჭირდებოდა. ადგა და თავისი მეორედ შობის აღსანიშნავად, ენდროს საღებავით წითელი ჯვარი გამოსახა კარის ზღურბლზე, აქაოდა ამ სახლშიც ამიერიდან უფალი სუფევსო. თუმცა კი დროებით, რადგან მოვიდა ერთკვირიანი წვიმა და ენდროს მერყევი საღე-

ბავიც ადვილად დანებდა თვალის სისველეს.

ისევ აიშვა აფრები ჯიუტმა კაცმა და სადაც ორი სიტყვა ითქმებოდა, ორსაც ის ამატებდა, ოღონდ სანინალდეგოსა და უკმებს. ეგონა, რომ წინააღმდეგობა “თვითგამოხატავდა” და შეძახილი “ცხვირს წაიმტვრევო” სიჯიუტეს უორმაგებდა. ღვთისგან ბოძებულ გონებასა და ნებას, ათას წვრილმანზედ სცვლიდა და ხურდის ალებას სულაც აღარ დაეძებდა. ფუჭად მეტყველებაში ფლანგავდა იმას, რასაც სხვა მისხა-მისხალ აგროვებდა და შვილებს ანდერძად უტოვებდა. ისე დაულალავად ბრუნავდა მისი უძვლო ენა, რომ სიმინდიც კი დაიფქვეოდა მის დალებულ ყბაში. ბევრს წყენა ანახა და უფრო ბევრს კი სამმაგი. უფრო მეტი შორებლებს და ახლობელთ კი უთვალავი. ვისაც უყვარდი იმან გიტროსო და იმათაც იწყეს ტირილი, რამეთუ სიყვარული კარს იხურავდა და ის კარი კი მხოლოდ ცალ მხარეს იღებოდა. დაჰკარგა ისინიც კი, ვინც მისი “თანა-ბარი” იყო ყრმობიდან და მისი სიჯიუტე ბედს გაუჯიუტდა. აღარავინ იცნობდა მის ამ აუტანელ სიჯიუტეს “ბავშვობის ხასიათის” სახელით და გაუჩინარდნენ ზმანებანი ყრმობისა. გაჰქრენ მეგობრები შემოდგომის ფოთლებივით და გაშიშვლდა მისი ცხოვრების ხე.

მერე კი ინანა, ოღონდ ნახევრად, რადგან ერთ ნახევარს ღვინოში აბანავებდა, ხოლო მეორეს სანთელზე აშრობდა. მართალია, დიდხანს ვერ შესძლო ღვინო და სანთელი, თუმცა კი ცდით ბევრი სცადა. შიშები დაეწყო და ფიქრი აერია. ეშინოდა გათენების და უფრო მეტად კი სიზმრების. შიშს ჰგვრიდა ხმაური და სტანჯავდა დავიწყებული ცნობიერება. სული ეძახდა და მას კიდევ სხვისი გულის ცემა ეგონა. ბოლოს ისე მოიჭიმა და მოიდრიკა, რომ როგორც მშვილდი ნაქები. თოკს დაუნყო ძებნა და ალბათ, ისევ ღვთის წყალობა თუ არა, ნამდვილად სასონარკვეთა დასძლევდა მის სიჯიუტეს. ქალი ნახა ზმანებაში და ცხადში კი იპოვა. ან კი პირიქით, ცხადში ნახა და ზმანებაში შეხვდა. საბოლოოდ კი მაინც შეუღლდნენ და სხვისი ოჯახის ცხადი და ზმანება, აბა, ვისი რა საქმე იყო?! იფსკენეს ჯვარი და უფრო დიდი კი შესასვლელი კარის თავზე რომ ლოდი იყო ჩაკირული, იმაზე ამოტიფრეს. ახლა რაღა გვიშავსო და კაცი ვერას გვიზავსო, თუმცა კი მის სიჯიუტეს მხოლოდ რომ ეძინა.

ეძინა მისი ცოლის სიფხიზლესაც, მაგრამ რაგინდ ტკბილი და მათრობელაც არ უნდა ყოფილიყო ბურუსი, ოდესღაც ის მაინც გაიფანტებოდა. ძალზედ მტიკენეული აღმოჩნდა გამოღვიძება. ეს მისი ცოლისთვის, თორემ ის ხომ ისედაც ასეთი იყო. “უი ქა, გინდ, ტყუპი გაგიჩენია და გინდა, მაგის ცოლი გამხდარხარო”, იტყოდა ხოლმე მეზობლის ქალებთან ნირწამხდარი დიასახლისი, მაგრამ რად გინდა?! ცოლი ისედაც იყო და ტყუპი რომ გაუჩინა,

მისი სიჯიუტეც სწორედ მაშინ იშვა მესამედ. ბავშვები ტიროდნენ, ცოლი ცხვირს სწმენდათ, ხოლო აღზევებული სიჯიუტე ტუჩებს ილოკავდა და სხვა ქალებს უმზერდა ურცხვი მზერით. ცოტა დრო გავიდა. ბავშვები გაჩუმდნენ, ცოლი კიდევ ერთხელ მიეალერსა, ხოლო ჯიუტმა კაცმა დააგდო ცოლ-შვილი და ახლა სათნოებას გაუჯიუტდა. გაფანტა, რაც რომ ოჯახს ღვთის მადლი მოსდგამდა და სანაცვლოდ კი კახპებს დაახია კალთები, გინდა თუ არა, მანახეთ, მაგის ზემოთ რომ ხორცი გაქვთ, რა ფერიაო. აჰყვა ჟინსა და დაჰყვა ვნებას, საბოლოოდ კი გადაჰყვა წერას. ცოლი ავად გაუხდა და რძე დაუშრა. შვილებს ბნედა დასჩემდათ და ფეხები დაეკრუნჩხათ. განა რა იმათი ბრალი იყო, მაგრამ ბრალეულობას ვინ დასდევს?! ხან ერთს სდიო და დუჟი და ხანაც კი მეორე ტყუპისცალს. ხან ერთის ენა ეჭირათ ხელში და ხანაც კი მეორესი. არადა, თუ მაინდამაინც ენის გადაყლაპვაზე იდგა ჯერი, ეგ ხომ მაგათ მამას უნდა ხედო მოდა წილად?! ცოლიც დღითიდღე ილეოდა და თვალებს უპეში კარგავდა. ბოლოს ისე გაილია, რომ სახლში შემთხვევით მიბრუნებულმა ჯიუტმა კაცმა, ველარც კი იცნო და გარეთ გადგა, რადგან ნავთის ლამფის გაჭვარტლული შუშა ეგონა. გადგა და ისე მიივინყა, რომ როცა ბავშვებს ჰკითხეს, დედა სად არისო, იმათმა, ეგ რაღა არისო.

დრო კიდევ გავიდა და ჯიუტი კაცი მიხვდა, რომ რაღაც უნდა შეეცვალა, რათა მტრულ გარემოს უფრო მეტად გამიჯვნოდა. გაჭვარტლული ცოლი სველი ტილოთი განმინდა, ხოლო ტყუპები ზღვაზე წაიყვანა დასაბანად. მეზობელს სთხოვა, ჩემს მეუღლეს ყურადღება მი აქციე და სამ დღეში ერთხელ წყალი დაუსხიო, ხოლო შვილები ქალაღდის ნავში ჩასხა და საზღვარგარეთ გაუშვა სამკურნალოდ. სამ წუხაროდ, ცოლს ველარ ჩამოუსწრო და ველ არაფერი უშველა. და განა იმიტომ, რომ მეზობელი წყლის მაგიერ ლამის ქოთნოდან შარდს ასხავდა, არამედ, იმიტომ რომ საწყალი ქალი უბრალოდ გაქრა.

დაკრძალვაზე ზუსტად ისიც კი არავინ იცოდა, ნამდვილად ქალი იწვა სასახლეში, თუ მზის სხივის ათინათი დასთამაშებდა ჩასასვენებელს. ახლა კი წაიშინა ჯიუტმა კაცმა თავში ხელები და მორთო ღრიალი, მე მოვკალი ჩემი ცოლი, ყველაფერი ჩემი ბრალიაო. სიმართლე ითქვას და არც არავის შეჰპარვია ეჭვი მის ამ სიტყვებში და ბოროტი ენები იმასაც კი იძახდნენ, სწორედ მაგას გაუვარდა ხელიდან სანყალი “შუშა-ქალი”, როდესაც სველი ტილოთი სწმენდდაო. და მეტიცო, ისიც კი შეეზარა, რომ ნამსხვრევები შეენებებინა და ამიტომაც, ხალიჩის ქვეშ შეჰყარაო. ჯიუტი კაცი კი არ სცრხებოდა გლოვაში და ისევ ხალხის “ზრდილობის გულისთვის”, რომ არა, ალბათ, ხელსაც არავინ გაუნვდიდა საფლავიდან ამოსაყვანად.

ის კი ისევ ჯიუტობდა, მეც ჩემ ცოლთან ერთად უნდა დავიმარხო, მაგრამ პრინციპის გამო არ გაატანინეს თავისი, თორემ გულში ყველას ერთი სული ჰქონდა, მისთვისაც მიეყარა სამი მუჭა მინა და ეთქვა, ძალი მოგაკვდა სულშიო.

გვიანლა მიხვდა ჯიუტი კაცი, რომ გამჩენი გაუნყრა და ცეცხლზე მწვავე სინანული ეწვია. დასწვა და დადავა თონეში ჩავარდნილი კუტივით და ისიც განახევრდა ზუსტად იმდენად, რამდენითაც მისი სიჯიუტე. თუმცა კი იმდენის თავხედობა მაინც შერჩა, რომ შვილები ზღვის გაღმა მხრიდან ეძებნა გამოღმის მაგიერ. მართალია, შორი გზიდან მოუარა, მაგრამ მშვიდობა მაინც ვერსად იპოვა. ან კი რას იპოვინდა, როდესაც მისი შვილები უცხო ბატონის ჰარამხანის მსახურებად წაესხათ და დაესაჭურისებინათ. ჯიუტი კაცი კი არ ცხრებოდა თავის ძიებებში და რამის პოვნის მაგიერ, სულ უფრო მეტს ჰკარგავდა. საბოლოოდ, ვერც ტყუპები იპოვა და ველაც თავისი თავი. უაზროდ მიუყვებოდა ზღვის ქვიშიან სანაპიროს ქუსლებდახეთქილი და მესამე წრე რომ გაასრულა, ისევ იქ აღმოჩნდა, საიდანაც დაიწყო. ადგა და ახლა პირიქით ქნა და პირიქით გაჯიუტდა. შეეშვა შვილების ძებნას და უფრო კი ზღვის გარშემო წრეზე სიარულს. იგრძნო, რომ დრო გასულიყო და ახლა დინებას გაუჯიუტდა. ცხოვრების დაისზე გადაწყვიტა, რომ რამე ხელობა ესწავლა. არა, განა პურის საქმელად, არამედ, ისე, უბრალოდ, დინების სანაპირმდეგოდ, თორემ პურს ხომ ბავშვობიდან მოყოლილი ფეხით სჭამდა?! აკი, ადრე, ცოლ-შვილსაც ხომ ამ საქმით არჩენდა და თათრის ბაზარშიც ყველა ფეხმარდ ჯამბაზად იცნობდა. თუმცა კი ეს ადრე იყო, ხოლო ახლა, ხელობა სურდა “ფეხობის” მაგიერ.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ მიცვალებულთა “შემლამაზებელი” გამხდარიყო და ამავე მიზნით, ერთი ფარდულიც კი დაიჭირა სასაფლაოსთან ახლოს. შემდეგ მიცვალებულს დაუნყო ძებნა, რათა ცოტა წაეწვარჯიშა და საქმეც წამოეწყო. არც მკვდარს დაუგვიანია დიდად. იმავ საღამოს მოასვენეს ურმით უპატრონო მიცვალებულის გვამი, რათა საერთო სამარხში დაეკრძალათ. ჯიუტმა კაცმა კი მესაფლავეს სთხოვა, სანამ მაგას დამარხავთ, ეგება, ეგ მიცვალებული ცოტა ხნით მე მათხოვოთო. იმან კიდევ, ცუდს ხომ არ უპირებ რამესო? ამან, არა, ღმერთი ნუ გამიწყდება და მკვდარს შეურაცხყოფას როგორ მივაყენებო. სულ ცოტას შევლამაზებ და იმაზე უკეთეს დაგიბრუნებ, ვიდრე გამოგართვიო. მესაფლავემ კი, სულ შენი იყოს, ეგ მე არაფერში მარგიაო. ჰოდა, ადგა მაშინ ჯიუტი კაცი და იმდენი ფერუმარილი და სანთლის მალამო დაადო სახეზე მიცვალებულს, რომ ცოცხალს დაამსგავსა და თანაც ათი წლით გაახალგაზრდავებულს. მერე კი შესვა იმავ ურემზე, რომლითაც მოასვენეს,

თოკებით მაგრა დაამაგრა და ქალაქისაკენ გასწავლა. მართალია, ეს მიცვალებული უპატრონო გახლდათ, მაგრამ მთელი ქალაქი მაინც ძალიან კარგად სცნობდა სახეზე, რადგან სიცოცხლეშიც (ისეთი აბეზარა მათხოვარი იყო, რომ გამეღელეს მანამ არ ეშვებოდა, სანამ ლუკმას მაინც არ გამოსტაცებდა პირიდან. ჰოდა, მოიარა ასე, ურემზე მკვდარნამოსკუბებულმა მთელი ქუჩები და აღიარებაც დიდი ჰპოვა. აღიარება კი არადა, რკინის ფულიც ბევრი იშოვა, რადგან მრავალს მათხოვარი ისევ ცოცხალი ეგონა და ხურდას მალი-მალ კალთაში უყრიდა, იქნებ, დროზე მოვიშორო, სანამ ისევ თავს მომაბეზრებსო. და ქალაქმაც უმალ ირწმუნა ჯიუტი კაცის “დიდშემოქმედობა” და დადგა მკვდრების რიგი მის ფარლალა ფარდულთან. მკვდარი მკვდარს ზედ ედო, თავის რიგს ელოდა და მეტის მოუთმენლობით ცქმუტავდა. გაივსო სასაფლაო “ულამაზესი” მიცვალებილებით, ხოლო ჯიუტი კაცი ისე დახელოვნდა თავის საქმეში, რომ პირდაპირ საოცრებებს ახდენდა და კაცს ხან ქალად ასაღებდა და ხანც კი პირიქით. ჭირისუფალიც ძალზედ კმაყოფილი იყო მისი საქმიანობით, რადგან რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ქალი იყო თუ კაცი, როდესაც, მაინც ისე კობტად გამოიყურებოდა, რომ მნახველი ცქერით ვერ ძღებოდა. ასეთ ღვანლსა და შრომაში დღეს დღე მისდევდა და ჯიუტმა კაცმაც, მართალია, სახელი “ბევრი” მოიხვეჭა, მაგრამ ქონებისა ვერა დაიჭყო რა. ან კი რა დაეტყობოდა, როდესაც ყველა მოვალეს, ფულის მაგიერ, მადლობის სიტყვებს ართმევდა. რათ უნდოდა? ეტყობა, თავს იპატიოსნებდასავით. გამოუვიდა? ისე რა, რადგან სიჯიუტის გამო, ბებერი კაციც კი ვერავინ შეიყვარა. ასე იღვანა მკვდრების “გამლამაზებელმა” წელიწადზე ცოტათი მეტი და არავინ იცის, რა მწვერვალებს მიაღწევდა თავის საქმეში, ერთ მშვენიერ დღესაც, რომ საკუთარ სიკვდილზე არ დაფიქრებულყო. დაფიქრდა და მიხვდა, რომ სიკვდილსაც უნდა გაჯიუტებოდა და თანაც სიცოცხლეშივე.

ქალაქის თავი გარდაიცვალა და რალა თქმა უნდა, მისი პატიოსანი ცხედარიც ჯიუტი კაცის ფარდულში მიასვენეს შესაღამაზებლად. ჯიუტმა კაცმა კი, იმის მაგიერ რომ მიცლავებული შევლამაზებინა, ადგა და მისი ადგილი დაიკავა. როგორ? როგორ და გვამი იქვე, ფარდულის ქვეშ დამარხდა მერე მისი სამოსი ჩაიცვა და სახე ქალაქის თავის მსგავსად მოიხატა. შემდეგ ჩაწვა მდიდრულ ჩასასვენებელში და დაიკრიფა გულზე ხელები. დილაზე მოვიდა ჭირისუფალი და სასახლე საფლაზე გადაასვენა. იქ კი ლამის მთელ ქალაქს მოეყარა თავი, რათა პატივსაცემი მოხელე უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა. სამი საათის განმავლობაში ისმოდა უწყვეტი ზარისა და გოდების ხმა. ღირსეულად გამოიტირეს ის, ვინც მათ ეგონათ, რომ მათ თვალწინ განისვენებდა და ტრაგე-

პირობა ახალგაზრდა

დია ჰაერშიც კი იგრძნობოდა. ჯიუტი კაცი კი ინვა სასახლეში სახეგაბადრული და უსმენდა გაუთავებელ დატირებებს. ერთი პირი, გული ისე აუჩუყდა, რომ ლამის ცრემლი წამოუვიდა. ზუსტად იცოდა, რომ მას საერთოდ არავინ დაიტირებდა სიცოცხლის შემდეგ და სწორედ ამოტომაც, შეარჩია ისეთი პატივსაცემი მიცვალებული, რომელსაც დიდი ზარითა და გოდებით დაიტირებდნენ. ძალზედ სიამოვნებდა ასე ნაღვლიანსა და "ინტიმურ" გარემოში ყოფნა. სულ უფრო ტკბებოდა სხვისი ცრემლიანი ხმის კაკუნითა და ღირსეულად განვლილი ცხოვრების შედეგით. სულ უფრო მძაფრად გრძნობდა, ახლადმორგებული როლის მნიშვნელოვანებას და ბოლომდე ითავისებდა სხვათა ნრფელ განცდებს. დიდებული დაკრძალვა მოიწყო ჯიუტმა კაცმა და საბოლოოდ იჯერა გული სხვათა უანგარო სიყვარულით. და მერე რა რომ ის, ის არ იყო ვისაც ტიროდენ. სამაგიეროდ, ხომ მას დასტიროდნენ?!

სამ-სამი მუჭა მიწა ყველამ მიაყარა და მე საფლავესაც ნიჩბის ქნევა თითქმის აღარც კი დასტირებია. უბრალოდ მისწორ-მოსწორა პატარა ბორცვი, დასწვდა სანოვავით სავსე კალათას და ჯიუტი კაცის ფარდულისკენ გასწავა პურის საჭმელად. ამ დროს კი ჯიუტი კაცი საფლავში ინვა ბედნიერებისგან მოგვირეული სისასის განცდით განწყობა ამაღლებული და ყურებს ატოკებდა. ძალზედ კმაყოფილი იყო, რადგან ამჯერად, როგორც იქნა, გაიტანა თავისი და აღარავინ გაუწოდა დახმარების ხელი საფლავიდან ამოსასვლელად. ინვა ასე გაუწმრევლად და დინჯად ისუნთქავდა უანგბადის უკანასკნელ ნარჩენებს. შესაშური გამოთხოვების შემდეგ, აღარც არაფერზე აღარ ეფიქრებოდა. სიცოცხლე უკანასკნელ წამებს ითვლიდა და მის სრულყოფას აღარ აკლდა რა. ისეთი ბედნიერი იყო, როგორც რომ არასდროს, თუმცა კი...

მართალია, ჩასასვენებელი საკმაოდ დიდი იყო და ალბათ, ჰაერიც ასე, ერთი საათის სა მყოფი მაინც იქნებოდა, თუმცა კი საათმაც განვლო და ორმაც. მერე სამმა და ერთი კვირის თავზე დიდი მარმარილოს ქვა რომ დაადგეს საფლავს, თითქოს ეგეც იგრძნო. და იგრძნო კიდევ ბევრი რამ. იგრძნო შემოდგომის ნვიძა და იგრძნო ზამთრის სიცივე, მერე გაზაფხულის ყვავილების სურნელი და ზაფხულის გვალვა. და განა ერთხელ იგრძნო? არა, მეხუთე სეზონს უბრალოდ მობეზრდა და თავი დაანება ჩასასვენებლის დამპალ ძირზე ფრჩხილით ნღების აღრიცხვას. ინვა ასე გაუწმრევლად და სულ იმას ფიქრობდა, ნეტა რად გამიწყდა გამჩენი და რად გამიჯიუტდა სიკვდილით?!

ორი კვირის გაცნობილი ჰყავდა, როდესაც ყვირილი დაიწყო, ჩვენს ძმაკაცობას წყალი არ გაუვაო. მერე არც ამას დასჯერდა და რაღა ყველა შვილი მონათლული ჰყავდა, შესთავაზა, შენ უნდა იყო ჩემი მეკვლეო. იმასაც, იმ უცხვირპიროს, მეტი რა უნდოდა?! მივიდა სახლში და ცოლს ყურები გამოუჭედა, ჩემს სამსახურში მე იმდენად მნიშვნელოვან-პატივცემული პიროვნება ვარ, რომ უკვე მეკვლედაც კი მეძახიანო. დასტურ იმისა კი, რომ ეს მარტო სიტყვები არ იყო, ადგა და გამოაწყო თავისი ძვირფასი მეუღლე, ჯერ კიდევ საქონინო მოგზაურობაში ნაყიდ ქრელ კაბაში და ზუსტად პირველის თხუთმეტ წუთზე მიადგა ახლად დასამოყვრებელ ოჯახს. იმან კიდევ, მეკვლეობის დამძალებელმა ცოტა კი გაიკვირვა, ამას აქ რა უნდაო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და მობრძანდით, ჩემო ბატონოო. აბა, როგორი ამბავი იყო, როდესაც კარში ჩვეული მეკვლეს, მეზობელ-პოლიციელის ბავშვის მაგიერ, ვილაც მეჩხერწვერა თანამშრომელი შერჩა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო, ფართოდ გაუღიმა და გულში კი გაიფიქრა, აუ, ეს მართლა მაგარი გოიმი ყოფილა, თორემ აბა, ერთი როდის ყოფილა, ჩემს მოპატიჟებას კაცი აინუნში აგდებდაო. იმან კი, მეკვლემ ჯერ კამფეტები შეაყარა სახეში და მერე მოსდგა, რაღაც უცნაური სიტყვათაწყობის ბუტბუტს. სულ ბოლოს გარკვევით, გწყალობდეთ ღმერთიო და მარჯვენათი შევიდა. ამანაც, მასპინძელმა, ცოლს გასძახა, ქალო ბაჟე გააცხელე, მოულოდნელი სტუმარი გვეწვიაო. დიასახლისიც დატრიალდა და გაშალა სუფრა, თან კი სულ კბილებში სცრიდა, ეს ვინ ოხრები მომითრიე, ან რასა ჰგვანან, ან ეს რა ბამბანერკა მოუთრევიათ და საერთოდ, მაგენი ფულის მსესხებლები არა ჩანან და წადი, ისევ ძველი მეკვლე მოიყვანე, მისი მამა ტომრებით ფულს შოულობსო. მაგრამ რაღას გააწყობდნენ, გასაგდებდა ჯერ ძალიან ადრე იყო და ამიტომ, იძულებითი წესით მიუსხდნენ სუფრას. ოჯახის თავმაც ჩამოასხა ჭიქებში კვანარახვიით მჟავე ღვინო და წესისამებრ უფალი ადიდა. შემდეგ კი მეკვლე დალოცა და უთხრა, როგორი ფეხითაც შენ შემოხვედი აი, ეგრე გაგიმარჯოს და წლებულს თუ საქმე ცუდათ წამივიდა, ხომ იცი ბრალი და ვალი შენიაო. იმანაც, მეკვლემ, ტყემალზე პირველად ვქეიფობ და შენ ნახე წელს რა ბარაქა და ხვალი გექნება, მე ისე ძალიან მიყვარხარო. ინყეს სმა და ყაყანი. სულ კისერში ჰკოცნიდნენ ერთმანეთს და უღვაშებს სცვლიდნენ მეტის უნამუსობით. განსაკუთრებით კი მასპინძელი გათამამდა, რადგან ჯერ ერთი რომ საკუთარ მოედანზე იყო და მეორეც, ორ კვირაზე მეტი იყო, რაც იცნობდა სტუმარს და სათქმელ-გამოსაცნაურებელი ძალზედ ბევრი

ჰქონდა.

- ჩემო თამილა, აი ეს ის კაცია და ის პიროვნება, რომელიც რომ უფროსის, ჩემი უფროსი ხომ იცი, ჰოდა, აი, იმ ჩემი უფროსის ადგილზე არ ყოფნის დროს, მისი მოვალეობის შემსრულებელია. - გააცნო ოჯახის თავმა დიასახლისის სტუმრის ვინაობა.

- ჰმ... - მორცხვად ჩახარა თავი მეკვლემ და მსუყე მზერა სტყორცნა თავის მეუღლეს. აქაოდა, ხომ გეუბნებოდი, რომ სამსახურში ჯერ მე ვარ და მერე სხვა დანარჩენნი და შენ კიდევ არ გეჯერაო.

- ჰოდა, ჩემო თამილა, ესე იგი, ჩემი უფროსი ხომ იცი და ეგ რომ არ არის ადგილზე, აი, ამ კაცის ნებართვის გარეშე, ლამპოჩკა რომ ლამპოჩკაა, ისიც არ ინთება ოთახში. - არ იშლიდა მასპინძელი სტუმრის ქებას და სულ უფრო დაჟინებით ცდილობდა, კოპებშეკრული მეუღლის დარწმუნებას იმაში, რომ ამ კონკრეტული სტუმრის მასპინძლობა, არა მარტო ჩვეული ადათი იყო, არამედ, ღვთისნიერ-სამსახურებრივი საქმე-მოვალეობა.

- როგორ გეკადრებათ, ბატონო დაზმირ, თქვენ რომ იქ არ იყოთ, მე ნამდვილად ვერას გავხდებოდი. თქვენ ნამდვილად შეუცვლელი თანამშრომელი ბრძანდებით ჩვენი გამოცდილი კოლექტივისთვის. - გაყოყოჩდა მორცხვი მეკვლე და ცოტაოდენ თავიც შეიქო, ვითომცდა, შენ რომ არაო, არადა, ეს ჩვენი კამფეტების მარდად მსროლი, სწორედ ის მოხელე იყო, ერთ დღესაც რომ მთელი სამსახური დამუნჯებულიყო, ამას მაინც არავინ ჰკითხავდა, ფეხსალაგში შუქი საიდან ინთებაო.

- ესე იგი, ჩემო თამილა, აი ეს ის კაცია, აი სულ რომ გეუბნებოდი, ჩემი მეგობარია დემური მეთქი. აი, სწორედ ეს არის დემური და ამისთანა სპეციალისტი ჯერ ჩვენს სამსახურს არ ჰყოლია. - ურცხვად სტყუოდა გაკადნიერებული მასპინძელი, მაგრამ არც საყვედური ეთქმოდა, რადგან მისი მეუღლე მოკვდავთ დიდად არ სწყალობდა, ხოლო უკვდავნი კიდევ, მათ არ სტუმრობდნენ. ამიტომაც იყო დიდი მცდელობა და მეცადინეობა, "მოკვდავ დემურის გაუკვდავებისა".

- ბატონო დაზმირ, მოდიო ჩვენი მეგობრობისა შევსვათ. - მეკვლე ეგერევე საქმეზე გადავიდა და ცოტა არ იყოს პენალი დაუდო მასპინძელს. ვითომცდა, "ქებათაქება" კარგი იყო, მაგრამ მეგობრობა მეც ვიცოი. არადა, ამ წვეროსან ტიპთან ფამილიარობა ფაქტიურად "შეჩემას" სიბრტყეზე გადასვლას გულისხმობდა და ეს კი ჩვენს მასპინძელს აზრდაც არ ჰქონდა. კი, მართალია უყვარდა უაზრო ლაპარაკი და ბაქიბუქი, მაგრამ არასდროს არავის სერიოზულად არ აღუქმია მისი ბზაკუნი და რალა ამ კაცს გაუნყდა ღმერთი.

- ბატონო დემურ, ბატონო დემურ, მე ბოდიში, მაგრამ ერთიც უნდა ვთქვა. ჩემო ძვირფასო

თამილა, აი ეს ის კაც-დემურია, რომ არა... - და აი სწორედ აქ, ქალბატონმა თამილამ, წარბები ჩვეულზე მეტად მოზიდა და მონრუპულ ტუჩებზე სიტყვა "ბლიად" მიინება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქმრის მეცადინეობებმა არ გასჭრა და დემური სულაც არ იყო უკვდავი. ახლა კი თავაზიანი დაზმირი უნდა ამდგარიყო და ან ჭურჭლის გასარეცხად წასულიყო და ან კი საერთოდ, სახლიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ფრთაშესხმულმა დემურმა სულაც არ უწყოდა ცოლ-ქმრის შესტების ენა და ამიტომ განყვეტილი სიტყვა რიხით განაგრძო.

- დიდი მადლობა, ჩემო ტკბილო დაზმირ, მაგრამ მე კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ არა თქვენისთანა მაღალკვალიფიციური პერსონალი, მე ამ სამსახურში ვერას გავხდებოდი. - აქ პატივცემულმა მეკვლემ მრავლისმეტყველი პაუზა "დაიჭირა" და კიდევ ერთი მსუყე მზერა სტყორცნა გაოგნებულ მეუღლეს, რომელსაც თავი სიზმარში ეგონა, რადგან აქამდე ქმარი ნივთი ეგონა და აღმოჩნდა კი, რომ საგანი იყო. იმედმცემულმა ერთი პირი ისიც კი გაიფიქრა, სახლში რომ მივალთ, ნოხის მაგიერ დღეს აუცილებლად ჩემს გვარდით, ლოგინზე დავანვენ და ვნახოთ, იქნებ იქაც რამე ფერი იცვალაო.

- ჰოდა, ჩემო გულითადო მეგობარო დაზმირ, მოდი, ამ ჭიქით ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს. შენ გაგიმარჯოს როგორც ჩემი სამეგობროს საუკეთესო წარმომადგენელს და მე ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეის მერე, არა მარტო მე და შენ, არამედ, შენი თამილაცა და ჩემი ანგელინაც მეგობრები იქნებიან. უფრო მეტსაც გეტყვი ჩემო ძვირფასო მეგობარო, რომ მე შენი სახით და ანგელინამ კი თამილასი, შევიძინე არა მარტო დიდი მეგობარი, არამედ ფაქტიურად ნათესავიც კი, რადგან როგორც მოგეხსენება, ჩვენს ქვეყანაში მეკვლეობის ინსტიტუტი ოდითგანვე არსებობდა და რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას. ჰოდა, ამ ჩვენი დამეკვლეობა, დანათესაობა, დამეგობრობის შემდეგ... - დემურმა სიტყვა ვერც ამჯერად გაასრულა, რადგან საოცარი ფაქტის მომსწრე გახდა. კოპებშეკრულმა თამილამ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ხელუკუღმა გასცხო თავჩაქინდრულ დაზმირს და ერთი ლაზათიანად შეუკურთხა კიდევ. ყველაზე გასაოცარი კი ამ ფაქტში ის იყო, რომ ამ ამბის შემსწრე დემურს მოეჩვენა, რომ თავის თავს უყურებდა გვერდიდან. მისთვის პირდაპირ აღმოჩენა იყო ის მოვლენა, რომ მის გარდა კიდევ ვინმეს ურტყავდნენ ხელუკულმა. ასევე ერთგვარი აღმოჩენა იყო ეს ფაქტი ანგელინასთვისაც, რადგან ხელუკულმა გარტყმა, კი ბატონო იცოდა, მაგრამ ამავდროულად შეგინება?! არა, ეს ფაქტი ნამდვილად უფრო მეტად ეფექტურს ხდიდა ამ ჩვეულ მოვლენას. თქვენ წარმოიდგინეთ და რალაცის აღმოჩენა დაზმირსაც ხვდა

წილად. მან აღმოაჩინა, რომ ბექდიანი ხელი ბევრად უფრო მწარე და მტკივნეული იყო, ვიდრე უბეჭდო და თანაც ბევრად. არც თამილა ჩამორჩა სხვებს აღმოჩენებში და მანაც აღმოაჩინა თავისთვის, ერთი თითქოსდა უმნიშვნელო, თუმცა კი ძალზედ სასარგებლო დეტალი, რომ ბაჟიანი თევზის სროლას, ბევრად სჯობდა “უბაჟო” თევზის დამტვრევა, რადგან მეორე დღეს სადილი აღარ ექნებოდა ახლიდან გასაკეთებელი. ჰოდა, ამდენი აღმოჩენებით გაბრუნებული საზოგადოება, ანუ სტუმრები და თამილას ქმარი, ვერც კი მიხვდნენ, როგორ აღმოჩნდნენ კარს მიღმა, სადარბაზოში.


- დიდი მადლობა ჩემო დაზმირ ამ არაჩვეულ ბრძოლაში სადამოსთვის და იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში, ახლა უკვე თქვენ გვესტუმრებით. - არაფერი შეიმჩნია ვერ შემდგარმა მეკვლემ და ხელი მძლავრად ჩემოართვა, ვითომცდა, მე შენი მესმისო.

- ასე მალე რატომ მიბრძანდებით? ცოტაც მოგეცადათ. თითო ჭიქაც დაგველია და საერთოდ, სად გეჩქარებათ, დღეს ხომ ახალი წელია? ჯერ ახალი წლის სადრეგრძელოც კი არ შეგვისვამს და თქვენ უკვე მიიჩქართ. არ გეკადრებათ, ბატონო ჩემო, მასპინძლის ასე სახტად დატოვება. - იმდენი არტისტიზმი ჩააქსოვა ამ სიტყვებში თვალშესიებულმა კოლეგამ, რომ არა ანგელინას ხელკავი, დემური უკვე კარის სახელურისკენ იწევდა.

- სამწუხაროა, რომ უფრო მეტ ხანს ვერ დავყავით თქვენთან, მაგრამ სხვა მეგობრებმარა დააშავეს? იმათაც ხომ უნდა მივულოცოთ ახალი წელი? ჰოდა, ამიტომაც ახლა გავალთ და შემდეგ ჯერზე უკვე მე გეპატიჟებით ჩემთან და იქ შევხვდეთ. თუნდაც ძველით ახალ წელს. აბა, მრავალს დაესწართ და კარგად მენახეთ. თამილასაც დაემშვიდობეთ ჩვენს მაგიერ. უთხარით, ჩქარობდნენ და ველარ დაგემშვიდობნენ-თქო. - არც დემური აღმოჩნდა ცუდი მსახიობი და ისე გაითამაშა ეს სცენა, თითქოს ქალბატონი თამილა საძინებელში იყო შესული, ბავშვს ძილს უბრუნებდა და ესენი კი გასვლას ჩქარობდნენ. არადა, იმ ტერორისტმა კარი ისე მოუჯახუნა ცხვირწინ, რომ ნახვამდისაც კი არ უთქვამს.

- რაღაი არ იშლით, რა გაენწყობა?! სულ კარგად ბრძანდებოდეთ. აუცილებლად გესტუმრებით ახლო მომავალში. დიდი მადლობა მობრძანებისთვის და დაუვინყარი სადამოსთვის. - ამ სიტყვების შემდეგ დემური და დაზმირი მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს და სამჯერ გადააკოცნეს, თითქოსდა ვახტანგურად დაელიოთ.

გაოცებული ანგელინა კი პირდაღებული უყურებდა ამ წარმოდგენას, სახელად “ვოთომც არაფერი” და კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა იმაში, რომ კაცები მართლაც ძალიან მაგრები არიან.



ზაზა ქინკლასძე

ლ ა ლ ი ს

არ ვიცი, შენ თუ შენზე ოცნება
შემყვარებია ასე ძალიან,
ამით არავინ არ გაოცდება,
ჩვენთვის ქალაქში არვის სცალია.
შენი ქუჩა კი რა ლამაზია,
თვალმოფახვულე ჭადრის ჩრდილებით,
ოცნებებივით შემომასია
ქარმა ფოთლები — მწვანე ჩიტები.
ო, რა შორსაა სიცოცხლით დაღლა,
სიყვარულის და ტკობის ჯერია,
ჩვიდმეტი წლის ვართ ორივე ახლა,
ცისარტყელები ჩვენთვის მღერიან.
თბილისი მართლაც კარგი მხარეა,
მაგრამ ის ამ გულს ბევრად არ უჩანს,
თუ მიხარია, ის მიხარია,
რომ არის სადღაც აქ შენი ქუჩა,
რომელიც შენი ნაბიჯებით და
ჩემი თვალთვალთ დაფენილია
(გაიკვირვებდა ალბათ ჩემი და —
ისე გავნაზდი, რიგორც ლილია).
კურთხეულ იყოს, ვინც ჩვენი ბედის
გზები თბილისში გამოატარა,
რომ იმ საღამოს ერთმანეთს შევხვდით
და გულმა თავი გულს შეაფარა.

1971

შ ე ხ ვ ე დ რ ა ქ ა ლ ა ქ შ ი

და გოგონამ ღვთისმშობლის მზერით
სიხარულით დაიკვილა უცებ,
ფანტელივით გააქროლა ელდამ
და ლამაზ ბიჭს მიეფიფქა გულზე.
სამი წლის წინ გააცილა ბიჭი
ქალაქში და აი, ახლა ნახა,
“ვაი, როგორ გადამხვია ხელი”...
რა თამამი გამხდარაო ახლა.
კარგო გოგო, სად მიდიხარ? სადა?
ვერას ატყობ? გაეცალო გიჯოხს.
— სად წავიდე? კაფე-ბარში? კარგი!
“ბიჭო... როგორ მომენატრე, ბიჭო.”
— კონიაკი? მე არა ვსვამ... ცოტა?
ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს, არა?
ახლა შენთან? კარგი, როგორც გინდა. —
და ქალ-ვაჟი სახლში გაეჩქარა.
და გოგონას — ნაწნავების ტოლას
ბიჭმა უცებ კარი ჩაუკეტა...
თუმცა მალე გამოვიდნენ გარეთ,
რა ატირებს ცისფერთვალს ნეტავ?
ოჰო, აღარ მოაცილებს ბიჭი
და დგას ზღურბლზე ვით ნაცემი ჯუჯა,
მარტო მიდის თავდახრილი გოგო
და ცრემლივით ობოლია ქუჩა.
მარტო მიდის და ვინ იცის, ნეტავ,
სადაც მივა, არ იტირებს იქაც?
ბერჯერ, ბერჯერ ბოლო შეხვედრამდე
ჩვენ გვიყვარს და გვენატრება ვილაც.

შ ე ნ თ უ ბ ი ვ ო ვ ე

შენ თუ გიპოვე, მე ვილოცებ პილიგრიმივით
ყველას ჯვარცმამი და ტანჯვამი ღამეგანათ-
ევს,
მათ სისხლიანი ცრემლით ჩამქრალ სანთლებს
ტირილით
ყრმობის ტაძარში მივიტან და შენთვის ავან-
თებ.
აცდენილ გულებს, შემშლელ სიზმრებს, ლამაზ
ხეიბრებს,
დღეს დავინწყების მორევებში დაქანებულებს,
ათას განდობას და დანდობას, გიჟურ დრეიფ-
ებს
იმედთა ზღვაში, ოცნება რომ დამისნეულეს,
ყველა სიხარულს, ყველა ელდას, ყველა სი-
ყვარულს,
მთვარით შეღებულ ღამეებს და ცისკრის ანთე-
ბას,
კესანესფერი სიჭაბუკის ველზე სიარულს
შემოგწირავ და შევავედრებ დიად ღვთაებას.
შენ თუ გიპოვე, მე ვინამებ ზღაპრულს ესოდენ
ყველა გმირობას, თავგანწირვას, ყველა სას-
ნაულს,
მივხვდები, ცოცხლად რომ იწოდნენ, როგორ
მღეროდნენ,
როგორ უძლებდნენ, როცა ცლიდნენ ამგვარ
სანყაულს;

მივხვდები, საით გადავნიო სამყაროს ფარდა,
რად ააყვავა ეს ვარდები აპრილის დენტმა,
რად არის მშვიდი ყველაფერი სიცოცხლის გარ
და,
რად გააჩინა ქვეყანაზე პოეტი ღმერთმა;
რად არ კვდებიან ასწლეულთა ბნელ ნან
გრევებში
ძველი ჰიმნები, ჩუქურთმები, ძველი ვნებანი,
რად გვალეღვებენ გალაქტიკის შორ ღამეებში
უცნობ ვარსკვლავთა შეტოკება-განათებანი;
შენ თუ გიპოვე, როცა დავთმობ ყველა სადაოს,
როცა სიკვდილი მომაკითხავს ვერცხლისთმე
ბიანს,
ვეტყვი : “არა სთქვა ჩემთან შეყრის გემინოდ
აო,
შენი კი არა, მე სიცოცხლის არ მშინებია.”

1974

თ ო ლ ი ა

ზღვა ვულკანივით ოცნებებს აფრქევს
შორს, მზიან ზოლზე, ცეცხლის კრატერთან,
სალამი ახლად ამეგებულ აფრებს!
სალამი ვინაც ზღვაში დაბერდა!
სალამი თრთოლვას, რითაც დგებიან
დედამინაზე მეზღვაურები
და უღიმინ თოვლაფრთებიან
თოლიის გუნდებს ნაგზაურები!
მაგრამ სალამი უფრო თოლიებს!
მათ ფრთებქვეშ მარად ზღვები მიქრიან,
სიკვდილის მერეც ჩაიყოლიებს
თეთრ სხეულა ზვირთთა ლურჯი სტიქია.
ყოველდღე ჯვარცმა საკუთარ ნებით?
თოლიას ზღვათა ცოდვა აწვალებს, —
ყოველ ღამისპირს სისხლიან ფრთებით
ყელგამოჭრილ მზეს უხუჭავს თვალებს.
ვის ეძებს ნეტავ? ამხელა ზღვაზე,
ამხელა ცაზე რომ არ წყვეტს ტრიალს?
ვის ეძებს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე
მარადისობის ეს თეთრი ტყვია?
ყველა ქიმერებს ანგრევს თოლია
უძლეველ ზღვათა დიად ხმაურში,
უკანასკნელი ლურჯი მსოფლიო
დღეცისმარადობს მის სიყვარულში.

976

მ ე თ ო ვ ლ ი ა

მეთოვლია არ გეგონოთ თოლია,
მეთოვლია ყვავილია მთისა,
ყვავილია თოვლის მახარობელი,
დედობილი, თოვლის ნაზი ძიძა.
მზეს ყინულზე გაესეროს ცერი —
ასეთია მეთოვლიას ფერი.

საოცარი გუმანი აქვს ავდრისა,
მზეს რომ ჯვრაც კარგი თვალი უცემს,
მეთოვლია მოფრინდება ალივით,
დაენტება მდელოზე და უცებ
გათოვებას — დაზამთრებას გვაუნყებს
ყველას, ყველგან, გარეთაც და შინაც...
მეთოვლიავ, ნეტავ ზოგჯერ ყვაოდე
ნუთისოფლის გაავდრების წინაც.

1986

ბ ე თ ო ვ ე ნ ი ა ბ ო ნ ი ი ს ა ს

თურმე ყოველივე ლიტონია,
თურმე გოდებაა მღერა,
სულში სისხლიანი გრიფონია,
მკორტნის, დაუნდობლად მსერავს,
რისი მეტანია, ლიტანია,
ნუთუ ამ სიგიჟის გჯერათ?
სატანის ყვითელი ლითონია
მთელი დედამინის წერა,
ვაიმე, ამაოა, ლიტონია
ჩემი ყველა ჰანგი, მღერა,
ვერ მშველის ვერც “მეცხრე სიმფონია”,
ვერც “მთვარის სონატა”, ვერა.
წყეულიმც ყოფილა ისტორია!
არვის აღარ მჯერა, არა,
ბრბოის აღტაცება, ისტერია
წყეულიმც ყოფილა მარად!
წყეულიმც ყოფილა ბედისწერა,
სულს რომ აღარ მართმევს ჯერაც,
არვის, აღარაფრის აღარ მჯერა...
ჩემი დაყრუების მჯერა.

2003

გ ა ხ ს ო ვ ს ე

გახსოვს, გოგო რუსიკელა,
რომ დავრბოდით ტრუსიკელა?

მე ვარ, ბიჭი ზაზუნია,
რომ დამარქვი ბრაზუნია.

გახსოვს ეზო ბზებიანი,
იებ-კოინდრებიანი?

გახსოვს ჩვენი ნატრულეთი?
ჩვენთან მოთამაშე ღმერთი?

აღარ გინდა ისევ განა
ვითამაშოთ დიდობანა?..
თუმცა, ნეტავ, დაიკონა,
გვათამაშა ბავშვობანა.

2006

ყვავილებივით ფანტავენ
მზეგოგონები მზერას,
მაისტან ერთად ხატავენ
ზემელს, ვაკეს და ვერას.
ფეხზე დგას როგორც ჩახმახი
გული და ბრაზით ღელავს...
ქუჩა — თავხედი ახმახი
რომ ამოსცქერის ყველას.

1972

ქ ე თ ი

1

ჩემო ბარტყო, როგორაც დაფრთიანდი,
სხვის ბუდეში უმალ გადაფრთხილდი.

ალარ გინდა დედა, მამა, ქეთია,
გულის კარი ჩვენთვის დაგიკეტია,
სასწაული ბუნებისა ესაა —
სიყვარული და სიგიჟე ერთია.

ბავშვობიდან მახსოვს ჩემი მშობლების
მედეას და იაზონის როლები,
ახლა შვილი გადაიქცე მედეად,
ჩამოლენე ბედისწერის ბროლები.

დედაჩემიც როცა გაჰყვა მამაჩემს,
თურმე დანას ეხეოდა ბებია,
რას გაუგებ ნუთისოფლის განაჩენს,
ტირილი და სიცილი ხომ დებია.

დედოფალი განა დედოფალაა?!
ან ქორწილი — თამაშობა ვადამდი?!
შვილო, სკოლის დიდი შესვენებიდან
შენ ოჯახის სადაგველში ჩავარდი.

ულმობლად რომ ვიკლავ შენს მონატრებას,
იქნებ ამით განვარისხებ განგებას?!

დავდიოდი, ბუხსაც არ ავიფრენდი,
ახლა ცრემლებს ვმალავ შავი სათვალით,
იქნებ მეტად მკაცრი მამა ვიყავი,
თავს უშველე და ხარ ცამდე მართალი?!

თუ ასეა, ჩემგან შენდობილი ხარ,
ამგვარია ნუთისოფლის იგავი,
სიყვარულით გულბორკილო ქეთია,
მამაძალლო, ბედნიერი იყავი.

იქნებ ბედი ჩემზე გონიერია,
უფალი კი ბედზე ღონიერია.
დე, განქარდნენ შფოთიანი სიზმრები
და გამრავლდნენ შენი მართვე-ციცრები.

ნუთისოფლის სასწაული ამიხდა:
დილით შვილი მილიმოდ აკენიდან,
შუადღეზე სათამაშოდ წავიდა,
სალამოზე გათხოვილი დამიხვდა;
ნუთისოფლის სასწაული ამიხდა
და დაიწყო ყოველივე თავიდან:
შვილიშვილმა ყველა დარდი დაფლითა,
ხოლო როცა მოინათლა ჯიხეთში,
მზე გადმოდგა დაირით და დაფითა,
“დამშვიდდით?” — ჩამომესმა მალლიდან
და ავტირდი ჩუმად უფლის მადლითა.

2008

ლომეზის საიდუმლო

მოხეტიალე ლომივით მზე პრაიდისკენ ინევდა,
ხვადი მზეს თვალთ წონიდა, მზე ლომს ღუელ-
ში ინვევდა.

დალილი ძუს დასცდა ჩივილი: “ყოველთვის
ვერ ვართ ლომები,
ამ კამეჩებთან, ბატონო, ჯუჯები ვართ და გნო-
მები.

წელან რომ ზაქს გავეკიდეთ, ექვს ლომს გვინ-
დოდა ზიარად,
ბულა კამეჩმა დაგვრქინა, ბურთივით დაგვაბზ-
რიალა.

ზაქი ჭაობში ჩავარდა, ნიანგი ჩანთქმას ლამობ-
და,
ჩავცვივდით, ამოვარიდეთ, ამოვართიეთ მალ-
ლობთან.

მოვარდა ისევ ის გიჟი, რქების შუბების ტრი-
ალით,
დაგვისხლტა ზაქი ჯოგისკენ, გადარჩა ოხერ-
ტიალი.

ტბორში რომ ზებრას ვუყელე, რჯული არ იყოს
ამისა,—
ჩაჰყო კისერი წყალში და თავად დავიხრჩვი
ლამისა.

რა ხდება ნეტავ, მითხარი, გამოიცვალა დროე-
ბა?

ბელადო, იქნებ შენ იცი მიზეზი, გარემოება.”
პრაიდის მეფემ ფაფარი შეაფრიალა ღმუილით:
“სიმართლეს ვიტყვი, მისმინეთ, არ მეკადრება
ტყუილი.

იმ ერთი ხარის ჭირიმე, ლომთა გუნდი რომ და-
ფანტა,
იმ ლომს კი ვენაცვალე, ხართა ჯოგში რომ
გავარდა,
კარგად მისმინეთ, გაიგეთ სუყველამ, გარდა
ჯაბანთა:

ბულა-კამეჩი კი არა, ცხვარი, სულ შიშით მა-
ვალი,

იარაღსა ფლობს — მომხდური დაიძლეოდა მრავალი:

რქები, კბილები, ქვაშუბლი, ჩლიქები — ოთხი ხანჯალი,

მაგრამ გული აქვს მშიშარა, ლაჩრული გული, ჯანჯალი;

თავად თქვი, ერთმა კამეჩმა ლომების გუნდი დაფანტა,

გუშხამ ხომ გახსოვს, კურდღელმა კლანჭით არწივი გაფატრა;

ვირთხამ პითონი დასისხლა, როცა კისერთან უყვლა,

სპილოებიც კი იფრინეს, ერთურთს ასწრებდა სუყველა;

მყვირალობისას ქორბუდას უფრთხიან მგლები, დათვები,

ვეშაპს ზვიგენიც არა ქამს, ფლეთენ მშიერი თართები;

თრიამ რალა ქნა, ძელქორის კლანჭებში გამომ წყვედულმა? —

ფრენისას იქით დაკბინა, პატარა თრიამ, ეულ მა;

ხომ ხვდებით ამ გამოცანას დევნილისა და მღვერისა? —

რად არის უცილობელი გულშეშინება მტერისა. ეს ჩვენ, ლომებმა ვიცოდეთ, საიდუმლოა სრულიად —

ყველაზე მძლე იარაღი ქვეყნად მამაცი გულია, ყველა ლომს სჯობნის გულლომი, ურჯულოა თუ რჯულია.

არ გამაგონოთ არასდროს ანი დაღლა და კრთომები,

მაშინ კვდებიან ლომები, რომ იღლებიან ომებით.

აჰა, მზის ლომი წასულა, ოდნავ ჩანს ცეცხლის ფაფარი,

დაბინდდა, ჟამი დამდგარა, დროა დავაგდოთ საფარი.

მაშ და ადექით! აშავდით! შმაგებად ვრჩებით შმაგები,

კვლავ კამეჩებზე ვნადირობთ, დიდ ბულას და ვეტაკებით,

თუნდაც მოგვიკლან ჩვენგანი, არ დავიღვევით განგებით,

გახედეთ — ათნიც არა ვართ, ათასების ვართ განმგები,

ჩვან ვართ პრერიის მეფენი! ბოკვრებს ვაჭა მოთ ზაქები!

2009

შეშობომა მტკვარზე

ჩუმად ჩადის ოქტომბრის მზე, მტკვარი მოქოთქოთებს, დაუბერა ნიავქარმა, აშრიალდა ჭალა,

ხის ვარჯები ფუნჯებივით აქაფებენ ფოთლებს და ყვითელი ფლოტილია წყალზე გაიშალა.

აფარფატდნენ ფოთლები და თოლიები ცაში, გადაიმსხვრა წყლის ფერადი კალეიდოსკოპი,

გაილუმპა ორი ჩვამა თევზის ჭერის ცდაში, ამჩნევია ქვიშას მათი კვალი — დანასკუპი.

მზის ბრჭყვილა მთას დაეცა, იძირება ნელა, მთელი ჭალა ამოფერა, ამოაოქროა,

ვერაფრით ვერ ვიანკესე თევზი მტკავლის ხელა,

მაგრამ აჰა, ჩემს სპინინგზე ერთი ლექსი ხოა.

2009

მუზები

სულის მუსიკაა პოეზია, ლექსი — სიტყვამღერა, ბგერწერა,

ცეკვა — სულის ხორციტ აღმაფრენა, მხატვრობა — ჩრდილნათელი ფერწერა,

ძეგლი — ქვა-ლითონის ამღერება, და რომ გამოგიტყდე გულწრფელად, —

ეს ყოველივე, ჩემო კარგო, ბედისწერაა და გულწერა.

2009

ვერლიბრი თუ ლექსი

თვითონვე ამბობს ვერლიბრი: “უფერული ვარ — ფერლიბრი.”

მუზა, ქნარი და გალობა — ესაა ლექსის წყალობა.

2009

რიკულები

როგორ მიყვარს ოდიდან რომ გვრიტებივით იყურებით

დიდი ბაბუს გაჩარხული, ბოთლის გულა რიკულები.

თქვენს ღრიჭობს ბიჭუკელა ქვეყნის სარკედ ვიგულეზდი,

ხელს გავყოფდი, მზეს ვპოტნიდი, თან მიცავდნენ რიკულები.

ასე იყო ბაბუც, მამაც, წელში გამოხრინკულები აივანზე ფერხულობდნენ და ცეკვავდნენ რიკულები.

დღეს სხვა დროა და ოდები არიან გარიყულები, სადღა არის სამერცხლე და სამზიგულე რიკულები?!

მაინც, ჩემო ნატრულეთო, სანამ მზის ქვეშ ვიყურები,

ჩემი ოდის აივანზე სულ იქნებით რიკულები.

2009



მაცა სიკვდილი

ძმები

(ზღაპარი)

ძალიან დიდი ხნის წინ სამყარო შეიქმნა და ადამიანი დაიბადა, მაგრამ მან არ დააფასა ღვთისგან ნაბოძები უკვდავება, ამიტომ გაჩნდნენ ტყუბი ძმები — სიცოცხლე და სიკვდილი. ორივე ცალ-ცალკე ცხოვრობდა და თავის საქმეს ემსახურებოდა. ერთმანეთი დიდხანს არ ენახათ და აი, ერთხელაც სიცოცხლე შემთხვევით სიკვდილს გადაეყარა.

— როგორ ხარ? რამდენი ხანია აღარ შეხვედრივართ, — ხალისიანად ჰკითხა სიცოცხლემ.

— ეჰ, — ამოიოხრა სიკვდილმა, — აბა, რა გითხრა, მარტო ვარ, არავის ვუყვარვარ, ჩემთან შეხვედრის ყველას ეშინია, ჩემს გაჩენასაც კი წყევლიან. ადამიანებს ვძულვარ, არადა, რა ვქნა, ღმერთმა ხომ ამისთვის გამაჩინა. შენ კი სულ სხვა ხარ, — შურიანად შენიშნა, — სუფრა არ იშლება, რომ შენი სადღეგრძელო არ დაილიოს, ყველა შენ გლოცავს და გნატრობს. მართალია, ძმები ვართ, ერთი მამის შვილები, მაგრამ სულ განსხვავებული ბედისწერა და ცხოვრება გვაქვს.

— არა, მართალი არ ხარ, — შეებრალა სიცოცხლეს სიკვდილი, — ცდები, ძმაო!

— შენ იცი, რომ მე სიმართლეს ვამბობ, — სიკვდილმა სიცოცხლის ფერადი მოსასხამი ნაღვლიანად შეათვალიერა, მერე ამოიოხრა და დიდ ქვაზე დაჯდა. მაღალი, მწვანე ბალახით დაფარულ მინდორში იყვნენ, მინა ჭრელ ყვავილებს დაეფარა, ზემოდან ცისფერი ზეცა გადმოჰყურებდათ, ირგვლივ ადამიანის ჭაჭანებაც არ იყო.

— ბედისწერის არ ვიცი რა გითხრა, — უცებ სიცოცხლემ დანაღვლიანდა და ზღვისფერი თვალელები უფრო გაუმუქდა, ძმას გვერდით მიუჯდა, — რაც გავჩნდი მას მერე ასეთი ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ, რახან ორივე ვარსებობთ, ესე იგი ასეა საჭირო.

— აი, ნახე, — სიკვდილმა შეანყვეტინა, დაიხარა და ქვის ძირში პანანინა იასამნისფერი ყვავილი დაყნოსა. ყვავილი შეირხა, აკანკალდა, შეეშინდა. სიკვდილს თვალელებში ცეცხლი აუგიზგიზდა, სახეც აენთო, სიცოცხლე ადგილზე გახევდა. სიკვდილმა ჩაისუნთქა და შემდეგ შეუბერა, ყვავილს გვირგვინი გვერდზე გადაუვარდა, ფერადი სხეული გაუნაცრისფერდა და... მოკვდა.

— აი, ეს არის ჩემი საქმე, — თქვა სიკვდილმა მკაცრად, მაგრამ ხმა უკანკალელებდა, თითქოს ატირებას აპირებდა. ძმა გაოცდა, როცა პატარები იყვნენ, სიცოცხლე ხშირად ტიროდა ხოლმე, მაგრამ არ ახსოვს მის ძმას ოდესმე ეტიროს, მას ცრემლის მლაშე გემო გასინჯული არ ჰქონდა, ტყუბები არა მარტო ხასიათით, გარეგნობითაც ძალიან განსხვავდებოდნენ.

დადუმებული სიცოცხლე მიწას დასცქეროდა, მოუნდა ძმა რამეთი მაინც ენუგეშებინა.

— კარგი, — წამოდგა სიცოცხლე, — მოდი ნავიდეთ და ვნახოთ, ქვეყანა დიდია, ვიპოვით ადამიანებს, რომელთაც არ სძულხარ და რა იცი, იქნებ პირიქით იყოს... მიხვდები, რომ ადამიანი თვითონ შობს თავის ბედისწერას, ის თავად არის შემოქმედიც და შემქმნელიც, თუმცა ამას ვერ ხვდება. შენ მხოლოდ მათი აღსასრულის ჟამს ხვდები, მე კი მათთან მთელ სიცოცხლეს ვატარებ და კარგად ვიცი, რას ნიშნავს მხრებზე ატარო ის ტვირთი, რასაც ადამის მოდგმა ჰქვია.

სიკვდილმა ნაღვლიანად ახედა, ბოლოს ადგა:

— კარგი, ძმაო, ნავიდეთ, მაგრამ არა მგონია მართალი იყო, მხოლოდ ჩემს მაგინებლებს ვიპოვით და მიხვდები, როგორი უბედური და მარტოსული ვარ.

ორივე გზას გაუყვა. მინდორი რომ გათავდა, ტყეში შევიდნენ. უცებ წინ მგელმა გადაურბინათ. ცხოველი გაჩერდა, შეუღრინა, თეთრმა კბილებმა გაიღვეს, ორივეს შეხედა და როცა მზერა სიკვდილს მიაპყრო, ცხოველმა რალაც იყნოსა, მხრებში მოიბუზა, უკან-უკან დაიხია, ადგილიდან მოწყდა და ტყეში გაუჩინარდა.

ერთ სოფელს მიუახლოვდნენ, მუსიკის ხმა გამოდიოდა, ერთ სახლთან ხალხი შეგროვილი იყო, გრძელი მაგიდეები გაეშალათ, სუფრაზე

ხორაგი ელაგა, ყველას ბედნიერი და კმაყოფილი სახე ჰქონდა.

— რა ხდება? — ჰკითხა სიცოცხლემ ერთ კაცს.

— ჩვენს მეზობელს ბიჭი შეეძინა, — ხალი სიანად უპასუხა გლეხმა, — დიდი ხანია შვილი უნდოდათ, მაგრამ არ უჩნდებოდათ; როგორც იქნა, ღმერთმა მათაც წყალობის თვალთ გადმოხედა, ოჯახს ისე გაუხარდა, რომ მთელი სოფელი დაპატიჟა. დღეს ჩვენ ახალი სიცოცხლის დაბადებას ვზეიმობთ.

სიკვდილმა არაფერი თქვა და გაშორდა, სიციცხლე სოფლის ბოლოში ძლივს წამოენია.

— ხომ ნახე! — სიკვდილმა მას ნაღვლიანად უთხრა, — აბა მე რომ მივსულიყავი მათთან, ჩემს გამოჩენას ასეთი ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ? მათგან მარტო წყევლა-კრულვა მესმის!

სიცოცხლე მდუმარედ ამოუდგა გვერდით.

მაღე ერთ ბაღს მიუახლოვდნენ, გარშემო ღობის მაგივრად ობობის ქსელი იყო გაჭიმული, ყვავილების ბუჩქები სიოსთან ერთად ირხეოდა, ათასფერი პეპლები დაფარფატებდნენ, ქათქათა ყერმოლერებული და გრაციოზული გედები ტბაზე დაცურავდნენ. ბაღის შუაგულში ოქროს სახლი იდგა, ვერცხლის სახურავით, ჰაერივით მსუბუქი და ჰაეროვანი აბრეშუმის ფარდები ნელა ირხეოდა.

— აქ ვინ ცხოვრობს? — იკითხა გაცოცხლემ.

— ვინ და სიყვარული და მისი და-ძმები ცხოვრობენ, — უპასუხა ერთმა პეპელამ და კისკისით გაფრინდა.

ძმები ტბისკენ წავიდნენ.

წყალში ლამაზი ოქროსთმიანი გოგო-ბიჭები ჭყუმპალაობდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ.

— რა გინდათ? ვინ ხართ? — ძმებს თეთრ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა. გრძელი, შავი თმა მუხლებზე სცემდა, მის მკერდზე მისვენებულ პანანინა ჩვილს ეძინა. ქალმა როცა სიკვდილს შეხედა, შავმა თვალებმა შეამინა და მძინარე პატარა უფრო მაგრად მიიხუტა.

სიცოცხლემ მას თავი დაუკრა, მიესალმა და ჰკითხა:

— აქ თქვენ ცხოვრობთ?

— დიახ, — მიუგო ქალმა, — ეს სიყვარულის და ოცნებების სახლია. მე დედაშვილური სიყვარული ვარ, ესენი ჩემი უმცროსი და-ძმები არიან, ხოლო ჩვენი უფროსი ძმა — ღმერთის სიყვარული — აქ არ არის, თქვენ რისთვის მობრძანდით?

— თქვენ ყველა ადამიანზე შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ? — ჰკითხა სიცოცხლემ.

— არა, ყველაზე არა, — დედობრივ სიყვარულს სახე მოედრუბლა, — ადამიანების ნაწილს სიყვარული საერთოდ არ სჭირდება. გაგიკვირდებათ და ზოგი ადამიანი ჩვენზე ძლიერია, ზოგს ნამდვილი გული საერთოდ არ აქვს, ზოგის გონება კი მათ გულს მართავს. ამიტომ ჩვენს შესაძლებლობებსაც კი აქვს საზღვარი.

— მაგრამ ზოგჯერ სიყვარული ადამიანს ტანჯვად ექცევა ხოლმე, — უეცრად თქვა სიკვდილმა, ძალიან ჩაფიქრებული და სერიოზული სახით, — რადგან მასთან გამომშვიდობება ძალზე უჭირთ და ხშირად ამბობენ, ჯობდა არ მყვარებოდა, რადგან მის დაკარგვას ასე უფრო იოლად შევეგუებოდიო.

— ეგ როდის ხდება? — ქალი დაინტერესდა.

— თუნდაც სიკვდილის დროს.

ქალმა ბავშვი გულზე მჭიდროდ მიიკრა და ჩაფიქრდა. გული აუთრთოლდა, სიკვდილს შეხედა, მერე კი ტბაზე ლალად მოთამაშე თავისი და-ძმებისკენ გაიხედა. ვერაფერი თქვა, სიტყვები ერთმანეთში დაფიქვით აიბურდა.

ზუსტად ამ დროს ერთი ახალგაზრდა მაკაკი მიუახლოვდა, რომლის ლამაზი სახე მწუხარებას და უბედურებას დაეუშნოვებინა, ტანსაცმელი ძონძებად ეკიდა, თვალებში საშინელი სევდა და ნაღველი ეხატა.

უცხოვს გამოჩენამ ყველას მხიარულება შეაწყვეტინა. ტბიდან ლამაზი წყვილი გოგო-ბიჭი წამოვიდა, კაცს მიუახლოვდნენ და ჰკითხეს:

— რა გინდა, ისევე მოხვედნი?

— თქვენს იქით გზა არ მაქვს, გთხოვთ, მაპატიოთ! ყოველდღე მივიღვარ მასთან, მინდა, რომ მის ხორკლიან ზედაპირს მოვეფერო, მაგრამ ახლოს არ მიშვებს. მისვლისთანავე მის გარშემო უცებ ეკლები ამოიზრდება და მიკარებასაც ვერ ვებედავ, — უცნობი მუხლებზე დავარდა და მწარედ აქვითინდა.

ახალგაზრდა წყვილმა მას მკაცრად შეხედა, კაცის ცრემლებმა მათ გული ვერ მოუღობო.

— შენ მიიღე ის, რაც დაიმსახურე, — უთხრა გოგონამ და მუქი ლურჯი თვალები მრისხანებისგან აუგვიზგიზდა.

— შენი ხვედრი მარტოობაა, რადგან ერთ გულების ფიცს უღალატე, — თქვა ბიჭმა ხმამაღლა. მერე გოგოს ხელი მოკიდა და ტბისკენ წავიდნენ, მაგრამ სამხიარულო განწყობა აღარ ჰქონდათ, მოწყენილები ნაპირზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს მიეკრნენ. ორივე ძალიან ახალგაზრდა და ნორჩი იყო, თეთრი პირისახე უფრო გაუთეთრდათ, მათი ოქროსფერი თმა ერთმანეთში აინენა.

უცნობი ახალგაზრდა ადგა და დამწუხრებული უკან წაღასლასდა. მძიმედ ოხრავდა და წყალივით მონადენ ცრემლს ინმენდდა.

— ვინ იყო? — ჰკითხა სიცოცხლემ დედაშვილურ სიყვარულს, როგორც კი კაცი თვალს მოეფარა.

— ერთი უბედური ფიცის გამტეხი, — უპასუხა ქალმა, — დასჯილია. ეს წყვილი უმანკო გოგო-ბიჭის სიყვარულია, ისინი კი მას ლალატს არ პატიობენ. ასე ყოველდღე მოდის, ცდილობს თავისი უბედურებით და მწუხარებით მათ გული მოუღობოს, მაგრამ მისი მოსმენა არ სურთ.

ძმებს ფიცის გამტეხთან გასაუბრების სურვილი გაუჩნდათ, ამიტომ სიყვარულის სახლში ყველას დაემშვიდობნენ და იმ უცხო კაცის საძებნელად წავიდნენ. კაცი მწუხარე სახით დიდ

ქვაზე მწოლიარე იპოვეს. ცას შესცქეროდა და თავისთვის ბუტბუტებდა. ძმები მიუახლოვდნენ. უცნობი მათ დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო.

— თქვენი ამბავი გავიგეთ და ამიტომ მოვედით, — აუხსნა სიცოცხლემ.

— ცოდვა ჩავიდინე და ამისთვის დავისაჯე, — თქვა კაცმა და ერთ დროს ლამაზი და ბედნიერი სახე უფრო მოელუშა, — ახლა კი მათთან დავდივარ, იქნებ ჩემი ცოდვა გამოვისყიდო, მაგრამ ისინი არ მპატიობენ და ასე უიმედოდ გადის ჩემი სიცოცხლე.

— ასეთი რა ჩაიდინეთ? — სიკვდილმა იკითხა.

— აი იქ, ძალიან შორს, ოკეანეს ხომ ხედავთ, — კაცმა ხელი გაიშვირა და ჰორიზონტზე განოლილ ცისფერ ზოლზე მიუთითა, — ერთდროს ვცხოვრობდი პატარა სოფელში. დედამ მარტომ გამზარდა, მამაჩემი მეზღვაური იყო და შტორმის დროს დაიღუპა. ჩვენს გვერდით ერთი ჩვენისთანა ღარიბი ოჯახი სახლობდა. ბევრი ბავშვი ჰყავდათ, მაგრამ მათი უმცროსი ქალიშვილი მთელი სოფლის თვალი და გული იყო. ნახევარი სოფლის ბიჭები მასზე შეყვარებულები დადიოდნენ. ყველას მოსწონდა, არა მარტო მისი ლამაზი და ქანდაკებასავით ჩამოქნილი სხეულის, მარწყვივით ტუჩებისა და გიჟრისფერი თვალების, არამედ მისი ლამაზი და კეთილი სულის გამოც. ჰოდა, ასეთმა გოგონამ მხოლოდ მე ამომარჩია! — ამაზე ისე ამოიხსრა, გეგონებოდათ თან სულიც ამოყვებო, — ორივემ ერთმანეთს სიკვდილამდე სიყვარული და ერთგულება შევფიცეთ. მე გადავწყვიტე, სადმე სამუშაოდ წავსულიყავი და ცოტა ფული მეშოვა, რომ დავქორწინებულიყავით. თან იმ დროს დედაც გარდამეცვალა. სად არ ვიმოგზაურე, ყველგან ვმუშაობდი, არაფერს ვთაკილობდი. როცა გულზე საშინელი სევდა მომანებოდა ხოლმე, მაშინ ჩემი სატროს წერილებს მეათასედ გადავიკითხავდი და ეს ყველანაირ დარდს მიქარებდა. ასე ხუთი წელი გავიდა და მშობლიურ სოფელში დაებრუნდი. თან საკმაო თანხაც დავაგროვე, იმდენი, რომ ლამაზი სახლი ავაშენე და მალე ვიქორწინეთ. ჩვენი ქორწილის დღე ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო სოფელში, გოგონები შურით შესცქეროდნენ ჩემი საცოლის მორთულობას. ეკლესიის საკურთხეველთან ჩვენ სამუდამო სიყვარულის ფიცი დავდეთ. მაშინ ყველაზე ბედნიერი ვიყავი, — გაჩუმდა და ისევ ზეცას ახედა, მერე კი თავი დაბლა ჩაქინდრა.

— მერე, მერე რა მოხდა? — სიცოცხლემ მოუთმენლობა გამოავლინა.

— ერთხელ ოკეანის პირას ვსეირნობდი, — გააგრძელა კაცმა, — ჩემს საყვარელ ცოლზე ვფიქრობდი, რომ უცებ გულში ამოუხსნელი შიში დამებოდა, არ ვიცი რატომ. ჩემს წინ ბროლის წკარუნის მსგავსი კისკისის ხმა შემომესმა. ცნობისმოყვარეობამ დამძლია და იქით წავიდი. დიდ ქვას ამოვეფარე და დავინახე, ოკეანის სანაპიროზე ულამაზესი ნიმფები ტალღებს

ეთამაშებოდნენ. მათი გრძელი, მზისფერი თმა ბზინვარებდა, უზადო შიშველი სხეულები დღის შუქზე ბრინჯაოსფრად ელვარებდა. ამ უცხო სანახაობამ მაგნიტივით მიმიზიდა და უფრო ახლოს მივედი. ჩემი მისვლის არ შეეშინდათ, პირიქით, ერთ-ერთი მათგანი მომიახლოვდა და მაცდური ღიმილი მაჩუქა. მისმა ზღვისფერმა თვალებმა ჩემი ერთგული ცოლიც კი დამავიწყა.

ამის მერე სანაპიროზე ყოველდღე მივდიოდი, რომ ნიმფა მენახა. სულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ არასწორად ვიქცეოდი და ეს ჩემს საყვარელ ცოლს გულს საშინლად ატკენდა, მაგრამ იმ არსებისკენ მთელი ჩემი სხეული მიილტვოდა. გონებისა და გულის ჭიდილში საბოლოოდ ხორცმა გაიმარჯვა, იმდენად ძლიერი იყო ჩემი სურვილი ნიმფას დაუფლებისა. ერთხელ ორივე ვნების ცეცხლში ვიყავით გახვეულები, რომ მოულოდნელად თავს ჩემი ცოლი წამოგვადგა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი საყვედურით და ცრემლებით სავსე თვალები. ასე ცოტა ხანს მიყურა და მერე ტყისკენ გაიქცა. გამოვედევნე, მივდევდი და ვემუდარებოდი, რომ გაჩერებულიყო. თან პატიებას ვთხოვდი. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვდიე. მერე კი უცებ გაჩერდა, მოტრიალდა, შემომხედა. ჩემგან სულ რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული. მასთან მიახლოება ვერ გავბედე. ორ წუთს მიყურა, მის თვალებში სიყვარული და სიძულვილი ერთმანეთს ეჭიდებოდა. და უცებ, ყველაფერი კვამლმა დაფარა, არაფერი ჩანდა. როცა ბურუსი გაიფანტა, ჩემს წინ დიდი, ნაცრისფერი, ხორკლიანი ქვა დავინახე. ჩემს ცოლს ტკივილისგან გული გაუსკდა და ქვად იქცა... — მერე კაცი მიწაზე დაჯდა და სანამ ტირილით გული არ მოიხსა, ძმებმა არ გააჩერეს. როცა ცოტა დამშვიდდა, მხოლოდ მას შემდეგ გააგრძელა, — როცა მასთან მიახლოებას ვცდილობ, არ მიშვებს, უცებ მის გარშემო ეკალბარდები გალავანივით შემოერთყმება ხოლმე და ვერ ვეკარები, რომ მოვეფერო. ამიტომ მივდივარ სიყვარულის სახლში. ვემუდარები, რომ მაპატიონ და ჩემს სიყვარულთან სამუდამოდ შემაკავშირონ. ასეთი ცარიელი გულით ცხოვრება არ შემიძლია.

მერე ადგა და ნასასვლელად მოემზადა, მაგრამ უცებ სიკვდილმა შეაჩერა:

— მე შემიძლია დაგეხმარო, თუ, რასაკვირველია, შენ ამისთვის მზად ხარ!

კაცმა მას გაოგნებულმა შეხედა და თვალეებით განმარტება სთხოვა.

— იმ ადგილას მიგვიყვანე, — უთხრა სიკვდილმა მოკლედ.

ცოტა ხანში ყველანი ტყის ნაპირს მიუახლოვდნენ. განმარტებით დიდი ქვა იდო. მისი ნაცრისფერი ზედაპირი მზის ჩასვლის შემდეგ უფრო მუქი ჩანდა. სიკვდილი მიუახლოვდა. ყველას გასაოცრად ქვას თავი ეკლებით არ დაუცავს. სიკვდილმა ხელი დაადო და რამდენიმე წუთს მიყურდა. ირგვლივ ყველაფერი დადუმდა, ტყეში ფოთლებმაც კი შეწყვიტეს შრია-

ლი. სიცოცხლე და კაცი შორიახლოს იდგნენ და ელოდნენ, რა მოხდებოდა. ნელ-ნელა თეთრი ნისლი ჩამონვა და ყველას გული დაუმძიმა.

სიკვდილი ქვას მოშორდა.

— მასთან მიდი! — უთხრა კაცს.

იგი დაემორჩილა. ქვამ ეკლები აღარ გა მოაჩინა და ყოფილი ქმარი თავისთან მიუშვა. კაცი მუხლებზე დადგა, მოეხვია და აქვითინდა. უცებ ყველაფერი ისევ თეთრ კვამლში გაეხვია, არაფერი ჩანდა და როცა კვამლი გაიფანტა, ძმებმა დაინახეს — ქმარი მთლიანად ხავსად ქცეულიყო, ქვას სრულიად მოსდებოდა და პანანინა ყვავილებით იყო დაფარული.

— ისინი ისევ ერთად არიან, ქმრისადმი სი ყვარულმა ქალის სიჯიუტე მოტეხა და დაიმორ ჩილა. — თქვა სიკვდილმა ჩუმად და მისი ცივი, მკაცრი ხმა უცნაურად ტკბილად გაისმა.

სიცოცხლემ აღარაფერი თქვა, არადა უნდო და, მაგრამ შესაფერისი სიტყვები ვერ მონახა. უბრალოდ, ერთი ღრმად ამოისუნთა და თავისი გრძნობები ამით გამოხატა.

ორივე ისევ გზას გაუყვა. ბევრი იარეს და ერთ მომწვანო ზღვას მიადგნენ. ასეთ ფერს მას არა მარტო ფსკერზე მოდებული მცენარეები, არამედ იქ მცხოვრები მწვანე თევზები აძლევდ ნენ. ზღვის ბინადარნი ღამე ადამიანის სახეს იღებდნენ და ხალხში დადიოდნენ, სიბრძნეს და ყველა ჭკვიანურ გამონათქვამს აგროვებდნენ, მერე ზღვის ფსკერზე მიჰქონდათ და იქ კიდო ბანში ინახავდნენ. ეს ჯადოსნური კიდობანი იყო და ამიტომ ცოტა ხანში იქ შენახული სი ბრძნე ოქრო-ვეროცხლად და ძვირფას ქვებად იქცეოდა ხოლმე.

სანაპიროზე ნახევრად დანგრეული უბადრუ კი ქოხი იდგა, შიგ ერთი კაცი ცხოვრობდა. ყოველდღე ნაპირზე გამოდიოდა და საათობით იჯდა.

როცა ძმებმა ის ნახეს, მაშინაც სველ ქვიშაზე იჯდა და ზღვის ტალღებს მიშტერებოდა. მას თან მივიდნენ და მიესალმნენ. კაცმა არაფერი უპასუხა, უბრალოდ თავი დაუკრა და ისევ ზღვისკენ გაიხედა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ, არა? — ჰკითხა სი- ცოცხლემ.

— კი, იმ ქოხში, — კაცმა ისე უპასუხა, რომ მისთვის არც შეუხედავს.

— რა გქვიათ?

— ეჰ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, — ამოიოხრა კაცმა, — მე დედამინაზე ყველაზე უბედური ადამიანი ვარ!

— ეგ როგორ? — სიკვდილი მის გვერდით ჩამოჯდა.

— როგორ და სიკვდილი არ შემიძლია, ზეცა-ზე დამსაჯეს და მუდმივი სიცოცხლე მომის აჯეს, ჯოჯოხეთშიც კი არ მიშვებენ.

— როგორ? არაფერი მესმის! — სიცოცხლეს ნათელი შუბლი მოეღრუბლა.

— ხომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც იღბალი დაბადებისთანავე არ წყალობს, — კაცმა ამოიოხრა და გრძელი, თეთრი თმა-წვე-

რი თითებით ჩამოივარცხნა, — მე სწორედ ასე თი ვარ. ცხოვრებაში არასოდეს მიმართლებდა, ყოველთვის ცუდის მოლოდინში ვიყავი. მშობლები დამეხოცა, ოჯახს არ მოვეკიდე. არ მინ დოდა ვინმე ჩემსავით გამეუბედურებინა. ზოგი უბრალოდ ცხოვრობს და ყოველდღე ტკბება იმით, რომ ცოცხალია. ოო, რომ იცოდეთ, რო- გორ მშურს მათი. ზოგი კი უბრალოდ ეგუება ცხოვრებას. მე კი ვერც ერთი ვერ შეეძელი, რადგან სიცოცხლეს ვერ ვიყვარებდი და ვერც ჩემს უბადრუკ ყოფას. ღმერთს მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვდი, რომ სიცოცხლისგან გავეთა ვისუფლებინე.

— რატომ? — გაბრაზდა უცებ სიცოცხლე და ცხვირის ნესტოები დაებერა.

— იმიტომ, რომ მძულს! — კაცმა მის გუ ლისწყრომას ყური არ ათხოვა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა. — არ მიყვარს სი ცოცხლე, ჩემთვის სიტკბო არასოდეს მოუტა ნია, მხოლოდ ტანჯვა და ვაება. ხალხი ამბობს, რომ ვარდი ნითელია და მისი ფოთოლი მწვანე, მაგრამ ჩემთვის ის ყოველთვის ნაცრისფერი იყო. ამიტომ ერთ დღეს ამ ზღვასთან მოვედი, თავის მოკვლა მინდოდა და იმ ქარაფიდან წყ ალში გადავეშვი. სანამ ჩემი სული მიცვალებ ულთა მუდმივ სამყოფელში გადავიდოდა, ჯერ სასამართლოს წინაშე წარვსდექი. იქ დამსაჯეს და მუდმივი სიცოცხლე მომისაჯეს. სიკვდილი არ შემიძლია. მას მერე სულ თავის მოკვლას ვცდილობ, მაგრამ არაფერი გამომდის. ალბათ, ამ ზღვამ მომაჯადოვა. ეს ბოროტი ადგილია, თუმცა მას მაინც ვერ ვშორდები.

— კი მაგრამ, სიცოცხლე ხომ ღმერთის საჩუქარია, — სიცოცხლეს ხმა აუკანკალდა.

— არა, ტყუილია! ჩვენ, ადამიანებს, სი ცოცხლე მისჯილი გვაქვს და ეს სამყარო კი სატუსალოა. აქედან გაქცეული პატიმარი მწარედ ისჯება — მას საპატიმროში აგზავნიან, რომელსაც ჯოჯოხეთი ქვია. ეტყობა ჩვენ, ადა მიანებს, ღმერთის ვალი გვაქვს და ამას ჩვენი დედამინაზე სიცოცხლით ვიხდით. ვარ ერთ ადგილას გაყინული. ვერ ვხვდები, ასე სასტი კად რატომ დავისაჯე, კიდევ მე ვარ დამნა- შავე?! არ ვიცი ადამიანების ადგილი სად არის, მაგრამ დედამინაზე კი ნამდვილად არ არის მათი სამყოფელი. ისინი მარადუამს ცდილობენ სიკვდილს გაექცნენ, მაგრამ იმისგან გაქცევას, რაც აუცილებლად დაგემართება, არ ჯობია, რომ მკლავები გაუშალო და მთელი გულით შეეგებო?! —

— როცა სიკვდილი დააპირე, იმაზე თუ იფ იქრე, მერე სად მოხვდებოდი? — სიკვდილმა მას ზურგი შეაქცია, არ უნდოდა თავისი ნამდ- ვილი ვინაობა გაემხილა.

— არა! — კაცმა თავი გადაიქნია, — მე უბრალოდ სიკვდილი მინდოდა და მეტი არაფერი.

— ყველაფერს თავისი ფასი აქვს, — გააგრძ ელა სიკვდილმა, — სამოთხეში მოსახვედრი ბი ლეთი კი ძალიან ძვირი ღირს...

— შენ ჭკვიანი ჩანხარ, — გაანწყვტინა უცებ კაცმა, — იქნებ შენ მაინც მიპასუხო, ზეცაში ასეთი სასჯელი რატომ მარგუნეს?

სიკვდილი ჩაფიქრდა, თავი დახარა, მერე თავის ძმას გახედა. მოწყენილი და გუნებაანამხდარი სიცოცხლე წინ იყურებოდა და სევდიან მზერას მწვანე ზღვას ვერ წყვეტდა. არაფერზე ფიქრობდა, ამიტომ გულში დასადგურებულმა სიცარიელემ საშინლად დაანაღვლიანა. სიკვდილმა ძმას დიდხანს უყურა, მერე კაცი სიკენ მიტრიალდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენთვის სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვაა და ამ აზრით მთელი სიცოცხლე გაატარეთ, — უთხრა კაცს — მთელი აზროვნება სამყაროს და ღმერთს დაუპირისპირეთ. უაზრო წყენამ და ეგოიზმმა ლალატამდე მიგიყვანათ. თქვენ ღმერთს უღალატეთ, რადგან ეგოიზმი გულსა და სულს გიბნელებდათ. არავის ძალუძს ადამიანი ღმერთს დაუპირისპიროს. ეს მხოლოდ თქვენ, მოკვდავებს შეგიძლიათ. ამბობთ, რომ ეს სამყარო არ გახარებდათ, ვერც ყვავილების ფერს ხედავდით და ვერც მათ სუნს გრძნობდით, მაგრამ ოდესმე გიცდიათ, ყვავილთან მისულიყავით და მთელი გულით დაგეყნოსათ? მაშინ თვალებიდან ლიბრი მოგცილდებოდათ და დაინახავდით ამ სამყაროს ისეთს, როგორც ის ღმერთმა თქვენთვის, ადამიანებისთვის შექმნა. მე ბევრნაირი ადამიანი მინახავს, — სიკვდილმა გააგრძელა, — თუმცა ყველაზე ხშირად ცხოვრებაზე ნაწყენი არსებები მხვდებიან. მათ თავი, როგორც წესი, მსხვერპლად მოაქვთ და ნაწყენი ადამიანი კი ყველასგან ცდილობს თავი დაიზღვიოს. გარშემო ზღუდეებს იშენებენ და მათსავე აშენებულ ციხეებში მარტოხელა ტუსალები არიან. მერე კი, ამ ციხიდან გაქცევის ერთადერთი საშუალება სწორედ სიკვდილთან შეხვედრა ჩანს. თუმცა, მართალია, სიკვდილს მაინც ვერავინ გაექცევა, — სიკვდილი მხრებში გასწორდა და იქაურობას გოროზად თვალი მოავლო. მისი ხმა უცნაურად მრავალხმოვნად გაჟღერდა, თითქოს გაიშალა, გამრავლდა და მთელ სამყაროს ექოსავით მოედო. კაცს გააცინვა და უცნობს ახლალა აღირსა ყურადღება და ღრმა, შავ თვალეში ჩახედა. იქ დანახულმა უსასრულობამ ისე შეაშინა, რომ უცებ ძლიერად მოუნდა ამ ადგილს გასცლოდა და სადმე მოხვედრილიყო, სადაც ბევრი ადამიანი იქნებოდა.

— თქვენი სასჯელი მხოლოდ მინიშნებაა და სიცოცხლე კი შანსია, რომ მიხვდეთ, რისთვის მოხვდით ამ სამყაროში, რომ ტყუილუბრალოდ არ შეგქმნათ ღმერთმა! — თქვა ბოლოს სიკვდილმა და კაცს გაშორდა.

ადამიანი მარტო დარჩა და უცებ ისე ხმამაღლა ატირდა, რომ მისმა ხმამ ტალღების შრილის ხმაც კი დაფარა. ცხარე ცრემლებმა მის გულს მოდებული კაემანი შემოაცალა და ზომიერად, მშვიდად სუნთქვა დაიწყო. ზღვის ტალღებმა ზევით ამოხეთქეს და ფეხები დაუნამეს.

ძმები ისევ გზას გაუყვნენ. ერთ სოფელს

მიუახლოვდნენ. იმ დღეს დიდი ბაზრობა იყო გამართული. ვაჭრები დედამიწის ყველა მხრიდან ჩამოსულიყვნენ და საქონელი დახლებზე გამოეფინათ. ბაზარში ათასი ჯურის და ფერის ადამიანი ირეოდა, ზოგი ისეთ ენაზე ლაპარაკობდა, ხალხს მანამდე არსად გაეგონა. ძმებმა მთელი ბაზარი ჩამოიარეს. ზოგი რას სთავაზობდა და ზოგი — რას. მათი მხიარული შეძახილები ბატების ყიყინს მოგავგონებდათ.

ბაზრის განაპირას, განმარტოებით მდგომ დახლთან ერთი მოხუცი კაცი იდგა, გრძელი, ყავისფერი კაბა ეცვა და მისი შავი მოსასხამი მინას წვდებოდა. წინ უცნაური ფორმის სამაჯურები ელაგა. სამაჯურები გარედან ჩვეულებრივი თვლებით დაეფარათ, ხოლო შიგნით კი პატარა ეკლები ჰქონდა.

— მოხუცო, ეს რა არის, რას ყიდი? — ჰკითხა გაცოცხლმა სიცოცხლემ, სამაჯური ხელში აიღო და ყურადღებით დაათვალიერა.

— მე სინდისს ვყიდი, — მოკლედ აუხსნა კაცმა, მზერა სიკვდილზე გადაიტანა, მაგრამ მალევე მოაშორა, შავმა, მომწუსხველმა თვალებმა შეაშფოთეს.

— რაა, ეს სამაჯური? შენ ამბობ, რომ ეს სინდისია? — სიცოცხლეს გაეღიმა.

— დიახ, — მოხუცმა თავი დაუკრა, — სამაჯურები ჯადოსნურია, მასში სინდისი ცოცხლობს. როცა ადამიანი არასწორად იქცევა, ეს ეკლები მას ჩხვლეტენ და მის დანაშაულზე მიუთითებენ, ანუ მას სინდისი აწუხებს!

— მერე ასეთი სამაჯური ბევრი გაყიდე? — ირონიანარევი ღიმილით ჰკითხა სიკვდილმა.

— ორი დღეა აქ ვდგავარ და ჯერ მხოლოდ ერთი გავეყიდე. — მოხუცს სახე მოეღრუბლა, — ადამიანებს სინდისი არ სჭირდებათ, არადა ძალიან იაფად ვყიდი, — დაამატა ბოლოს და ამოიოხრა.

— ის ერთადერთი ვინ იყიდა? — დაინტერესდა სიცოცხლე.

— ერთი შავწვერიანი კაცი მოვიდა, ჯარისკაცის ფორმა ეცვა, თურმე ეკლესიის გვერდით რომ აგურის სახლი დგას, იქ ცხოვრობს, ასე მითხრა, როცა გენებოთ, მაშინ მენვიეთო.

ძმები მოხუცს დაემშვიდობნენ. იმ ერთადერთი ადამიანის ძებნას, ვინც სინდისი იყიდა, მთელი დღე მოანდომეს, რადგან ქალაქი საკმაოდ დიდი იყო და ორი ეკლესია იდგა. თან ორივე ქალაქის სხვადასხვა განაპირა მხარეს. ამასობაში მოსალამოვდა, მზემ დროებით თვალი მილულა და მუქ იასამნისფერ და ალაგ-ალაგ შავლაქიან ცაზე რძისფერმა მთვარემ გამოანათა. როგორც იქნა, ჯარისკაცის სახლს მიაგნეს. მართლაც ეკლესიის გვერდით იდგა, ერთსართულიანი, პატარა ღობით და ბალით.

სიცოცხლემ ჭიშკარზე დააკაკუნა. ცოტა ხანში კარი გაიღო და ღიობში მალალი მამაკაცი გამოჩნდა. ლამპა მის სახეს მთლიანად ანათებდა, ლოყაზე ნაიარევი მკვეთრად ეტყობოდა, უხეში თმა მოკლედ შეეკრიჭა.

— დიახ, გისმენთ! — უთხრა მასპინძელმა ახ-

27872

ალმოსულებს.

— თქვენთან საქმე გვაქვს, დიდ დროს არ წავართმევთ, — უთხრა სიკვდილმა.

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა, — უთხრა კაცმა და კარი ფართოდ გააღო. ყველანი სასტუმრო ოთახში შევიდნენ. მართალია, ირგვლივ სიღარიბე სუფევდა, მაგრამ წესრიგი და სისუფთავე იგრძნობოდა.

— აქ დაბრძანდით! — მასპინძელმა სტუმრები მაგიდასთან დასვა, ლამპა კი შუაში ჩადგა.

— ჩვენ მოვედით, რომ თქვენგან რაღაც ვიყიდოთ, — აუხსნა სიკვდილმა, — შუადღისას ბაზარში ერთი ვაჭარი უნდა გვენახა, რომელიც სინდისის სამაჯურებს ყიდდა, მაგრამ არ დაგვხვდა. გვითხრეს, რომ მისგან ერთი სამაჯური თქვენ გიყიდიათ და აი, ამიტომ მოვედით.

— დიახ, მართლა მე ვიყიდე, — უპასუხა გაცემულმა მასპინძელმა. სიცოცხლე ორივეს შესცქეროდა, მაგრამ გაჩუმებული მათ საუბარში არ ერეოდა.

— სამაჯურში რაც გადაიხადეთ, იმაზე გაცვით მეტს მოგცემთ, ოღონდ მოგვყიდეთ. — შესთავაზა სიკვდილმა. — ან დასასახელეთ ნებისმიერი ფასი და გადაგიხდით.

— ეს სამაჯური გინდათ რომ იყიდოთ? — კაცმა მარჯვენა ხელი მათკენ გაიშვირა და მაჯა აჩვენა. მერე თავი ჩაქინდრა და მწუხარებაში სახე შეუცვალა. ეტყობა გულში მიძინებული ნაღველი აუდუღდა და შიგნით ყველაფერი დაუნვა, რადგან სევდისგან სახეც გაუნითლდა.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენს შემოთავაზებას ვერ მივიღებ, უარი უნდა გითხრათ, — თქვა ბოლოს მასპინძელმა ყრუდ.

ძმებმა ერთმანეთს შეხედეს, ორივე მიხვდა, რომ მათკაცს მწარე მოგონებები აუშალეს, მაგრამ სიკვდილი არ მოეშვა:

— მე არ ვხუმრობ!

— არ შემოძლია, ამას ვერ ვიზამ! — მასპინძელს ყელში მოწოლილმა ნაღველმა ძლივს ამოათქმევინა, — იქნებ ის ვაჭარი მოძებნოთ, ის აუცილებლად მოგყიდით, მე კი ვერ მოგცემთ.

— კი მაგრამ რატომ?

კაცმა ამოიხსრა და დაიწყო:

— ადრე სულ სხვანაირი ცხოვრება მქონდა. ჯარისკაცი ვარ, უამრავი ომი მინახავს და ბრძოლა გადამიტანია. ყველგან, ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდი. არ ვფიქრობდი, რომ ჩემი წარმატება სხვების დამარცხებას და ტკივილს ნიშნავდა. სხვისი დანგრეული სიცოცხლე მაშინ ჩემთვის მხოლოდ ცარიელი, არაფრის მთქმელი სიტყვები იყო. გამარჯვება ისეთი თავბრუდამხვევი და ტკბილი იყო, რომ მან ყველაფერი დამავინწყა. სიცოცხლე მიყვარდა, რადგან მინდოდა გამარჯვების ფასი ცოცხალს მეგრძნო.

— სამაგიეროდ, თუ მოკვდები, მაშინ დამარცხების სიმძიმის გადატანა აღარ მიგიწევს, — თქვა სიკვდილმა ძალიან პირქუშად.

— კი, ალბათ, მართალი ხართ! — დაეთა-

ხნმა კაცი, — მაგრამ მე სიცოცხლე მინდოდა. ერთხელ ჩვენი სამხედრო ნაწილი ერთ სოფელში აჯანყების ჩასახშობად გააგზავნეს. ხალხი დამპყრობლების წინააღმდეგ, თავისუფლები სთვის იბრძოდა და ეს მათი სამართლიანი ბრძოლა იყო, — ყოფილმა ჯარისკაცმა ამოიხსრა, — ამბოხებულები დავიჭირეთ და დავხვრიტეთ, მაგრამ გაგვაფრთხილეს, აჯანყებულების ნაწილი ხალხშია გაფანტული და იმალებიანო.

ერთ დღეს რამდენიმე ჯარისკაცი დუქანში წავედით. ხუთნი ვიყავით. ვისხედით, ვსვამდით და თან ხმამაღლა ვიცინოდით. გარშემო ვერავის ვამჩნევდით. დუქანში სამი ბიჭი შემოვიდა, ჩვენ დაჟინებით დაგვაშტერდნენ, განსაკუთრებით ერთი. მის თვალებში მხოლოდ სიძულვილი ამოვიკითხე. იცით ეს როგორი ზიზღი იყო, როგორც მხოლოდ საკუთარი ქვეყნის მოყვარულ ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, როცა ხედავენ, უცხოები მათ სამშობლოში მასპინძლებივით რომ იქცევიან. მეც მას მივაშტერდი. მერე ბიჭი შეტრიალდა და წავიდა. მალე ჩვენს გარნიზონში დავბრუნდით. მე რაღაცნაირად აფორი აქებული ვიყავი, ბიჭის თვალები წინ მედგა და მოსვენებას არ მაძლევდა.

მეორე დღით სოფელში გავედით, ყველაფერს და ყველას ვამონმებდით. პატარა-პატარა, ფარდულის მაგვარი, ღარიბული ქოხების გვერდით თოკებზე სარეცხი ფრი ალებდა. არც ერთ სახლს ღობე არ ერტყა. გზის განაპირას ვიღაცებს ეტლი გადაეყენებინათ, ბორბალს უცვლიდნენ. მათი ქცევა არ მომეწონა. ახლოს მივედი. ოთხნი იყვნენ. ჩვენს და ნახვაზე ყველანი დაიზაფრნენ და ადგილზე გაიყინენ. ერთი ვიცანი, ის ბიჭი იყო, დუქნიდან. ნათლად დავინახე მის შუბლზე მომდგარი ოფლის წვეთები. არ ვიცი, ეს მცხუნვარე მზის ბრალი იყო, თუ ნერვიულობის. აი, მერე კი ბიჭმა ხელი უკან წაიღო, თითქოს ქამრიდან რაღაცის ამოღებას ცდილობდა. დავიძაბე, ვიფიქრე, რომ იარაღი ჰქონდა. ეს რაღაც ნამებში მოხდა, არ ვიცი მაშინ რა ძალამ გამასროლინა, მაგრამ ვისროლე. ბიჭმა ხელის ამოღება ვერ მოასწრო. ახლაც და ყოველდღე თვალწინ მიდგას მისი საყვედურით სავსე თვალები. გადავარდა და ეგრევე მოკვდა. ჩემი ტყვია შიგ გულში მოხვდა. როცა ახლოს მივედი, ვნახე — უკანა ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღებას ცდილობდა. ეს თეთრი ნაჭერი იყო... — ყოფილმა ჯარისკაცმა თავი დახარა და გადაიქნია, — გასროლის ხმაზე იქვე ქოხიდან ერთი შავებში ჩაცმული ქალი გამოვარდა, გარდაცვლილს დაეძგერა, ხმამაღლა მოსთქვამდა, დედამისი ყოფილა. მერე ქალმა სიძულვილით სავსე თვალებით ამომხედა და გაურკვეველ ენაზე რაღაც სიტყვები მომაცხა. არ ვიცი, ალბათ, მწყევლიდა. — კაცმა ნერწყვი ხმამაღლა, ძლივძლივობით გადაყლაპა.

— მერე რა მოხდა? — სიცოცხლემ შუბლზე მუხნილმა ჰკითხა.

— მერე? მერე ყველაფერი შეიცვალა, ყოველ ღამე ის ბიჭი მესიზმრებოდა. ომში რამდენი

ადამიანი მომიკლავს, მაგრამ მას ვერაფრით ვივინყებდი. ბიჭის უდროოდ წართმეულმა სიცოცხლემ ჩემი თავი სხვა მხრიდან დამანახა. ვინ, ან რა ვიყავი — სხვისი ბრძანებების უაზროდ და უპირობოდ შემსრულებელი. რაში მჭირდებოდა იმ ადამიანების სიკვდილი, ვინც კი ოდესმე მომიკლავს?! ამ ამბის შემდეგ ჩემთვის სამხედრო სამსახური მხოლოდ ტანჯვად და საშინელ სინდისის ქენჯნად იქცა. მალე ჯარიდან წამოვედი და მას მერე აქ ვცხოვრობ.

— ყველაფერი იყიდება და თავისი ფასი აქვს, — სიკვდილმა ეშმაკური ღიმილით მიუგო და თვალები აუპრიალდა.

— მართალია, ყველაფრის ყიდვა შეიძლება, — მასპინძელი თავჩაქინდრული დაეთანხმა, — მაგრამ არსებობს ისეთი რაღაც, რაც თუ ერთხელ მიანიც გაყიდე, უკან ველარასოდეს დაიბრუნებ. ესაა რწმენა, ღმერთის და საკუთარი თავის რწმენა!

— ადამიანს თუ მართლა აქვს ჭეშმარიტი რწმენა, მისი გაყიდვის სურვილი არასოდეს გაუჩნდება, — გაანწყვტინა სიცოცხლემ, — რწმენა სამოსი არ არის, რომ ყოველი ქარის წამობერვისას იცვალო, თორემ ერთხელ იქნება, ბრბოში ისე დაიკარგები, რომ ყველასთვის უცხო შეიქმნები. ოთხი სახის ადამიანები არსებობენ, — სიცოცხლემ ჯერ ძმას შესვდა და მერე კი კაცისკენ მთელი ტანი მიტრიალდა, — დიახ, ოთხი. ერთი — მგლები არიან და სულ მუდამ იმაზე ფიქრობენ, სხვა როგორ შეჭამონ და გაანადგურონ; მეორე — ყოველთვის მსხვერპლის როლში გამოდიან; მესამე სულ მუდამ თავის დაცვაშია და ცდილობს მგელს სადმე არ გადაეყაროს და დაემალოს; აი, მეოთხე კი, ყველაზე მცირე ჯგუფია, რადგან ჭკვიანი და ფრთხილია, ყველას გვერდიდან აკვირდება და დასკვნები გამოქვს. მთავარია, ვინ ხარ შენ და რა გინდა რომ იყო — არჩევანი შენზეა!

— როცა ჯარიდან წამოვედი, საშინლად მარტოდ და უბედურად ვგრძნობდი თავს. — ყოფილმა ჯარისკაცმა მაჯაზე სამაჯური შემოატრიალა, — მივხვდი, რომ ადამიანი უბრალოდ იარაღია ბედისწერის ხელში. აღარ მინდა ის ვიყო, რაც ადრე ვიყავი. მინდა შევიცვალო და ეს სამაჯური კი ამაში დამეხმარება. არ მინდა თქვენი ფული, მთხრვეთ სხვა რაც გინდათ, მხოლოდ ეს სამაჯური არა! — ყოფილმა ჯარისკაცმა ეს ისეთი მტკიცე ხმით თქვა, რომ აგრძნობინა ამ თემაზე საუბარი აღარ ღირდა.

სიკვდილმა აღარაფერი თქვა, კმაყოფილების გრძნობაც კი დაეუფლა. საერთოდ, ასეთი ადამიანები ყოველთვის მოსწონდა, მტკიცე ნებისყოფის და ძლიერი ხასიათის. თუმცა ამას საგულდაგულოდ მალავდა, ეს მისმა ძმამაც არ იცოდა.

ტყუპებმა ბევრი იარეს და ოთხი გზის გასაყართან მივიდნენ. იქვე მორზე მჯდომარე ანგელოზი დაინახეს — ქათქათა ფრთებით და მწუხარე სახით მტვრიან გზას ჩაშტრებოდა.

— ვინ ხარ? აქ რა გინდა? — ჰკითხა სიცოცხლემ.

— მე ღმერთმა მიწაზე გამოგზავნა, — უპასუხა ანგელოზმა, — აი, ამ ხურჯინს ხომ ხედავთ, ღმერთმა გამომატანა და მითხრა, იპოვე ჭეშმარიტად ბედნიერი ადამიანი და მას მიეციო, ეს ჩემი საჩუქარიაო.

— იპოვე? — სიკვდილმა ირონიულად ჰკითხა.

— ვერა! — ღვთის გამოგზავნილმა თავი გადაიქნია და ამოიოხრა, — სად არ ვეძებე, მაგრამ ამაოდ დავშვრი. ჯერ მივედი ისეთ ადამიანებთან, საყოველთაოდ აღიარებული ბედნიერები რომ არიან.

— საყოველთაოდ აღიარებული ბედნიერი რას ნიშნავს? — გაიოცა თვალებგაფართოებულმა სიკვდილმა.

— ხომ იცით, ადამიანებმა ბედნიერების ფორმულა შექმნეს — მათი აზრით ბედნიერია ის, ვისაც აქვს ბევრი ფული, წარმატება, სიყვარული, სილამაზე, ჯანმრთელობა. მაგრამ ტყუილად გავისარჯე, ბოლომდე ბედნიერი არავინ ყოფილა. ერთ ლამაზ და მდიდარ ქალთან მივედი, ძალიან განთქმული მსახიობია. მოსიყვარულე ქმარიც ჰყავს, შვილებიც, მაგრამ როცა დაველაპარაკე, მივხვდი — ბოლომდე ბედნიერი სულაც არ ყოფილა. მითხრა, პირიქით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მუდამ მახლავსო. მერე სხვებიც ვნახე და ვმიშობ, რომ უფლის დავალებას ვერ შევასრულებ და ბოლომდე ბედნიერ ადამიანს ვერ ვიპოვი.

— ადამიანებისთვის უმაღურობა მუდამ თანმდევი გრძნობაა, მათ არასოდეს აკმაყოფილებთ ის, რაც აქვთ, — სიკვდილმა თქვა და თავისი უფსკრულივით ღრმა, შავი თვალებით ჰორიზონტს გახედა, — როცა რაიმეს დაკარგვის საშიშროების წინაშე დგანან, მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, რომ რაღაც მათთვის მნიშვნელოვანი გააჩნდათ.

— იქნებ, ბედნიერება სულაც არ ნიშნავს რაღაცის ქონას?! — სიცოცხლემ გულუბრყვილოდ და ბავშვურად მხრები აიჩეჩა და ორივეს მიმართა, — ბედნიერება სულაც განცდაა, გრძნობაა. ხომ იცი, — სიკვდილისკენ მიტრიალდა, — ჩვენი ნახევარძმა — გრძნობების მართვის ღმერთი — როგორი ცვალებადი ხასიათი აქვს. მუდმივად ერთ ადგილას ყოფნა არ უყვარს, მამა ყოველთვის ამას საყვედურობს. თან გემოვნებაც მარადფრთხილ ეცვლება. მისი მორჯულება შეუძლებელია. მას საკუთარი თავი ყველაზე მეტად უყვარს და ამიტომ არ შეუძლია ვინმეს ბოლომდე შეყვარება, რადგან მის გულში მთელი ადგილი საკუთარი თავის ეგოისტურ სიყვარულს უჭირავს. ხანდახან იცის ხოლმე ვინმეს ამოჩემება და უაზროდ ერთ ადამიანს აძლევს ყველაფერს და ზოგისთვის კი არაფერი ემეტება, თან შურიანი, ანგარეზიანი და ამპარტავანია. სწორედ ამიტომაც ის და ვნებების ღმერთი რომ მეგობრობენ, ბევრი საერთო აქვთ...

— თქვენ ვის, ან რას ეძებთ? — უცებ ანგელოზმა შეანყვებინა.

— ჩვენ ისეთ ადამიანს ვეძებთ, რომელსაც სიკვდილი ისევე ეყვარება, როგორც სიცოცხლე უყვარს, — უპასუხა სიცოცხლემ და გალიმება სცადა.

— მერე, ვერც თქვენ იპოვეთ? — ანგელოზმა მზერა სიკვდილზე გადაიტანა და თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. და უცებ მიხვდა შემხვედრები ვინ იყვნენ.

— აქეთ რომ მოვდიოდი, — გააგრძელა ანგელოზმა, — ერთი ბიჭი დამემგზავრა და მან მომიყვა, რომ გორაკებსა და მაღალ მთებს იქით, დიდ ოკეანესთან, სანამ ქვეყნიერების კიდეს თან მიხვალ, უდაბნოში სამჭედლო ყოფილა. იქ თურმე ერთი მოხუცი კაცი ცხოვრობს, რომელიც დღედაღამ მუშაობს და ჩვეულებრივ ნალებთან ერთად ბედის ნალებსაც წყევას. ის ბიჭი სწორედ იქ მიდიოდა. მეც იქით გადავწყვეტე წასვლა. იქნებ იმ მჭედელმა მიმასწავლოს ვინ არის ყველაზე ბედნიერი ადამიანი.

— კარგი, ჩვენც იქით წამოვალთ, — თქვა სიცოცხლემ მტკიცედ და თავისი ფერადი მოსასხამი ჩამოიბერტყა, რომელიც მტვრისგან უკვე განაცრისფრებულიყო.

სამივე გზას დაადგა.

— ისე, რაც დედამიწაზე ვარ, იმდენი უცნაური ადამიანი ვნახე. — თქვა ანგელოზმა სერიოზული სახით, — აი, იმ ადგილიდან, სადაც შევხვდით, აღმოსავლეთით თუ გაუყვებით, ჯერ მდინარე უნდა გადალახოთ, მის იქით კი ყვითელი უდაბნოა. გარშემო მხოლოდ ნაცრის ფერი, უსიცოცხლო კლდეებია წამოჭიმული. ღამე ერთ გამოქვაბულში მოვხვდი და ერთ უცნაურ კაცს შევხვდი. გველებთან ერთად ცხოვრობდა, მათთან ერთად ეძინა, ჭამდა, სულ მათ ელაპარაკებოდა და ისინიც თავისი სისინა ხმით პასუხობდნენ.

— საერთოდ, ადამიანების უმრავლესობას სძულს გველები. მართლაც უცნაური ვინმე ყოფილა, — დაამატა სიცოცხლემ.

— მეც ზუსტად ეგ გავიფიქრე. — ანგელოზმა ნათქვამი თავის დაკვრით დაუდასტურა, — იმ კაცს ვკითხე — რა, გველები ასე ძალიან გიყვართ-მეთქი?

— მერე, რა გიპასუხა? — სიცოცხლემ ჩქარ-ჩქარა ჰკითხა.

— მე და ის კაცი მაშინ უდაბნოში მარტონი ვისხედით და მითხრა, რას ამბობ პირიქით, ძალიან მძულსო, სისინის გაგონებაზე ტანში მცრის და მზურძგლავს, მათი პრიალა სხეულის დანახვაზე კი გული მერევაო. მერე მეც გაცეხულმა ვკითხე: აბა, მათთან რატომ ცხოვრობთ, ამას ვინ გაძალებთ-მეთქი და მან მითხრა: ვცაადე გველებთან საერთო ენა მეპოვა. მივხვდი, რომ ჯობია მათთან ერთად ცხოვრება ვისწავლო, რადგან თუ აქ გავძლებ, თუნდაც რამდენიმე წელს, მაშინ ადამიანებთან ცხოვრებასაც შევძლებო. მე თუ მათი მოტყუება შევძელი, ვიცო რომ ეს დროებითია, რადგან უხსენე-

ბელი მაინც იმად დარჩება, რაც არის, რაც არ უნდა კარგი მეგობარი გახდესო. — ამოიხსრა ანგელოზმა, — ამ სიტყვებით მე და ის კაცი დავშორდით.

— ჰმ, — უცნაურად ჩაიცინა სიკვდილმა, ისე ჩუმად, არავის რომ გაუგონია.

— მანამდე კი ერთი ხელოვანი ადამიანი ვნახე, შემოქმედი, თავი ნახევარღმერთი რომ ჰგონია, — ანგელოზი ენაწყლიანი გამოდგა, მთელი გზა ლაქლაქებდა, — კაცი, რომელიც ქმნიდა, მაგრამ არც ის იყო ბოლომდე ბედნიერი და თავისი ყოფით კმაყოფილი, რადგან სულ რაღაცის ძიებაში იყო. თან მან მკითხა, რატომ არ ვარ ბედნიერი, მეც ხომ ნაწილობრივ ღმერთის საქმეს ვაკეთებო.

— მერე შენ რა უპასუხე? — სიკვდილმა ჰკითხა.

— რა ვიცი, არაფერი, — ანგელოზმა მხრები უხერხულად აიჩიჩა, — მე რაც დამავალეს, ის უნდა გავაკეთო.

მერე ყველანი გაჩუმდნენ. დრო როგორ გადიოდა, ვერც ერთი ვერ გრძნობდა და როგორც იქნა მიაღწიეს ქვეყნიერების კიდეს. ირგვლივ მხოლოდ ქვიშა დახვდათ, არც ქვები და არც ერთი მცენარე, პანანინა მწერებიც კი ვერ შეამჩნიეს. ყველაფერი ყვითელი ფერის იყო, თვითონ მზისგან გაბრწყინებული ცააც კი. დღის მანათობელი საშინლად ნვაავდა იქაურობას. ეტყობა, მისი ხვატის გამო იქ ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ ძლებდა.

მხოლოდ ერთი სამჭედლო დაინახეს, ისიც შორიდან მზის ჭახჭახა შუქზე ისე მოსჩანდა, მირაჟი გეგონებოდათ. თითქოს ჰაერში ლივ-ლივებდა და ხანდახან ქრებოდა კიდევ. ქვიშა ფეხებში ისე ედებოდათ, თითქოს მათი სამჭედლოსთან მიშვება არ უნდოდა, მაგრამ როგორც იქნა დანიშნულების ადგილას მიაღწიეს. ერთი შუახანს გადაცილებული კაცი გრძელი რკინის ჯოხით ცეცხლს უჩხკინებდა და ბუტბუტებდა. ისე ჩანდა, ცეცხლს ელაპარაკებოდა. გრძელი, თეთრი წვერი გულმკერდზე ეფინებოდა, თმა უკან გადაეყარებინა. ჩანდა, პაპანაქება სიცხემას სულაც არ ანუხებდა.

სამჭედლოსთან მოშორებით ერთი ახალგაზრდა კაცი შენუხებული სახით უაზროდ დაბორიალობდა და თავის თავს ელაპარაკებოდა.

სამივე სამჭედლოს მიუახლოვდა. მჭედელმა მათ გაცეხულმა შეხედა. ახალმოსულები ჩვეულებრივი ადამიანები არ ჩანდნენ. მოხუცის მუქციისფერ თვალებში თითქოს მთელი სამყაროს იდუმალეობა ჩანდა. მისი მზერა და გატყვევებდათ.

— თქვენც ბედის ნალები გინდათ? — ჰკითხა მოხუცმა სამივეს შუბლმჭექმუხვნით.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე ანგელოზმა თქვა:

— არა, ჩვენ ყველაზე ბედნიერ ადამიანს ვეძებთ!

— ჩემთან ბევრი მოდის, — მჭედელმა მათ თვალი მოაშორა. ცეცხლიდან გავარვარებული

ნალი ამოიღო, გრდემლზე დადო და უზარმაზარი ურო დასცხო. ნაპერწკლები ყველა მიმართულეებით გაიფანტა. — მიაქვთ ბედის ნალები, მაგრამ მერე ნალს მათთვის ბედნიერება მოაქვს თუ არა, ამაზე არაფერი ვიცი.

— ესე იგი, არც თქვენ იცით! — ანგელოზი შეწუხდა, სასონარკვეთილი ხის კუნძზე დაჯდა და ღმერთისგან გამოტანებული ხურჯინი გულზე პატარა ბავშვივით მიიხუტა.

— ის ახალგაზრდა ვინ არის? — ჰკითხა უცებ სიკვდილმა მოხუცს და უცნობზე მიუთითა.

— ეგეც ერთი ჩვეულებრივი ბედნიერების მაძიებელია, — მოხუცმა რალაცნაირი სინანულით თქვა, — მაგრამ მისი ბედის ნალი ვერაფრით ვერ გამოვჭედე. არის ხოლმე შემთხვევები, როცა გამოვჭედვა პირველივე ცდაზე არ გამოდის, მაგრამ მეორედ, მესამედ... აი, ამ ბიჭის ნალის გამოვჭედვა უკვე სამჯერ ვცადე, მაგრამ სამჯერვე გამიტყდა. მეოთხედ კი ამის გაკეთების უფლება არ მაქვს.

ამის თქმა იყო და ის ახალგაზრდა მიუახლოვდათ, მისი ლამაზი სახე მწუხარებას დაეფარა.

— თქვენ შემთხვევით ბედნიერების ტაძრამდე მისასვლელი გზა ხომ არ იცით? — ჰკითხა ახალგაზრდამ ძმებს და ორივე ინტერესით შეათვალიერა.

— ბედნიერების ტაძარი? მსგავსი არაფერი მსმენია, — ანგელოზმა მათ მაგივრად ჰკითხა და გაცოცხლებლად მხრები აიჩეჩა.

— ამობენ, რომ ძალიან შორს, — ახალგაზრდამ ხელი უაზროდ სადღაც გაიშვირა და იქით გაიხედა, — იქ, სადაც ერთი დღე მთელ წელიწადს უდრის, დილით ზამთარია და ყველაფერი ქათქათა თოვლითაა დაფარული. მერე შუადღისკენ გამოიდარებს, თოვლი დნება და გაზაფხული მოდის. მალე მზე ისე აცხუნებს, რომ ხეები ყვავდებიან და ანცი და გიჟი ზაფხული გარემოს გადაუფრენს. ხოლო საღამოს კი, როცა მზე ჩადის, ყველაფერი შემოდგომის ნითელ-ყვითელი ფოთლებით იფარება. გარეული ცხოველები ერთმანეთს არაფერს ერჩიან და წყალუხვი მდინარეები მუდამ თევზითაა სავსე. იმ ქვეყანაში ყველაზე მაღალ მთაზე ერთი ტაძარი დგას. შესასვლელთან ყოველთვის რიგია, შიგნით გაჩერება მხოლოდ რამდენიმე წუთით შეიძლება, რადგან ბედნიერების შეგრძნება დიდხანს შეუძლებელია. ბერებს ქვიშის საათი უდგათ და სანამ ქვიშის ბოლო მარცვალი დაბლა ჩავარდება, ისინი შესულ სტუმარს აფრთხილებენ, რომ გარეთ გამოვიდეს. თორემ ადამიანი დროის შეგრძნებას კარგავს და ავიწყდება იქ რატომ მივიდა. არადა, იმ ტაძარში მისვლა ოც წელიწადში ერთხელ შეიძლება. ეჰ, — ამოიოხრა ახალგაზრდამ, — მეც წავალ, იქნებ იმ ტაძარს მივაგნო.

— რატომ? არ იცით სად არის? — ანგელოზმა ჰკითხა.

— საქმეც მაგაშია, რომ იქ მისასვლელი გზა ძალიან ცოტა ადამიანმა იცის, რადგან როცა იმ ტაძარს მიაგნებენ, უკან თითქმის აღარა-

ვინ ბრუნდება. იქვე რჩებიან, ელოდებიან ოცი წელი როდის გავა, რომ ტაძარში მეორედ შესვლის ნება მიიღონ. იქ მისვლამდე ურთულესი ლაბირინთი უნდა გაიარო, ამიტომ შესაძლოა, მეორედ ველარ მიაგნო. ადამიანებს ერთი სიცოცხლე არ ეყოფათ, რომ ბედნიერება რამდენიმეჯერ და დიდი ხნით განიცადონ.

— რა, ბედნიერება ასე ძვირფასია? — სიკვდილმა იქედნურად ჩაიციხა და ისე იკითხა, არავის უყურებდა.

— დიახ, ძალიან! — ახალგაზრდამ უპასუხა, — სხვა დანარჩენს აზრი არა აქვს.

— არც იმ სიცოცხლეს, ღმერთმა რომ მოგცათ? — სიცოცხლემ ამოიოხრა.

— სიცოცხლე თავად ბედნიერებაა, მაგრამ სიცოცხლე ბედნიერების გარეშე არაფერია.

— მაშ, სიკვდილი რისთვისაა საჭირო? — სიკვდილი უცებ ისე სწრაფად მოტრიალდა, რომ მისი შავი მოსასხამი ქარზე აფრიალდა.

— სიკვდილი? საჭიროა კი? — ახალგაზრდამ ჩუმად იკითხა და რალაცნაირად გული ამოუხსნელი შიშით შეეკუმშა.

— რა უფრო ძნელია, სიკვდილი თუ სიცოცხლე? — არ მოეშვა სიკვდილი.

მჭედელი მათ საუბარში ჩართვას არც აპირებდა, თავისი საქმით იყო დაკავებული, მხოლოდ ხანდახან თუ გადმოხედავდათ.

— ადამიანისთვის ძნელია სიკვდილი, — ჩაფიქრებულმა კაცმა უთხრა, დაბლა ქარზე მობზრიალე ქვიშისთვის თვალი არ მოუშორებია, — მაგრამ ყველაზე რთული იმ სიცოცხლის გზაა, რომელიც სიკვდილამდე მიდის!

სიცოცხლეს გულში მწარე სევდა ჩაეღვარა და მთელი გულ-მუცელი დაუნვა.

— კარგი, მე წავალ, — თქვა კაცმა, კუთხეში მიგდებული თავისი ჩანთა აიღო და ყველას დაემშვიდობა.

— მეც მას გავყვები, — ანგელოზიც წასასვლელად გაემზადა, — თუ იმ ტაძარს მივაგნებთ, მაშინ მართლა ვიპოვი ყველაზე ბედნიერ ადამიანს, მას ხურჯინს მივცემ და ღმერთის დავალებას შევასრულებ.

ის და ახალგაზრდა კაცი მალე ჰორიზონტს მიეფარნენ და ისე გაქრნენ, თითქოს არც ერთი არ ყოფილა.

— დიდი ხანია ამ საქმეს ემსახურებით? — მიუბრუნდა სიკვდილი მჭედელს.

— კი, მთელი ცხოვრება, აღარც კი მახსოვს, როდის დავიწყე. — მჭედელს მოგიზგიზე ცეცხლისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ალბათ, ბედის ნალები რაიმე განსაკუთრებული მასალისგან მზადდება, არა? — ახლა სიცოცხლემ ჰკითხა.

— დიახ, ასეა, — მოხუცმა, როგორც იქნა, აღირსა გადმოხედვა, — ერთი კაცი წელიწადში ორჯერ ციდან ცისფერი რაშებით შებმული ეტლით ეშვება, უსიტყვოდ და უსასყიდლოდ რკინას მიტოვებს და მიდის.

— როგორ ფიქრობთ, თქვენს ნალებს ადამიანებისთვის ბედნიერება მოაქვთ? — სიცოცხ-

ლემ ნაღვლიანი ხმით ჰკითხა.

— ალბათ, კი. — მჭედელი საქმეს მიუბრუნდა. მიუხედავად მისი მარტოობისა, მაინცდამაინც ლაპარაკის მოყვარული არ ჩანდა. — როცა ადამიანები თავის კუთვნილ ნაღვს მიიღებენ, აქედან რომ მიდიან, სახეზე ისეთი კმაყოფილება ანერიათ, მგონი, ნალი რომ აქვთ, ესეც კი ბედნიერს ხდის მათ.

— იქნებ ერთი ადამიანი მაინც მიგვასწავლოთ? — სიცოცხლემ ჰკითხა.

— მე მათი არც სახელები ვიცი და არც გვარები. უბრალოდ, ყველაზე კარგად ერთი კაცი დამამახსოვრდა. მან მითხრა, რომ ყველაზე ლურჯ ზღვასთან სოფელში ვცხოვრობო. ნალი ნაილო და წავიდა, მას მერე აღარ მინახავს.

— თქვენ თვითონ ბედნიერი ხართ? — სიკვდილმა მჭედელს თავისი კუნაპეტივით შავი თვალები დაასო.

— მე ბედნიერი ვარ თუ არა? — ჩაფიქრდა მოხუცი, შუბლი მოედრებულა და დანაღვლიანდა. თითქოს ეს კითხვა მანამდე მისთვის არავის დაუსვამს და ამაზე არასოდეს უფიქრია.

— დიახ, ხართ თუ არა? — არც სიცოცხლე მოეშვა.

ის ადამიანი, რომელიც ბედის ნაღვს ჭედდა, ძალიან დაიბნა, მინაზე დაგდებულ მორზე ჩამოჯდა, ქვევით იყურებოდა. ცოტა ხნით ყველანი მიყურდნენ. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნის ხმა არ ღვევდა.

— არ ვიცი! — უცებ მჭედელი წამოდგა, გაბრაზებული და გაღიზიანებული სახით საქმეს მიუბრუნდა. ამ უცხოებმა თავი მოაბეზრეს და უკმაყოფილება არც დაუმაღავს.

ძმები შეტრიალდნენ და გამოუმშვიდობებლად წავიდნენ. მჭედელმა მათ თვალი ქურდულად შეავლო. გუნებაში აღიარა, რომ ასეთი უცნაური სტუმრები არასოდეს ყოლია. მერე თავი გადაიქნია, აბეზარი ფიქრები მოიშორა და აფორიაქებული გული დაიმშვიდა.

ტყუბები კი ყველაზე ლურჯი ზღვისკენ წავიდნენ. დიდხანს იარეს და, როგორც იქნა, მიადნენ. ხეები მხოლოდ ზღვის დასავლეთ მხარეს შეჯგუფებულიყო. ჩრდილოეთით წამომდგარი მთები თოვლს დაეფარა. სამხრეთ დაბლობზე კი ქვიშა უხმოდ იწვა. აღმოსავლეთით სოფელი იყო გაშენებული.

სოფელში შევიდნენ, ისეთივე ჩვეულებრივი დასახლება იყო, როგორც ათასჯერ ენახათ. ორსართულიანი სახლები ეზოებით და ქვიანი გზა. სოფლის შუაგულში, წყაროსთან, დაბალ სკამზე კაცები ისხდნენ და მხიარულად საუბრობდნენ.

— ყველაზე ბედნიერი კაცი სად ცხოვრობს? — ჰკითხა სიცოცხლემ ერთ-ერთს.

კაცებმა გაიკვირვეს, ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს. მერე ერთი მოხუცი კაცი წამოდგა და ზრდილობიანად აუხსნა:

— მე მგონი, ვხვდები ვისაც გულისხმობ. ერთი კაცია, სოფლის განაპირას ცხოვრობს.

მასსოვს, ხალხი მასზე ჭორობდა, რომ დიდი ხნის უკან სახლში ბედის ნალი მოიტანაო, მაგრამ არავის არ სჯეროდა.

— კი მაგრამ, რატომ? რა, არ არის ყველაზე ბედნიერი ადამიანი? — გაიკვირვა სიცოცხლემ.

— როგორ გითხრათ, — მოხუცმა მხრები აიჩეჩა, — იმ კაცზე განსაკუთრებული არაფერი მსმენია, ერთი ჩვეულებრივი ადამიანია, ისევე ცხოვრობს, როგორც ჩვენ ყველა.

ძმებმა აღარაფერი ჰკითხეს, მოხუცს მადლობა გადაუხადეს და იმ კაცის სახლისკენ წავიდნენ. მართლაც, განსაკუთრებული არაფერი დახვდათ. ერთი ჩვეულებრივი ხის სახლის ეზოში ქათმების კრიახისა და ღორების ღრუტუნის ხმა ერთმანეთში არეულიყო. ეზოში შუახნის მამაკაცი შემას ჩეხავდა. სტუმრების დანახვა გულწრფელად გაუხარდა, შინ შეიბატიყა და სუფრა გაუშალა. მართალია, მაგიდაზე მრავალფეროვანი და ძვირფასი საქმელი არ იდო, მაგრამ რაც იყო, ჩანდა, გულით დაემზადებინათ.

სიცოცხლემ მჭედელი და ნალი გაახსენა.

— დიახ, — კაცმა ღიმილით უთხრა, — რაც ეგ ნალი აქ მოვიტანე, მას მერე აივანზე დავკიდე და ისევ იქ არის.

— მერე, ბედნიერება თუ მოგიტანათ? — სიცოცხლეს ცოტა ხმამაღლა გამოუვიდა.

— როგორ გითხრათ, მას მერე ბევრჯერ ბედნიერიც ვიყავი და უბედურიც, ხან როგორ, ხან როგორ. ხშირად მიტირია კიდევ, სიხარულისგანაც და მწუხარებისგანაც.

— სიკვდილის თუ გეშინიათ? — სიკვდილმა გაანყვეტინა და თვალები ისე აენთო, როგორც კატებს სიბნელეში უპრიალებთ ხოლმე.

— როგორც ყველა ადამიანს, ალბათ, მეც მეშინია. — კაცმა სახეზე ხელები ჩამოისვა. — ყოფილა შემთხვევები, როცა სიკვდილისთვის თვალებში ჩამიხედავს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჯერ ისევ ცოცხალი ვარ. ყველაზე დიდი საშინელება არც სიკვდილია და არც გაჭირვება — ყველაზე დიდი უბედურება უიმედობა და უაზრობაა, როცა არ იცი რისთვის ან ვისთვის უნდა იცხოვრო, ან რას უნდა ემსახურო!

სიკვდილის გულში წამდვილი ცეცხლი გიზგიზებდა. ნუთუ ეს ის ადამიანი იყო, ვისაც ეძებდა. იქნებ იმიტომ, რომ ეს კაცი, ასე თუ ისე, შეგუებული იყო იმას, რასაც ადამიანის ბედსწერა ჰქვია.

— მოდით, ერთი სადღეგრძელო დავლიოთ! — მასპინძელმა ჭიქა ასწია. — მოდით, ღმერთის საქმეს გაუმარჯოს — იმას, რასაც ადამიანის დაბადება, მერე სიცოცხლე და ბოლოს კი სიკვდილი ჰქვია. ორივეს ერთად გაუმარჯოს, სიცოცხლეს და სიკვდილსაც! — და სასმისი ბოლომდე გამოსცალა.

— და რას იტყვით ახლა, თქვენთან სიკვდილი რომ მოვიდეს? — ჰკითხა სიკვდილმა და ხმა დაუძიმდა.

კაცმა თავი ისე ჩაქინდრა, თითქოს კისრიდან მოწყდაო. ცოტა ხანს ფიქრობდა და მერე კი

თვალეები ორივეს მინათა.

— მოვიდეს, მხოლოდ მაშინ როცა... — და სათქმელი ყელში გაეჩხირა.

— როდის? — სიცოცხლე მისკენ მიჩოჩდა და ქვემოდან ახედა.

— არ ვიცი, როცა უნდა, მოვიდეს! — კაცმა ხელი ჩაიქნია, — თუ ღმერთს უნდა, დაე, ასე იყოს! — ხმა აუთრთოლდა, მერე ჭიქა ღვინით შეივსო და უცებ გადაჰკრა.

უცებ სიცოცხლეს სიკვდილისთვის განწირული კაცობრიობა შეებრაღა. ინანა, რატომ დაიბადა რიგით პირველი ტყუპებიდან და არა მეორე, როგორც მისი ძმა. ის თავის ძმაზე მხოლოდ ერთი წუთით უფროსი იყო, მაგრამ მას ვერ ჯობნიდა.

ადგა, ძმას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ნავიდეთ, უკვე დროა!

სიკვდილმა შავი მოსასხამი მხარზე მოიგდო, კარისკენ წავიდნენ. ფიქრებში გართული მასპინძელი გონს რომ მოეგო, ნახა — მისი სტუმრები გამქრალიყვნენ, მერე გარეთ გავარდა, მაგრამ ვერსად იპოვა. რაღაც მომენტში დაეჭვდა კიდეც, ხომ არ მომეჩვენაო. რეალობა და ფანტაზია ერთმანეთს დაეჭიდნენ და ბოლოს, როგორც ყოველთვის, ისევ ეჭვმა გაიმარჯვა. „აღბათ, ეს ყველაფერი დამესიზმრაო,“ — კაცმა გაიფიქრა, თავი გადაიქნია და შეშის ჩეხა გააგრძელა.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ უკიდევანო ზურმუხტისფერ ზღვას მიადგნენ. ოქროსფერი ქვიშა ფეხქვეშ ხრამუნობდა და მცხუნვარე მზეზე ბრჭყვიალებდა. წყალი ირეკლებოდა და თვალს ჭრიდა. თითქოს არავინ ჩანდა, მაგრამ უეცრად ნაპირზე ერთ მეზადურს მოკრეს თვალი, თევზაობდა. მას მიუახლოვდნენ.

— გამარჯობა, ადამიანო! — მიმართა სიცოცხლემ.

— ღმერთმა სულ გაგიმარჯოს! — მეზადური შეტრიალდა, მიესალმა, ორივე კარგად შეათვალიერა, მერე ანკესი გაასწორა და ისევ წყალში მოისროლა.

— დიდი ხანია აქ ზიხარ? — ჰკითხა სიკვდილმა.

— აღარც კი მახსოვს, როდის მოვედი. — უპასუხა მეზადურმა.

— რატომ, თევზი არ არის? — სიცოცხლე მის გვერდით მოთავსდა და უკიდევანო ზღვას გახედა.

— როგორ არ არის, რამდენიც გინდა!

— აბა, სულ აქ ჯდომა არ გებზრდება? ქვეყანა ისეთი მშვენიერია, იმდენი რამეა სანახავი, — გაიკვირვა სიცოცხლემ.

— როცა ახალგაზრდა ვიყავი და მუხლში ძალა მერჩოდა, მაშინ ბევრს ვმოგზაურობდი, — მიუგო მეზადურმა, — მაგრამ მომბეზრდა ხეტიალი, ყველგან ერთნაირი კეთილი ან ბოროტი ადამიანები და შენობები მხვდებოდნენ. მხოლოდ ფათერაკი იყო სხვადასხვაგვარი; რადგან, რაც არ უნდა ნახო, მაინც სულ უფრო მეტი და მეტი გინდა. მე კი ერთი ადამიანისთვის

საკმარისი ვნახე. ცხოვრების ერთადერთი აზრი კი ლოდინია, ჰოდა, მეც ვზივარ და ველოდები სიკვდილი როდის მომაკითხავს.

— კი, მაგრამ სიცოცხლე არ გიყვარს? — გაცოცდა სიკვდილი.

— როგორ არ მიყვარს! — მეზადურმა მხრები აიჩეჩა, — თუმცა არ ვიცი რისთვის ვჩნდებით, ჩვენი სიცოცხლე ვის სჭირდება, ვერც ერთი მოკვდავი ამას ვერ ახსნის, მაგრამ მგონია — იყო ადამიანი, განიცადო და იგრძნო, უკვე რაღაცას ნიშნავს! რადგან დაბადება ღვთისგან მოცემული ვალდებულებაა, ჩვენი სამსახურია, რომელსაც ყველა თავისებურად ართმევს თავს. ვიცი, რადგან გავჩნდი, ესე იგი, უნდა მოკვდე კიდეც, ამიტომ არ მეშინია და სიკვდილს მშვიდად შევეგებები.

— უცნაური კაცი ჩანხარ. — სიცოცხლემ ჯერ ძმას და მერე მას შეხედა, — საერთოდ, ადამიანებს არ უნდათ ხოლმე წუთისოფელს გამოეთხოვონ. ხშირად ზოგი უკვდავებაზეც ოცნებობს, აი შენ კი...

— სისულელეა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. თან ვიცი, რომ ამის შეცვლა არ ძალმიძს. უაზრობაა ებრძოლო იმას, რაც აუცილებლად ბოლოს მაინც მოგაკითხავს და გაჯობებს. ამიტომ ცხოვრებასთან და ბედისწერასთან უაზრო ჭიდილს მიჩრჩენია მის წესებს შევეგუო და ისე ვიცხოვრო. ყველა სიკვდილის დამარცხებაზე ოცნებობს, ღირს კი?...

— რა გქვია? — ჰკითხა უცებ სიცოცხლემ.

— რა და, სიკვდილი!

— ეგ როგორ? — გაცოცდა სიკვდილი და შავი თვალეები აენტო.

— ყველას უკვირს, მაგრამ ეს სახელი დედაჩემმა დამარქვა. სულ ამბობდა, შვილო, როცა შენი წასვლის დრო მოვა და სიკვდილი მოგაკითხავს, იქნებ თავისი მოსახელე დაგინდოს და სიცოცხლის ცოტა მეტი დრო მოგცესო. — უპასუხა მეზადურმა, მერე კი ორივეს თვალი მთარიდა და ზღვას გახედა, ამით აგრძნობინა, რომ მათთან საუბარი დაასრულა.

ტყუპებმა ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ისევ იმ ადგილთან მივიდნენ, სადაც მანამდე შეხვდნენ და ქვეყნიერების მოვლა გადანყვიტეს.

სიკვდილი ძმისკენ მიტრიალდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყოველთვის სიტყვაძუნწს ახლაც გაუჭირდა და უბრალოდ, ხელი გაუნოდა. სიცოცხლემ მისკენ გაინია, ორივე მკლავი მხრებზე შემოაჭდო და გადაეხვია. ასე მხოლოდ ერთ წუთს გაჩერდნენ და თითქოს ისევ ისე შეერთდნენ, როგორც ადრე, დაბადებამდე იყვნენ. მათთან ერთად სამყაროც გაჩერდა და ადგილზე გაიყინა. ამ წუთს არც არავინ დაბადებულა და არც არავინ მომკვდარა.



ვასილ
პოსტაშვილი

მზარველ ანგელოზს

საყვედურნარევი თვალებით მიყურებ,
მფარველობ გათელილს
და ასე მგონია,
წყვიდადში ჩაძირულს განთიადს მიბრუნებ
და იმ მზეს,
რომელიც არავის ჰქონია.
სამყარო სინათლის გარშემო იბრუნებს,
სინათლე — მოძრავი პლანეტის გონია.
გმადლობ რომ
მწყურვალ სულისთვის იბრუნე,
ლოცვის მოჩურჩულე ბაგენი მქონია.
საყვედურნარევი თვალებით მიყურებ
და თვალთა სარკეში ლაჟვარდის ფონია.

ჭიანჭამი ხე აშრილდა

ბურუსმა ზეცა დაბლა დასწია,
უმზირა მინას და გატრიალდა.
დრომ სიყვარული ტანჯვად აქცია, —
— ჭიანჭამი ხე აშრილდა.
მხურვალე გული რამ გააცია?
რამ გაურია შხამი ტრფიალთან?..
მიჯნურს განგებამ ხმა დაანია,
მთელი სამყარო გადატრიალდა.
დღე ღამე მწუხრმა გადააქცია,
ოცნების მთვარეც გზად გატრიალდა.

ბურუსმა ზეცა დაბლა დასწია,
უმზირა მინას და გატრიალდა.

*

ნუ მანყენინებ
ბალახის ნიაგო,
მოვა სიკვდილი,
ჩუმად გამთიბავს.
რად გინდა
დარდით დამაჩიავო,
არ გამოვდგები მერე სათიბად.

ბედი მთვარიან სიზმარს ამივსებს

მონატრებია შესმა სასმისებს,
თვალეები
ისევ თვალებს ელიან.
ბედი მთვარიან სიზმარს ამივსებს,
გულს მოლოდინი გამოელია.
ეგ სილამაზე
თვალებს დამივსებს,
უსიყვარულოდ ღამე ბნელია.
მოვა გრიგალი ეტლით ღამისვე
და გაასწორებს მინად ლელიანს.

*

ჩემი სალოცავიდან
შენს ტაძრამდე შორია?
უსასრულო სიმშვიდეს
სტანჯავს ეიფორია.
მზე თვალეებში ჩავიდა
და ახლა მზე ორია,
ჩემი სალოცავიდან
შენს ტაძრამდე შორია?

*

ასე ჩხუბშია ც არ გავლახულვარ,
როგორც გამლახეს შენზე დარდებმა.
მართლა გიყვარვარ,
თუ მართლა გძულვარ?!
სული კენჭით ნყალში ვარდება.
წყალი,
რომელსაც ოცნება ჰქვია,
ერთხელ სიკვდილი
და დაბადება.
ჭურჭელს ავსებენ,
ხელახლა ღვრიან,
არ ილევა
და არა თავდება.
ვუსმენ
თვალთა ტბის უშფოთველ დუმილს
და ფიქრს ვაყოლებ
თმათა ჩქერს მზიანს.
ვსუნთქავ
სხეულის უჩინარ წყურვილს,
წყურვილს,

რომელიც ურჯოლას ჰგვრის ნიავს
და ცივი ხელი,
ლოდინით ცივი,
ჩრდილს თავის გამთბარ უბეში მიაქვს...

*
დუმილი იუნჯებს,
ზრახვია განაბნევს.
ჩამოთოვს სიმუნჯე ზეციურ მანანებს.
ვნებათა სიურჩე განანებს,
განანებს,
თვალეების სილურჯე აქვთ იასამანებს.
მახელებს სინორჩე
და ღია სავანე.
სიმღერით სიო ჯერ გადასცდა სამანებს.
უფსკრულის ჯურღმულში იხილა სამარე,
დუმილი იუნჯებს,
დროს დაასამარებს.
ვნებათა სიურჩე
განანებს...
განანებს...

მე უფრო თბილი მეგონე მზეო

მე უფრო თბილი მეგონე მზეო,
სხვას ვეძებდი
და სხვა მიპოვნია.
გადამიარა გრიგალმა თეოს
და ჯოჯოხეთში გაირონია,
სადაც ბეჩავი სიკვდილი ღრეობს,
სვამს ბედისწერის ზღვას ირონია.
მოკლდები ისეც სულსწრაფო დღეო
და მოლაღატე უამი მგონია.
წყდები
და ისევე იკვრები წრეო,
ბრუნავს მიწის და ცის აგონია.
მე უფრო თბილი მეგონე მზეო,
სხვას ვეძებდი
და სხვა მიპოვნია.

*
რატომღაც ვეძებ ქარვისფერ სევდას,
ჭიქის აწევის მქონდეს მიზეზი.
მთვარის ღიმილი ფეხდაფეხ მდევდა,
ცხოვრებისეულ,
უნდო კიბეზე...

*
სიზმარში
თეთრი გალაკტიონი,
რალაც იდუმალს ჩამჩურჩულებდა...
მის მზერას
ახლაც მალავს სიონი
და მტრედთა ღუღუნს ატანს სულებთან.
თეთრ ვარდის ფურცლებს

წყვეტდნენ სიონი
და მორცხვად დუმდნენ თეთრ ქალწულებთან.
ნისლთა ამაღლა,
თუ მხედრონი,
ტანჯვას დუმილით დაასრულებდა?!
დედოფალ მტკვართან,
მეფე რიონი,
ჯვრისწერას ველარ განასრულებდა.
სიზმარში
თეთრი გალაკტიონი,
ეტყობა ამას ჩამჩურჩულებდა.


მთები უფრო ახლოსაა ცასთან

ვაჟა ოთარაშვილს

მთები უფრო ახლოსაა ცასთან,
ჯურღმულებში საოცარი ქარია.
მთვარე იწვის
მაცხოვარის ხატთან,
სამებაში მოგუგუნე ზარია.
გულის ძახილს,
მამულის ხმას ატან,
წერ სტრიქონებს,
ელვარეს და ზარიანს.
მთები უფრო ახლოსაა ცასთან,
ჯურღმულებში საოცარი ქარია.

*
ჩემი მონატრების
ცისფერ სავანეში,
უცნობ ფრესკასავით როცა დაგამკვიდრებ,
ჩუმად ჩამომხედე მზეო სამარეში,
სული გამინათე,
ტანჯვა ამარიდე.
ლოცვა ჩამორეკავს მწუხრის განშორების,
როგორც საგალობელს,
ზართა სიმფონია,
სანთლად ამანთებ
და აღარ განმშორდები,
თვალთა სიღრმეებში თავი მიპოვნია.
ჩემი მონატრების
ცისფერ სავანეში,
უცნობ ფრესკასავით როცა დაგამკვიდრებ...

*
მოხნული მიწის სურნელი ხარ,
მთვარე მიმწუხრისას ამოსული.
ოცნებით სავსე ჭურჭელი ხარ,
რომლის სიახლოვეს ლამობს სული.
ნუშის მიამიტი თვალეებიდან,
ბედისწერასავით მითვალთვალე.
ბროლი,
ბადახში და ლალებიდან,
სჭვივის სიმორცხვე და სიალალე.
მოხნული მიწის სურნელი ხარ,
ცას რომ აათრთლებს ნაწვიმარზე.



გიორგი შალვაშვილი

ღეა + ღეანი

(თბილისური რომანი)

XVIII

ვერის ბაღში ორ საათზე მეტხანს დავყავი; მოუსვენრად ვწრიალებდი, ლელა არ ჩანდა და არც მპასუხობდა, მოგვიანებით, დედამისმა აიღო ყურმილი და ისეთი ნიშნის მოგებით შემეხმინა, ტელეფონი ცივად გავთიშე; ის ღამე თეთრად გავათენე, ასე გულგრილად რატომ მომექცა-მეთქი, ვნერვიულობდი; მეორე დღეს, როგორც იქნა, მისი ჰოლანდიაში გამგზავრების შესახებ შევიტყვე და ამან სულ გადამრია, ვილაც ბათუმელი კალეს შესახებ ადრეც ვიცოდი, ეჭვმა დამრია, ერთად გაემგზავრენ-მეთქი; ჰოლანდიაში წასვლაც გადავწყვიტე, მერე გადავიფიქრე, უსახსრობას ვინ ჩიოდა, უცხო მხარეში როგორ მეძებნა!..

დარდმა და ბოღმამ შემიპყრო.

გვანცა მოსვენებას არ მაძლევდა, დამინახავდა თუ არა, „შეყვარებულმა მიგატოვა?“ გამომწვევი ღიმილით მეკითხებოდა და თვალეში მაკვირდებოდა, მართლა თუ მიატოვაო; „ჩემს მიტოვებას ვერ გაბედავს!“ ხუმრობით ვეტყოდი და ლაპარაკს გავუზრბოდი, თითქოს ვილაც მომდევდა. „არა, არა, ნამდვილად მიგატოვა!“ კისკისით დამადევნებდა; ეტყობოდა, წინათგრძნობა არ ღალატობდა, თორემ ლელას საქციელს სხვაგვარად ვერც შეაფასებდი, „ალბათ, მდიდარმა საქმრომ გადაიბირა!“ მწარედ ვფიქრობდი და შეურაცხყოფისგან მოთმინებას ვკარგავდი — სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდაც მისი ხმა მომესმინა... ზოგჯერ კარადას გამ-

ოვალბედი, ამიკოს ნაჩუქარ „ბერეტას“ ხელში ვათამაშებდი, გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, თავი რომ მოვიკლა, ნეტავ თუ ინალველბს-მეთქი; მერე ჯიუტად ვასკვნიდი, ვიდრე ცოცხლობდა, მეც უნდა მეცოცხლა, თუნდაც ხელი ეკრა და დასალუპავად გავენირე — ეგოისტური წარმოსახვით ვერთობოდი: თითქოს ცხოვრებაზე ხელს ჩავიქნევიდი, გავლოთდებოდი, ლელა ამ მდგომარეობაში მნახავდა და გული მოუკვდებოდა, ან მეველუდით დავხეიბდებოდი, ეტლით გამსეირნებელი არავინ მეყოლებოდა და, ზოგჯერ მასთან ერთად სიკვდილს ვნატრობდი, ისეთ რამეს ჩავიდენდი, ქვეყანას გავაკვირებდი, ნახე, როგორ ჰყვარებიაო!..

არსებობა ჯოჯოხეთად მექცა, დრო მომბეზრდა და ქვეყანა, რომელიც ლელას მამორებდა, სასტიკად მეზიზღებოდა. ქალაქში უაზროდ დავებეტებოდი. ერთხელ ამიკოს მივაკითხე, ვაჟიშვილს იქცევდა, ქეთი მალაზიაში წავიდა, მალე მობრუნდებო — „რალაც ვერ ვარ გუნებაზე, თავს ცუდად ვგრძნობ, ბოლო დროს გეროინზე დავჯექი და ლომკა მკლავს!“ განამებული გამომეტყველებით გამენდო და სინანულით დასძინა: „ამის პატრონი ასეთ დღეში უნდა ვიყო?“ ბავშვს ლოყაზე აკოცა, თითქოს სინანულით მოუბოდიშა; ამ დროს ქუჩიდან ვილაცამ შემოსძახა: „რას შეები, არ მოდიხარ!“ ბავშვს ისევ მოეფერა, „ნახევარ საათში ფილარმონიასთან დამხვდი!“ იმ ვილაცას გაეპასუხა და დამნაშავესავით მომაჩერდა, მრავლისმეტყველი ღიმილი გაუკრთა, „ასეთების ხელში რას გადაავებ... ზოგჯერ სახლიდან გარეთ არ გავდივარ, ყველას თავს ვარიდებ, ეშმაკებივით შემომიჩნდებიან და საღერღელს ამიშლიან!..“

ბიჭუნა მუხლზე დაისვა და ყასიდად შემომხედა, „ისე, წამალი, ყველა პრობლემას ხსნის, ხელახლა დავიბადეო, გაფიქრებინებს... არ გირჩევ, მაგრამ თუ გაკეთება გინდა, წამოდი!..“ ხმაში ყოყმანი შევატყვე, არც თანხმობა მითქვამს და არც უარი, ერთი გაფიქრება, რატომაც არ უნდა გავიკეთო, გულს გადავავყოლებ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ლელას უკმაყოფილო თვალეები წარმოვიდგინე და ცდუნებას ვძლიე: „არ მიხდა, ამიკო...“ გადაჭრით ვთქვი და პატარას ლოყაზე ვუჩქმიტე; „ბედნიერი კაცი ხარ, ლევან!“ კმაყოფილებით მომიგაო; ამასობაში ქეთიც მოვიდა, თბილად მომესალმა, სანოვავეთი სავსე პარკი სამზარეულოში გაიტანა და ბავშვთან დაბრუნდა, „უნდა ნახვიდე?“ რალაცნაირი სინანულით იკითხა და თვალეებში შიში ჩაუდგა; „მალე დაბრუნდები!“ მშვიდად მიუგო ამიკომ და მისიური გადაიცვა.

ქუჩაში ერთად გამოვედით, ამიკო ფილარმონიისკენ გაუყვა, მე — ჩემი ძველი უზნისკენ. მას შემდეგ, რაც ვერაზე საცხოვრებლად გადავედი, ბევრი ნაცნობი შევიძინე და დავუმიგობრდი; კიაზო ბიძემ მოტოციკლის ტარებაში დამაოსტატა და ყველა მის ძმაკაცთანაც დამაახლოვა; გავლენიან ოჯახიშვილებთან მეგობრობდა და კარგ წრეში ტრიალებდა; ქალაქის მერის ვაჟი, ტატოც, გამაცნო; მონყენილს რომ მხედადუნენ, „ცხვირი ნუ ჩამოგიშვია“-ო, მსაყვედურობდნენ და გასართობად მპატიჟებდნენ: დიდხანს ვერც კაფე-ბარში ვძლებდი და ვერც კაზინოში, ცალკე მათიც მეუხერხულებოდა

გაგრძელება. დასაწყისი N 11, 12, 1, 2

და რაღაცას ვიმიზეზებდი, წასასვლელი ვარ, გადაუდებელი საქმე მაქვს-მეთქი.

„ორბელანის“ ბალთან ბაჩოს გადავეყარე, მონყენილი მეჩვენა, „აღბათ, შეყვარებულთან უსიამოვნება აქვს!“ გავიფიქრე და მისგან გაქცევა მომიხდა, ამას თავისი სადარღველიც ეყოფა-მეთქი; „სამების“ წინ დათოს მოვკარი თვალი, პირველად იწერდა, თითქოს ღმერთს შველას ევედრებოდა; ჩემი დანახვა გაუხარდა, სად დაიკარგეო, ღმირით მისაყვედურა; „შენი ამბავი როგორ მიდის?“ მიხვდა, სტუდენტ გოგონასთან შეხვედრებს ვგულისხმობდი; სინანულით ჩაელიმა, ფიქრიანად შემომხედა, ცოტა იყოყმანა და დამანაშვესავით გამეძლო: „აბორტი გავაკეთებინე... აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, თავის გზაზე გავუშვა თუ შევინარჩუნო, ვგრძნობ, უმისობა გამიჭირდება, შეჩვეული ვარ!..“ სახეზე სინანულთან ერთად ნუხილი გამოეხატა; „რომ შეირთო?“ მოულოდნელად ვკითხე და თვალებში მივაჩერდი; ერთხანს ხმა არ გაიღო, თითქოს ჩემს წინადადებას წონიდა, „არა, ჩემამდე სხვას ეკუთვნოდა და, ამას ვერასოდეს მოვიწიებ, ვერ ვაპატიებ და ყოველთვის გავანამებ!“ ისე მომიგო, მივხვდი, ამ საკითხზე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი.

ნარიმანთან გახურებული ქეიფი მიდიოდა, ორი ძმაკაცი აქ-იქიდან მოესვა და ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდა; ტომა სმენაზე იდგა, ქმარს თვალებში შესცივინებდა; მასპინძელი ხმაურით შემეგება, სადღეგრძელო შეწყვიტა, სასმისი ჩემკენ გამოიშვირა და საზეინო ხმით გამოაცხადა: „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“ მაგიდის წევრებმა მხარი აუბეს, მიიჩრონ-მოიჩოჩეს და მაგიდასთან დამსვეს; მხიარული განწყობა მსწრაფლ გადმომედო, ღვინის დაღვევაც მომიხდა და მჭევრმეტყველების ხასიათზე დავდექი — რამდენიმე ჭიქა ზედიზედ გამოვცალე; მერე ნარიმანმა წმიბა გრძნობის სადღეგრძელო წარმოთქვა — ამქვეყნად მასავით სიყვარულს ვერავინ შეამკობდა — გულის დარდი ჩააქსოვა და თვალებზე ცრემლი მოადგა; დავდუმდით, ტომამ ამოიხენემა, მივიწყებული კაემანი კვლავ დამეფულა და ლელა გამახსენდა, „არა, არ გავლოთდები!“ უკმაყოფილოდ გავიფიქრე, ჭიქა უხმოდ დავცალე და გვერდზე მივდგი.

ქეიფი ისევ განახლდა, ბევრი მიჩიჩინეს, მაგრამ დაღვევაზე ვერ დამითანხმეს, თავი დამანებეს, სუფრის დატოვებას ხომ არ ვაძილებთო; მე თითქოს წასასვლელი არ მქონდა, ნარიმანის გარემოცვაში ყოფნა ყველაფერს მერჩია, მას და მის ძმაკაცებს სიამოვნებით ვუსმენდი, იმათი ასაკიც შემშურდა და გამოცდილებაც, მიწოდდა, მათი ხნის ყყოფილიყავი, მარცხისა და გამარჯვების ფასი მცოდნოდა.

ვიან დავიშალეთ.

ნარიმანს ვერ მივატოვებდი, მისი ხასიათი კარგად ვიცოდი, საწყალ ტომას არ მოასვენებდა, გარეთ გამოვიდოდა და სუფრას გაშლიდა, მეზობლებს მოუხმობდა, უნდა მოგესიყვარულოთო; მე ხათოს ვერ მიტყებდა და მეპუებოდა, „შენ, თუ მეტყვი, დავიძინებ კი არა — მოვკვდები“-ო, ჩაილულულელებდა.

მე და ტომა ჩუმად ვისხედით, ნარიმანის მონოტონური ფშვინვა გარკვევით გვესმოდა; ბოლოს დაღლილ ქალს ღამე მშვიდობისა ვუსურვე და წასასვლელად წამოვიმართე; „ცოტა ხანს დარჩი!“ რუსული აქცენტით მთხოვა მან

და თვალებში მუდარა გამოეხატა — დადუმდა, სინანულით გაიქნია თავი და იატაკს ნალვლიანად დააჩერდა.

— იცი, ნარიმანმა რატომ შემირთო?... — კარგა ხნის შემდეგ დაარღვია ღუმილი და ქვემოდან გამომხედა, თითქოს ისეთი საიდუმლო უნდა გაეძლო, რისი თქმაც მთელი ცხოვრება უნდოდა, მაგრამ ღირსეული მსმენელი ვერ გამონახა, ჩემს თვალებში კი თანაგრძნობა ამოიკითხა, თითქოს აღსარებისთვის განენყო: — ომსკში დავიბადე... მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ადრეულ ასაკში დავვობლდი და სიღარიბეში ვიზრდებოდი... დედაჩემი შიმშილს გაექცა და სხვაზე გათხოვდა... იმ კაცს ჩემზე უფროსი ვაჟი მგილი ჰყავდა, ერთ ლოგინში ვწვებოდით და სოკოსთვისაც ერთად დავებეტებოდით ტყეში; თოთხმეტი წლის როცა გავხდით, იმ ვაჟმა ველარ მოითმინა და ცივ ზამთრის ღამეს გამაუპატიურა, მერე ეს ამბავი მის თანატოლებში შეგნებულად დაიტრახა და რამდენიმე ბიჭთან საქმეც დამაჭერინა... იქაურობა ორი წლის შემდეგ დავეტოვე, ქალაქიდან ქალაქში ხეტილას დავეჩვიე... ხან ერთ კაცთან ვმრუშობდი და ხან მეორესთან, ვინც პატივს მცემდა, ჩამაცმევდა და მაჭმევდა, მისი მორჩილი ვიყავი... ყველას ვემსახურებოდი, განურჩევლად ასაკისა და ეროვნებისა; ბოლოს ერთ ქართველ ჯარისკაცს გადავეყარე, რაღაც ნაირად მომიხილა და საქართველოში წამომიყვანა, რა ენაღვლებოდა, თურმე ძმაკაცებში თავმოსანონებლად მოიქცა ასე, ნახეთ, რუსეთში რა ქალებთან ვერთობოდიო; ერთხანს აღმადღამა მატარა, იქეიფა და ილალობა, ჟინი რომ მოიკლა, მერე ვიღაც მანქანის ხელოსანს შემატოვა და უგზო-უკვლოდ გაქრა; გარეგნულად კარგი ვიყავი, — ტომამ სინანულით ამოიოხრა, თითქოს წარსული გამოიტირა, ნარიმანს ყური მიუგო, არ გაიღვიძოსო და კვლავ განაგრძო: — ჩემი თავის ფასი ნამდვილად არ ვიცოდი, თუმცა მამაკაცები გულგრილად გვერდს ვერ მივლიდნენ, ამას აშკარად ვგრძნობდი და შეძლებისამებრ ვსარგებლობდი... მომწონდა, თითქოს რამდენიმე ვინა და მრავლისმეტყველად გამიღიმებდნენ... ასე დავევეჩვიე თავისუფალ ცხოვრებას, სხვაგვარად ვერ წარმომიდგინა, დღეს რომ პავლესთან ვატარებდი დროს, ხვალ პეტრესთან მიხდებოდა კისკისი; ერთხელ ფულიანი კაცი გამაცნეს... ამ კაცმა მეგობრებთან ერთად რესტორანში წამიყვანა და გულწრფელად გამეძლო: „შენგან არაფერი გვინდა, ჩიტის რძეს არ მოგაკლებთ და ფულსაც გადაგიხდით, მხოლოდ ერთ კაცს ეუფანი უნდა შეაბა, ქალს სათოფეზე არ იკარებს, როგორმე უნდა მოარჯულო, მოათვინიერო, სითბო არ მოაკლო!“ გამეცინა, „მე უნარს არ მეტყვის!“... ამაყად ვთქვი და უკარება კაცით დავინტერესდი; „ერთი რუსი გოგონა უყვარდა, მშობლები წინააღმდეგი ნავიდნენ და სამუდამოდ ჩამოამორეს, მას შემდეგ ქალს ვერ უხსენებ, გულაცრუებულია და სიყვარულზე — ხელჩაქნეული, არადა კაცის ბუნება თავისას ითხოვს!“ ამიხსენს და დარბაზში შემოსულ ახოვან მამაკაცს ხელი დაუქინეს, „აქეთ მოდი“-ო, მე კი თვალთ მანიშნეს, სწორედ ეს არისო; დავაკვირდი, მჭმუნვარე გამომეტყველება ჰქონდა, მეკობრე გეგონებოდა, ჯერ ასე არავინ მომწონებია; გამაცნეს, ეს ჩვენი ძმაკაცი, ნარიმანიაო; ზედ არ შევხედე, განგებ მოვიქეცი ასე, ჩემით დაინტერესდეს-მეთქი; მერე ნელ-ნელ-

ლა დაუტყბი და მახეში გაბმას შევეცადე; სახემოქუფრული მომჩერებოდა, თითქოს ეს-ესაა ჭეჭა-ქუხილს დამატებდა თავზე, გეგონებოდა, ვილაცაზე შური უნდა ეძია და ჩემს თანამზრახველობაზე ფიქრობდა, თანაც მერყეობდა, ვებრალებოდი და ქვეცნობიერად მაფრთხილებდა, იცოდე, ცეცხლს ეთამაშებიო; ხანდახან იღუმალის შიში მიპყრობდა, უკან მაინც ვერ ვიხევედი, მისი ძმაკაცების წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობდა და მიცემულ პირობას ვერ დავარღვევდი... ვნების აღმძვრელ თამაშს ჯიუტად განვაგრძობდი, გამომწვევად ვიქცეოდი, მოშველ ადგილებს ურცხვად ვაჩენდი და მაცდუნებლად ვკეკლუცობდი; ბოლოს მაგიდაზე ავედი და ციგნურად ვიცეკვე; ნარიმანი ფიქრიანად მომჩერებოდა, თითქოს გონებაში რაღაცას წონიდა — ჩემში სწორად იმ ქალს უჭყრედა, ვისაც დიდი ხანია ეძებდა; მოულოდნელად ფეხზე ადგა და შუა ქეიფიდან წამომიყვანა, მთელი ღამე ჩემ გვერდით გაატარა, დილით კი კატეგორიულად გამომიციხადა: „დღეის შემდეგ ამ ჭერქვეშ იცხოვრებ და წარსულს სამუდამოდ გამოეთხოვები!“ სიცილი ამიტყდა, ეს კაცი ხომ არ გაგიჟდა-მეთქი, მაგრამ, წარბები რომ მოჭმუნხნა და, „ვერ გაიგე?!“ მკაცრად მკითხა, კურდღელივით გავინაბე და ჩუმად ავტირდი; ნარიმანზე თორმეტი წლით უფროსი ვარ, რას ვიფიქრებდი, ჩემთან ცხოვრებას თუ მოისურვებდა!.. რამდენიმე დღე დავრჩები, ჟინს მოიკლავს და ყველაფერი გაუვლის-მეთქი, ვიფიქრე და ცოტათი დავმშვიდდი; მის ძმაკაცებთან ჩვეული სითამამით ვიქცეოდი, ვკეკლუცობდი, ყველა მათგანს ვაარმოყების უფლებას ვაძლევდი; რომელიც ანკესზე წამოვავე და ჩემთან დროის გატარება ვაფიქრებინე, ნარიმანმა სასტიკად გააფრთხილა, „ამ ქალს ზედმეტი არ აკადრო“ — ო, მე კი სიკვდილით დამემუქრა, „ცუდი არ შეგნიშნო, თორემ მოუსავლეთში გაგისტუმრებ“ — ო, ბოლოს ყველანი შეკრიბა და ხმამაღლა გამოუცხადა: „ტომა ჩემი ცოლია და დღეიდან ისე მოექცეო, როგორც თქვენს რძალს!“... სახეზე ამოუცნობი, შურისძიებით დამტკბარი ღიმილი დასთამაშებდა და სახტად დარჩენილ მეგობრებს უჩვეულო კმაყოფილებით მისჩერებოდა; ისინი აშკარად ფიქრობდნენ, ეს კაცი, ალბათ, ჭკუიდან შეიშალაო; საგონებელში ჩავვარდი, საბოლოოდ დავრწმუნდი, ნარიმანი არ ხუმრობდა და თავის მერულედ მთვლიდა, ავდექი და სახლიდან გავიპარე, ძველ ცხოვრებას დაუბრუნდი: მამაკაცებთან ქეიფი, გართობა და დროს ტარება ყოველდღიურ საქმედ გავიხადე; მომძებნა, ვილაცის საწოლიდან წამომაგლო, სახლში წამომიყვანა და ისე მაგრად მცემდა, ერთი კვირა ფეხზე არ დავმდგარვარ... გვერდიდან არ მშორდებოდა, მივლიდა, ჭრილობებზე საფენებს მადებდა, მაპატეიო, გულწრფელი სინანულით მეჭურჩულებოდა... — ქალმა შეისვენა, ნარიმანის ფშვინვას ისევ მიუგდო ყური, სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა, — განა არ მომწონდა?.. ან ნორმალური, მოსვენებული ცხოვრება არ მენატრებოდა?.. უბრალოდ, მისი ღილისი არ ვიყავი და ამიტომაც გავურბოდი, მას კი ვერაფრით ვარწმუნებდი; არაო, სწორედ ჩემთვის ხარ გაჩენილიო, ღმერთმა შენი თავი შემთხვევით არ გამომიგზავნაო; ვიცოდი, ჩემგან შვილი არ ეყოლებოდა, მებრალებოდა, მალე დავბერდები, ახალგაზრდა კაცმა გარყვნილ

ქალს თავი რად უნდა მანაცვალო-მეთქი... მისი გაუხარელი სიყვარულის ამბავი გვიან შევიტყვე და ყველაფერს მივხვდი... — ტომამ დარდიანად ამოიოხრა და გამომცდელად მომაჩერდა, — თავი შემაფარა!.. — სინანულით გამოცრა, — ეს კი არ მტანჯავს, სხვა რამ მანუხებს, — თვალეში შემატყო, რა ანუხებდა, ნამდვილად არ ვიცოდი, — მე კი გამომასწორა, მაგრამ თვითონ მძიმე მისია იტვირთა... თითქოს შვილივითაც მიყვარს... მისთვის დედაც ვარ და ცოლიც... რომ მოგვედები, უჩემოდ რა ეშველება?.. — ქალი ატირდა, — მან თითქოს სიყვარულზე შური იძია და მისი ტანჯვის მონანილე გამხადა... რას მერჩოდა?.. — ქვითინებდა ქალი და თითებს შორის აცახცახებულ სიგარეტს საფერფლეში სრესდა. ავდექი, მივუახლოვდი, თავზე ვაკოცე, თანავარძნობით დავაჩერდი და მშვიდად ვუთხარი: — ნარიმანმა დაკარგული სიყვარულის სანაცვლოდ შეგიყვარა!.. — და გარეთ გამოვედი, ფურცელადის ქუჩაზე წუთიერად შევყოვნი, ორბელიანის ბალისკენ გავიხედე — სიბნელებში ლუიზას სილუეტს მოვკარი თვალი, ტროტუარზე თავშეყრილ, მანანალა ძაღლებს პურის ნატყებზე უყრიდა. ქალაქი თვლიდმა, მოკრიალბულ ცაზე მთვარე ეკიდა, შვიდი დათვის თანავარსკვლავედის აღმოსავლეთით მე და ლელას ამოჩემებული ვარსკვლავი კამკაშებდა — ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს იმ ვარსკვლავს შორეთიდან ლელაც შესცქეროდა და ჩემთვის სიყვარულს უგზავნიდა. ტანსაცმელი არ გამიხდია, დივანზე ისე მივნეჭი, წინდანის ვგრძნობდი, მთელი ღამე ვერ მოვისვენებდი და, მართლაც გამთენიისას ჩამეძინა — უცნაური სიზმარი ვნახე: თითქოს ზღვასთან ვიდექი, აბოზოქრებული ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა და შხუილით ფეხებში მანყდებოდა, არც ვსველდებოდი და არც არაფრის მეშინოდა, სტიქიის მომაჯადოებელი იღუმალებით ვტყებოდი... ამ დროს ვეებერთელა ტალღა გამოჩნდა, მთასავით ამოიზიდა, პირდაპირ ჩემკენ მოირწეოდა და ვეშაპივით პირდაღებული გადაყლაპვას მიქადდა, გარდაუვალ დაღუპვას მამცნობდა... უცებ ყველაფერი ჩანყნარდა, ტალღამ ვნება დაიცხრო, სიბოზოქრე ალაგმა და ფეხებზე უმწეოდ მომელამუნა; ამ დროს წყლიდან ლელას სილუეტი ამოცურდა, თითქოს დამცხრაღმა ტალღამ შობაო, სისველე კი არ ეტყობოდა, ღიმილით მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და, სწორედ ამ იღუმალმა გრძნობამ გამომალღვიძა, სინანულით ამოვიოხრე, არარეალურ სამყაროში დაბრუნება ვინატრე და იმედგაცრუებული ჭერს მივაჩერდი. არ ვიცი, რამდენხანს ვიყავი გაოგნებული, კარის ჭრიალმა გამომაფხიზლა, მომეჩვენა, თითქოს ზღურბლზე ლელამ გადმოაბიჯა, გვერდზე მიდგა, კედელს მიყვარდნო, სამგზავრო ჩანთა იატაკისკენ ჩააცურა, „მოვედი, ლევან!“ ჩურჩულით თქვა და ღონემიხდილი მომაჩერდა, ხელი გამომიწოდა და ლოყაზე ცრემლი მარგალიტვით დაეკიდა. თავი სიზმარში მეგონა, მონუსხული მივჩერებოდი, ავდექი, მივუახლოვდი და ხელზე შევეხე, დავრწმუნდი, რეალურ სამყაროში ვიყავი და, ბედნიერებისგან თვალები დავხუჭე — ვიგრძენი, ლელამაც იგივე გაიმეორა, ჯერ ჩვენი

სუნთქვა შეერწყა ერთმანეთს — მერე სხეულის თითოეული ნაკვთი, სიყვარულით თავბრუდახვეულები უმნეოდ ვჩურჩულებდით, თითქოს ვბოდავდით, მთვრალეულივით ვირხეოდით, ერთმანეთს ვკოცნიდით, საოცარი სინაზით ვსუნთქავდით... სულიერი აღმაფრენის განცდა გველოდა, უსასრულობის შეგრძნება ყველა ტკივილს დაგვიამებდა და გონების ნამღეკავ ჰარმონიას გვაზიარებდა...

ბედნიერები ვიყავით — უზომოდ ბედნიერები, ამქვეყნიური ეჭვისგან თავდახსნილები სიყვარულის ზღვაში ვცურავდით...

XIX

ორი დღე-ღამე შინიდან არ გავსულვართ, ამქვეყნად თითქოს არავინ გვახსოვდა — საბოლოოდ მივხვდით, ერთმანეთის გარეშე სიცოცხლე არ შევგვძლებია

ბათუმში გამგზავრება გადაწყვიტეთ, ღამის მატარებელში ჩავსხედით და დილაადრიან უკვე შავი ზღვის სანაპიროზე ვიყავით; ტაქსი მამაჩემის სახლის წინ გაჩერდა, გული ამიჩქროლდა, ვიდრე ჭიშკარს შევალდებდი, ლევანს მოვუბოდიშე, ფიჭური ტელეფონი ამოვიღე და განზე გავდექი, დავრეკე, რამდენიმე წამის შემდეგ დედაჩემის ლოდინით დაღლილი ხმა მომესმა.

— დედა, მე ვარ... მაპატიე... დედა... სხვაგვარად არ შემძლო... მე ის მიყვარს, დედა... — ყელში ბურთი გამეჩხირა, ლევანს ვუყურებდი, მღელვარება არ შემატყოს-მეთქი, დედაჩემის პასუხს, როგორ განაჩენს, ისე ველოდი, მარტო ქვითინი და სასონარმკვეთი ამოხვრა მესმოდა, ვგრძნობდი, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, თითქოს ჩემი იმედი ჰქონდა, სიტყვას შევაშველებდი, — ახლა ბათუმში ვარ, დედა!.. — დავარღვიე დუმილი და გავიჭრუნე.

— მომენატრე, ლელა!.. — კარგა ხნის შემდეგ გამოცრა და ისევ ატირდა, ოღონდ თავშეკავებით, ცრემლებს ყლაპავდა და მძიმედ სუნთქავდა. — ყველაფერს ბათუმი არჩიე? — სულ სხვა რამ იგულისხმა დედამ, ღრმად ამოისუნთქა. — ღმერთმა კარგად გამყოფოს, შვილო! — დასძინა და ვიდრე რაიმეს თქმას მოვასწარებდი, ტელეფონი გათიშა.

ლევანს თვალცრემლიანი მიგუაზლოვდი, ლოყაზე ვაკოცე და ეზოში შევუძეხი.

მამაჩემი მოულოდნელობისგან ბავშვივით დაიბნა, „სტუმარი თუ მოგყავდა, წინდანინ რატომ არ გამაფრთხილე“-ო, მსუბუქად მისაყვედურა; „სტუმარი კი არა, ჩემი ქმარია!“ მორიდებით ვამცნე და კისერზე მოვეხვიე, გაუხარდა, ლევანს გაუღიმა და ხელი გაუწოდა: „კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ოჯახში!“

იმ ღამეს პატარა წვეულება გაგვიმართა, რამდენიმე ახლო-ნათესავი და მეზობელი მოიპატიჟა; მზიულიმ მევლუდი მოიყვანა; ქალი შესაშურად გამოიყურებო-და, ეტლში მოკალათებული მევლუდი ცოტას უხერხულობდა, ლევანს თითქოს გული მოუღობო და მალე დაუშეგობრდა; მე და მზიული ცალკე ოთახში გავედით და ცოტა ნავიჭორავეთ.

— რა მექნა, სამსახურში არ გავსულიყავი, პურის ფულს ვინ მოგვანვდიდა?! — თავის მართლებასავით დაინყო მზიულიმ, — უთე-

ნია ვდგები, მევლუდს ვბან, ვაცმევ, ვაჭმევ და თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ, შესვენებაზე უკან გამოვრბივარ, ვანაყრებ და სამსახურში ვბრუნდები... შაბათ-კვირის გარდა, ყოველი დღე განამებული ვარ... ზის საბრალო მევლუდი ეტლი და ჩემს ლოდინში თვალები ამოლამებია... ჰოდა, ამას წინათ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა, — მზიულიმ სინანულით გაიქნია თავი, მერე ჩაეცინა, მეც ავეყვი და გულწრფელად დავინტერესდი, ასეთი რა უნდა მომხდარიყო... — სამსუნ-ბათუმის ერთობლივ კომპანიაში ვმუშაობ... თურქი მენეჯერი, ოცდაათი წლის სევიდი გადამეკიდა, მომწონხარ და, გინდა თუ არა, ჩემი საყვარელი გახდით; სიცილით მოვკვდი, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ, რა ურთიერთობაზეა ლაპარაკი, როცა ქმარი მყავს და, ასეც რომ არ იყოს, შენზე ცამეტი წლით უფროსი ვარ-მეთქი; არ ვიცი, ქალი ვარ და, იქნებ კაცის შემოთავაზება გულში კიდეც მესიამოვნა და სარკის წინ ჩვეულებრივზე დიდხანს დავყოვნდი... იმ დილით მევლუდი კარებში მაჩერებს, თვალებს ძლივს მისწორებს და დამნაშავესავით მეუბნება: „ორმოცი წელი შენნაირი ღამაში ქალისთვის არაფერია, მე არ მენყინება, ვინმეს თუ გაიჩენ!“ გავშტერდი, ასეთი რა შემატყო-მეთქი, ჩემს თავზე გავბრაზდი და გაჩენის დღე დავინყველე, ერთხანს გაოგნებული ვიდექი, მერე მის აწყლიანებულ თვალებს ველარ გავუძელი და მათმინება დავკარგე, კარი მოვიჯახუნე და სამსახურში წავედი — იმ დღეს მისთვის სადღიო არ მიჭმევია... ქალს ის მემამაყება, ყველაფერი მას შევწირ-მეთქი, ამან კიდეც შემიბრალა: საყვარელი გაიჩინეო... უბრალოდ, ემინია, ოღონდაც არ მიმატოვოს და, როგორც ენებოს, ისე მოიქცესო... შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და სამი დღე ხმა არ გამიცია, ყველაფერს უგერგილოდ ვუკეთებდი... ბოლოს მიხვდა, დამიძახა და პატიება მთხოვა... — მზიულის ხმა აუკანკალდა, ტირილი აუტყდა, მეც მომერია ცრემლი და უბედური წყვილის სიბრალულით დავინვი.

მალე სუფრას შემოვუსხედით.

მამაჩემის გვერდით ერთი სომეხი მესაფლავე, ხანძესული კარაპეტა იჯდა; მას ჩვენი ოჯახი ძალიან უყვარდა და ბაბუაჩემს ხშირად ნარდს ეთამაშებოდა; სასამელი რომ შეზარხობდა, თამადასგან სიტყვა ითხოვა და უჩვეულო სადღეგრძელო წარმოთქვა: „როგორც ცოცხლებს შორის გამოირჩევიან ადამიანები, ასევე მიცვალებულებიც განსხვავდებიან... მესაფლავეები ხანდახან გარდაცვლილი ცოლ-ქმრის განსასვენებელთან შევიყრებით ხოლმე და სიყვარულის სადიდებელს ვამბობთ... მოხუცები თურმე სიცოცხლის ბოლომდე ცალკე ცხოვრობდნენ, დაოჯახებული და სოციალურად უზრუნველყოფილი შვილები სტუმრად იმვითად თუ მოაკითხავდნენ; ერთმანეთს სულს უბერავდნენ — თვალეში შესციცინებდნენ... ერთხელ დედაკაცმა, ქმარი არ შევანუხოო, ტალავერის ბოძს კიბე მიაყუდა და ვენახის გასხვლას შეუდგა, უცბე ფეხი დაუცურდა, ძირს ჩამოვარდა და ცუდად დაეცა, იქვე განუთრევა სული; ბერიკაცი აბლავლდა, ხელი თავში წაიძინა, მე მოგკალიო, საყვარელი ცოლის ცხედარს დაატირა და ეზოდან გადავიდა... ზღვას მიუახლოვდა, ერთხანს დაბნეული იდგა, მერე თითქოს გონს მოეგო და წყალში ყელამდე შევიდა, თავი ჩარგო და ბოლომდე აღარ განძრეულა, ასე ეზი-

არა სიკვდილს... მოხუცი ცოლ-ქმარი მთელმა ქალაქმა დაიტირა... მოდით, მოხუცების სიყვარულს გაუმარჯოს!" — დაასრულა კარაპეტამ და თვალზე მომდგარი ცრემლი მჯილით მოიწმინდა, როტომლაც მე და ლევანს შემოგვხედა და სასმისი გამოცალა.

ამბობენ, ძია კარაპეტს ახალგაზრდობაში ერთი ქართველი ქალი უყვარდა, მშობლებს კი ის ქალი სხვაზე გაუთხოვებიათ, მერე იმ სხვას ცოლი მიუტოვებია და რუსეთში გადასვენებულა, შეურაცხყოფილ ქალს ბევრი უღარდია და მალე გარდაცვლილა; უიღბლო კარაპეტს რახან ცხოვრებაში არ გაუმართლა, ბედის ძიებაზე ხელი ჩაუქნევია და მესაფლავეობა დაუნყია, მკვდარში მაინც ვერავინ შემეცილებათ და, მას შემდეგ, თურმე, შეყვარებული ქალის საფლავს ერთადერთ ჭირისუფალივით უვლის.

მეორე დღეს კომეტა დავიჭირავეთ და ფოთამდე გავისეირნეთ; მზიანი ამინდი იდგა, ზღვის სანაპირო დამსვენებლებით გავსებულიყო; კიჩოსთან ვიდექით და შუაზე გაპოზილი ტალღების ტყლაშუნით ვერთობოდით; „მწვანე კონცხს“ ავუარეთ და ქობულეთის სანაპიროს გავუსწორდით, ლევანმა გიჟი მურთაზისა და ბერძენი ვიოლას ტრაგიკული სიყვარული გაიხსენა: „ჭკუიდან შემოლიო ზოგჯერ ზღვას ევედრება, სატრფო დამიბრუნე“-ო.

ბათუმში ერთი კვირა დავყავით, ბედნიერები ვიყავით, ზოგჯერ მომავალზე ვფიქრობდით და ქვეცნობიერად ვჩქარობდით, ცხოვრება უნდა მოგვენყო და მშვიდი სამკვიდრო შეგვექმნა — ყოფითი პრობლემები ძალაუნებურად თავს გვახსენებდა, ერთმანეთის სიყვარული უჩვეულო ძალას გვმატებდა და გამარჯვების იმედს გვინერგავდა...

თბილისში დავბრუნდით; ლევანის ბებია მოქროს ბეჭედი მისახსოვრა, თითზე წამომაცვა და ჩემს სახელზე ატარეო, ალაღად მითხრა; ორი დღის შემდეგ გირაოს თანხა დაიბრუნა, თითქმის მთლიანად გადმოგვცა, ბინა დაიქირავეთო — ბოლოს ბილეთი აიღო და რუსეთში გასამგზავრებლად გაემზადა, „გული არ გაიტეხოთ, მთავარია ერთმანეთი გიყვარდეთ და ყველაფერს ეშველება“-ო, დაგვმოძღვრა და დაგვაიმედა, ჩემი დეიდაშვილი რალაც სამუშაოს გამიხერხებს და ხელს იქიდანაც გაგიმართავთო; „ოღონდაც კარგად იყავი, იმ რუსეთში არაფერი მოგივდეს!“ ამშვიდებდა ბებიას ლევანი და წასვლას არ ურჩევდა — ბოლმა ახრჩობდა, ამხნის ქალს დასაკარგავში გისტუმრებ და იძულებული ვარ შენთან განშორებას შევეგუო.

„ტვირთად ვერ დაგანვებით, ბავშვებო!“ ამბობდა თვალცრემლიანი მერი და, ერთი სული ჰქონდა, აეროპორტში წასვლის დრო როდის მოახლოვდებოდა.

ვიდრე ახალ ბინაში გადავბარგდებოდით, ლევანმა გვანცა გამაცნო; გოგონამ მუშტრის თვალით შემომხედა, „ლამაზი შეყვარებული გყოლია!“ მრავლისმეტყველი ღიმილით ჩაილაპარაკა და მსწრაფლ გაგვეცალა; „შეყვარებული კი არა, ცოლი, გვანცა“ მსუბუქად მივაღვენე და ლევანი გავკენწლეთ: „ამ ეზოში უშედეგოდ არ გიცხოვრია!“ ლევანს ისე ჩაეცინა, დიდებს, ბავშვების ახირობაზე რომ ჩაეცინება.

სევასტოპოლის ქუჩაზე ერთოთახიანი ბინა ვიჭირავეთ, ჩვენი აივანი ვერის სასაფლაოს გადაჰყურებს; იქაურობა მივალაგ-მოვალაგეთ

და ჩვენს გემოზე მოვენყეთ, მაცივარი რამდენიმე დღის სანოვაგით გამოვავსეთ და გარე სამყაროს კარი გამოვუკეტეთ — მდუმარე სასაფლაოსა და სიცოცხლით სავსე ქალაქს შორის თავი შევაფარეთ, თითქოს ორ გარდაუვალობას, სიცოცხლესა და სიკვდილს დავემალეთ და საოცნებო გარემო შევქმენით — ერთმანეთის სიყვარულით ვტკბებოდით და თავი სამოთხეში გვეგონა; ჯვრისწერაც დავგეგმეთ, დედაჩემს წყენა გაუვლიდა, მეც მაპატიებდა და ლევანზეც გული მოუღებოდა, ახლობლებს მოვიხვევდით, მეფე-პატარძლის შესაფერისად შევიმოსებოდით და პრესტიჟულ რესტორანში ქორწილს გავმართავდით.

მომავალზე ოცნებამ ისე გაგვიტაცა, დღესა და ღამეს ველარ ვარჩევდით; ვინ იცის, რამდენხანს გასტანდა დაუოკებელი სურვილებითა და ოცნებებით გალამაზებული წუთები, ჩვენი მყდროება მოულოდნელად კარზე კაკუნს არ დაერღვია... აბაზანიდან ახალგამოსული ვიყავი, თმას ვივარცხნიდი, ლევანი წვერს იპარსავდა და თავისთვის ღიღინებდა — მოშვებული ონკანის ხმაურში არაფერი ესმოდა; სწრაფად მოვწესრიგდი, ვიფიქრე, ბინის პატრონს რა ბუზმა უკბინა, ასე გაუფრთხილებლად მოგვაკითხამეთქი და, ცოტა არ იყოს, გავბრაზდი, კართან მივვდი და ფრთხილად გამოვალე, ზღურბლთან ზორბა, თვალეგადმოკარკლული კაცი შემომეფეთა, გაცოცხლებული მივაჩერდი, უცნობმა ფორმალურად მომიბოდიშა და ოთახში შემოსვლა დააპირა; ქმარს გავძახე და მოულოდნელი სტუმარი შიგნით შევიპატიჟე; ვიდრე ლევანი აბაზანიდან გამოვბოდიშა, ზორბამ გამომცვდი ღიმილით მკითხა: „ნუხელ სროლის ხმა ხომ არ გაგიგიათ?“ მივხვდი, მაძებარი უნდა ყოფილიყო და ზრდილობის გულისთვის დავფიქრდი, ნინა ღამეს გონების თვალთ გადავწვდი და ღიმილით მიუღე: „არაფერი გაგიგია!“ ამ დროს ოთახში წელზემოდ შიშველი ლევანი გამოჩნდა, ერთხანს დაეჭვებით უყურა სტუმარს, ხომ არ ეჩვენებოდა და, ბოლოს გაკვირვებით აღმოხდა: — აქ რა გინდა, ბაბილოძე?! — მაძებარმა ისე დაალო პირი, თითქოს დამნაშავე აღმოაჩინა; — ახ, ლევანს ვახლავარ!.. — წარბები აზიდა და რატომლაც ეჭვით შემათვალისწინა; — ამ უბნის ინსპექტორი ვარ! — ძალაუფლების დემონსტრირებით დასძინა.

— მე ამ ბინაში ცოლთან ერთად ვცხოვრობ! — ცივი, მუქარანარევი ხმით მიუგო ლევანმა, მაძებარმა კი ისევ ეჭვით ამათვალისწინა-ჩამათვალისწინა, მართალს მეუბნება თუ არაო.

— ძალიან კარგი... მახსოვს, ერთხელ ვილაც მწერალმა გადაგარჩინა, იმ ამბავს ვივინყებ და დღეიდან მეგობრები ვიყოთ!.. — მოძალადესავით შესთავაზა ბაბილოძემ და ბოლო სიტყვა ნერვებმომშლელად განვლა.

მივხვდი, რომელ ამბავსაც გულისხმობდა და ჯერ უკმაყოფილების ნიშნად ზურგი ვაქციე, მერე შემოვტრიალდი და გაპანლურების სურვილით მივაჩერდი.

— ბაბილოძე, ვილაც ქაჯი არ გეგონო, საკუთარი ლანდის რომ ეშინია, წადი, ძაო, ბოროტ-მოქმედებს სდიე... ჩემთან ნუ იქექები, თორემ, ქათამმა რაც გამოქექა, კარგად მოგესხენება!..

— თავის კანტურით უთხრა ლევანმა და თვალე-ბი გაუსწორა.

— ყოჩად, ლევან, დამუქრებაც გცოდნია! —

უკან დახვევა ამჯობინა ზორბამ და დაყვავებით დასძინა: — დამშვიდდი, იმაზე მიპასუხე, წუხელ სროლის ხმა ხომ არ გაგვიგია?

— არა!

— ესე იგი, მოწმედ არ გამოდგები!.. — დაცინვით წარმოთქვა ბაბილოძემ.

მაძებრის ბინიდან მიბრძანების სურვილი კვლავ შემომიჩნდა, თუმცა ხმას არ ვიღებდი, ლევანი ლაპარაკში ჩარევას არ მომიწონებდა, თავზე რატომ მახტებო.

— რა მოწმეობაზეა საუბარი, არაფერი გამიგია-მეთქი! — მშვიდად მიუგო.

— კეთილი და პატიოსანი... — ფამილარულად გამოცრა მაძებარმა და კარისკენ შებრუნდა. — გაბედნიერებას გილოცავ, ლევან... და გირჩევ, ხელში არ ჩამივარდე!

— მოლოცვისთვის მადლობთ... რჩევით კი, პირიქით გირჩევ, ამ ბინის არსებობა საერთოდ დაივიწყე, მყუდროება არ დამირღვიო!.. — მტკიცედ მიუგო ლევანმა და ზღურბლთან შეყვინებულ ბაბილოძეს შემოტრიალება აიძულა.

— ლამის სამ საათზე, თქვენი სადარბაზოს წინ, ორი ვერელი ბიჭი მანქანაში ჩაცხრილეს, ჭურში გეძინათ?.. — გამომწვევი ირონიით იკითხა მან და გულისყური ისე ფაქიზად მოგვაპყრო, თითქოს ხავსს მოეჭიდა.

ლევანს ჩაეცინა.

— ჭურში კი არა, ლოგინში გვეძინა და ვერც იმ მიზეზს აგისხნით, რაც გარეთ ხდებოდა, რატომ არ გვაინტერესებდა!..

მაძებარს უნდოდა ჩაეღიმა, თავი გაიქცინა, „ყველაფერი გასაგებია!“ ჩაიბურღლუნა და სადარბაზოში გაუჩინარდა.

ორივეს გაგვეცინა.

„ცხოვრებამ მყუდროება დაგვირღვია და საექვო განზრახვის მქონე უბნის ინსპექტორი მოგვივლინა!“ სინანულით ჩაილაპარაკა ლევანმა და ხელი მომხვია.

მეორე დღეს სახლიდან გავიდა, მივდგებმოვდგები, საქმეს გამოვნახავო.

ეს იყო ჩემი ქმრის პირველი ნაბიჯი, რასაც პირველი ლოდინი და დაძაბული ფიქრები მოჰყვა, რომელიც, ალბათ, დღითი დღე გახშირდებოდა...

XX

სევასტოპოლის ქუჩაზე უამრავი ხალხი ირეოდა; მაძებრებს საქმიანი გამომეტყველება ჰქონდათ; შემთხვევით გამვლელები კი სინანულით აქნევდნენ თავს, სისხლიან ასფალტსა და მიმოფანტულ მინის ნამსხვრევებს ჩვეული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ.

ტატოს დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე, მანქანით მომაკითხა, გაბედნიერება მომილოცა და პირდაპირ მცხეთისკენ გამაქანა; როცა სიტყვა სამსახურზე ჩამოვუგდე, კმაყოფილებით შემომხედა და, „ცოტა უნდა მადროვო, მამაჩემს იქნებ მერიაში გავახერხებინებო რამე!“ მეგობრულად შემპირდა; „ცოდნით თავი ნამდვილად არ მისკდება და არც დიპლომი მიობდება კარადში, მაგრამ რასაც დამავალებენ, ვეცდები, თავი არ შევირცხვი“ დამნაშავესავით ჩავილაპარაკე და მტკვრის ხეობას გავხედე; ტატოს ჩაეცინა, „ცოდნა და დიპლომი ჩვენ დროში რა საჭიროა, მთავარია კომპიუტერი იცოდე, ძმაო!..“ მხიარულად თქვა და მანქანა მტკვარზე

გადამდგარი რესტორნის წინ გააჩერა.

მცხეთიდან კიაზოსთან შევიარე, მოტოციკლს არემონტებდა, მხიარულად შემხვდა, „ახლა ულლიანი ბიჭი ხარ!“ სიცილით მითხრა და ცოლის შერთვა მომილოცა, სახლში შემიპატიჟა, ამოიჩემა, თითო ჭიქა დავლიოთო; არ ვქენი, ლელა მარტოა, შეემინდება, დაღამებამდე სახლში უნდა მივიდე-მეთქი.

ლელამ დიდი ხნის მონატრებულებით გამილო კარი, კისერზე ჩამომეკიდა, „იცოდე, დიდხანს არ დამტოვო!“ პატარა გოგოსავით ჩამჩურჩულა და თვალებში გამომცდელად მომაჩერდა, თითქოს დანაშაულში უნდა ვემხილე.

ტატოსთან შეხვედრის შესახებ ვუამბე, მამამისი ქალაქის მერია და სამსახურს შემპირდამეთქი.

გვიან ჩაგვეძინა; რალაც უსიამო სიზმარმა გამომალვია, სარკმელს გავხედე, სიჩუმისა და სიბნელის მიხედვით დავასკვენი, შუაღამე უნდა ყოფილიყო; ვერის სასაფლაოზე უჩვეულო დუმილი სუფევდა, ქარი ხის ტოტებს უმნეოდ არხევდა.

ლელას ჩემს მკლავზე ედო თავი და მშვიდად ეძინა, ელიმებოდა, თითქოს სიზმარში მფარველ ანგელოზს ხედავდა; ფიქრებმა წამილო, ერთი მხრივ, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ იმასაც კარგად ვხვდებოდი, ამ ბედნიერებამ დიდი საზრუნავი გამიჩინა და ამაფორიაქი; ადრე სულ ვოცნებობდი, ოღონდაც ლელა ჩემი გამხდარიყო და არაფერს შევუშინებოდი, მეგონა, ყველაფერს მოვაგვარებდი და ცხოვრებას ადვილად გავუმკლავდებოდი; ახლა კი ამკარად ვხედავდი, ჩვენი სიყვარული გარკვეულ წილად ყოფითსა და სოციალურ პირობებზეც იყო დამოკიდებული, ძალ-ღონე არ უნდა დამეშურებინა და მომავლის უზრუნველსაყოფად ყირაზე დავმდგარიყავი, ეს ყველაფერი რომ გავიაზრე, საგონებელში ჩავვარდი — განა თავს დავზოგავდი ან შრომას ვითაკილებდი, წყალში ჩავდგებოდი და მოშურნის გულს არ გავახარებდი; ლელას სიტყვები გამუდმებით მახსენდებოდა: თუ ჩვენი სიყვარული გინდა შეინარჩუნო, თადარიგი დროზე დაიჭირე და ცხოვრებას ალლო აულე“-ო; კი ავულებდი ალლოს, მაგრამ, ქვეყანაში არეული ვითარება იყო, ძალლი პატრონს ვერ ცნობდა, პატროსანი კაცი თავს და ბოლოს ვერ იკებდა.

ჩემს ქონებრივ თუ სოციალურ შესაძლებლობებს რომ გადავხედე და ქალაქის რჩეულ საზოგადოებას თავი შევადარე, წინსვლის სურვილი თითქოს დავკარგე, ჩემი საკეთებელი ვერაფრით წარმოვიდგინე; ამ ქვეყანაში სამუშაო ადგილს ძნელად იშოვიდი, ხელისუფლებაში მოხვედრის სურვილით გააქტიურებულ ახალგაზრდებში კი, სხვადასხვა პარტიაში რომ ერთიანდებოდნენ და დაპირისპირებისა თუ ლანძღვინების მეტს არაფერს აკეთებდნენ, ვერაფრით გავერეოდი.

„ღმერთო ჩემო, შევძლებ?“ ტანში უსიამოდ გამაჟრჟოლა, „სიყვარული რომ დავკარგო?“ მიშმა ელვასავით დამიარა და ლელას დავხედე; ბავშვივით ამოიხვენემა, თითქოს ჩემი შეშფოთება იგრძნო და გულუბრყვილოდ გამიღიმა; „თუნდაც სიცოცხლის ფასად დავიჯდეს, იმედი არასოდეს გაუცრუო!“ იღუმალმა ხმამ ყურში ჩამნივლა და უნებლიეთ სინდისის ქენჯნა ვიგრძენი: თურმე მწარედ ვცდებოდი, ცხოვრება ადვილი

მეგონა და ამაში ლელასაც ვარწმუნებდი.

ხელი გამოვაცურე და მიძინარეს ბალიში გა-
ვუსწორე — უხმაუროდ წამოვდექი, აივანზე
ფეხაკრეფით გავედი და სიგარეტს მოვუკიდე;
იდუმალეობით მოცულ სასაფლაოს ფიქრიანად
მივაჩერდი და რატომღაც მესაფლავე კარაპეტას
უიღბლო სიყვარულის ამბავი გამახსენდა, მერე
თითქოს მისი სადღეგრძელოც ყურში ჩამესმა
და ერთმანეთის მოსიყვარულე, მოხუცი ცოლ-
ქმრის ბედი ვინატრე; ამ დროს ოთახიდან ფა-
ჩუნი მომესმა, ვიძრე გონს მოვეგებოდი, ნელზე
ლელას ხელები ვიგრძენი, თავი ზურგზე მომადო
და ისე გაიტრუნა, თითქოს ძილი ჩემს ბეჭებზე
განაგრძო — უჩვეულო სითბომ დამიარა, უსი-
ამო ფიქრები მაძინვე დამავიწყდა, საყვარელ
არსებას ფრთხილად მოვუბრუნდი, წამოვზიდე,
ხელში ავიყვანე და ერთხანს ვარწიე, თითქოს
აკვანში ვაძინებდი, მერე შეზლონგზე დავანვინე
და ნაზად ვაკოცე — ჩემზე ბედნიერი ადამიანი
ამქვეყნად არ არსებობდა, სასაფლაოზე და-
ვანებული მყუდროება და უსიცოცხლობა მთე-
ლი არსებით მაღიზიანებდა — მიცვალებულთა
გამოფიზილებისა და მათი სიმშვიდის დარღვე-
ვის სურვილი მიპყრობდა, მკვდარსაც მინდოდა
გაეგო: მე და ლელა სიყვარულში პირველები
ვიყავით და ვერაფერს გვეცდობოდა, დიდება და
სიმდიდრე არაფრად გვეცდობოდა...

აივანს გრილი ნიავი უქიქინებდა, თითქოს
ჩვენს სუნთქვას აძლიერებდა — ჩვენი სხეულე-
ბი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან მიახლოე-
ბას გრძნობდა და შიშის დაძლევის ცდილობდა,
მერე ჩვენი სულების იდუმალი მერწყმა დაიწყო
და მალე დაამებული ტკივილიდან მარადიულო-
ბის წამიერ გაეღვებაში გადაეშვა, ყველაფერი
სიყვარულის შეცნობით დასრულდა...

დილით, ვიძრე სახლიდან გავიდოდი, ლელამ
შემამოყვანა, მკერდზე მომეხუტა და მორიდებით
მითხრა:

— გუშინ ინეზამ დამირეკა... — ვიცოდი,
დედამისის დაქალი იყო, — ელენე შეუძლოდ
არისო... — მრავლისმეტყველად ამომხედა, ხომ
არაფერი ენყინაო.

უხერხულად შევიშმუშენე.

— მერე და ინახულე, როცა გინდა, დამიკავ-
შირდი, მოგაკითხავ და შინ წამოგიყვან... — მშ-
ვიდად მივუგე, ვაკოცე და გარეთ გამოვედი.

ტროტუარს ფეხით მივუყვებოდი, ისეთი
განცდა მეუფლებოდა, თითქოს ჩემი და ლელას
სიყვარული მალე დასრულდებოდა — დედამისი
ჩემთან აღარ გამოუშვებდა, გონებას აუძღვრე-
და, ჩემი საყვედურებით აავსებდა... მოკლედ,
უაზრო ეჭვებმა შემიპყრო და მოსვენება და-
მაკარგვინა; უკან მივბრუნდი, უჩემოდ ვერსად
გავუშვებ-მეთქი, დავასკენი; კარი შევალე და
ოღნავ გაკვირვებულს გამომცდელად მივაჩ-
ერდი, მისმა თვალებმა დამარწმუნა, არასოდეს
მიმატოვებდა. „რა მოხდა?!“ შიშით მკითხა და
ჩემკენ გამოექანა; „არაფერი, მინდა, ვაკოცო!“
დამნაშავესავით მივუგე და მთელი არსებით ვი-
გრძენი, ამქვეყნად სხვა არაფერი მინდოდა; შვე-
ბით ამომხედა და ჩემს მკლავებში მომწყვდეულ-
მა კისერი ნებიერად გადაკიდა...

თითქოს ცხოვრების გაუტანლობას ერთ-
მანეთის ალერსის ვებრძოდით, მე მის არსებაში
საკუთარი თავის დამკვიდრებას ვცდილობდი
და ამით ყოველგვარ შიშს ვძლედი; ლელა ბო-
ლომდე მენდობოდა, მამშვიდებდა, სიყვარულს

უშურველად მინანილებდა და ცხოვრებასთან
შეგუებას უმტკივნეულოდ მაჩვენებდა.

მთავრობის სასახლის წინ ათასობით ადამი-
ანს მოეყარა თავი; მიტინგს რევოლუციური პა-
თოსი გასდევდა, ვილაცას რეპროდუქტორი მო-
ემარჯვებინა, არსებულ ხელისუფლებას თავის-
უფალი სიტყვისა და სამართლიანი ტელევიზიის
დისკრეტიზაციაში ადანაშაულებდა — ვიძრე
მთავრობა უკან არ დაიხვეს, ერთად ვიდგეთო,
მომიტინგეებს მოუწოდებდა.

ქვაშეთის ტაძარს გვერდი ავუარე, ერ-
თიანი სულისკვეთებით თავშეყრილ ადამიანებს
რალაცნაირი შურით გავხედე და სინანულით
გავიფიქრე: „რა ბედნიერები არიან, თითქოს
სხვა საზრუნავი არ აქვთ, ცხოვრებას საპრო-
ტესტო გამოსვლებით ებრძვიან, სინამდვილეში
თავს იტყუებდნენ, მხოლოდ პოლიტიკური პარ-
ტიების წარმატებისთვის ირჯებოდნენ, ყვირილის
მეტეხი არაფერი მერჩებათ!“ მე კი თავის მოტყუე-
ბა არ შემეძლო და მსგავსი „უპირატესობით“
ვერ ვისარგებლებდი.

ბაჩოს მივაკითხე, გაუხარდა, თემო
რუსთავის კოლონიაში გადაიყვანესო, მითხრა
და სასაუბრეში შემიპატიჟა, თითო ჭიჭა დავ-
ლიოთო; ბავშვობა მოვიგონეთ და გურამჩიკას
ხსოვნის სადღეგრძელო შევსეთ — სიყვარულ-
ზე ვილაპარაკეთ; მალე უსტო შემოგვიერთდა,
„ყველაზე ბრძნული გადანყვეტილება, ცოლის
შერთვაა!“ სიცილით მითხრა და მხარზე ხელი
მომხვია; სასაუბრეში კარგა ხანს დავყავით და
საგრძნობლად შევზარხოშდით.

ლელამ დამირეკა, „ლალიძის ნყლებთან“
გელოდებო; ბიჭებს გამოვეთხოვე, ჯვრისწერ-
აზე აუცილებლად მოგიწვევთ-მეთქი და,
რუსთველის გამზირისკენ გავუყვივი.

ვერის აღმართი ფეხით ავიარეთ; პირველად
მხედავდა ნასვამს, არაფერს იმჩნევდა, ფარუ-
ლად მაკვირდებოდა, ცუდი სიმთვრალე ხომ არ
იცისო — დედამისის მეგობრების ამბავს მიყე-
ბოდა, ინეზამ სიცილით დავგვოცაო.

ვუსმენდი და, მიწაზე კი არა, ღრუბლებ-
ში დავაბიჯებდი, ყველა სადარდებელი მავი-
წყდებოდა, ცხოვრების ხმაურსა და გაუტანლო-
ბას უკან ვიტოვებდი, ნაბიჯ-ნაბიჯ იმ სასურველ
ბუნავს ვუახლოვდებოდი, სადაც სიყვარული და
თავდავიწყება მელოდა...

ასე გადიოდა ხანი, დღე დღეს მისდევდა და
ღამე — ღამეს, დილით სახლიდან გავდიოდი,
ხან კიაზოს ვაკითხავდი, ხანაც — ამიკოს, ერ-
თი-ორჯერ ტატოც ვინახულე, „არაფერი შემახ-
სენო, გულმავინცი არ გეგონო, მამაჩემი საქმის
კურსშია და ყველაფერს გაგიკეთებს!“ იმედი-
ანად მითხრა და მოთმინებისკენ მომიწოდა.

ლელა დედასთან ხშირად დადიოდა, ხელ-
ცარიელი არასოდეს ბრუნდებოდა, სანოვანე
და ოჯახისთვის საჭირო ნივთები მოჰქონდა;
დედა-შვილის ურთიერთობას წინ ვერაფრით
აღვუდგებოდი, ცალკერძ კი ვნერვიულობდი,
კანში ვერ ვეტეოდი, როცა მასთან წავიდოდა,
თავს გარიყულად ვგრძნობდი — თითქოს მე
და ელენეს შორის იდუმალ ქიშპობას ბოლო არ
უჩანდა, „რა მოხდებოდა, მეც მათთან ერთად
ვიყო?..“ ნაღვლიანად ვფიქრობდი და ძალაუნე-
ბურად ლელას ვადანაშაულებდი; როგორც კი
ჩემ გვერდით დავიგულებდი, წყენას ვივინყებდი
და მისი სიყვარულით ვივსებოდი.

ორი თვის შემდეგ სასიხარულო ამბავი შევი-

ტყვეთ: ლელა ფეხმძიმედ იყო!.. უნდა გენახათ, როგორი ბედნიერები ვიყავით, უაზროდ ვმხიარულობდით, ოცნების კომპებს ვაგებდით, მუცელს, რომელშიც ჩვენი სიყვარულის ნაყოფი ფეთქავდა, წმინდა ადგილივით დაფრეებოდით, ყურს ვუგდებდით და ხელით ვსინჯავდით, იქნებ შვილის არსებობა შევიგრძნოთო — გასაოცარ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით და ქვეცნობიერად მშობლობისთვის ვემზადებოდით.

ლელას ბოლო დროს სიზანტე დაეტყო, ფეხით სიარული აღარ მახალისებდა, ჭირვეულობდა, უკვე დედამისის სადარბაზოსთან ვაკითხავდი და შინ ტაქსით მომყავდა — ჩემი ყურადღება და სიფრთხილის გამოჩენა ბავშვივით სიამოვნებდა; არაფერს ვიმჩნევდი, ისე, გულზე ვსკდებოდი, ელენე აივნებიდან ადმოიხედავდა, ლელას რაღაცას შეახსენებდა, მე კი არაფრად მაგდებდა, თითქოს არც მამჩნევდა; მის გულგრილ დამოკიდებულებას მოთმინებიდან გამოვყავდი, თითქოს ლელაც მის მხარეს იჭერდა, ამ გაურკვეველ უთანხმოებაზე საყვედურის თქმას ერიდებოდა, პირველ ნაბიჯს მე გადავდგამდი, ელენე ხელს გავუწვდიდი და ყველაფრისთვის პატიებას ვთხოვდი, მაგრამ ამის საშუალებას არავინ მაძლევდა — თითქოს შეუწყნარებელი ცოდვა ჩამედინოს.

„ჯვრისწერამდე მოვითმინოთ, ბავშვიც გვეყოლება და დედაჩემთან თავსთავად მოგვარდება ყველაფერი!“ მეუბნებოდა ლელა და დამამვიდებლად მიღიმოდა.

ბებიაჩემის დატოვებული თანხა თანდათან შემოგვევლია; ზოგჯერ ლელა სახარჯო ფულს დედამისს ართმევდა, გასაჭირს არ იმჩნევდა, არ ნუნუნებდა, ჩემი იმედი ჰქონდა და მშობლის გადაჭარბებულ ყურადღებას დასაყვედრებლად არ იხდიდა; ვერ ვენიანალმდეგებოდი, დედაშენის დახმარება არ გვინდა-მეთქი და, ვერც გამოუვალ მდგომარეობას ვუმკლავდებოდი — უხერხულად ვდუმდი და სირცხვილით ვინვოდი, სიდედრის კმაყოფაზე როდემდე უნდა ვყოფილიყავი...

იმ დღეს ამიკოს მივაკითხე, უგუნებობა შემატყო, „კიაზოსთან ერთად საქმეზე მივდივარ და ხომ არ წამოხვიდოდი“-ო, მეგობრულად შემომთავაზა და ისე შემწყნარებლურად შემომხედა, საკუთარი თავი შემეცოდა; მალე კიაზოც მოვიდა და ჩემი ნაყვანის სურვილი იმანაც გამოთქვა, „ერთ ვაზისუბნელ კაცს ჩემი ნათესავი ქალის ფული მართებს, ათი ათასი დოლარი ხელიდან ხელში აუღია, საქმეში დაგიბანდებ და მოგებიდან ყოველთვიურ სარგებელს გადაგიხდიო, გაუბრძვივებია თაღლითს!..“ მიყვებოდა კიაზო და ამიკოს აჩქარებდა, დროზე თორემ დაგვაგინებდაო; მოკლედ, წინა კვირას ამიკოს და კიაზოს ის კაცი უნახავთ: „ორი წელია უკვე ამ ქალის ფულით ცხოვრობ, სარგებელს არ გთხოვთ, თავი ფული მოიტანე, თუ არ გინდა შენმა ცოლ-შვილმა დაინვალიდებული გიხილოს“-ო, დამუქრებია; „რუსეთში ხუთი ვაგონი დაბეჭდილი ღვინო უნდა გაგვეგზავნა, მაგრამ ერთმა სახელმწიფო მოხელემ გადაგვაგადო“-ო, ატირებულა კაცი; ბიჭებს ნაუყრუბითაო, „ამ ქალბატონის ფულს როდის გადაიხდი“-ო, მკაცრად უკითხავთ; რადგან სარგებელს არ მთხოვთ, თავ ფულს უსიკვდილოდ დაგახვედრებთო, ორი კვირა უთხოვია იმას.

— მერე, მე რა საჭირო ვარ? — თავშეკავე-

ბით ვიკითხე.

„თუ იმ ქალმა რამე გვინილადა, ძმურად გავიყოთ, თუ არადა, ღმერთმა შეარგოს!“ მომიგეს ბიჭებმა და მაიძულეს, ამაზე სიტყვა აღარ დამცდენოდა.

ამიკოს მანქანაში ჩავსხედით, თავისუფლების მეტროსთან კიაზოს ნათესავი ქალი გველოდებოდა, გავუარეთ და ვაზისუბნისკენ გავემურეთ; მეუხერხულეობდა, საქმეში არავითარი წვლილი არ მიმიძლოდა — გულის სიღრმეში კი ხარბივით ვფიქრობდი, ნეტავ ის კაცი ფულს გადაიხდიდეს და, ეს ქალი კიდევ გულუხვობას გამოიჩენდეს-მეთქი.

მანქანა ცხრასართულიანი კორპუსის სადარბაზოსთან გაჩერდა; ბიჭები ქალთან ერთად ძირს გადავიდნენ; მე მანქანაში დარჩი და სიგარეტს მოვუკიდე, მობეზრებით გავაბოლე — ბოლომდე მოწეული არ მქონდა, მანქანის კარი გაიღო და კიაზო გვერდით კმაყოფილი სახით მომიჯდა. „სიტყვის კაცი ყოფილა!“ ირონიულად გამოცრა; ამიკომ მანქანა ადგილიდან დაძრა; კმაყოფილი ქალი ლერმონტოვის ქუჩაზე მივიყვანეთ, მანქანიდან გადასვლის წინ, მადლობა გადაგვიხადა და კიაზო ცალკე გაიხმო, რაღაც უნდა გითხრაო; მანქანაში დარჩენილები უჩვეულო მოლოდინით ვდუმდით, ნუნუნს, რა თქმა უნდა, არ მოვყვებოდით, მაგრამ, იმედის გაცრუების შემთხვევაში, ხასიათი ნამდვილად ნაგვიხდებოდა.

კიაზომ მანქანის კარი გამოალო და, „რიყზე, რესტორანში წავედით, ძმებო!“ მხიარულად თქვა.

ვიდრე ოფიციალტი სუფრას გააწყობდა, ბიჭებმა 1500 დოლარი გადმომცეს და, ალაღად მოიხმარეო, მითხრეს, თვალებს არ დაუუჯერე, ამდენი რა საჭიროა-მეთქი, ყოყმანით წარმოვთქვი; „იმ ქალმა 3000 ათასი გვინილადა, ჩვენ ამის ნახევარს ვიმყოფინებთ, ახალმოყვანილი ცოლი გყავს და უპირატესობას განიჭებთ!“ ღიმილით მომიგეს და საყვედურით მომაჩერდნენ, ფული ჯიბეში ჩაიდუო.

გვიანობამდე მოვილხინეთ.

მეორე დღეს ლელას ოქროს ყელსაბამი და ბრილიანტის ბეჭედი ვუყიდე; სარკის წინ აღტაცებული ტრიალებდა, ხან ბეჭედს დახედავდა, ხან — ყელსაბამს, თითქოს სიზმარ-ცხადში იყო.

მეც უზომოდ ბედნიერი ვიყავი.

ბოლოს, თითქოს გონს მოეგო, სარკიდან მრავლისმეტყველი ღიმილით გამომხედა, გამომცდელად მკითხა: „ეს ძვირფასეულობა საიდან?“ და ოქროს ყელსაბამი ფრთხილად მოიხსნა.

ყველაფერი ვუამბე.

მონყენილი გაეცალა სარკეს და თვალებში გაუთვითცნობიერებული შიში ჩაუდგა.

— იმ კაცს პოლიცია რომ დაეხვედრებინა? — კარისკენ ისე გაიხედა, თითქოს მაძებრების თავდასხმას ელოდა.

გამეცინა.

— პოლიცია რა შუაშია, როცა ფულის პატრონი თან გვახლდა!.. — ავუხსენი.

— ასეთ ფულს დანაშაულის სუნი უდის! — ჯიუტად მითხრა.

ისევ გამეცინა.

— დანაშაულს მაშინ ჩადიხარ, როცა ადამიანს საკუთარ ქონებას ართმევ!

ერთხანს ხმა არ გაუღია, თითქოს წონიდა,

რამდენად საძრახისი ძვირფასეუ-ლობა მოვე-ტანე.

— ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს-ეს-აა ბაბილოძე შემოგვიღებს კარს და რალაცაში დაგადანაშაულებს!.. — ფიქრიანად ჩაილაპარაკა და წყლიანი თვალები მომაპყრო.

— ბაბილოძემ საკუთარი მამა დაადანაშაუ-ლოს, ამქვეყნად რატომ გამაჩინეო! — მიუვუგა გაბრაზებულმა.

— იმ პატარა იარაღზე რას იტყვი?.. — „ბე-რეტა“ იგულისხმა და მზერა კარადისკენ მიმარ-თა.

სინანულით ჩამელიმა.

— ეს მეგობრის ნაჩუქარია... ძღვენია, მეტი არაფერი!

— არ შეგიძლია, ისე იცხოვრო, სიმშვიდე არ დამირღვიო?.. — მიამიტურად მომაჩერდა.

— როგორ უნდა ვიცხოვრო?.. — უნებლიეთ ხმას ავუნე, ლელა შეკრთა და თითქოს მოი-ბუზა. — და, საერთოდ, თქვენ წინაშე როდემდე უნდა ვიმართლო თავი?.. ლამის დამნაშავედ გამომაცხადოთ!.. — დედამისს გადავწვი, — ყველაფერი მომბეზრდა, აღარ ვიცი, რა ვქნა!.. — საგონებელში ჩავარდნილივით დავძინე.

— მეშინია, ხიფათს არ გადაეყარო... გამუდ-მებით ამაზე ვფიქრობ!.. — კარგა ხნის შემდეგ დაარღვია ღუმლი.

— რატომ?.. რატომ უნდა გადაეყარო ხი-ფათს?.. რა ამოჩემებაა?.. ხიფათის შესახებ გამუდმებით თუ იფიქრე, მის საშიშროებას ვერსად ნაუხვალ!.. სახელმწიფო მოხელე რომ ვიყო, ადვილი შესაძლებელია დასაჭერი საქმე გამიჩალიჩონ... პოლიციაში რომ ვმუშაობდე, დავალებაზე გამგზავნიან და იქნებ ბოროტმო-ქმედის ტყვიამ მიმსხვერპლოს... მეზღვაური რომ გავხდე, იქნებ გემი ოკეანეში ჩაიძიროს და, საერთოდ, ადამიანი არასოდეს არის დაზღვეუ-ლი... ახლა, მიწისძვრა რომ მოხდეს, ორივე ნან-გრევებში მოვეყვებით!.. — თვალები ისე მქონდა გადმოკარკლული, ლელას უნებლიეთ სიცილი აუტყდა, ცოტა გამხიარულდა და მსწრაფლ მოი-წყინა.

— არაფერი მინდა... — სამკაულები მოიხ-სნა, სარკის თაროზე დააწყო, — არაფერი!.. არ შეიძლება, განმარტოვებით ვიცხოვროთ, არა-ვინ გვანუხებდეს?.. არ მინდა პრივილეგიები!.. სადმე, დაბურულ ტყეში, პატარა ეზო და სახლი, ქალ-ვაჟი და თეთრი ძაღლი... აი, მთელი ჩემი ოცნება!.. — თვალები აუციმციმდა, მუცელზე უჩვეული სინანულით დაიხედა.

თვალები ამიწყლიანდა.

ვერის სასაფლაოს თანდათან ლამის ბინდი ეპარებოდა, თითქოს სიცოცხლე ისვენებდა და ასპარეზს სიკვდილის იდუმალებას უთმობდა.

მე და ლელა ერთმანეთის აღერსით ვტკბე-ბოდით, გარდა სიყვარულისა არაფერი გვახსოვ-და — არც სიცოცხლეზე ზრუნვა და არც სიკვდი-ლის შიში.

XXI

დედაჩემი ერთ საყვედურს არ მეტყოდა, თუმცა ისეთი დარდიანი გამომეტყვე-ლება ჰქონდა, თითქოს ვენანებოდი და ცოცხალს მგლოვობდა.

ჩუი სიხარულით მეგებებოდა, ფეხებში მებ-ლანდებოდა, იატაკზე გაგორდებოდა და მოფე-

რებას მთხოვდა.

ინებას, ნონას და ხათუნას ხშირად ვნახუ-ლობდი, ისე მექცეოდნენ, თითქოს დაკარ-გული ვიყავი და ჩემი პოვნა უხაროდათ; ხათუ-ნას ჰოლანდიაში მიტოვებისთვის გულწრფე-ლად მოვუბოდიშე; „მაგაზე აღარ იდარდო“-ო, მეგობრულად დამამშვიდა; თითქოს ყველა ყველაფერს მპატიობდა, შემწყნარებლურად მექცეოდნენ — ლევანს კი თავდაჭერით ახ-სენებდნენ, ელენე არ გავანწყინოთო; დედაჩე-მის გარემოცვაში ყოფნა არასოდეს მბეზრდე-ბოდა, თუმცა ზოგჯერ ვინყენდი და მოსვენებას ვკარგავდი, თითქოს ეკლებზე ვიჯექი, ლევან-თან მინდოდა.

მასთან ყოველთვის საკუთარ თავს ვგრძნობ-დი, დედაჩემთან კი — გაორებას.

მშობელს ხშირად უჩვეულო შემფოთებას ვატყობდი, „შენ გამო ვშიშობ, ნუხელ ცუდი სიზმარი ვნახე!..“ ამოხვრით მეტყოდა ხოლმე; „კარგი რა, დედა!“ მსუბუქად ვსაყვედურობდი: „რისიც გეშინოდა, ის უკვე მოხდა, ლევანზე გავთხოვდი!“ სინანულით შემომხედავდა, „შენი დაკარგვის შიში მაქვს, შვილო!“ ამოჩემებული-ვით მიმეორებდა და ჩემს გაკვირვებას ინვევდა; ლევანს იშვიათად ახსენებდა, არც საყვედუ-რობდა და, არც მასთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამდა; ზოგჯერ გაურკვეველი ეჭვი მიპყრობდა, ადამიანს, რომელიც მე მიყვარს, რატომ არ ენდობა-მეთქი; თუმცა მომავლის იმედს ვიტოვებდი, ჯვრისწერა გვექნებოდა და ამ გაუგებრობას ბოლო მოეღებოდა.

ლევანს თითქოს ბედი წყალობდა — ცოტა-ოდენ ფულს შოულობდა; კანონს არ ვარღვევ და შემოსადავებელსაც არაფერს ვაკეთებო, მარ-ნმუნებდა; „09“ მარკის ჟიგული იყიდა, ინსტი-ტუტშიც მივყავ-მოვყავდი და დედაჩემთანაც მაკითხავდა; თითქოს არაფერი გვიჭირდა, მშ-ვიდად ვცხოვრობდით, მაგრამ ზოგჯერ გაუთ-ვითცნობიერებული შიში მიპყრობდა და მასთან უსიამოვნო საუბარი მქონდა — უნებურად უაზ-რო კამათში ვინვევდი.

დედაჩემს ლევანის მოხერხებულობა თითქოს მოსწონდა, კაცი ოჯახის მარჩენალია და სარჩოს მოსაპოვებლად კლდეზეც უნდა აც-ოცდესო; ოქროს სამკაულებიც ფარული კმაყო-ფილებით შეათვალიერა და, ვგრძნობდი, სიამ-ოვნებდა, მანქანით რომ დამატარებდა, ექიმ-თან კონსულტაციაზე დავყავდი და საორსულო კაბეცსაც თვითონ მიჩვენებდა.

იმ დღეს ბედმა გვიმუხთოლა: მანქანით ვაკის პარკისკენ მივსერილობდით, მოულოდნელად გზაზე ბიჭუნამ გადაგვირბინა, ლევანი სატერ-ფულს დაანვა და მანქანა დაამუხრუჭა, უნებუ-რად გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და კა-პოტით წადარს შეასკდა, მუხლი გადავიყვლიფე და შესამჩნევი ნაკანრი დამეტყო.



გვანცა
ქიქოძე

ლაბირინთი

ოთახი, კედლები და ერთი სარკმელი, სარკმელი სხივის, სარკმელი გარე სამყაროსთან კავშირის. ოთახი, კედლები, სამკუთხედები, ოთხკუთხედები, უჩვეულო ფიგურები და ლაბირინთი. დარბის გონება ამ ლაბირინთში, მაგრამ გასასვლელს, იმ გასასვლელს ვერ პოულობს, რომელიც სარკმლის იქით გაიყვანს და სხივს დაანახევებს, სხივს იმედის, სხივს მომავლის. სიბნელე, სიცივე, უიმედობა. ცხოვრება ისედაც ლაბირინთია. ოთახში მარტოს კი უფრო დიდი და ამოუცნობი ლაბირინთი გელობება წინ და გგონია, ამ ლაბირინთს თავს ვერასოდეს დააღწევ. მიუყვები ხაზებს, სამკუთხედებს, უჩვეულო ფერად ფიგურებს და მერე ყველა ერთმანეთში გერევა. გონებაც გეღლება და ამ თავსატეხს თავს ანებებ. მეორე დღეს ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

კედლები გიყურებენ ცივად, უსულგულოდ, ამაყად: — აბა, ეცადე და ჩვენს იქეთ გადი. ეს ჩვენა ვართ ლაბირინთი, ეს ჩვენა ვართ ის, რისი გადალახვაც შენ არ შეგიძლია.

მხოლოდ სარკმელი იღიმება, შუქს უშვებს ოთახში, კედლებზე მზის სხივი თამაშობს და შენც იმედი გეძლევა, იმედი იმის, რომ გარეთ არის სამყარო, მზით გამთბარი, ლამაზი და იმედით სავსე.

სხივს მიჰყვება გონება, გადის ყველა ლაბირინთს და სწვდება იმას, რისი მიახლოებაც წარმოუდგენლად მიაჩნია ყველას. სწვდება ყველას და ყველაფერს და აქ, აქ მთავრდება ყველა ლაბირინთი, ყველა გამოცანაც ამოხსნილია და გონებაც თავისუფლად დანავარდობს გამთბარი მზის სხივით, მომავლის იმედით, ეფერება ყველასა და ყველაფერს, გეფერება შენ და შენთან ერთად ლალად დანავარდობს ცასა და დედამიწაზე. შენთან ერთად გახარებული ივინყებს ოთახს, ლაბირინთს და ნეტარებას მიცემული გრძნობს, ხვდება იმას, რომ შეუძლებელი არაფერია. მოდის შენთან და შენთან ერთად მანდ, მაგ მარადიულ სასუფეველში დანავარდობს, შენთან ერთად გალობს, შენთან ერთად ბედნიერების წამებსა და წუთებს განიცდის.

ისევ სიცივე, ისევ კედლები და ოთახი რჩება თავისი ლაბირინთით. და ყველაფერი ახლიდან იწყება. გონება ახლიდან იწყებს ბრძოლას და ისევ სცდება ამ კედლებს, ოთახს და გადის იქ, სადაც სხივია, სხივი მომავლის, სხივი იმედის და სხივი, რომელიც შენთან მიიყვანს და ჩაახუტებს.

რჩება კედლები, ოთახი და სიცარიელე ცალკე, მარტო ამ სამყაროდან განცალკევებით. თუმცა კი ამ კედლებმა და ოთახმა გონებას ბრძოლის უნარი შემატა, უნარი სიცარიელიდან ლამაზ სამყაროში გადასვლისა, მიუხედავად ამ დიდი და საოცრად რთული ლაბირინთისა.

ჩანის და ჩახის საუბარი

— დავიღალე, — თქვა თებრომ და იქვე დიდ ქვაზე ჩამოჯდა.

— რა არის დაღლა?

— დაღლა? მუხლებში ძალი გეცლება, გული გეღლება, გონება, სული, მთელი სხეული.

— მერე?

— რა მერე, აღარც სიარულის თავი გაქვს, აღარც აზროვნების, თითქოს გული გიჩერდება. გრძნობ, როგორი დამძიმებული გაქვს სხეული, სული. ეს დაღლაა, დაღლილს კი არაფრის თავი აღარ გაქვს.

— მერე.

— რა მერე, ხარ ასე გარინდებული, თითქოს შენს ირგვლივ ყველაფერი გაჩერ-

და, არაფერი მოძრაობს, ყველაფერი გაყინულია.

— მერე.

— რა მერე, არ იცი, როდემდის იქნები ასე, როდის შეძლებ ნამოდგომას, ფიქრს, დამძიმებული სხეულის ტარებას.

— ჰო, ეგ ძნელი იქნება. აი, მე კი ძალიან ადვილად დავქრივარ, დავნავარდობ.

— შენ? — თებრომ ქარს შეხედა. — შენ რა დაგლოის, იმისთვის არ ხარ, რომ იქროლო, ინავარდო, არ დაასვენო არემარე?! აბა, შენ საიდან გეცოდინება, რა არის დალლა. შენ ხომ არასდროს იღლები.

— არა, მართლა არ ვიცი, უნდა ვიცოდე?

— კარგია, რომ არ იცი, მაგას რა ჯობია. ეს ჩვენ, ადამიანებს, გვემართება ასე.

— შენი სიტყვით, კარგია არა, რომ ადამიანი არ ვარ?

— რა გითხრა, შენთვის ასე ჯობია, უბრალოდ დაქრიხარ. ერთი კია, არც სიყვარული იცი, არც სიბრალული.

— მოიცა, მოიცა, როგორ არ ვიცი. აი, სიტყვა რომ მოდის, იცი, როგორ მებრალება ყვავილები?

— ეგ კარგია, გრძნობა გქონია შებრალების, შეცოდების.

— შენ, შენ, თებრო, თუ გეცოდება ვინმე?

— მე? — ჩაფიქრდა თებრო. — შესაცოდი ბევრია ამქვეყნად, ღმერთი ბევრს მფარველობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც არ სწამთ, გრძნობა არ გააჩნიათ სიბრალულის.

— როგორ, ადამიანებშიც არიან ასეთები?

— არიან და თანაც საკმაოდ ბევრნი, ასეთებს ეშმაკი ჰყავთ დაპატრონებული.

— აკი ღმერთით?

— ჰო, ღმერთი ყველასთვის არის, მათთვისაც, მაგრამ თვითონ არ სწამთ უფლის.

— მერე, მერე რა ხდება?

— მერე იწყება ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის.

— და რომელი ჯობის?

— არ ვიცი. თუ გნამს, ბოროტი ვერ მოგერევა, ვერ დაგამარცხებს, მაგრამ...

— თუ არა?

— ჰო, თუ არა, მაშინ თვით ბოროტება ჭამს ასეთ ადამიანებს.

— ცოდონი არიან არა?

— კი, ცოდონი არიან, რადგან არ ესმით, ვერ გაუგიათ, ვერ გაურჩევიათ კარგი და ცუდი ერთმანეთისაგან. იმიტომაც იტანჯებიან.

— რომ ირწმუნონ, ეშველებათ კი?

— აუცილებლად, მხსნელი თვით უფალია ჩვენი. რწმენას, სიყვარულს ყოველგვარი ბოროტების დამარცხება შეუძლია.

— და შენ, შენ, თებრო? ასე რომ ხარ შენ, რა, არ გნამს?

— კარგი კითხვაა, მნამს, რა თქმა უნდა, მაგრამ ბოროტი მებრძვის, თან ძალიან.

— მერე რა მოხდება, რა გიშველის?

— მხოლოდ და მხოლოდ რწმენა, რწმენა იმისა, რომ უფალი სულ ჩემთან არის და წყალობას არ მომაკლებს.

— ეგ კარგია, მაშ, ადექი თებრო, ადექი და გაიარე, ნადი, სადაც მიდიოდი, მე კი მეგზურად გამოგყვები, მიგაცილებ, თან ვისაუბროთ. აბა, რას იტყვი?

— ჰო, ასე აჯობებს.

თებრო, როგორც იქნა, ნამოდგა, ნელა გადადგა ნაბიჯები და გაიარა, თითქოს დამსუბუქდა კიდეც, აზროვნება დაუბრუნდა.

— იცი, კარგია, რომ შემხვდი, მესაუბრე.

— მართლა? ამით რა მოხდა?

— შემეშველე ფეხზე დადგომაში, სწორად აზროვნებაში და ღმერთმაც წყალობა გაიღო ჩემზე. იცი, სიტყვას დიდი ძალა აქვს.

— სიტყვას? განა რა ძალა შეიძლება ჰქონდეს სიტყვას, ის ხომ უბრალოდ ითქმის?

— არა, უბრალოდ არ ითქმის, მას საოცარი ძალა აქვს, არ გაგიგია: „პირველად იყო სიტყვა“.

— ჰო, „პირველად იყო სიტყვა“. კარგია.

თებროს თმები აუჩქრა, გაეთამაშა და სახლამდის მიაცილა.

ფოთოლი

შემოდგომის სუსხიანმა ქარმა დაუბერა. ხეები სიცივისგან მოზუზულიყვნენ. ფოთლები ლამაზი ბზრიალ-ტრიალით მოფრინავდნენ.

ეჰ, გაზაფხულზე რა ლამაზი ვიყავი! — ფიქრობს ფოთოლი. — ახალგაზრდა, ნორჩი, მწვანედ ელვარებდა ჩემი ფერი და გაშლილ ყვავილებს ეალერსებოდა. მცხუნვარე მზემ გამახმო, ფერიც შემიცვალა, წითელ-ყვითელი ფერებით ელვარებს ახლა მთელი ტყე. რა მოხდებოდა ამ ცივი ზამთრისთვის გამეძლო და გაზაფხულს მეც შევგებებოდი, მაგრამ რას იზამ, ასეთია დედაბუნება. თითქოსდა დავბერდი, ძალა გამომელია, ერთი ბენო ნიავის დაბერვისასაც კი შიშით მიკრთის გული, სადაცაა ყუნწში მომწყვეტს ნიავი და დაბლა გადმომისვრის.

ამ ფიქრში იყო ფოთოლი და ქარმაც დაუბერა. აცახცახდა, შეკრთა.

— ნეტავ გადავრჩებოდე ამ ქარს, არ მინდა ძირს დაცემა, დაბლა დაცემულს ადამიანი ადვილად შეგდგება ზედ, ისე გადაგივლის, არც კი იფიქრებს, რომ გტკივა. გაივლის და წავა. სანამ მალლა ხარ, მალლიდან იყურები, გგონია არაფერი და ვერაფერი მოგერევა, თვით შენი მშობელი ხე გიფარავს

ყველაფრისგან. მაგრამ დგება დრო, როდესაც ეს უზარმაზარი მუხის ხეც კი უსუსური რჩება. თითოეული ფოთლის ჩამოგდება და ძირს დაცემა გულს უკლავს. შიშვლდება, ასე ელოდება გაზაფხულს იმ იმედით, რომ ისევ შეიმოსება და გალამაზდება.

მთელი ზამთარი ტოტებანვდილი ევედრება ღმერთს, რომ გაზაფხულზე ისევ სული შთაბეროს და კიდევ ერთხელ გააცოცხლოს. ხე კი შეხვდება გაზაფხულს დიდი სიხარულით, მე ფოთოლი ვარ და ასე შეშინებული ველოდები იმ წამს, როდესაც ჩემი ჯერი დადგება. შორს მაინც არ წამილოს ქარმა და აქვე, ჩემს ხესთან მამყოფოს ძირს დაცემული. ამბობენ, ადამიანებს უყვართ ფოთოლცვენაო. ნეტავი კი ვიცოდე, რა არის საყვარელი ან მოსაწონი, ნუთუ არასდროს გიფიქრიათ, რა მტკივნულია ჩვენთვის, რა თავზარდამცემი.

სევდას მოუცავს ტყე. მხოლოდ ფოთლების შრიალი ისმის. დაუბერავს ქარი და ჩამოყრის ფოთლებს, თან ეთამაშება. ხან საით წაიღებს, ხან საით, ხანაც მალლა ატყორცნის, ისევ დააბზრიალებს და ბუჩქებში მიაგდებს.

ის ერთი ლამაზი ფოთოლი ძალასა და ღონეს არ იშურებდა, ხეს რომ არ მოშორებოდა. ძირს ჩამოცვენილ ფოთლებს დაჰყურებდა და ტიროდა, ტიროდა იმის შემხედვარე, თუ როგორ თელავდა მას ადამიანი.

მუხა ოხრავდა მათი შემყურე და ცრემლები ნიაღვარივით ჩამოსდიოდა დიდრონ ტოტებზე. — განშორება ძნელიაო, — ოხრავდა ხე. — მოლოდინი უფრო აუტანელი. არც წვიმა აკლებდა თავის ყურადღებას ხეს. — ნიაღვარივით წამოვიდა.

ფოთოლი შეერთა, მუხამ შეხედა ნაღვიანი თვალებით, ფოთოლს გული შეეკუმშა, რალაც ცუდს ელოდებოდა მისი თვალები. დაიჭექა, გაიელვა და მეხი ჩამოვარდა.

ერთი კი ამოიოხრა მუხამ, ჰაერში გაფრენილ ნაზ ფოთოლს ტოტები მოჰხვია, თითქოს გულში ჩაიკრაო და ასე ერთი სიხარულით ხარობდნენ იმით, რომ ისინი ერთად იყვნენ ამ ყველაზე მძიმე დროს.

წვიმამ კი ჩააქრო ცეცხლი, მაგრამ აღარც მუხა იყო და აღარც ფოთოლი. მხოლოდ გაზაფხულზე გაახსენდა ტყეს მუხა. გაღვიძებულებმა მაშინლა შეამჩნიეს, რომ ის უზარმაზარი ხე, რომელიც მთელ ტყეს ფარავდა, აღარ იყო. მაგრამ იყო ახალი ყლორტი, რომელიც ამოსულიყო და ერთი ფოთოლი გამოეხა. — ჰოი საოცრებავ, ისინი ისევ ერთად არიან! — შესძახა გაოცებულმა ტყემ. — მარადისობა გრძელდება! — გაისმა დედაბუნების ტკბილი ხმა.

სახათი

აყვავებული მინდვრის ყვავილები იმდენად ლამაზი იყო, მათი ყურება არ მოგებზრდებოდა. ცისარტყელის ფერებით გალამაზებულნი თითქოს გილიმოდნენ და შენც ღიმილი დაგთამაშებდა ბაგეზე. შევეყურებდი კედელზე დაკიდებულ ამ სურათს და გულში სიტბო მეღვრებოდა. რალაცას მაგონებდა, რალაც ტკბილი მოგონება ცოცხლდებოდა ჩემში. მახსენდებოდა ბავშვობის წლები და ის ლამაზი მინდორი, ზმანებასავით თავს რომ არ მანებებდა. ლალი სიცილი, უმანკო გული და ის ლალი სიცოცხლე, რომელიც მაშინ იქ, იმ მინდორში, ნაკადულივით მოჩუხჩუხებდა. თითქოსდა აქედან იწყებოდა ცხოვრების არსი, ცხოვრების ჰარმონია, ის ჰარმონია, რომელსაც ეს ყვავილები თავისი უჩვეულო ფერებითა და სურნელებით ქმნიდნენ. აქ, აქ იწყებოდა სიცოცხლე, ამ სილამაზის მარადიულობას რამე შეცვლიდა ან ზიანს მიაყენებდა. არ არსებობდა ძალა, რომელიც მაშინ დამარწმუნებდა, რომ ყველაფერი დროებითია, რომ არსებობს ძალა, რომელიც გაანადგურებდა, შეცვლიდა ამ ლამაზ მინდორს, ისევე, როგორც ადამიანის ცხოვრება იცვლება, იცვლება ამინდით: ხან მზე ანათებს, ხან კი წვიმას მიაქვს ირგვლივ ყველაფერი. უცბად გონებამ სადღაც გამაქანა, ეს ლამაზი ყვავილები კიდევ რალაც სევდიან ამბავს მიყვებოდნენ. არა, არ მინდოდა მათი ჩურჩულის მოსმენა, მაგრამ ისინი მახსენებდნენ იმას, რომ ყოველთვის არ არიან ისეთები, როგორიც ეს მინდორი. ჩემი გონება გაჯიუტდა, არ უნდოდა გაეხსენებინა ყვავილები, ის ლამაზი ყვავილები, რომლებიც ულამაზო, აუტანელი იყო იმ დღეს. მაგრამ ყვავილები თავისას არ იშლიდნენ და ჩურჩულს განაგრძობდნენ. ჰო, გაიხსენა ჩემმა გონებამ, ეს ის ყვავილებია, შენს თავთან რომ გედგა ლარნაკში. ეს ის ყვავილებია, საბოლოოდ რომ გაგაცილეს ამ ქვეყნიდან. მათში ჩაფლული ვერც მე და ალბათ ვერც შენ მათ სურნელებას ვერ ვიგრძნობთ, მათ ლამაზ ფერებს ვერც ვხედავდით, თითქოს ყველა ერთი ფერის გამხდარიყო. ცისარტყელა გაქრა და მხოლოდ ნისლში იყო გახვეული ყველა და ყველაფერი. გაქრა ბავშვობის მინდორი, გაქრა და რეალობაში გადმომიყვანა ჩემმა გონებამ.

როგორ საოცრადაც არ უნდა მიგაჩნდეს, დგება დრო, ის დღე, როდესაც ყველა ყვავილი, ყველა მინდორი ერთი ფერია და არ არსებობს ძალა, რომელიც დაგანახვებს, რომ ეს ასე არ არის. შევეყურებდი ყვავილებს და ერთდროულად ვგრძნობდი მათ სიტბოს და

სიცივეს, მათ ღიმილს და ტირილს, მათ სილამაზეს და უფერულობას. ჩემში თითქოს ორი ადამიანი იყო ჩასახლებული: ერთი შორეული ბავშვობიდან მეძახდა: — არ დაიჯერო, ეს ყვავილები ცისარტყელასავით ლამაზი და თბილია; მეორე კი უცნაურად იღიმებოდა და თავისთვის ცალკე ჩუმად მდგომი გაოცებული თვალებით მიყურებდა: — ნუთუ შენ კიდევ გჯერა ამ ყვავილების, მათი ფერების ან მათი ღიმილის, ისინი ყველა ერთი ფერისაა და მათ არანაირი სურნელება აღარ აქვთ. გაქრა ის, რაც იყო და ახლა მხოლოდ სურათი გიყურებს, სურათი, რომელიც ლამაზია, მაგრამ მას ღიმილის და სითბოს უნარი აღარ გააჩნია. შიშმა ამიტანა, სიცივე ვიგრძენი, გულში სიცარიელეს ვგრძნობდი... არა, ეს სწორი არ არის, მე მინდა იყოს ყვავილები, იყოს ლამაზი მინდორი და ის ლამაზი სიცოცხლე, მაშინ, აი მაშინ, ჩემს ბავშვობაში რომ მინახავს. იმის გაფიქრებაც კი მაშინებს, რომ არის თურმე ნუთები, წამი, როდესაც მათი დანახვა გზარავს. არა, მე მხოლოდ ის ყვავილები მინდა, ის ყვავილები მიყვარს, რომელსაც მინდორში ხელს შეახებ, მოეფერები, დაყნოსავ და იფიქრებ: ეს ცხოვრება მარადიულია, ეს სილამაზე არ წაიშლება; იფიქრებ, რომ ცხოვრება ისეთივე მშვენიერია, როგორც ეს ყვავილები, ეს მინდორი. ავიხედე და დავინახე ჩემი მეორე მე, ისევ ისე ცალკე იდგა და ისევ ისე მიღიმოდა გაოცებული. თავი დავხარე და ვიგრძენი, როგორ აწყდებოდა ჩემი სული აქეთ-იქით. თითქოსდა ლამობდა განთავისუფლებას, მაგრამ საშველს ვერ პოულობდა, პასუხი არ იცოდა. ყვავილებმა თურმე შეიძლება დიდი ტკივილიც მოგიტანონ და დიდი ბედნიერებაც. იმწუთას მინდოდა სადმე შორს გავქცეულიყავი, რომ არაფერი გამეგო. გავრბოდი შორს, სადღაც ძალიან შორს, არსაით არ ვიყურებოდი, არ მინდოდა არაფრის დანახვა: — „შეჩერდი, მოიხედე, შემოგვხედე, დატკბი ჩვენი ცქერით, სურნელებით და მერე ისევ განაგრძე შენი სავეალი გზა!“ — მოვიხედე და ჩემს ირგვლივ ის მინდორი იყო, ზუსტად ის მინდორი, ბავშვობაში რომ მენახა. გავიღიმე, ჩავიმუხლე, ყვავილებში გადავეშვი და ცას ავხედე. მზე მიცინოდა, ყვავილები იღიმებოდნენ, ჩიტები მუსიკის ჰანგებს გალობდნენ. თვალები დავხუჭე. ვიგრძენი, ვიღაც მიყურებდა, გვერდით გავიხედე და ჩემი მეორე მე დავინახე. ხელში სურათი ეჭირა და ცრემლებად იღვრებოდა.

ვეხება

ღმერთს თავის დროზე ჩემთვის რომ ეკითხა, რას ვინატრებდი, ვეტყოდი: უფალო! აქციე ჩემი სამშობლო სავანედ, სადაც ყველა დაივანებდა სულს, დაიმშვიდებდა, გულს გაიხარებდა. შევთხოვდი მეტი რწმენა მოეცა, მეტი სიყვარული, რათა ყველას სული ფაქიზი და სუფთა, ლამაზი, წმინდა გამხდარიყო. რომ ბოროტს ჩვენს სულელებში ვერ შემოეღწია, რომ ჩვენს სულელებში იის სინაზე და სიტურფე ყოფილიყო, რომ მოეცა ჩემთვის სიძლიერე, სათნოება. ავდარშიც კი ლამაზი იქნებოდა ეს ქვეყანა. ბულბულის ხმა მოეცა, რათა, ყველას რომ ეძინებოდა, მათ სარკმლებთან ისე ტკბილად მეგალობა, ულამაზესი სიზმრები ენახათ. სხეულს როცა გამხდოდა, ჩემი სული ისეთი სპეციაკი, ნაზი, ღვთიური ყოფილიყო, რომ მასში დაბრუნების სურვილიც არ მქონოდა.

გამოდის, რომ თავად სიკვდილსაც ვაჯობებდი, სულით ძლიერი დავამარცხებდი მას და მარადიული ვიქნებოდი.

უფალო! შენ უკეთ იცი და თუ კიდევ მაქვს ამის დრო და შენი წყალობით საშუალება, მაშ, მაჩუქე ეს ყველაფერი, მაჩუქე, რათა ამ გადაღლილმა სულმა დაისვენოს, სიმშვიდე მოიპოვოს და მშვიდად მოგებაროს!

7.09.2010.

ბიხიფი

ღამეა. ტყეში სიჩუმეა. დედაბუნებამ დაიწყო ლამაზი, სევდიანი ლეგენდის მოყოლა, ან იქნებ სინამდვილის.

— მოიცათ, გაჩუმდით, — ამოიოხრა მუხამ და ყველა გააჩუმა. — უსმინეთ...

— ერთ ადგილას, ნაკადულთან ახლოს, ცხოვრობდა ტირიფის ხე. მისი ცხოვრება არცთუ ისე წყნარი და მშვიდი იყო. ხშირად ქუხდა მის თავზე, ხშირად ელავდა, არც ქარი აძლევდა მოსვენებას, ლამაზი გვირილებით იყო გარშემორტყმული, ყველაზე ლამაზი გვირილა, მასთან ახლოს მყოფი, ახარებდა და ალამაზებდა მას. ტირიფს თავისი ტოტები გადაეფარებინა მისთვის, რომ არ დასცხომოდა, სიცივეს არ გაეყინა, ქარს არ მოეწყვიტა და წყალს არ გაეტაცა სადმე. ეს ტირიფი ერთ დროს ლამაზი ხე ყოფილა თურმე, მერე, ამ ამბის შემდეგ, გადაქცეულა ტირიფად. თავისი ფოთლებით ჩრდილს და მფარველო-

ბას არ აკლებდა გვირილებს, ეალერსებოდა, ზღაპარს უყვებოდა, შეჰხაროდა გვირილის თეთრ, სპეტაკ ფერს, მის ლამაზ თვალებს და გული სიყვარულით ევსებოდა. ის კი არ იცოდა ხემ, რომ ამ გვირილას თვრამეტი ყვავილის ფურცელი ჰქონდა მხოლოდ. უყურებდა და ოცნებობდა იმაზე, როდის ამოიყრიდა გვირილა თავის გარშემო ჰატარა გვირილებს, როდის გაიზრდებოდა უფრო დიდი და უფრო ლამაზი.

დედაბუნება გაჩუმდა და ამოიოხრა, მთელი ტყე სულგანაბული უსმენდა მას.

— მერე უცბად ქარიშხალი ამოვარდა, ხე გადაეფარა თავის გვირილას და ეცადა მის გადარჩენას, მაგრამ იმ დღეს ქარიშხალი კი არა, ქარბორბალა დატრიალდა. ვერც კი გაიგო ხემ, როგორ მოაცალა ქარმა გვირილას თვრამეტივე ფურცელი და როგორ მოწყვიტა ძირში. ეს რომ ხემ დაინახა, უცბად დაილია, ჩამოდნა, ტოტები დაუნვრილდა, დაბლა ჩამოეკიდა და ცრემლებად დაიღვარა. მისი ცრემლები ნაკადულს უერთდებოდა. ტიროდა ტირიფი, ტიროდა და ტირის დღესაც. ლამლამობით თუ გაიხედავთ ნაკადულისკენ, შუქს დაინახავთ მოციმციმეს. ეს ტირიფია, რომლის ყველა ტოტი სანთლებად გადაიქცა და სიბნელეს ანათებენ, ეძებს ამ სანთლებში თავის გვირილებს. თან შეუმჩნეველი ტირილით ნაკადულთან ერთად ჰყვება თავისი ერთ დროს ლამაზი ცხოვრების შესახებ და ასე დანთებული სანთლად ოხვრაში და წამებაში ატარებს ღამეს. დღისით კი ის ჩვეულებრივი ტირიფია, რომელიც ელოდება ნიავს, იქნებ გვირილის ამბავი მოუტანოს, წვიმას ელოდება, იქნებ მალლიდან მომდინარემ იცოდეს გვირილის შესახებ რამე.

ტირის ტირიფი, რომელიც ერთ დროს მშვენიერი გაფოთლილი ხე იყო და ხარობდა თავის გვირილასთან ერთად. გაჩუმდა დედაბუნება. სიჩუმე იყო ტყეშიც. ღამე გაცრეცილიყო ლეგენდის მოყოლაში, მთვარე დაპატარავებულა მთლად, ვარსკვლავები გამქრალიყვნენ.


მუხამ გაიხედა ნაკადულისკენ და დაინახა, როგორ იღვენთებოდა ტირიფი, როგორ დნებოდა მისი ტოტები სულ უფრო და უფრო. მოესმა მისი სევდიანი ხმა და ნაკადულის ჩუმი ჩურჩული გალობასავით გაისმა ტყეში. თითქოსდა თავისი გალობით ეფ-

ერებოდა ყველა გვირილას, რომელიც კიდევ დარჩა მის ირგვლივ.

ბზა

მეც გზა ვარ და თვითონაც გზაზე მივდივარ. მიდის გზა, ოღონდ საით, საით მიდის, არ ვიცი. მიჰყვები, საითკენ არც შენ იცი და ასე ორივე ერთად მივდივართ მე და გზა. მიდის-არ უდაბნოში, უცბად ოაზისს დაინახავ, ხეს, ნაკადულს მოჩუხჩუხეს, იფიქრებ, დავისვენებ, ცოტა გულს გავიგრილებ და მერე ისევ გავუყვები წინ. საით? არ ვიცი. იქით — სად იქით? არც ეგ ვიცი. დაჯდომას ვერ ვასწრებ, გზა მეუბნება, ჩქარა ადექი, გამომყევი, თორემ იცოდე, შეიძლება გავქრე და მერე მეც ველარ მიპოვი! ვდგები, გავრბივარ, ვიღლები, მერე ნელი ნაბიჯებით მივუყვები, ბოლოს დაბლა დაცემული მივბობლავ და ვეხვენები გზას: — მოდი, გევედრები, ახლა მე ვიქნები გზა და შენ, შენ იარე ჩემს მაგივრად. გზა კი დუმს, არც იმას ამბობ, არც ამას, მარტო მანიშნებს: — ადექი და წინ, წინ იარე, იქამდის, სადამდისაც შეძლებ, როდემდისაც შეგიძლია დამინახო. როდესაც ველარ დამინახავ, შენი გზაც აქ დამთავრდება. ოღონდ იცოდე, შენი და სხვა არავისი. მე კი უსასრულოდ ვიქნები და ვიარსებებ, ყველას ვჭირდები და ყველა ჩემით დაიარება ამ ქვეყანაზე. მთელი ქვეყანა ამ გზით მიდის. შენ გგონია, მარტო შენ? არა, ყველა და ამას ვერავინ ამჩნევს. აი, ჩემს შემდეგ კი უკვე ორი გზა იწყება, ამ გზას მართლა ვერ ამჩნევთ. აქ დაცემულს რა გიჭირს, მთავარია იქ არ დაეცე, თორემ ვაი რომ იმ გზით მოგინევს სიარული, რომელიც ძალიან მოკლეა და ბოლოში მხოლოდ უფსკრული არსებობს. შენ გირჩევნია აქ, ჩემთან ერთად იარო, მერე იმ გზას რომ გაჰყვები, რომელიც დიდი, ლამაზი და საოცარია, რომელსაც თვით საოცრებაში მიჰყავხარ.

გზა ვარ, გზა და ისევ გზად დავრჩები. მოდი, ისევ ისე ერთად ვიაროთ ბოლომდე. ორთავე გზა მოვდივართ ერთად. ბოლოს მივადგებით, დავისვენებთ, თითქოსდა მაშინ ვიპოვით ხსნას. ის მე დამეხსნება, მე კი იმას. ოღონდ ერთი კია, ისევ მომენატრება ალბათ ამ გზით სიარული.



მამა არჩილი

(გვიმრაქე)

მარტი

მე დავიბადე თოვლიან მარტში,
თუმცა გაზაფხული იდგა სრულებით.
რა დავინახე არ მახსოვს მაშინ,
მაგრამ ან უკვე ვტკბები ყურებით.
ეს ისევე მარტმა შემოაბიჯა და
კვლავ გვაოცებს ჭრელი ბუნებით,
ინყება ისევე ჭიდილი ბედთან,
გაორების გზა ბევრი ნუნებით.
მე დავიბადე ქარიან მარტში,
მწუხარე ზამთრის გამოძევა სევდა.
ცივი ნამქერი შემომხვდა კარში,
თბილი ალერსით მზე ხელებს მხვევდა,
აქ გაორების გაგრძელდა მარში,
კაცმა არ იცის რომელი მძლევედა,
თუ სიცივეში ვნატრობდი სითბოს,
სიცხეში თბილი ზმანება მდევდა.
შეშლილო მარტო, შემინდე თუკი,
შენი საკადრი მე სიტყვა ვერ ვთქვა.
ხან სიხარულის სხივებს აბრწყინებ,
ხან სულ არ გესმის კვირტების ფეთქვა.
ხან მომწუსხველი ლალის თვალი ხარ,
ხან უმეტყველო უფერო კლდექვა.
შენ ომის ღმერთის-მარსის სახელი და
ძველ ქართულად მირკანი გერქვა.
ხან გრიგალი ხარ, ვნების ქარცეცხლში,
ხან დარიშხანი, ხან სულის ტკობა,
მეც ხან სიყვარულს ვეაღერებ,
ხან სუძულვილთან მიხდება ბრძოლა.
გულში მზაკვრობა მქონდა რამდენი და
ახლაც მიმიძის სხვისთვის დათმობა,

ნამდვილად ვამბობ. ძალიან მიჭირს,
რომ ლექსად გითხრად სულის მარტობა.
ჭირად ვახსენე ომი და ბრძოლა,
ჩემს გაორებას მე გული მამცნობს.
რად მივამსგავსე ჩემს თავს მარტობა?
მკაცრი სიმართლე თავისას ამბობს.
მე დავიბადე თოვლიან მარტში.
ღმერთმა რაცა ქმნა, იმ ნებას რა ჯობს.
მარტის მარტობა მარტში კი არა,
ადამ და ევას ცოდვიდან მარტობს.

პატიმარი

ინვის გულმკვდარი მონა,
არ აქვს მსუბუქი ჯვარი.
ისევ ქარების ქროლა, ისევ დილეგის კარი.
სველი თვალებით კრთომა,
ცრემლის მდინარე მტკნარი,
თავდავინყებით ლტოლვა,
ბედის ღრუბელი შავი.
სულის ნუგეშად ლოცვა,
იმედად საღვთო მადლი.
ნატვრა, ოცნება, თხოვნა,
რწმენად სინდისის ქნარი.
მონატრება და სითბო,
გულსა სწვავს წარსულნარი,
ატკობს თაფლობის ხსოვნა,
მომავლის ამაგდარი.
დალლა, ნუხილი, სევდა, წლიური კალენდარი,
კვნესა, სიმწარე, კვდომა, ღამის უწყვეტი ღარი,
წამის მარადი გრძნობა, ლოდინი გარეთ დარი.
მზე, გაზაფხულის მოსვლა,
თავისუფლების ზარი.
შეხვედრა, ხვევნა, კოცნა,
ალერსი თრობის დარი.
ღვთისგან შენდობა, შევება,
გასწორდა კვალი მცდარი.
დასრულდა ბოლთის ცემა,
დაიძრა ეტლი წყნარი,
და ისევ მძლავრი ბრძოლა, მხედარი-პატიმარი.

ეპიგრამა

მზე ჩაესვენა, რუხი ღრუბელი
ელვას ელის, წვიმას აპირებს.
ქვეყნის საზღვრები ცრემლით
აცილებს მამულიშვილებს.
მამლუქთა სისხლი, ჯერ კიდევ ფერავს
შავ ზღვის ნაპირებს,
ჯერ კიდევ ითმენს ფერეიდანში
გურჯი ტკივილებს.

ჯერ კიდევ იკვლევს გზას ემიგრანტი,
დათმო სამშობლო,
ნუხს გულჩამკვდარი, მაგრამ ფიქრში
უკან არ იხევს,
იქნება ბედმა გაუღიმოს, ებრძვის სამჯობნო,
ხსნას შედგომილი ქვეყნის გარეთ,

უცნობ გზას ირჩევს.
ემშვიდობება ნაცნობ ბილიკებს,
მთებს ცამდე ასულს,
ფესვებს ითხრის და
ჩრდილოვანში სიმწვანეს ახმობს.
ვინ შემოაბნევს მშობლიურ მიწას,
იქ სტუმრად ჩასულს,
სევდა ერევა, სვეუკუღმართს და
თითქოს ამბობს:
- ნუ განმიკითხავთ უმონყალოდ,
არ დამდოთ ბრალი,
გოდებს სონატა, მოთქვამს პიესა
და ტირის დრამა.
არ დამვინყნია ბედკრულს სამშობლო და
საღვთო ვალი,
გარიყული ვარ ცხრა მთას იქით,
მკლავს პანორამა.
ნაპირს გადაღმა ფრთაში დაჭრილი
თოლია კივის,
ნისლმა მოიცვა მზიანი მხარე,
დღე გახდა ბლანტი,
რაკი ირაო ვერ შემოხაზა ცაში არწივის,
თავჩაქინდრული უცხო მიწაზე
დგას ემიგრანტი

ეკლის ვარდობა

ეკითხულობ ლექსებს: გალაკტიონს,
ლადოს, ტიცვიანს,
ლურჯა ცხენებით მერანს მივდევი,
რბოლით გართული,
მათთან ჭენების სურვილი მკლავს
ჯერაც კვიციანს,
და ვფიქრობ, რა ვთქვა, როცა გულს
ძრავს სიტყვა ქართული.
რა ვთქვა, როდესაც გარს მარტყია
ნაძვთა ლიბანი,
მე, სარეველამ, განა ვიცი ვარდების ენა?
ჩემს გარშემოა ძონის მძივი, მზის ალუბალი.
ყვავილთა ფერი, ატმის რტოზე
ბულბულთა სტვენა,
მე არც მართვე ვარ, რომ არწივმა
მასწავლოს ფრენა,
და არც პეპელა, მაგნოლიის უმანკო მცველი,
მე ეკალი ვარ, ულიმლამო, და ვიცი ტკენა,
ჩემი ფესვებით შეჭმულია მდელო და ველი
ნეტავი ვარდი ჩემს კიჩოზე როდის იხარებს,
გაიფურჩქნება კენწეროზე ლალების გროვა,
როდის მენვევა მუხამბაზი და დამიბარებს,
შენწყვიტე, ვარდო, ეკლიანი ბარდების გლოვა.
ან ცისარტყელის მეტი
ფერი მივცეთ სტრიქონებს,
ერთად ვუმღეროთ გადაღვლილ
ბალებს ლედვიანს,
პეშვით მოგიტან, თავს მოგაბნევ
ლურჯ საფირონებს,
ვარდით შეგამკობ, გააკურებ სურნელს,
უთქვამს ეკლიანს.

მარტოსულობა

გულსაკლავია -მარტოდმდგარი, ჩამომხმარი
ხე,
და ყველა კაცი, ვისაც თავი მარტოდ უგვრძნია,
ჭრელი ძონძებით შემოსილი უღვთო ნატვრის
ხე,
ბედკრულ კაცის ხელს ოცნებებში რომ მიუძღვ-
ნია,
ყველა ობოლი, ნანგრევებზე პირქუშად მდ-
გარი,
ქარმა წაიღო წუთისოფლის სიამტკბილობა,
ცივი საფლავი, უპატრონოდ ორმაგად მკვდარი,
ყვავთა ხორაგი, ძვალთა ხროვა, ძერთა პურობა
გაზრდილზე გლოვა, გასაზრდელზე ვაი და
ქუში,
შავი ღრუბელი, უიმედო ოხვრა და კვნესა,
რა გიხაროდა უდარდელად ნეტავი გუშინ,
სადლა იპოვი, უნუგეშოვ, ჭირთაგან შვევას.
იქნებ იქ არის, იმ მთების იქით, ან სულაც აქვე,
საფლავის ქვებმა გიფანდუროს ნალკოტის
ქნარი,
შეხედე, როგორ გაგიცინა შროშანმა წამსვე,
როგორ დააფრთხო მისმა ცქერამ ყორანი შავი.
როგორ ფარფატებს არხეინად ჭრელი პეპელა,
აკაციების სურნელებით მსუბუქად მთვრალი,
ნაზი ალერსით ია დასწვეს ყოჩივარდებმა,
ეკეკლუცება იასამანს დილა და ცვარი.
ნუ დაგიხუფავს, უმადურო, გული და თვალი,
ნუთუ არ გიკვირს, როგორ ხარობს ვარდი
ეკალზე,
თუ შენ მიწაზე გაგიჩარხავს ქვეყნის ბორბალი,
არწივებს ფრენა გაუმართავთ მეფური რკალ-
ზე.
მინისა მიწას მიაბარე, მიწამ შეჭამოს,
შენი ადგილი აქ არ არის, შენ არ ხარ მკვდარი,
ახედე ზეცას, შენ მუნ ყოფნა მარად გენადოს,
განა რა არის მარადიულ ტკობისა დარი.
ჰე, სულო ჩემო, მწუხარების შხამით მორ-
წყულო,
შენწუხებულო ამა სოფლის მარწუხთა ჭერით,
დროს ხომ არ კარგავ, შენ ამ ქვეყნად წამით მო-
სულო,
ამ წუთისოფლის სიამეთა ნატვრით და წერით.
ბრწყინავს ლამაზი ყველა ქვა და ყველა სულდგ-
მული,
მაგრამ ის კაცი ბედნიერად მე არ მიცვნია,
ვისაც სტანჯავდა, ხორცისაგან უმძიმდა სული,
ვინაც ცხოვრების წმინდა ალი ცეცხლად ინვ-
ნია.

მღუმარება

მე ვწერ დუმილზე, ბუმბერაზ მთებზე, იდუმალ
ხმებზე.
სიჩუმის ნოტა აკორდს იღებს სიმშვიდის ბაღში,
ჩამონოლილა მღუმარება სამყაროს ბეჭზე,
გარინდებულა, ჩასახულა, ბუნების კარში.
არ ჩანს მგოსანი, უხმოდ დაფდაფებს დუმილის

ჰანგი,
ფოთოლთა რხევამ უმალ გაჰყიდა ჩუმ სიმთა
ბგერა,
მშვიდი განწობის, სიამტკებლობის აჟღერდა
ჩანგი,
ოაზისებში დაივანეს, დაიდეს კერა.
ულაპარაკოდ მეტყველებდა დუმილის ენა,
უჩინარობით თავს იჩენდა ღვთიური მადლი,
სტუმარიცა და მასპინძელიც აღმოჩნდა ზენა,
მოუქარგავი, მოურწყავი არ დარჩა ადლი.
ასე უჩუმრად, ასე უხმოდ, რა არის ნეტავ?
რა არის მიწას რომ აკრთოლებს, ხელვაავთა ხვე
ვით,
შენა ხარ სულთა სამლოცველო, ფირუზო
ზეცავ!
უხილავად და უხმაუროდ ჩვენთან ხარ ქვევით.

ზარეზის რეკვა

განა ვერ ხვდებით?! რატომ მოხდა იმ ავბედით
დღეს.
წინამურში, რომ უმოწყალოდ მოკლეს ილია,
რომელ ერს ჰყავდა ასეთი კაცი თვით ოცნე-
ბაში,
მისებრ რჩეული ერთი-ორი თუ დათვლილია.
განა ვერ ხვდებით?! რად არ ისმის ხმა სიმარ-
თლისა,
რატომ დადუმდა ბუმბერაზი ზარების რეკვა,
სად არის სხივი, დაკარგული შუქი ნათლისა,
ხო მარ დასრულდა დღეს მეტრძოლი ქარების
ცეკვა?!
ხო არ დაინგრა წინაპართა წმინდა კედელი,
ხო არ ჯიჯგნიან მწარე ნადავლს ძერები მგ-
ლისას,
როდის დამხრჩვალა მდინარეში ფართხალით
თევზი,
შებრძოლებია პირქუშ ტალღებს მის აღმა სვ
ლისას.
რად დაკრეფილა უმოძრაოდ გულზე ხელები,
რად აღარ ისმის მამულისთვის ბრძოლის ყიჟი-
ნა,
განა იმისთვის გაისარჯნენ უძლეველები?
რომ მტრის ყბას მივცეთ წმინდა რჯული, ენა
და მიწა.
ვინ ამოწყვიტა ულმოებლად თეთრი გედეები,
ვინ მოუშალა ბუდე მერცხალს, ვინ გადაბუგა,
ვინ მოასხურა საფლავებზე სისხლის წვეთები,
ვინ ამოავსო ცხარე ცრემლით თვალების გუგა.
ვინ გამოგლიჯა მწოვარი ჩვილი მადლიან ძუ
ძუს,
ვინ შეაღწენა სახეში ხელი შაოსან დედას,
გამოუტანეს განაჩენი ჯერ კიდევ უძლურს,
ღვთის განგებაზე აიღოს ხელი ვიღაცა ბედავს.
ვიღაცა სულელებს აღვირახსნილ ცხოვრებას ურ
ჩევს,
ვიღაცა ღრეობს და ზნეობის ირღვევა ზღვარი,
არ გვესმის სიტყვა სახარების?! თავნებებს,
ურჩებს,
უძლეველია უღვთოდ ბილწი ეს სატყუარი.

მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან, განა ვერ ვხ-
ვდებით?!
თუ რატომ არის მზაკვარი სული მტერი სიმარ
თლის,
ჩვენია ნება, ვიყოთ ერთად და ტუ კი გვენებავს,
ეკლესიაა სანუკვარი სხივი სინათლის.

ღამის აჩრდილი

ჩამძინებოდა ზღვა ფურცლების უძირო ფსკერ-
ზე,
ფიქრის ძაფებმა ღრმად ჩაუშვეს მორევში
ღუზა,
შემომხვეოდა მტაცებელის კლანჭები ყელზე,
შეიფრთხილა და გაფრინდა უკვალოდ მუზა.
ოთახში სანთელს გაუკვალავს შავბნელი ფერი,
მიწას ასკდება მთვარის შუქი და სადღაც ქრება,
ხო არ მოვიდა საშინელი სამსჯავროს ჯერი,
ხო არ მაშინებს ცოდვილ მონას განკითხვის
კრება?
ძრწოლით დაჰკრთოდა კელაპტარზე რაღაც
აჩრდილი,
დაჰკანკალებდა და სიმშვიდეს ვერა ჰპოვებდა,
აღბათ, არ იყო ცივ კედლებზე მისი ადგილი,
ოთხივე მხარე უპასუხოდ, უხმოდ სტოვებდა.
გაღღვა აჩრდილი, ნეტარების სხივით აივსო,
ჰპოვა ნუგეში ზეციური მეფის ხატებთან,
იგრძნო, რომ თბილი, სანუკვარი ბინა დაიდო,
განსასვენებლად სამუდამო ყოფის კარებთან.
მეჩვენებოდა, აღბათ დაღლილს ეს უცხო ღან-
დი,
ნეტავ რა იყო, ზმანება თუ რეალობა?
იქნებ და სულაც ბოროტმა ჰყო ეს ფანდი,
მაგრამ აჩრდილმა მაინც დათმო აქაურობა.

რაჭის კარი

უკვე მერამდენედ მიწვეს განშორება,
უკან დაბრუნების ფიქრი არ მასვენებს,
ბარში მოვიჩქარი, აქ კი სხვა ცხოვრება,
ჩემს მთებს მომანატრებს, ცრემლით დამასვე
ლებს.
უკვე მერამდენედ ობლად ვტოვებ სოფელს,
ხშირად მესიზმრება ჩემი ცარიელი სახლი,
მსხვილი ჭინჭარნარი შესევია ღობეს,
ძველი ქვითკრის კედელს გასჩენია ბზარი.
მონყენილი სახლი, სევდით უცქერს ბელლს,
გაქრა ჭირნახული, მამალიც არ ყივის.
არც ჭრაქი არ ბდღვინავს, ძალღი მაინც
ყეფდეს,
ჩემი სახლი დარდობს, ჩემს მიწა-წყლის
ტკივილს.
რად დამტოვეს ნეტავ ძველმა ბინადრებმა,
მოენყინათ აღბათ, ნახეს სხვა ჭიშკარი,
მომანატრეს თავი გარდასულმა წლებმა,
ელის უძღებ შვილებს, ტურფა რაჭის კარი.



ნინო
თაყაიშვილი

ჩინის ჩიხი

რკინისჩიტი, მოხუცი ანტიკვარის ყველაზე საყვარელი ექსპონატია, ისე გავს პატრონს, გადაირევი. ძვირადღირებულია, იმიტომ რომ თან ლეგენდა მოყვება. ამბობენ ღამე, როცა ყველას ძინავს, ეს ჩიტი ადამიანის ენაზე იწყებს ლაპარაკს, მაგრამ თავისებურად აფრენს. ათას სისულელესთან ერთად ღამაზე, სევდიან ლექსებს ამბობს, ცხარე ცრემლებით ტირის, გალობს და გამთენიისას ისევ უმეტყველო ხდება, მუნჯდება. თითქოს ნანობსო ჩადენილს. ვერდაფრინავს და გულიწყდებაო. თავის ნამცეცა ჩიტის გულში ინახავს ყველაფერს და მხოლოდ პატარა გოგონებთან აღწევს სიზმრებში, სადაც სევდიანად უყურებს, როგორ დაფრინავენ ნამდვილი ბელურები.

სალამო დიდი ხანია მოვიდა. ახლა მისი წასვლის დროა, ბარგს ალაგებს, სიჩქარეში შავი მოსასხამი დარჩა, ალბათ დღეს ღამე კიდევ უფრო ბნელი იქნება.

ჭადრის ფოთოლი ნელ-ნელა, ფარფატი

მოინევედა მინისაკენ ის სულწათლად და ნათლად ხედავდა იმ ადგილს, სადაც უნდა განესვენა. ძირს მიმობნეული სხვა ფოთლები შურის თვალით უყურებდნენ ჰაერში მოცეკვავე თვისტომს, იგი ოცნებასავით მსუბუქი და ღამაზე ჯერ კიდევ ჰაერში დაფარფატებდა, თან გულში უხაროდათ, ის ხომ სულ მალე მინაზე დაეშვებოდა, მაგრამ უეცრად ქარმა დაუბერა და ფოთოლი მაღლა, ცისკენ წაიღო.

ფერადი ქვები, ძვირფასი თვლები, შედეგილი ცრემლები. ქარვამარგალიტი, ბრილიანტი. რა ღამაზია, მაგრამ რა ძნელია ერთად ამდენი ცრემლების ცქერა. ქარვა-ყვითელია, შემოდგომასავით ყვითელი. თითოეული ქვა ცალკე სამეფოა ხაზებით, ბურთულებითა და ღამაზე ყვითელი ფერით. მარგალიტი-თეთრი, ზამთარივით ცივი და მიუკარებელი. ვარდისფერი ან ცისფერი ელფერით. როგორ გავს ამაყი მარგალიტი ბორცვზე ახლახანს დადებულ თოვლს, მაგრამ თავისებური სიცივე აქვს, გიზიდავს უცნაურად გამობერილი ლოყა, გათბობას დრო უნდა. ზურმუხტი-გაზაფხულია, ხალისიანი, კრიალა. არ მიყვარს ზურმუხტი, ძალიან სათნოა მაგრამ მაინც არ მიყვარს. ზაფხული-ფირუზია. ცისფერი, კამკამა, უსაზღვრო... ძალიან მიყვარს მარგალიტი. მარგალიტი ქალის ცრემლია, ქარვა-ბუნების.

ცა, დედამინა, ოთხი ჰორიზონტი, მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან, მოგვიმწყვდიეს, არსად გვიშვებენ, გა გ ვ ი შ ვ ი თ !!!



იოსებ ბროფსკი

ზამთრის ქორნილი

მე გავთხოვდი იანვარში.
ჭედვა იყო წინაკარში.
და რეკავდა დიდხანს ზარი,
გორაკზე – საყდარში.

უკან თვალი ერთხელ კიდეც,
საკურთხეველიდან ვკიდე,
შორს გამექცა მზერა ჩემი –
მას გამოვეკიდე.

ზარის რეკვა ახშობს ყურებს,
ჩემი საქმრო მე მიყურებს.
რამდენ სანთელს გასდის ხვირთქლი
ჩვენთვის! მე მათ ვითვლი.

საშობაო რომანსი

(ევგენი რეინს, სიყვარულით)
1962 წ.

ამოუხსნელი სევდით მოცული,
აგურის მახვილ გროვათა შორის,
მოცურავს გემი ნათლით მოსილი,
შიგ ალექსანდრეს ბალიდან შორით,
ლამის ფარანი, ვით უკარება,
ვარდი ყვითელი-ვილას ერგება,
საყვარელ გამვლელეთ თავზე ევლება,

ფეხქვეშ ეგება.

ამოუხსნელი სევდით მოცული,
ზუზუნით ლოთთა გუნდი მოცურავს.
ლამის ქალაქში, იღებს მოსული
უცხოეთიდან, ნაღვლიან სურათს.
და ამ დროს ტაქსი ავადმყოფებით
გამოემართა ორდინკისაკენ,
მიცვალებულნი მიტყეპებულან
დიდებულ სახლებს.

ამოუხსნელი სევდით მოცული,
დარდის აშული დადის ქალაქში,
და მეეზოვე მარტოკა სული,
კაეშინიანი დგას ნაფთის დახლში,
ჯერაც ლამაზმა, ძველმა მიჯნურმა,
ერთსახე ქუჩა მსწრაფლ გადაჰკვეთა.
მოცურავს ლამით, სევდით მიჯრილი
მატარებელი მექორწილეთა.

ზამოსკვარეცკის ნისლში მოცურავს
ვიდაც შემთხვევით შეჭირვებული,
ყვითლად დაღვენთილ კიბეზე ურვით,
დაეხეტება ხმა ებრაული.
ახალი წლის წინ, კვირის წინა დღით,
სიყვარულიდან, თავჩამხობილი
ქალი მოცურავს უბის ნიგნაკის,
თავის სევდაში გულჩათხრობილი.

თვალწინ მოცურავს საღამო მზრალი,
ფიფქები თრთიან ზედ ვაგონებზე,
მსუსხავი ქარი, ქარი ფერმკრთალი
ნავარდობს წითელ ხელისგულებზე.
ლამის შუქები იღვრება თაფლად,
დგას ტკბილი ჰალვის სუნი და გემო,
და ორცხობილა ალილოს მდაბლად
მოაქვს თავს ზემოთ.

შენი ქალაქის ახალი წელი
მოცურავს მუქლურჯ ტალღების წყებით.
ამოუხსნელი სევდით მოცული,
თითქოს ცხოვრება კვლავ დაინყება.
თითქოს მოგველის სულის ცხოვნება,
დღე წარმატების და პურის ხარჯვის,
ალბათ დაქანდა მარცხნივ ცხოვრება
რათა, გასწორდეს მარჯვენად.

ორფენი და არტიმიდა

ოქტომბერი 1964 წ.

დადგა ზამთარი. ჩიტი მგალობელი,
არ გაჩუმებულა, დაუდგრომელი,
ხედავს ბილიკზე ნაკვალევს მგლისას
და, ვით კოდალა – დურგალი ხისა,
მიფოფხავს ზემოთ ტანმალალ ფიჭვზე.
გაიფართოვა თვალსანთიერი,
მოხერხებულად ათვალთიერებს,
ქარგას მოჩითულს სიქათქათეზე.

ბალი

ბორცვები და გორაკები
ნაკვალევით დაპენტილა,
ვით ქალწულის ლოგინს, დილამ
მოოჭა მარგალიტები.
მინდორ-გზებზე ზოგად-ზოგად
დახლართულან ძაფები და
ძალუძს აღარც არტემიდას
შეგროვება მათი გორგლად.

ზამთარი ბრჭყალებში აქცევს
ყოფას. მზერას თან იტაცებს
ტოტთა ფოჩვები. ახალი
ორფეოსი კი დრო-ხანი
მოახვეს რა დიდ კალენდარს,
ყრუდ მიყუჟულ სულდგმულთ ხარჯზე,
კვეცს ლექსიკონს, ივსებს მარჯვედ
თავის ბესტიარულ დავთარს.

მე შევდიოდი მხეცის მაგივრად საკანში,
და ზედმეტსახელს ლურსმნით
ვშანთავდი ბარაკში,
ზღვასათანაც ვცხოვრობდი, მიყვარდა რულე-
ტის თამაში,
ემშაკმა უწყის- ვისთან არ მისადილია ჩაცმუ-
ლი ფრაკში.

მყინვარებიდან ნახევარ მსოფლიოს ვუმზერდი,
სამჯერ ვიხრჩობოდი, ორჯერაც გამფატრეს.
დავტოვე ქვეყანა, რომელმაც გამზარდა.
მივლია სტეპეებში,
სად უკიჟინიათ ჰუნებს და თათრებს.

ვინც დამივინცა, ალბათ შეადგენს ქალაქს.
ვიცვამდი როგორც კარნახობდა ახალი მოდა.
ვთესავდი ჭვავს, შავი ტოლით ვხურავდი კალოს
და არ მისვია მშრალი წყალი ოდენ.

ძილში შემოვუშვი ბადრაგის თვალი,
გაფერილს რომ ჰგავდა,
რა მეთქმის ცხოვრებაზე?
რომ ის აღმოჩნდა გრძელი.
ამომიშვია ხორხიდან ყველა ხმა,
ყმუილის გარდა;
ორმოცისა ვარ,
ჩურჩულზე გადავედი- არაა ძნელი.

ბოლო ნამცეცამდე ვჭამე დევნილობის პური.
ოდენ მწუხარებასთან ვგრძნობ სოლიდარობას.
მაგრამ, სანამ ჯერ კიდევ,
თიხით არ დამიტენეს პირი,
იქიდან ისმოდეს იქნება მხოლოდ-მადლობა.

დაცარიედი!
შემოდგომის ჟამს ბურუსში სუფევს
ბალის მშვენება, ვით მოჩვენება.
ფოთლებს იზიდავს, მინაზე აფენს,
დაშლისკენ ლტოლვის დიადი ვნება.

როგორ დამუნჯდი! შენს სვეს, შენს ყოფას,
ნუთუ მეც ბედით ვეზიარები,
და ან მინავლდა შენში ნაყოფთა
ბათქი, ვით შორით რეკვა ზარების.

ო დიდო ბალო! მოეც ჩემს სიტყვებს
ხეთა ბრუნვის ფხა, რომ ვთქვა რაც მიწუხს.
ფოთოლცვენაში ტოტები მიტყვევს,
აღორძინების სევდიან მიმწუხრს.

გაზაფხულამდე ვით გასძლოს შენთა
ხეთა და ჩემმა მჭმუნვარე სულმა,
ოდეს ნაყოფნი დაგცვივდა შენ და
სიცარიელემ მოგიცვა სრულმა!

წავიდე უნდა, საითაც არა,
მიხმობენ გზები და ვაგონები.
ჩემი გზა შენი ზეასვლის დარად-
ორთავ დიდია ტოლფარდოვნებით.

მშვიდობით ბალო! იქნებ ვერც გნახო.
იტევ დუმილი რიჟრაჟ დილისა,
წლების დამპენტავო, შენ დიდო ბალო,
პოეტის მწარე იდილიისა.

რუსულიდან თარგმნა
ერიკ (ერმინე გრიგოლიამ)



სეროუნება

ჩახთადი ანბანის შესაქმნის დათაქილუბის ახადი ახუაქუბი

მეათე საუკუნის საეკლესიო მოღვაწის იოანე ზოსიმეს ხელნაწერის გამიფრამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ ქართული ანბანი მეფე ფარნავაზის დაბადებამდე, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნემდე არსებობდა.

მეათე საუკუნის საეკლესიო მოღვაწის იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“-ს გამიფრამ წინაქართული სამყაროს, როგორც რელიგიური ისე საერო ცხოვრების მრავალი ახალი ასპექტი წარმოაჩინა. ხელნაწერი შეიცავს ინფორმაციას, რომლითაც კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგა რამდენიმე აქამდე უწყვეტ დებულებად მიღებული შეხედულება, მათ შორის ქართული ანბანის შექმნის თარიღთან მიმართებაში. ნაშრომის მოცულობა არ იძლევა საშუალებას სრულად დავასაბუთოთ ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობის ახალი თეორია, მაგრამ შევეცდებით მოკლედ გადმოგცეთ ძველი შეხედულებების უარყოფის

მოძიებული ერთი არგუმენტი.

როგორც საეკლესიო პირი იოანე-ზოსიმე მოღვაწეობდა პალესტინაში, საბა განმმენდლის ლავრაში, ხოლო შემდეგ გადასულა სინას მთაზე. მისმა წერილმა ქართულ ენათმეცნიერებაში, დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა. როგორც აღმოჩნდა, ხელნაწერის ბუნდოვანება და ტექსტში დასმული, ერთმანეთისგან გამომდინარე ამოცანათა თანმიმდევრული წყება ავტორის წინასწარგამიზნული სვლაა, რომელსაც წერილის გლობალური ამონახსნისკენ მივყავართ. ის, რომ ხელნაწერი დაშიფრულია კომენტატორთა შორის არავითარ ეჭვს არ იწვევდა, ამას იოანე-ზოსიმე თვითონაც პირდაპირ წერს, როცა სიტყვა „მარავს“ ახსენებს. „მარავი“ სულხან-საბას მიხედვით დაშიფრული, ამოსაკითხი სიტყვაა.

იოანე-ზოსიმეს წერილის ე.წ. შიფრის გასაღების ქართული ანბანში ძიება, ერთადერთი ლოგიკურად გამართლებული გადაწყვეტაა. მიუხედავად ამისა, იგი ბოლო დრომდე მაინც შეუმჩნეველი დარჩა, და არა მხოლოდ გარეშე თვალისთვის. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის ვრცელი ანალიზისას დამტკიცდა, რომ მისი გაშიფრის მექანიზმი სწორედ ქართულ ასომთავრულ ანბანში ძევს. ამას ამონახსნის სისტემური მრავალმხრივობა და ერთიანობა ეჭვმიუტანლად ასაბუთებს.

როგორც აღმოჩნდა, შიფრის გასაღებს იოანე-ზოსიმე თვითონვე გვანვდის, როცა წერს: „...ნილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ოთხი ათასსა...“ ე.ი. ასო „წ“ („ნილი“) 4000 აღნიშნავს. ფაქტობრივად, იგი ცხადად იძლევა მისი გ ა ხ ს ნ ი ს მ ე ქ ა ნ ი ზ მ ს, როცა ა ს ო რ ი ც ხ ე ნ ი შ ა ნ შ ი გადაჰყავს. უნდა შევნიშნოთ, რომ იოანე-ზოსიმე შესანიშნავად ფლობს ბიბლიის გაშიფრის მეთოდებს, უფრო სწორად მისი რიცხვულ-ანბანური მიმართულების, გ ე მ ა ტ რ ი ს (ჰემატრია) ხერხებს და იყენებს.

ისმის ლოგიკური კითხვა, რამდენად მეცნიერულად წონადია ამგვარი რიცხვული არგუმენტები? პასუხი ერთია, რადგანაც დამშიფრავი (იოანე-ზოსიმე), აღმწერელი, თუნდაც ენის შემოქმედი მას იყენებდა, რა თქმა უნდა მისაღება, რელიგიურ-ისტორიული, ასტრონომიული, სემანტიკური და და სხვ. არგუმენტების, ლოგიკის პრინციპების თანდართვით. უფრო მეტიც, ზოგიერთი დღემდე გაუხსნელი საიდუმლოს ამოხსნა, იმიტომაც გართულდა, რომ ამ მეთოდს სათანადოდ არ იყენებდნენ; ზოგჯერ იმის გამოც, რომ მისი მექანიზმი ბოლომდე გახსნილი არ არის.

როგორც ჩატარებული ანალიზი გვაჩვენებს, ქართულ ენაში მოქმედი რიცხვთა ჰემატრიული თვისობრიობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ თანხვედება ებრაული, ბერძნული ან ლათინური ენებისას. ეს მეტად საყურადღებო ფაქტია და იგი, ისევე როგორც მეფე ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შექმნის დღეს გავრცელებული ვერსია მეტად საინტერესო ჰიპოთეზით შეიძლება აიხსნას.

ძველებრაული დამწერლობის გამოყენებით და მთელი რიგი დაშვებებით, მეცნიერებმა „წერონი ცეზარი“-ს რიცხვ-ნიშანთა ჯამი — 666-მდე დაიყვანეს. როგორ მოხდა, რომ იგივე რიცხვით აღბეჭდილია მეფე ფარნავაზის სახელი?

ამ ფაქტს პირველმა ყურადღება ბ-ნმა თამაზ ჩხენკელმა („ლაზარე, გამოედ გარეთ“) მიაქცია. ძველი ნელთალრიცხვის მესამე საუკუნეში მოღვაწე მეფე ის პირია, ვისზეც ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრება“-ში წერს: „... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართლისა და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული.“ კომენტატორები ამ ტექსტზე დაყრდნობით ფარნავაზს ქართული ანბანის შემოქმედად მიიჩნევენ. ასეთი რა ცოდვა იდვა თავს მეფე ფარნავაზმა, რომ მისი სახელი, ეპისკოპოს ირინეის დაბადებამდე 500 წლით ადრე, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, 666-ად წარმოგვიდგება?! გამოვთვალოთ „ფარნავაზი“-ს რიცხვ-მნიშვნელობათა ჰემატრია —

$$ფ(500) ა(1) რ(100) ნ(50) ა(1) ვ(6) ა(1) ზ(7),$$

$$500 + 1 + 100 + 50 + 1 + 6 + 1 + 7 = 666.$$

უფრო მეტიც, მისი ბიძის, მცხეთის მასახლისის სამარის სახელიც დაფარულად, თვლის შვიდობით სისტემაში, ისევე 666-ს იძლევა:

$$ს(200) ა(1) მ(40) ა(1) რ(100),$$

$$200 + 1 + 40 + 1 + 100 = 342,$$

$$342 \text{ (ათობით სისტემაში)} = 666 \text{ (შვიდობით სისტემაში) (თ. ჩხენკელი).}$$

იგივე ჰემატრიები ფარული რიცხვით მოცემულია „დავათის სტელაზე“.

ითვლებოდა, რომ ფარნავაზის მეფობის დროს იქამდე დაფარული ქართული ანბანი, ქართული კალენდარი, იქნებ ქურუმთა ფარული ენაც ქართველი ხალხის საკუთრება გახდა, განხორციელდა დიდი სახელმწიფოებრივი და მსოფლმხედველობრივი რეფორმა. „ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერთაგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართულისა“ („ქართლის ცხოვრება“).

666 რიცხვის მიზეზი სახეზეა (!)

„... და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“ (!!).

ეჭვი ამ საკითხთან მიმართებაში დიდი ხნის წინათ გაჩნდა: „არა უნიგნონი იყვნენ ქართველნი უნიარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილთა“ (თ. ბატონიშვილი).

„ანბანი ქართველ ხალხს ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონებოდა“ (ს. გიორგაძე).

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, თუ ქურუმები ჰემატრიაზე დაყრდნობით ქმნიდნენ თავის საიდუმლო ენას, ანბანი მათ უკვე შექმნილი უნდა ჰქონოდათ, სხვაგვარად სიტყვაში სასურველი რიცხვული არსის შენარჩუნებას ისინი ვერ მოახერხებდნენ. ამ ფაქტის შემთხვევითად დადგომის ალბათობა ათი მილიარდიდან ერთია, ანუ პრაქტიკულად გამორიცხულია. ე.ი. ჯერ ქართული ანბანი შეიქმნა და მერე, მისგან გამომდინარე ყველა სიტყვისა თუ სახელის ჰემატრია. ამდენად, ჰემატრიულად მტკიცდება, რომ ფარნავაზის სახელის დარქმევინას, ე.ი. მისი დაბადებისას ანბანი შექმნილია, ფარნავაზს ქართული ანბანი არ შეუქმნია (!). ან-

ბანი შექმნილია, მისი ბიძის „სამარ“-ის სახელის შერჩევის დროსაც. ეს დასკვნა ზედაპირზე ძვეს და თუმცა ფარნავაზის სახელის ჰემატრია ცნობილი იყო, საკვირველია, რომ აქამდე არ იქნა შემჩნეული.

როგორც ითქვა, რიცხვთა ჰემატრიული გამოჩენილობა სწავლულ-ქურუმთა ასტრონომიული დაკვირვების შედეგად დგინდებოდა. მაგ.: ცარგვალი 72 წელიწადში ე.წ. პრეცესიის გამო 1 გრადუსიან ბრუნს აკეთებს დედამიწის მიმართ. სავარაუდოდ, აქედან გამომდინარე 72 ღმერთის ერთ-ერთი რიცხვული ექვივალენტი გახდა (ზ. სიტჩინი). ამ დროს მეფე „ფარნავაზი“-ს სახელის რიგითი სათვალავის ჰემატრია —

$$ფ(23) ა(1) რ(19) ნ(14) ა(1) ვ(6) ა(1) ზ(7);$$

$$23 + 1 + 19 + 14 + 1 + 6 + 1 + 7 = 72\text{-ია.}$$

ებრაული ჰემატრიით 72 ღმერთის, იჰვჰ-ს, იაჰვეს-ს პირდაპირი თარგმანით — „მე ვარ, რომელიც ვარ“ (მყოფის) ფარული რიცხვია.

ბიბლიის მიხედვითაც, როცა ღმერთმა მოსე სინას მთაზე 70 უხუცესთან და აარონის 2 შვილთან ერთად მიიწვია, ღმერთთან 70-ის ნაცვლად სულ 72 კაცი მივიდა.

ერთი მხრივ, დამლიანი რიცხვი 666 (როგორც კვლევებით მტკიცდება რიცხვი 666-ის თავდაპირველი ღირებულება სულაც არ იყო მკვეთრად უარყოფითი) და მეორე მხრივ, ღმერთის ამსახველი 72. არა მხოლოდ ფარნავაზის ჰემატრიული ორსახოვნება ითხოვს ახსნას, არამედ ისიც თუ რაოდენ დიდი გამოთვლითი სამუშაოა ჩატარებული ამ ორი ჰემატრიის ერთ სიტყვაში მოსაქცევად.

პირველი 666 მუმერულ თიხის ფირფიტაზე იკითხება, მაგრამ ეს არაა სიტყვაში, მის შიგთავსში შესული რიცხვი, ეს ღმერთების რიცხვ-მნიშვნელობათა ჯამია.

თიხის ფირფიტაზე წერია:

ანუნაკი („ის, ვინც ციდან მიწაზე ჩამოვიდა“) — 600,

ანუ („უმალღესი მმართველი“) — 60,

ადადი („განდობილთა ღმერთი“) — 6,

ჯამი — 666 („აქ სიბრძნეა“).

სიტყვაში შესული პირველი 666 ფარნავაზისა და მისი ბიძის სამარის სახელებია. ჩვენ სახეზე გვაქვს შუმერულ-ქართული მემკვიდრეობითობის ჰემატრიული არგუმენტი.

შემდეგ უკვე ბერძნულ ჰემატრიაშიც ჩანს იგივე რიცხვი. „ბერძნული ჰემატრიით 666 ოლიმპოს ღმერთებთან, დამყარებულ წესრიგთან მებრძოლი ტიტანის რიცხვია“ (ვ. პენნიკი, ზ. სიტჩინი). ფარნავაზის პიროვნული და საერო თვისობრიობა ჰემატრიაში ვადადის და ბერძნულისგან შეთვისებულ კიდევ ერთ მითოლოგიურ-ჰემატრიულ პარალელს ვიღებთ.

ჰემატრია ახალ, მოულოდნელ არგუმენტებს იძლევა და გვიბიძგებს ახლებურად გავიაზროთ არა მხოლოდ წინაქართული, არამედ ხმელთაშუა ზღვის ხალხთა პირველი სტორია. იგი საბოლოოდ უარყოფს მეფე ფარნავაზის დროს ქართული ანბანის შექმნის აქამდე გავრცელებულ ვერსიას.

შეიძლება დავასკვნათ: ჰემატრია ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ ქართული ანბანი ძველი ნელთალრიცხვის მესამე საუკუნემდე, მეფე ფარნავაზამდეა შექმნილი.



შორენა
შორაშვილი —
ქართველი

მედიკოსის
ქართული
დაჯილდოების
დაჯილდოების
დაჯილდოების
დაჯილდოების

საზღვარგარეთ არსებული წიგნსაცავები და ქართული კოლექციები საქართველოდან დაკავშირებულ მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას იცავენ. ერთ-ერთი მათგანია ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკა, ოლივერ უორდროპის მიერ შედგენილი მარჯორი უორდროპის ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია.

მარჯორი უორდროპის ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ უამრავი დაინერა არა მხოლოდ მეცხრამეტე, არამედ მეოცე საუკუნეში და დღესდღეისობით უორდროპების საქართველოსთან დაკავშირებული

საქმიანობა თითქმის შესწავლილად მიიჩნეოდა. 2008 წელს ბოდლის ბიბლიოთეკის საცავში ჩატარებული კვლევის შედეგად მოძიებულ იქნა უორდროპების მიერ შენახული აქამდე უცნობი მრავალი ლირებულის მასალა.

როგორც ჩანს, ინგლისელი ქართველოლოგები საქართველოში მოგზაურობისას დიდი ინტერესით აგროვებდნენ არა მხოლოდ უძველეს ხელნაწერებს, არამედ თვით ქართველებისათვის მნიშვნელოვან მოკლებულ ქალაქებს:

ერთხელ ნ. კ. გ. ს.-ების წიგნის მაღაზიაში შეველ და ვნახე განსვენებულისგან დაკვეთილი წიგნები. გამიკვირდა. განსვენებულს საინტერესო წიგნთა შორის ისეთი წვრილმანებიც გამოენერა, რომ ჩვენ, აქ მცხოვრებთაც კი არ ნავიციოთხავს და ყურადღებაც არ მიგვიქცევია. მის მარჯორი უორდროპს ქართული მწერლობა სავსებით აინტერესებდა, ძველიცა და ახალიც, მნიშვნელოვანი და წვრილმანიც." (საქართველოს მოამბე, მის მარჯორი ვარდროპ, . ფსევდონიმით, 1909 წელი, 8, 10 გვ).

მარჯორი ქართველი მეგობრებისგან მუდმივად იქნდა ქართულ გაზეთებს და ეცნობოდა საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. რუსული კოლონიური პოლიტიკის ქვეშ ყყოფ ქართველ მეგობართა უსამართლო ჩაგვრის მოწმე, მათ დასახმარებლად საქართველოდან მიღებულ გაზეთებს თარგმნიდა და შემდეგ აგზავნიდა მაღალი რანგის პირებთან, მათთვის საქართველოში არსებული შეულამაზებელი რეალობის ჩვენებისა თუ მათგან დახმარების მიღების, მცირე ერის კულტურისა და ქართული ეკლესიის, ქართველი მამების დევნისა და შევიწროებისაგან დაცვის მიზნით.

აღნიშნული სტატია მარჯორის მიერ ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებულ აქამდე უცნობ თარგმანებს შეეხება. მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს არა მხოლოდ ქართული ეკლესიის ისტორიის განვითარების, არამედ XIX საუკუნეში არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და ქართველი მამების ყოფის აღწერას.

დევიდბარეტის კატალოგში (დევიდ ბარეტი, მარჯორი უორდროპის კოლექციისა და სხვა ქართული წიგნებისა თუ ხელნაწერების ბოდლის ბიბლიოთეკის კატალოგი (354 გვერდი) ლონდონი, ოქსფორდი, 1973 წელი) მარჯორისა და ოლივერის მიერ ქართული ეკლესიის შესახებ დაწერილ თუ თარგმნილ ტექსტებს ერთი ქვეთავი / ტომი ეთმობა, რაც თვრამეტი თაბახის ფურცლისაგან შედგება და დანომრილია MS. WARDR. C29 შიფრით, შემდეგი სათაურით: რტიცლეს ონ ტჰე ეორგინ ჩჰურჩჰ. (სტატიები ქართული ეკლესიის შესახებ).

სტატია The persecution of the Georgian Church - (ქართული ეკლესიის დევნა) მარჯორი უორდროპის მიერ რუსულიდანაა თარგმნილი, 1909 წელს გამოცემული გაზეთიდან „რეჩი“ (72, მარტი). კოლხიდელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული გრიგოლ დადიანის სტატიაში აღწერილია საქართველოს ეგზარქოსის - ნიკონის მოკვლის შემდეგ დაწყებული რეპრესიები და მისი შედეგები. ეკლესიის მეთაურის მკვლელობა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ გამაოგნებელ ფაქტადაა მიჩნეული, რასაც ქართველთა გაუთავებელი წამება და გადასახლებები მოჰყვა.

„გასულ წელს მოკლეს არქიმანრიტი ნიკონი, საქართველოს ეგზარქოსი, ეკლესიის მეთაური თბილისში, მოხდა მთელ საქართველოს ისტო-

რიაში აქამდე გაუგონარი რამ.

იმის გამო, რომ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებმა საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალიის უფლებების აღდგენას დაუჭირეს მხარი, ბუნებრივია, ამას მოჰყვა საეკლესიო პირების დევნის გაძლიერება. ხაზს ვუსვამთ, რომ მკაცრი და ყოველგვარად დაუმსახურებელი საეკლესიო პირების დევნა საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო და ხალხისადმი ცინიკური დამოკიდებულება დიდი ხნის წინაც იგრძნობოდა.

იაცკევიჩმა, სინოდის ჩინოვნიკმა, რევიზიის ჩატარების შემდეგაც ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც ქართული ეკლესიის წარმომადგენლების მიმართ განსაკუთრებულ დამსჯელ ქმედებებს გაამართლებდა.

არქიმანდრიტი ამბროსი, ცნობილი მქადაგებელი, დააქვეითეს და გადაასახლეს რუსულ მონასტერში; ყველასაგან ზურგშექცეული მღვდელთმთავარი კირიონი, ცნობილი ქართველი წმინდანი და მამაო, ხარკოვის უდაბნოში უკვე გადასახლებული, სანაკურის მონასტერში გამოკეტეს. გზად სანაკურისაკენ ის ავად გახდა და მოსკოვის საავადმყოფოში იწვა. ხანში შესული ინვალიდი გადმოათრეს სანოლიდან და ყინვაში გზას გაუყენეს. მღვდელთმთავარი ლეონიდის სახლი გაჩხრიკეს. ყველაზე დაფასებული ქართველი იერარქები; მრავალი ადგილობრივი სინოდის თანამშრომელი დაითხოვეს. ხმები დადის, რომ მოსალოდნელია მეტი დამსჯელი ოპერაციები და მღვდელთა გადასახლებანი და ეს ხდება ყოველგვარი მიზეზის ახსნის, ბრალის წაყენების გარეშე.

ამას დაუმატეთ მთავარეპისკოპოს ვოსტოროვის, საქართველოს მტრის მიერ შექმნილი განცხადება, რაც მოსკოვში იმ მომენტის თანდასწრებით გააკეთა, რომლის სახელი ქართულ გაზეთებში უკვე ნახსენებია: "მე მას დავახრჩობ (მღვდელთმთავარი კირიონი) და მთელ საქართველოს სისხლში ამოვახრჩობ" და უკვე ამკარა ხდება, რომ ეს საკითხი სცდება ეკლესიის ჩარჩოებს და სწორედ ამან აღამფოთა მთელი საქართველოს მოსახლეობა, განურჩევლად პარტიისა და რანგისა.

აღნიშნული საკითხი შესაბამისად შუქდება პრესაში და საზოგადოების სხვადასხვა ფკუფებისა თუ მათი წევრების, პირადი თუ ოფიციალური შეხვედრების განხილვის უმთავრესი საგანია.

ყველგან მიღებულია გადანყვეტილება დასჯის შემთხვევების მიზეზებისა და საჯაროდ გასამართლების მოთხოვნის შესახებ.

მიღებული გადანყვეტილებები საგანგებოდ შერჩეულმა პირებმა ლ. ლ. ვორონცოვ დაშკოვამდე მიიტანეს, რომელიც თავის ჩვეულ სტერეოტიპულ პასუხს გვცემს, რომ მან არაფერი იცის ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ გამოიძიებს.

ამასობაში მდგომარეობა უფრო და უფრო კრიტიკული ხდება.

სინოდის რეჟიმით მრავალი უკმაყოფილო რწმენის შეცვლის აგიტაციას ეწევა, იერარქთა რეჟიმისაგან გათავისუფლების მიზნით.

რამოდენიმე დღის წინ კახეთის ორი სოფლის მოსახლეობა ბაპტისტი გახდა.

ქართველ თავადთა შეკრებაზე, თბილისში, თავადმა მარხბელმა წამოაყენა საკითხი, რომ, რუსეთთან ნებაყოფლობით გაერთიანებული საქართველო, მართლმადიდებლური რწმენისათვის პოლიტიკური თავშესაფარის მოპოვების მიზნით, ამჟამად მძიმე რელიგიური

კრიზისის ქვეშ იმყოფება და თავადებს მოსთხოვა სიმართლის გამოამკარავება.

შეხვედრის შედეგები ანონიმურად აცნობეს მთავრობის თავადთა მარშალს - თავად დ.ი. თამარაშვილს, რომ ეს მოთხოვნა ადგილობრივი მთავრობისათვის წაეყენებინა.

ამავე საკითხთან დავაშირებით შეხვედრა გაიმართა დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში, მაგრამ იქ ამას სრულიად მოულოდნელი შედეგები მოჰყვა. ქუთაისის მმართველმა გენერალმა ლავოჩინსკიმ ბრძანება გასცა შეხვედრის ყველა მონაწილის დაპატიმრების შესახებ და ისინიც დააკავეს.

ცნობილი მწერალი თავადი დ. მიქელაძე, რომელიც 70 წლისაა, სოხუმის მერი, თავადი თავდგირიძე, კონგრესის ვიცეპრეზიდენტი, თავადი ა. აბაშიძე, თავადი ო. ნულუკიძე, თავადი ი. ნიჟარაძე, თავადი მ. მდივანი და სხვები.

ამ ბრძანებამ უფრო მეტად აღამფოთა ქართველი საზოგადოება.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართველთა ტოლერანტულ ხასიათზე. იმ დროს, როცა ქართველ ხალხს შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვს ყველა აღმსარებლობის მიმართ, ახლა თავად იდეენება, ისიც რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მფარველობის ქვეშ. ქართველთათვის რწმენის თავისუფლება მამულის თავისუფლების ტოლფასად მიიჩნეოდა, რწმენისადმი თავდადება კი მამულისადმი თავდადებად.

"საქართველოს ისტორიაში არც სეკრეტიზმი, არც რელიგიური დევნა და ძალადობა ყოფილა ცნობილი. საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლური სიონის კათედრალის გვერდით მშვიდობიანად იდგა კათოლიკური ეკლესია, მეჩეთი, სომხური კათედრალი და სინაგოგა. სრული აღმსარებლობითი თავისუფლების გარანტიით. იმ დროს, როცა ევროპაში ერეტიზმი მძვინვარებდა, თვით ამკარა დამპყრობელთა ქვეშ ქართველი ხალხი რწმენის ინტერესებისადმი უდმივად სათუთ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა.

საუკუნეებმა გაიარეს. საქართველოსპოლიტიკური მიმართულება შეიცვალა, მაგრამ ეს მახასიათებელი თვისება კვლავ ქართველ ხალხში დარჩა."

როგორც წერილიდან ჩანს, სტატიის დაწერის მიზანი გრიგოლ კოლხიდელისათვის რუსი ხალხისათვის სიმართლის მოწოდებაა, არსებული სურათის ჩვენებაა, მხილებაა იმისა თუ როგორ იჩაგრება საქართველოს მოსახლეობა რუსული რეჟიმის ქვეშ. წერილი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: "მიეცით საშუალება რუს საზოგადოებასაც, რომ შეიტყოს ამის შესახებ. შესაძლოა ამან უშუამდგომლოს დევნილ მოსახლეობას და იხსნას ღია სასამართლოს მიერ გამოტანილი სამართალი."

აღნიშნული თარგმანი მარჯორის მიერ ფანქრითაა შესრულებული და სულ სამი თაბახის ფურცლისაგან შედგება. ქვემოთ მოყვანილია თარგმანის სრული ასლი.

The Persecution of Georgian Church
Translation in the hand of M. Wardrop of article by
Kokhideli – G. Dadiani

last year Archbishop Nickon, exarch of Georgia, the head of the church was murdered in Tiflis, an event unheard of in the overall of Georgian History.

The public deputy agitated the...
But as the representation of the Georgian church

The next day I went to N.N. Dunovo's again and was almost weeping at this severe treatment to the Bishop and wishes to know if Georgian society could do nothing to save him. It is necessary, said N.N. Dunovo, that every Georgian Bishop should enquire of the government why Bishop Kirion is thus persecuted and then this will be an end of it. He also told me that the assistant inspector of Moscow University Bogoiabovskiy was asking with Vistorgoff about Kirion's groundless persecution and Vostorgoff replied: "I will drown him and all Georgia with blood." Upon this Mr. Balashov a member of a Moscow newspaper, who was present at the moment said: Bishop Kirion may complain of these words of Vostorgoff, may call me as witness. A f t e r this on my return to the Kursk Railway station jandarmes seized me, a police official related to me own journey and menacing me said: tell me where you have been or I shall arrest you. It is all the same, we know everything. If you know, replied I, then why it is necessary that I should tell you. They handed me testimony and finally let me go. Thus ended Bishop Kirion's journey.

Mousvenaridze"

ბოდლის ბიბლიოთეკაში დევიდ ბარეტის კატალოგის მიხედვით ეკლესიასთან დაკავშირებულ სტატიებშია ასევე შესული მარჯორი უორდროპის კიდევ ერთი სტატიის თარგმანი გაზეთიდან „რეჩი“ (72, 15/28, 1909 წელი). სტატიაში საუბარია ქართველთა მიმართ განხორციელებული მკაცრი ზომების შესახებ; მოხსენიებულია იმ თავადების ბედი, რომლებიც აღმოფრთხილდნენ გამოსატყვევებელი შევიწროების გამო. სტატია ქართველ თავადთა დაკავება (რესტ ოფ გეორგიან რინცეს) დასრულებული არაა, როგორც ჩანს, მთარგმნელი სხვადასხვა გაზეთიდან აპირებდა საჭირო ინფორმაციის ამოკრებას და ინგლისურ ენაზე გადატანას.

22 თებერვალს, ქუთაისში, კლუბში ქუთაისის წარჩინებულთა და თავადთა პირადი შეხვედრა ჩატარდა. სხვადასხვა საკითხებთან ერთად შეხვედრაზე გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ თუ კიდევ გაგრძელდა ქართული ეკლესიის იერარქთა დაკავება და გადასახლება ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ეს უარყოფით შედეგებს იქონიებს მასაზე და ჩამოაშორებს მათ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიას. შეხვედრის დამსწრეებმა გადაწყვიტეს, რომ ეს საკითხი დასწრაფოდ უნდა წარდგენილიყო

ქუთაისელ თავადთა მოახლოებულ გენერალურ შეხვედრაზე. ყოველგვარად ზიანის მიმყენებელი შეხვედრის ხასიათის მიუხედავად მის დამსწრეებს სავალალო შედეგები მოუტანა.

გენერალურმა მმართველმა განსაკუთრებული დავალება მისცა ქუთაისის თავადთა მმართველ მარშალს, რომ წარედგინა შემდგარი შეხვედრის სრული შინაარსი. 28 თებერვალს დააკავეს თავადი დ. ა. მიქელაძე და თავადი პ. კ. თავდგირიძე. მოსალოდნელია კიდევ მრავალი დაკავებანი...

მარჯორი უორდროპის თარგმანები ყურადღების ღირსია არა მხოლოდ იმის გამო, რომ გვანდის XIX საუკუნეში ქართულ ეკლესიის რეალობის სურათს, არამედ იმიტაც, რომ თარგმანები საოცარი სიზუსტითაა შესრულებული. მთარგმნელს ესმის მოცემული დოკუმენტის მნიშვნელობა და ქმნის ადექვატურ თარგმანს, დიდი სიფრთხილით გადააქვს ყოველი დედნისეული ელემენტი, ყოველი ფრაზა მოქნილი, სხარტი და ბუნებრივია, ამასთან შენარჩუნებულია დედნისეული რიტმი, ინტონაცია. მთარგმნელი თარგმანს არ უკარგავს მხატვრობას. იქ, სადაც ავტორი წერს: "დევნამ და რეპრესიებმა მღუმარების ბეჭედი დაასვეს ქართველი მღვდელთმთავრების სამართლიან განცხადებებს," ავტორი არ უკარგავს ფრაზას მხატვრობას და ასევე გადააქვს: "persecution and repression have broken down the just declaration of the Georgian hierarchs and placed on them the seal of silence."

რა მიზანი უნდა ჰქონოდა ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული, ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის ინგლისურ თარგმანს? ნუთუ მხოლოდ ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანა და პოპულარიზაცია?

ამ კითხვაზე პასუხი ოლივერ უორდროპის მიერ შექმნილ მარჯორი უორდროპის ქართულ კოლექციასშივე მოიძებნა.

წლების მანძილზე მარჯორი უორდროპი, – ამიერიკაკასიაში ბრიტანეთის პირველი ელჩის ოლივერ უორდროპის და ცნობილი იყო როგორც ქართული ლიტერატურის მთარგმნელი. არსად იყო მოხსენიებული მისი დიპლომატიური საქმიანობა და მის მიერ ქართველი მეგობრების დასახმარებლად განეული ღვაწლი.

ბოდლის ბიბლიოთეკის საარქივო მასალის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ ოლივერის გვერდით მუდმივად იდგა მარჯორი. ის იყო არა მხოლოდ მთარგმნელი და საქართველოში აღფრთოვანებული პიროვნება, არამედ ეგრეთწოდებული "დიპლომატი" და ქართული კულტურის და მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი. მის თარგმანებს და ორიგინალურ ნაშრომებს, მის შუამავლობას და დაუღალავ შრომას გარკვეული როლი უნდა ეთამაშა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. თარგმანების მიზანი უმთავრესად საქართველოში არსებული რეალური პოლიტიკური თუ საეკლესიო მდგომარეობის ჩვენება და შესაბამისი დახმარების მიღება იყო. ბიბლიოთეკაში არსებული მარჯორის მიერ შესრულებული თარგმანები გაგზავნილია გიბრალტარის მღვდელთმთავართან, სესილ სპრინგ რაისთან – (პეტერბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი); ჰენრი ნევისონთან - (ბრიტანელი ჟურნალისტი). მარჯორის არანაირი ოფიციალური თანამდებობა არ ჰქონია. იგი, საკუთარი სურვილით თარგმნიდა სტატიებს ქართული თუ რუსული გაზეთებიდან, ქმნიდა ადექვატურ თარგმანებს, რუსების მიერ საქართველოში განხორციელებული უსამართ-

ლობების საზღვრებს გარეთ გასატანად.

ალსანიშნია ისიც, რომ მთარგმნელი გას-
აგზავნ ნერილებს საკუთარ ნერილებს ურ-
თავდა თარგმანის მიზნის უკეთ ასახსნელად.
ერთ-ერთი ასეთი ნერილია გიბრალტარის
მღვდელთმთავრისადმი მიწერილი, რაც ოლი-
ვერის მიერ თარგმნილ, გაზეთ "სლოვოში" (30.
10/31.12.1908) დაბეჭდილ ალექსანდრე ცაგარე-
ლის ნერილს დაურთო და ბუქარესტიდან 1909
წლის 15 აპრილს გააგზავნა. მასში საუკეთესო-
დაა ნაჩვენები მისი პირადი დამოკიდებულება
და მოსაზრებანი, მისი პირადი ემოციები და
აღფრთოვანება რუსთა მიერ საქართველოში
განხორციელებული სასტიკი ზომების გამო.
ნერილში ჩანს ქართული ისტორიის ღრმა ცოდ-
ნა, ამკარაა, რომ მას ნაკითხული აქვს მრავალი
ქართული სტატია და შესწავლილი აქვს საქარ-
თველოში არსებული მდგომარეობა.

"დაქვეითების შემდეგ იგი დაატყვევეს
შორეულ რუსულ მონასტერში. თუმცა ის საკ-
მაოდ ხანში შესულია და ჯანმრთელობის მდგო-
მარეობაც გაუარესებული აქვს, მუა ზამთარში
აიძულეს გამგზავრება. უგულუბელყოფილ
იქნა მისი თხოვნა პეტერბურგში ჩასვლისა და
ბრალდებისაგან თავის გამართლებისათვის.
იგი მოსკოვში ავად გახდა, თუმცა პოლიციამ
ძალით წამოიყვანა იქიდან და მოსთხოვა გზის
გაგრძელება. ისაა რამოდენიმე ღირებული ლიტ-
ერატურული ნაშრომის ავტორი და ხალხი მასზე
ძალიანაა შეყვარებული."

მარჯორი აღწერს მღვდელთმთავარი
ლეონიდის, არქიმანდრიტი ამბროსის დევნის და
უსამართლოდ დასჯის ფაქტებს და უმარტავს
გიბრალტარის მღვდელთმთავარს, რომ: "დე-
ვნის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ქართველი
სამღვდელთმთავარი ანონიმურად ემხრობა საკუ-
თარი ეკლესიის თხუთმეტი საუკუნის განმავ-
ლობაში არსებულ ავტოკეფალიას." მას მოჰყავს
მაგალითები, თუ რა შედეგები, მოიტანა მართლ-
მადიდებლური რუსეთის სახელმწიფო მოხელე-
თა მიერ ჩადენილმა დამსჯელმა ქმედებებმა:

"ეკლესიის დევნა ხალხს მართლმადიდე-
ბლურ რწმენას ამორებს. ბევრმა მიიღო კიდეც
რელიგიის შეცვლის გადაწყვეტილება. კახეთის
ორი სოფლის მოსახლეობა ბაპტისტი გახდა.
ესაა კურიოზული სიმპტომი იმ ხალხისა, რომ-
ლის ეკლესიასაც არასოდეს სცოდნია ერეტიზმი
და სეპარატიზმი."

თავადთა შეკრებებზე გამოთქმული იქნა
მოსაზრება, რომ თუ სასულიერო პირთა მსგავსი
დევნა და ყოველგვარი გასამართლების გარეშე
გადასახლება გავრძელდება, ხალხის მართლ-
მადიდებლური ეკლესიისაგან მასობრივი ჩამო-
შორებაა მოსალოდნელი.

ქუთაისში მარტის დასაწყისში რამოდენ-
იმე ყველაზე დიდი გავლენის მქონე თავადი
დააპატიმრეს და დაემუქრენ გადასახლებით
მსგავს შეკრებებზე დასწრების გამო. მაგრამ ამ-
ჟამად თბილისის გაზეთებიდან ვიგებ, რომ ზოგი
უკვე გამოუშვიათ.

ქრისტიან ერს რწმენა და თავისუფლება
შენარჩუნებული ჰქონდა საუკუნეების განმავ-
ლობაში მონღოლების, არაბების, თურქების,
ირანის შემოსევის დროს, ახლა კი ორივეს და-
კარგვის წინაშე დგას დიდი ქრისტიანული ძალის
მფარველობის ქვეშ, სადაც ისინი თავისი სურ-
ვილით გაერთიანდნენ ასეული წლის წინ."

მარჯორი აქვე ასრულებს ნერილს, ბოდიშს
იხდის მცირე ინფორმაციის მიწოდებისა და მისი
შენუხების გამო და დასძენს: "მე ჩემს უმწეობას

გამოვხატავ, მაგრამ ვგრძნობ, რომ უნდა გავა-
კეთო ის, რისი გაკეთებაც შემიძლია ამ მამაცი
ქართველი ხალხისათვის, რომელთაც მე ასე
ძალიან ვაფასებ და მიყვარს." იგი სთხოვს გი-
ბრალტარის მღვდელთმთავარს, რომ უშუამდ-
გომლოს ქართულ ეკლესიას რუსულ სინოდთან
და რაიმეთი დახმარება გაუწიოს ამ მცირე, უს-
ამართლოდ დაჩაგრულ ერს.

მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თავად
ნაიკითხოს ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცუ-
ლი მარჯორისეული თარგმანი.

«Dear Bishop of Gibraltar,

The sad news from Georgia of the persistent per-
secution of ancient Iberian Church and its clergy has
moved me to appeal to you. I do not know if you per-
sonally are in touch with the Russian Synod but, in any
case, no doubt you are acquainted with English church-
men who are I feel sure that you will use your influence
to interest them in the spiritual state of their Georgian
brothers and to try to obtain justice for them.

Bishop Kirion after suffering degradation and ex-
ile has been imprisoned in a distant Russian Monastery.
Although he is well up in years and in horrible health,
he was forced to travel in the depth of winter and his
request to be allowed to go to St. Peterburg to answer
any accusation which might be against him was re-
fused. He fell ill in Moscow but was drugged from the
hospital by the police and made to continue his journey.
He is the author of several literary works of merit and
much beloved by the people.

Bishop Leonid perhaps the most esteemed of the
Georgian clergy was subjected to a domiciliary search
and removed from his see.

Archimandrite Ambrose, an eloquent preacher has
been degraded and exiled to a Russian monastery and
many of the local clergy have been dismissed and pun-
ished.

The great enemy of Georgian church, the mission-
ary arch-priest Vostorgoff, was in Moscow, heard to de-
clare that he would 'drown' Bishop Kirion and flood all
Georgia with blood'. He has recently received the order
to ST. Peterburg from the Tsar.

This persecution of their church is alienating the
people from the Orthodox faith. Many even discuss
the advantages of changing religion. Two villages in
Cakheti have become Baptists. This is a carious symp-
tom in the people whose church has never known her-
esy or sectarianism.

The whole Georgian nation is naturally roused to
indignation. Meetings of the nobles have been held in
which the fear expressed that the mass of the people
would be alienated from the Orthodox Christian faith
if the highest hierarchies continue to be arrested and
exiled without trail.

At Kutais, in the beginning of March some of the
most notable men in the country were imprisoned and
threatened with exile for the taking part in such a meet-
ing, but I see from the latest Tiflis papers that several of
them have now been revealed.

From the enclosed translation of an article* by
Prof. Tsagareli of St. Peterburg University, a Priory
Counsellor of the Empire you will see what an expert
has to say about the autocephaly of the Georgian
church.

I hear that these few facts give but poor ideas of the
state of affairs, but I do not wish to weary you. Please
forgive me for troubling you. I realise my utter help-
lessness, but I feel that must do what I can for the brave

Georgian people whom I so much admire and love. I hope to have the pleasure of seeing you again soon.

Yours sincerely,
M. Wardrop."

ოქსფორდის ქართულ კოლეჯში არსებობს მარჯორის მიერ გიბრალტარის მღვდელთმთავარისადმი მიწერილი კიდევ ერთი წერილი, სადაც ჩანს, რომ ეს ერთ-ერთი უმაღლესი სასულიერო პირი ღრმა ინტერესს გამოხატავს არსებული მდგომარეობის გამო და ცდილობს იმის გაკეთებას, რაც შეუძლია. მარჯორი დიდ მადლობას უხდის მღვდელთმთავარს და ახსენებს, რომ მას და გიბრალტარის მღვდელთმთავარს ერთად უნახავთ ბატონი ბირკბეკი სანქტ-პეტერბურგში. როგორც ჩანს, ინგლისელი ქალი არა მხოლოდ მომონერით, არამედ პირადადაც ხვდებოდა იმ ადამიანებს, ვისაც შეეძლოთ ქართული ეკლესიის დევნის შეჩერება.

“ძვირფასო გიბრალტარის ეპისკოპოსო,

დიდი მადლობა თქვენი წერილისათვის. დიდად მადლობელი ვარ იმის გამო, რაც გააკეთეთ და დარწმუნებული ვარ ქართული ეკლესიაც მადლობელი იქნებოდა, ეს რომ სცოდნოდა.

ფაქტმა, რომ ინგლისელმა ეპისკოპოსმა ინტერესი გამოთქვა ახალგაზრდა ძმების მიმართ, დადებითი გავლენა უნდა იქონიოს რუსულ სინოდზე. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ბატონი ბირკბეკი, მისი მცირე ხნით ნახვის შემდეგ, გამოიყენებს თავის გავლენას რუსულ ეკლესიაზე.” ს. ჭარდრ. 26/5

მარჯორის მიერ ქართული ეკლესიისათვის განეული ღვაწლი, ქართველი მეგობრებისათვის განეული დახმარება ამით არ უნდა ამონურულიყო. მისი ინტერესი საქართველოსადმი და მისი აღმოფთება რუსთა უსამართლობებისადმი იმდენად ღრმა იყო, რომ იგი მხოლოდ გიბრალტარის მღვდელთმთავრისათვის მიწერილ თარ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ის იყენებდა თავის კავშირებს, პრივილეგიებსა და ცოდნას, რომ ყველასათვის გაცენო საქართველოში არსებული მდგომარეობა. ამის დამადასტურებელია მარჯორის კოლეჯშივე დაცული რუეთის მთავრობისადმი მიწერილი და სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებებისა თუ მაღალი რანგის პირების მიერ ხელმოწერილი მრავალი წერილი.

მარჯორის გარკვეული წვლილი უნდა მოუძღოდეს ასევე ევროპაში კირიონ II დაცვის საზოგადოების დაარსებაში, რომლის წევრებმა კარგად იცოდნენ ის, რაც ხდებოდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. კირიონის ცხოვრებას და საქართველოში არსებულ მდგომარეობას კარგად გაცნობილმა ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჟორჟ ლორანმა, ბელგიიდან, ბრიუსელიდან 1909 წლის 10 მარტს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხიმიაკოვს სთხოვა ეპისკოპოს კირიონის წამებისაგან დაცვა.

ბოდლის ბიბლიოთეკაში შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა ერთ-ერთი ასეთი მიმართვის ასლი. როგორც ჩანს, არაერთი პეტიცია და მიმართვა გაგზავნილა რუსეთში, გამორიცხული არაა, რომ ეს მარჯორის შუამავლობის ერთ-ერთი ნაყოფია, ამიტომაც იქნა ეს მიმართვები შემონახული სწორედ მარჯორი უორდროპის ფონდში. ერთ-ერთი მიმართვა შედგენილია ბრიტანეთში არსებული ბრიტანული საზოგადოებებისა და კომიტეტების წარმომადგენელთა

მიერ, სადაც დეტალურადაა აღწერილი ჰააგის კონფერენციის გადამწყვეტილებები და რომელსაც ხელს აწერენ მაღალი თანამდებობის პირები. მოთხოვნა დაწერილია მისი აღმატებული მთავრობის მიმართ, უფლებების საზღვრების შეხსენების, უსამართლო ტანჯვის თავიდან აცილების მიზნით.

“მსოფლიოში მშვიდობიანობის ინტერესების შენარჩუნების ფარგლებში, სასურველია, რომ ჩვენს მიერ მიღებული კანონმდებლობა, რომელიც აღიარებულ იქნა მთავრობათა მიერ, უნდა გავრცელდეს შესაძლო საგანგებო მდგომარეობასა და უკვე საომარ მდგომარეობაში მყოფ რამდენიმე ქვეყანაზე, რასობრივ და მოსახლეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ჰააგის პირველ კონფერენციაზე მიღებულ სანქციებთან კავშირში, რომლის მიხედვითაც: “მოსახლეობა და საომარ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება რჩება საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვის ქვეშ...” (ქვეყანაში სამართლისა და ომის წესებთან დაკავშირებული კონვენცია, ჰააგის კონფერენცია, 1899)

ჩამოთვლილი მუხლები ითვალისწინებს პატიმართა მოპყრობას, შეხსენებულია იმ ადამიანთა უფლებები, რომელთაც ომის დროს იარაღი დაყარეს და აღარ გააჩნიათ თავდაცვის არანაირი საშუალება, ნახსენებია საკუთრების ძარცვასთან დაკავშირებული საკითხები, რის მიხედვითაც აკრძალულია პიროვნების საკუთრების განადგურება, მანამ, სანამ ამას ომის საჭიროება არ მოითხოვს. აკრძალულია თუნდაც ძალით აღებული ტერიტორიების ძარცვა. აკრძალულია დაუცველი სოფლებისა და უბნების დაბომბვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პუნქტს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რის მიხედვითაც დამპყრობელმა პატივი უნდა სცეს ოჯახის უფლებებს (მანდილოსნებს, გოგონებს, მოხუცებს, რელიგიური აღმსარებლობას).

წერილს ხელს აწერენ: საქართველოს შემწეობის კომიტეტის თავმჯდომარე, საერთაშორისო არმიტრაჟისა და მშვიდობის ასოციაცია, ბალკანეთის კომიტეტი, ამხანაგობა რუსეთის თავისუფლებისათვის, ორგანიზაცია ამხანაგობა სომხეთის თავისუფლებისათვის თავმჯდომარე და პრეზიდენტი, კონგოს რეფორმის კომიტეტი, ახალი რეფორმის პოლიტიკური კომიტეტი და სხვები.

უკვე ავადმყოფი ინგლისელი მანდილოსნის თავდაუზოგავი შრომისა და ღვაწლის მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები პრობლემად დარჩა და თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი აკრძალვა გაუთვალისწინებლად. საერთაშორისო სამართლის, მრავალი მთავრობის მიერ აღიარებული (ჰააგის კონვენციის) მოთხოვნები ნაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად იქნა ჩათვლილი და დარღვეული იქნა ყოველი პუნქტი. ქართველ მღვდელთა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დევნა არც კი შეჩერებულა.

როგორც ჩანს, ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული საგანძური ღირებულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვანვდის მარჯორის მიერ შექმნილ მაღალმხატვრულ თარგმანებს, არამედ, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამასთან, XIX საუკუნის ინგლისურ-ქართული, რუსულ-ქართული ურთიერთობების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.



გიორგი წარსენის

თხუჯი ღიჯი

III-IV სასილი

იხსანი

ხევეციის შემდეგ გეზი ზულხიფ ყაჭიშვილის მიერ ნახსენები იმხან ქილისესაკენ ანუ იმხნის ქართული ტაძრისაკენ ავიღეთ. ეს ცნობილი ისტორიული ძეგლი ართვინის ვილაიეთში მდებარეობს. საკმაოდ მაღალ მთაზე ვინრო სამანქანო გზა ადის. სიცხისაგან მოხრიოკებული მთები ოქროსფერ დევგმირებს ჰგვანან. მათ მხურვალე კალთებზე კი ერთადერთი ჯიშის ყვავილი ხარობს, იმდენად ლამაზი და გამძლე, რომ იმხნის ცრემლები შეარქვეს.

ამ გადარუჯულ გარემოში ოაზისს ჰგავს სოფელი, რომლის შუაგულში დგას ხობისყელისფერი ტაძარი. ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დროს ეს ადგილი სოფლის განაპირა მხარე ყოფილა. „ეს საუკეთესო კუთხეა ტაოსი“ — აღნიშნავს მეცნიერი. ნალკოტში ჩაფლული ეკლესიის ყოველი დეტალი თუ ჩუქურთმა მშვენიერია.

ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის ხუთ საეპისკოპოსოს შორის იმხანს უმეტესი სახელი და პატივი

ჰქონდა. კათედრალურმა ტაძარმა და საეკლესიო ცენტრმა მოქმედება მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევარში შეწყვიტა.

ტაძარი თავდაპირველად VIII საუკუნის 30-იან წლებში აუგია მართლმადიდებელ ნერსე ეპისკოპოსს. ტაოს ძეგლებს შორის იმხნის სახელი ყველაზე კარგად არის ცნობილი საქართველოში, რადგან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ერთი ეპიზოდი სწორედ ამ ტაძრის განახლებას ეხება.

კონსტანტინოპოლის მოლოცვის შემდეგ ნეტარი გრიგოლი და ღირსი მამა საბა ტაოში რომ მოვიდნენ და იმხანს მოუახლოვდნენ, გამოეცხადათ ამ ტაძრის პირველი დიდებულება და ეუწყათ, რომ საბამ უნდა აღადგინოს ის დაქვრივებული ეკლესია. თანაც ის ადგილი უკვე მიუდგომელი იყო, მისასვლელი გზაც დაჰკარგვოდათ და ასევე უფლისაგან ეუწყათ, როგორ უნდა მისულიყვნენ. იმხანს რომ ავიდნენ, ძალიან გაიხარეს, რადგან იხილეს სულიერად და ხორციელად სანუგეშო ადგილი. საბამ მეორედ ააშენა ტაძარი და ეწოდა იმხნელი. შემდეგ საუკუნეებში კიდევ რამდენიმეჯერ განაახლეს და ეკლესიას საბოლოო სახე ხუროთმოძღვარმა იოანე მორჩაისძემ მისცა. ბაგრატ IV-ის მეფობის დროს იმხნის ეპისკოპოსის იურისდიქცია იმდროინდელი საქართველოს რამდენიმე რეგიონზე ვრცელდებოდა. იმდენად გავლენიანი სასულიერო კერა იყო, რომ ოსმალთა ბატონობის დასაწყისში იმხნელ ეპისკოპოსს თავად სულთანი ამტკიცებდა.

ტაძრის კედლებს ულამაზესი ასომთავრული წარწერები ამშვენებს. მათ რომ კითხულობ, გგონია, ამ ნატიფი ასოების ავტორები და მოხსენიებული პირები — გიორგი მეფე და შვილნი მათნი, ანტონ ეპისკოპოსი, ბაგრატ კურაპალატი, აშოტ კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი და სხვები, საუკუნეთა შემდეგაც იმხნის კედლებში ცოცხლობენ.

„აცხოვნენინ ღმერთმან მეფენი ჩუენნი: დავით ქართველთა მეფე და აშოტ კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი და სუმბატ ანთიპატრიკი.“

ქ. იესუ ქრისტე, აღიდე ორთავე შინა ცხორებათა გიორგი მეფე და შვილნი მათნი. ამინ.

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, გლახაკმა ანტონი ეპისკოპოსმან იმხნელმან, განვაახლე ესე კარისა ბჭე წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა სადიდებლად მეფეთა, გიორგი მეფისა და შვილთა მათთა, სალოცველად სულისა ბაგრატ კურაპალატისაჲსა, შენდობისათვის ცოდვათა ჩუენთაჲსა.“

ამ მეფეთა მოღვაწეობა 958-1024 წლებში თავსდება, ყოველმა მათგანმა იმხნის გამშვენიერებასა და გაძლიერებას წარუშლელი კვალი დაატყო.

გადმოცემის თანახმად შენობის უფრო მეტი სიმტიციცისათვის ოსტატის ბრძანებით ხელოსნებს იმხნის ასაგებად კირი სუხბუჩის საძოვრებზე მოზალახე ძროხების რძით უხელიათ, ამით ეკლესიამ მეტი სიმშვენიერე და სიცოცხლე შეიძინაო.

იმხნის კათედრალური ტაძარი ჯერ კიდევ ინახავს მოხატულობის ფრამენტებს. გუმბათის სფეროში ჯვრის ამალღების სცენაა გამოსახული. წრეში ჩანერილ ჯვარს ოთხი მფრინავი ანგელოზი აღამაღლებს. მოხატულობის ნაწილი შემორჩენილა კედლებზეც და სარკმლის წირთხლებზეც, ხოლო თუ დასავლეთ მხარეს კარგად დააკვირდებით, თანდათან წმინდანთა ლამაზი სახეები გამოიკვეთება. ტაძარში ვნახეთ

დასასრული. დასაწყისი N1,2

24 სტრიქონიანი უნიკალური ასომთავრული წარწერა:

„ადიდენ ღმერთმან უძლეველი მეფეთ მეფე დემეტრე ორთავე შინა ცხორებათა, სალოცველად მეფობისა მათისად და საბსენებლად საუკუნოდ თავისუფალ ყვეს სოფელი ლოზნი მკმრდი ამის საყდრისამ..“

მიუკუხენი ძლიერთა მეფეთა დავითის და გიორგისთმს. პირველად დავჰკიდენით კანდელი დლით და ღამით.

კპრიაკესა მათთმს შესწირვიდენ მსხურ-პლსა უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა უძლეველი მეფეთ მეფე დემეტრე, დაძ მათი დედოფალთა დედოფალი ქუეყანისამ და ჭემ-მარიტად დედოფალი ზეცისამ თამარ და შვილნი მათნი ძლიერნი მეფენი დავით და გიორგი, მოსრე ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მათნი და მიეც ცხორებად უშფოთველი სანუთროსა ზედა.“ (ე. თაყაიშვილი, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“. თბ. 1960. გვ 26)

წარწერის ბოლოს მოხსენიებული დედოფალი თამარი დავით აღმაშენებლის ქალიშვილი და მეფე დემეტრე პირველის დაა, თუმცა იმხანში სჯერათ, რომ ტაძრის მაშენებელი სახელოვანი მეფეთა მეფე თამარია.

ტაძრის მცველი, თურქი ჰუსამეტინ გუნდოგდუ კომურჩუც გვიმტკიცებს, რომ მეფე თამარია ამ ტაძრის ამგებია:

„თამარი საქართველოს ის ბრწყინვალე მეფეა, რომლის ბრძანებითაც იმხნის ეკლესია აიგო, ეს ჩვენი წინაპრების გადმოცემით ვიცით. ისიც გაგვიგონია, რომ დიდებული გვირგვინოსანი აქ თურმე ხშირად მოდიოდა და ძალიან დიდხანსაც ლოცულობდა. მე მგონი გასაკვირი არც არაფერია, ასეთი მშვენიერების შექმნა ხომ მხოლოდ თამარს შეეძლო.“

ეკლესიაში ხშირად შემოდიან კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარე სკოლის პატარა მოსწავლეები, ებოსა და ტაძარს ალაგებენ. თუმცა ის საკურთხეველი, სადაც ოდესღაც აღბათ დიდი დედა თამარი ლოცულობდა, დღეს დანგრეული და ცარიელია.

ბაღნი

ისევ ტაოში ვართ.

სოფელ ბაღნის ანუ ბაღჯისაკენ მიმავალთ გზაზე უცნაური სანახაობა შეგვხვდა. თავისებურ გუთანში შებმული ხარები ახალგაზრდებთან ერთად მუხლებამდე წყალში იდგნენ და მიწას ამუშავებდნენ. როგორც გაირკვა, ბრინჯისათვის ამზადებდნენ ნიადაგს. სამუშაო საკმაოდ მძიმეა, სამაგიეროდ ჭოროხის მასაზრდოებელი წყლით გაჯერებული მიწა ყოველთვის უხვ მოსავალს იძლევა.

გზა სულ ზემოთ მიიკლავება. მანქანით სიარული არა მერტო რთული, სახიფათოცაა. თუმცა ბუნების სილამაზე გვატყვევებს და შიშიც თანდათან გვაგინწყდება. აქ ყველაფერი, ბუნებაცა და დასახლებული ადგილებიც, მკაცრია და, ამავ დროს, სათუთი, ასკეტური და სიცოცხლით სავსე.

ქართული სოფლები ხევეკის წყლის ხეობის მაღალი მთების ფერდობებზეა გაშენებული. სასიამოვნო სანახავია მყინვარ კარკარის კალთებზე გაშლილი ინთქორისა და დუგურის იალალები, საიდანაც პატარა უბნების ძველებური სახლები მოჩანს. მათი ნახვისას საუკუნის წინ

გადაღებული ფოტოები გახსენდება და ხვდება, რომ მას შემდეგ აქ ბევრი არაფერი შეცვლილა.

ხშირად ვჩერდებით. აქ ქართველთაგან ტელეკამერით არავინ ყოფილა, ამიტომ გადასაღები ძალიან ბევრია. ხეობაში მოჩანს თითქმის მიუდგომელი და დღემდე შეუსწავლელი ძველი ციხის ნანგრევები. მთის კალთებიდან შემოგვცქერიან ლაზური ტიპის სახლები, თითქოს ჩვენს სტუმრობას მთელი საუკუნე ელოდნენ, მოდით, გვენახეთ, რა საუცხოონი ვართო.

უკვე ბაღში ვართ, უფრო სწორად, მის ქვედა უბანში, ბაღნი ბარში, ზღვის დონიდან 1800 მეტრზე. სოფლის შესასვლელშივე გაღიმებული მოხუცი გვეგებება და უბნის დასათვალიერებლად გვეპატიჟება.

შეუძლებელია, აქაურმა გარემომ არ გაგაოცოს. მიუყვები ვინრო ბილიკებს და თავი შუა საუკუნეებში გგონია. ფერდობები ქვის კედლებითაა გამაგრებული, ძველებური სახლები ხითაა ნაგები. ჩვენს დანახვაზე ქალები იმორცხვებენ და გვერიდებიან. ვინრო ქუჩას ბაღნი ბარის ბოლოში მდებარე სახლთან მივყავართ. შერიფ თოზაქი (ნებიერიძე) გურჯისტანიდან ჩამოსულ სტუმრებს მშობლიურ ენაზე გვეპატიჟება:

— ჩაი შესვით, ჩაი. მეილაღენით?

არ მეილაღენით, დასვენებაზე მეტად მათი ამბავი გვაინტერესებს.

— აქაური მილეთი ვართ, აქ დევბადე და აქ ვარა, არსა არ წავსულვარ. მანგლით ვთიბოვ, ლებიოს ვსარავ, ზროხას ვაზოებ. იქ მეზრე (ნაკვეთი) გვაქვს.

დასახლისთან დიდხანს ვერ ვჩერდებით, რადგან უფრო ზემოთ, ბაღნის შუაგულისაკენ უნდა ავიდეთ.

მანქანას სვლა სულ უფრო უჭირს. მიუვალ და ნაკადულებით დასერილ კლდეებში გავლა საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. მაგრამ აქაურები ცდილობენ, ყველანაირად დაგვეხმარონ. შუა გზაზე 80 წლის მწყემსი თაჰირ ალჰიე შემოგვხვდა. როცა ჩვენი ვინაობა გაიგო, გაიხარა და დაგვლოცა:

— ღმერთმა დიგიბურუს! — თან ხელებს იშველიებს, რომ მიგვახვედროს, როგორ დაგვიფარავს ღმერთი.

შუა ბაღნისაკენ მიმავალი მოკლე გზა კიდევ ერთმა შემხვედრმა ეიზე თურამმა მიგვასწავლა. ჩვენს საუბარს შორის განსხვავება მაშინვე შენიშნა და აგვიხსნა, სად უნდა მოგვემინა ნამდვილი ტაოური ქართული.

დაღლილი მგზავრის წინ მოულოდელად იშლება ქართული სოფლების ულამაზესი პეიზაჟი. თითქმის ცის კიდეზე გაშენებული სახლები წარმოუდგენელ სიმაღლეზე დგას. ბაღჯილის იგივე ბაღნის ცენტრალური უბანი ერთ ვინრო ფერდობზეა განფენილი, დანარჩენი უბნები მისგან საკმაოდ დაშორებულია. სახნავ-სათესად პატარა მიწები აქვთ.

სოფლის ზამთრის საცხოვრისი ძალიან ქვემოთ, პარხლის წყლის პირას, სარიგოლთან მდებარე ჭილათის უბანშია. აქ თითქმის ყველა ტოპონიმი ძველი ქართულია. ეს პირველივე შემხვედრმა ეიუფ ჭარაბაშვილმა დაგვიდასტურა:

— ქოლობანი, ბასლიაკარი, ჯამიმაყალემი, ჩეეკარი, იეთი, ველითავი, ობლიეკარი, ელიასხევი ქომოს არი. გუდასხევი იქით არი, აბლი გურჯია იქა, ელიასხევიდან იქ მიდიან.

ბაღნი ძველ ქართულ ციხე-სიმაგრეს ჰგავს. ქვისგან ნაგები მაღალი სახლები პირქუშად გადმოჰყურებენ ვინრო ქუჩებსა და პატარა მოედ-

ნებს. ძველებურ შუკებსა და ბილიკებზე მოსიარულე ადამიანების მემყურეს გგონია, რომ წარსული გაცოცხლდა.

შუა უბანში სოფლის ყველაზე პატივსაცემი ადამიანი, ხევისბერი, იგივე გამგებელი რეჯებ თოფალოლუ გავიცანით. სიცოცხლით სავსე რეჯები კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა, ქართულიც უკეთ იცის:

— ამ სოფელისი სახელი ბალხია. სოფელისი ხალხი, ისნები, ქალები, ბიჭები, ქართველი ვართ. ტიფლისიდან აქ ჩამოხველით, თქვე დიგინახეთ, ზარბა (ძალიან) გიმიხარდა, მემანონით. ჩვენი სისხლი ერთია. ჩვენი მამაები ერთი, დედაები ერთია, ერთმანეთსა ახლო იყვნეს, ჩვენც ახლო იყვენეთ. ჩვენ იმათი თავი ბევრი გვიყვარს, იმათ ჩემითგან მოკითხვა უთხარით. ღარჭებიც (ბავშვები) ქართველი არიან. ჩვენ მექთები ვერ დიგვიწერია, ვერ გვიკითხია, ქართველისი მექთები (სკოლები) არა გვაქვა. თქვენ სათავრესა (უფროსს), ფრუზიდენთ აქედან ვებნებითი, ამ საქმეს ერთი ხელი დადვას, აქ ერთი ქართულისი მექთები გახსნას. ჩვენც ვიკითხოთ ქართველი, ვნეროთ.

ბავშვებს რომ მშობლიური ენა ავიწყდებათ, ამას რეჯები მტკივნეულად განიცადის. არ უნდა, რომ ტაოელთა შთამომავალი საკუთარ ფესვებსა და კულტურას მოსწყდნენ:

— არ იციან, ხედებიან და ვერ ულაპარაკებია. სოფლებში თურქქა ვხვარატობთ, ისინიც თურქულობას დეჩვივნეს.

ვცდილობთ, ხევისბერს რაც შეიძლება მეტი ვაამბობინოთ სოფელსა და მისი ტრადიციების შესახებ:

— ჩვენი სახლებ ხედავ? ჩვენ მამასა, დედასა ასე უშენებია. ჩვენც ახლა ასე ვაშენთ ფაქა. სხვა რა გითხრა? ვისაც ფურები ჰყვანან, ყველი, მანონი, ერბო. თქვენ რა უძახით, არ ვიცი, ერბო. ვთესავთ ლებოსა, ქართოფილსა, იმტა ამათი არი. ცხვრები, თხები გყვანან, ვკლავთ და ვჭამთა.

ფურები და ცხვრები ბოსელში ჰყავთ, შუა სახლში თვითონ ცხოვრობენ, ზემოთ სათივე აქვთ. თუმცა ხუთი საუკუნეა, რაც ბალხელებს საქართველოსთან ურთიერთობა არ ჰქონიათ, ქართული ყოფა მაინც შეინარჩუნეს.

ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა რეჯებისაგან ყველაზე სახელოვანი ქართველი მეფის თამარის სახელი გავიგონეთ. გვირგვინოსანი აქაც ახსოვთ, ამიტომ მასზე ლეგენდებსა და თქმულებებს დიდი სიყვარულით ჰყვებიან:

— ტრაპიზონში ქართველი ყირალი (მეფე) ყოფილა, იმისი გოგო თამარა მოსულა აქ, სავრიეთია სოფელი და რუ უშენებია. ძნელი საქმე ყოფილა. მამის მიცემული ფული გათავებია. თავისი საჩაღები, კოლპაღები (სამკაულეები) გაუყვიდა და იმ ფულით უშენებია, წყალი ჩვენს სოფლამდე მუყყვანია. თამარი ძალვან კარგი ყოფილა, იმისთანა ტრაპიზონ-ერზრუმში ვერ ნახავდით.

აქ ვერ დაივიწყეს თამარის ვერც სილამაზე და ვერც ღვაწლი. ამას განსაკუთრებული მონადინებით ჰყვება რეჯები, ხელებს იშველიებს, ხმას უწევს:

— თამარი აქ ყველამ იცის. ართვინმა იცის, ხოფამ, ბორჩხალმა, შავშათმა, იუსუფელმა, ჩვენ ვიცით. პარხალში ერთ ქილისე (ეკლესია) არის, ისიც თამარს უშენებია, იმხანში, კარი აბიდე (თალი) არი. ძალიან ბილბერი (მშვენიერი) ყოფილა.

რეჯები მოგვითხრობს სოფელზე, მის ისტორიასა და დღევანდებობაზე. ქართულობის დასტურად ამ მხარეში მართლაც ბევრი რამ შემორჩა. აი, თუნდაც აქაური სოფლის სახელები: ქერიყანა, ნაფარახევი, საკენჭოანი, გორამეთი, ვანეთი, დისჭალა, დიდახო, კილდიათი.

ბალხი უცნაური სოფელია. შუა ზაფხულში ამვნანებული ხეების ახლოს არ დნება თოვლი, მთელი წელი დევს. ამ ქედის მახლობლად კი მაისის მეორე კვირას ტრადიციული ფესტივალი ეწყობა. გურჯებთან საფერხულოდ მთებს გადმოდიან წანებიც ანუ ლაზები. ბალჯილის იალაღებზე კი ხართა შერკინება იმართება. რეჯების თქმით ეს აქაურ ქართველთა ძველი წესია. იხსენებს, ბავშვობაში როგორ ჩამოდიოდნენ ზემო სოფლებიდან, გოგობი და ბიჭები მიწდორში დამწკრივდებოდნენ, ქართულად იფერხულებდნენ და იმღერებდნენ, მერე ტიკის (გუდასტვირი) დაკვრით სხვა მხარეს ნავიდოდნენ და მთელი ღამე ახლა იქ იფერხულებდნენ. თუმცა ახლა ეს ადგილები დაიცალა, დაილია, ზოგი ბურსაში გადავიდა, ზოგი ისტამბულს, აღარავინ დარჩა.

ამ მთების შემხედვარეს მოფერხულე ბალხელთა და ხარების შერკინებით აღტაცებულ მაყურებელთა წარმოდგენა არ გაგიჭირდება. რეჯებისაგან ბევრი ისეთი რამ მოვისმინეთ, რაც ენათმეცნიერების, ისტორიკოსებისა თუ ეთნოგრაფებისთვის საინტერესო იქნება. ხევისბერთან საუბარი ბუბა კულდავამ გააბა:

— თქვენ ზამთარს ეტყვიან? ზამთარის მერე ქარჩელი მოვა. ყვავილები რო გიდიხნის, ჩვენ იმას ქარჩელის ვეძახით. მერე ზნაფული. ფურცლები რომ ჩიმოდიდება, თველი. თველი მოვა. შავშეთში იტყვიან სთველი, თველი ვეტყვით ჩვენა. კიდევა ზამთარი მოვა. გათოვდება თოვლი.

ზამთარში თურმე სამ მეტრამდე თოვლი დევს. ამიტომ აქ არ რჩებიან, ქვემოთ ჩადიან. ქვემოთაც აქვთ სახლები. ხეებს ყვავილები რომ გიდიხნის, აქ მერე ამოდიან. თვეებს კი ასე ეძახიან — მარტი, აპრილი, მაისი, მეშვიდე თვეს ბალითვე ჰქვია, ბალი რომ დეისხმის, აქვთ ასევე ყურძენითვე.

სოფლის სინმინდეს, რამდენიმე საუკუნის წინათ აშენებულ ბალხის ჯამესაც ვესტუმრეთ. შიგნითაც მეგვიყვანეს და დაგვათვალაიერებინეს.

ჯამეს წინ მოედანზე ახალგაზრდები და ოჯახის უფროსი მამაკაცები იკრიბებიან. აქ საქვეყნო ამბებზე მუსაიფობენ და თანაც საქმიანობენ. როგორც ერთ-ერთმა აგვისხნა, ძენკნით გოდორს ქსოვს.

სოფელში ყოფნისას ჩვენმა მეგობარმა აზიზ ბაირამ თოზაქმა (ნებიერიძემ) მამა-პაპათა გადმოცემა გაიხსენა:

— როგორც საქართველოში ქართველია, ჩვენ ასე ფიქრობთ, რო ჩვენ ასე ქართველები ვართ. აქ ერთი გამოთქმა იციან — იქაური ქართველები და აქაური ქართველები ერთი ჭოროხის შვილები ვართ.

სამწუხაროდ, ბალხში დიდხანს ვერ ვჩერდებით. გვინდა, დაბნელებამდე ოშკის სახელგანთქმული კათედრალის ნახვა მოვასწროთ. აქაურებსაც გული სწყდებათ. რეჯებმა წინაპართა ტრადიციის მიხედვით წარმატება გვისურვა და ძველი ქართული წესით დაგვემშვიდობა:

— ღმერთმა გიგისხაროს, ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ!

ვმორდებით სოფელს და ვგრძნობთ, რომ გამოთხოვება ყველას გვიჭირს. მაღალი მთების

კალთებზე შეფენილი ბალხი შორიდან უფრო მიმზიდველი ჩანს.

ოშკი

ოშკისაკენ მიმავალი გზა ნარუშულელ შთაბეჭდილებას ტოვებს. დიდებული ტაძრის ხილვის მოლოდინს ბუმბერაზი მთები და დაღარული ბორცვები ამძაფრებს. როცა ცამდე აზიდულ კლდეებს შეხედავ, ხვდები, რატომ შეერქვა აქურობას ტაოსკარი. მართლაც, კარისოდენა ადგილია გახსნილი ხეობაში შესასვლელად.

ვისაც არ უხილავს ოშკი, მან ალბათ არ იცის, რა არის მშვენიერება. ქართული ხუროთმოძღვრების გვირგვინი შუა სოფელში, მთის ფერდობზე, ხელოვნურად მოსწორებულ ვაკეზე დგას. ის მოულოდნელად გეცემათ თვალში, როგორც ქალარა დეკაკი, ბევრი ჭირ-ვარამის გადამტანი, საკმაოდ დაზიანებული, მაგრამ მაინც უბინო მშვენიერებით.

ყველა ტაძარი თუ ნაგებობა თავისებურად უნიკალურია, მაგრამ მათ შორის 963-973 წლებში აგებული ოშკი მაინც გამორჩეულია და არა მხოლოდ რელიგიური, კულტურული თუ მხატვრული თვალსაზრისით. საქართველოს გაერთიანება სამხრეთიდან დაიწყო და ახალი სახელმწიფოს პირველი დიდი ტაძარიც ოშკში აიგო. ოშკს მოჰყვა ბაგრატი, სვეტიცხოვლის მესამედ აშენება, გელათი, ალავერდი, ნიკორწმინდა. ისტორიის გზაზე ხშირად ერთად დადიან სახელმწიფოებრიობა და ხუროთმოძღვრება.

ოშკის ტაძრის დამკვეთები ყოფილან ტაოს მფლობელი ბაგრატიონები — ბაგრატი ერისთავთ ერისთავი და დავით III მაგისტროსი, დიდი კურაპალატი.

ტაძარში ყველაზე შთამბეჭდავი ალბათ გუმბათია, ის ქართველი მეომრის მუზარადს ჰგავს. თორმეტ ნახნაგმი თავმომრგვალებულ სარკმლებს ნითობა მოჭიქული კრამიძის სახურავი ეყრდნობა, კამარების ზემოთ კი ჯვრებია დახატული. ოშკის გუმბათი თითქოს უხილავ ხელს უჭირავს. ამას ტაძარში შესვლისთანავე იგრძნობ, რადგან მასიური ნაგებობა მართლაც ცაშია გამოკიდებული. თაღნარს კი მხოლოდ კამარები იჭერს.

ხუროთმოძღვარმა ტაძარი მდიდრული ატრიბუტით, უნიკალურსვეტებიანი გალერეით დაამშვენა. გალერეის განსაკუთრებულობას პირველი შეხედვისთანავე შენიშნავთ, რადგან ზიგზაგისებური სახურავითაა გადახურული. საზეიმო იერთა და რელიეფის სიმდიდრით ოშკს ბადალი არ მოეპოვება. ტაძრის მორთულობაში ბევრია ადამიანთა გამოსახულება და ცხოველები, რომელთაცან ზოგი წყვილად რბის, ზოგი ერთმანეთს მისდევს, ზოგიც იბრძვის.

სამხრეთის მკლავის ფასადზე სახემოგლევილ ანგელოზთა ფიგურები მოჩანს. დაუსახინჩრებით გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც ადგილობრივი „ყოჩაღი ბიჭები“ ერთმანეთს ტყვიის სროლაში ეჯიბრებოდნენ.

ამავე ფასადის აღმოსავლეთ მხარეს ვედრების სცენაა გამოსახული. ადამიანის სიმაღლის ხუთი ფიგურა ქვის ცალკეულ ფილებზეა გამოქანდაკებული. ფილა, ღვთისმშობლის სახებით, ოქროს მაძიებელთა მცდელობით ჩამოვარდნილა და დღეს კედელთან ასვენია.

შენობის გრანდიოზულობას შიგნიდან უფრო აღიქვამ. სიმაღლე 43 მეტრს აღწევს, მკლავების სიგანე კი 30 მეტრია. გუმბათქვეშა

ბოძების შემხედვარეს მათი ზომები გაცეხს და გახსენდება, რომ კოლონების გიგანტური მასშტაბის დასადასტურებლად ერთ-ერთთან 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა სურათი გადაიღო.

ოშკს მხატვრობის რამდენიმე ფრაგმენტიც შემორჩენია. მათ შორის უნიკალურია სამხრეთი კედლის ფრესკა, სავარაუდოდ, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ისა და ბიზანტიელი დედოფლის ელენეს ქორწინებაა ასახული. აქ ბანას ეკლესიაც მოჩანს. თუმცა საოცარია ერთი გარემოება. ნახატი სწორედ ისეა ნაშლილი, როგორც დღეს ტაძარია დანგრეული.

ოშკის მთავარი კარიბჭის შესასვლელზე თორმეტსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ტაძრის მშენებლობის დიდი ეპოპეაა მოთხრობილი:

„წმიდათა სადიდებელად და საქებულად იწყეს ღმრთივ გუიგუინოსანთა მეფეთა ჩუენთა შენებად ამის წმიდისა საყდრისა, და ღმერთ-მან შეენიენ ორთავე ცხოვრებათ ძეთა ღმრთივ კურთხეულისა ადარნასე კუროპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავსა, დავით მაგისტროსსა, სამებამან წმინდამან სამნივე დაიფარენ მარჯუენითა თმისითა და ადიდენ ორთავე ცხოვრებათა.

ესე იყო გალატროთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშე 10, რომელ წელიწადსა წაეგების, დრამამ 20 ათასი, ლუინომ ფისოსი 5 000, რკინამ ლიტრამ 50, ხუარბალი გრივი 250, გალატროზი და ხურომ და მჭედელი, რომელ მარადის შურებო 11 და 70; ხარი, რომელ ქვასა კრებდა 30, ჯორი და სხუამ აზავერი 60 და ყოველი ერი და მოქმედი 80.“ (ე. თაყაიშვილი, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“. თბ. 1960. გვ 47-48)

ოშკი, როგორც ყველა სხვა მონასტერი, მხოლოდ რელიგიური კერა არ ყოფილა. აქაური ლავრა ქართული მწერლობის ცენტრი გახდა, 978 წელს აქ შეიქმნა ოშკის ბიბლია, რომელიც ამჟამად ათონის მთაზეა დაცული.

ოშკმა ჩვენზე ორგვარი მთაბეჭდილება დატოვა. ტაძრის სიდიადემ და განუშეორებელმა სილამაზემ ალტაცებაში მოგვიყვანა და მისმა ამჟამინდელმა მდგომარეობამ გული მოგვიკლა. შემზარავი სანახავია დანაპარკებული კედლები, ცეცხლის კვამლით შებოლილი წარწერები, განადგურებული ბარელიეფები. საკურთხევლისა და დასავლეთი ნავის გადახურვა თითქმის ჩამონგრეულია, მომსპარია გუმბათის დამჭერი ერთ-ერთი კონსტრუქცია. ბედის ანბარა მიტოვებული ბუმბერაზი ჯერ კიდევ უძლებს ჟამთასვლას, თუმცა დახმარება უკვე ძალიან სჭირდება.

ოშკი ისტორიკოსებისა თუ ხელოვნებათმცოდნეებისთვის ამოუწურავ მასალას შეიცავს. 150 წელია მიმდინარეობს მისი შესწავლა. ამ საქმეში მონაწილეობდნენ მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ ბერიძე, პარმენ ზაქარაია, ირინა გვირაძე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილისა და კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ვახტანგ ჯობაძის ღვაწლი.

როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა ოშკი შეისწავლა, სამხრეთ მკლავში მიზგითი ანუ ჯამე იყო მოწყობილი, ხოლო დანარჩენი ნაწილები გადაექციათ ბოსლად, საჯინბოდ, ფარხად თუ თივის საწყობად. ასეა დღესაც. მოსახლეობას ხედ ტაძრის კედლებზე დაუდგამს ბარაკები და ხუხულები, ისტორიული ქვეითი სამეურნეო სა-

თავსოებს აშენებს. მას შემდეგ, რაც სოფელში მეჩეთი აიგო, სამლოცველო აქედან გადაიტანეს. 2003 წელს ისტორიკოსებმა ჯაბა სამუშიამ და ბუბა კუდავამ ჯამეს კედლებში ჩაშენებული ორი სტილის ფრაგმენტები შეამჩნიეს, ისინი მოგვიანებით პროფესორმა ვალერი სილოგავამ შეისწავლა. ერთი სტილის ზედა ნაწილზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, ქვემოთ კი დავით კურაპალატი. მეორე სტილაზე — იოანე ნათლისმცემელი და ბაგრატ ერისთავთ ერისთავი. ორივე სტილაზე 16 ასომთავრული ნარწერაა. ამ აღმოჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ტაძრის აშენების დეტალები და გააჩინა იმედი, რომ განმედიდისა და რესტავრაციის შემდეგ ოპკი ბევრ საიდუმლოს გაგვიმხელს.

თურქეთისა და საქართველოს მეგობრობა, ჩვენი ხალხის ურთიერთობა და კეთილი მეზობლობა ოპკის ტაძარზეც უნდა აისახოს. დღეს ეკლესია თურქეთის ისტორიის ნაწილი, მისი ტერიტორიის მშვენიერება და სათანადო მოვლისა და დაცვების ღირსია.

ოპკს გულნაბატკენი ვცოვებთ. ჭაღარა დევამირი სიბნელეში ჩაიმალა. ტაძრის თავზე ამოსული მთვარეც თანდათან მიილია, მისი ნათება ღამის სიბნელემ მოიტაცა.

თამარის რუ

მეორე დილით იუსუფელში ვიყავით. ის არზრუმის ვილაიეთში შემავალი დაბაა და მდინარე პარხლის წყლის ორივე ნაპირზეა გაშენებული. იუსუფელს ძველი ქართული პროვინციები ოლთისი, ისპირი და მურული ესაზღვრება.

თვითონ დაბა მაღალი კლდეების ვიწრო ხეობაშია გაშენებული. მისი ძველი ქართული სახელი ვეჟანგეთია. პატარა ვეჟანგეთს ხეობის მარგალიტს უწოდებენ. თუმცა, ეს ლამაზი სახლები აქედან მალე გაქრება, მათ ადგილას წყალი დაგუბდება. ჭროხის აუზში მშენებარე თხუთმეტამდე კაშხალს იუსუფელი მთლიანად ეწირება. რამდენიმე წელიწადში აქაურ მოსახლეობას გადაასახლებენ. სავარაუდოდ, აიყრებიან ახლომახლო მდებარე ქართული სოფლებიც.

ჩვენ იუსუფელიდან ზემოთ ამაველ ხეობას უნდა ავუყუთ. გვინდა, ჩვენებურების მიერ მრავალგზის ხახსენები თამარის რუ გადავიღოთ. როგორც ამბობენ, არხი სახელოვანი გვირგვინისნის ბრძანებით აუგიათ.

თამარის რუ, იგივე ზავრიეთის წყლის არხი, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, მაგრამ გადაღებული და შესწავლილი არ ყოფილა. აი, რა ცნობა შემოგვინახა ამ საირიგაციო ნაგებობის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილმა: „პარხლის ზემო სოფლებში დღემდის დარჩენილია ძველი გრძელი არხი, რომელიც იწყება სოფელ უთავიდან, კობაკის მახლობლად, გაჭრილია კლდეში რამდენიმე ვერსის სიგრძეზე და მიდის სოფელ ზავრიეთში; ამას მიანერენ თამარ მეფეს და ამბობენ, ყველაზე დიდი ღვანლი, რომელიც მან დასდო ამ მხარეს, ეს არისო.“ (ე.თაყაიშვილი, „დაბრუნება“, ტ. I, თბ. 1991. გვ. 221)

არხის სათავე სოფელ უთავშია, იქ სამანქანო გზა აღარ მიდის, ამიტომ საცალფეხო ბილიკებს მივყვებით. ზოგან ისეთი სივიწროვეა, რომ ორი ადამიანი ერთად ვერ გაივლის. ციცაბო ფერდობებზე გაჭრილი ბილიკი სამოძრაოდ საკმაოდ სახიფათოა.

ხეობაში დიდი მეფის ღვანლს პირადად ვგრძნობთ, აუტანელი სიცხის გამო თითქმის

ყოველ ნაბიჯზე წყალს ვენაფებით. ცხადი ხდება, მეფეთა მეფე თამარს აქ მაცოცხლებელი წყალი რომ არ მოეყვანა, ხეობას გაუკაცრიელება არ ასცდებოდა. გვირგვინოსნის სახელს ამ ადგილებში სხვაც ბევრი რამ უკავშირდება. ერთ-ერთი მაღალი კლდის თავზე უცნაურად გამოქანდაკებული ქვა მოჩანს, ქარს ისე გამოუფიტავს, რომ ზღაპრულ ფრინველს დამსგავსებია. ქართველები მას თამარ დედოფლის არხის ეძახიან.

დალილობის მიუხედავად უკან არ ვიხვეთ და თვლწარმტაც ხეობაში დაკლაკნილ გზებს არხის ხილვის მოლოდინით მივუყვებით.

კამკამა წყლის პირველი ჩანჩქერი შუა გზაზე გამოჩნდა, აქვეა სოფელი ზავრიეთი. შესასვენებლად რამდენიმე წუთით გაჩერებულებს, სათნო ქალბატონმა ფადიმე ილმაზმა ვკიმასპინძლა, წყურვილის მოსაკლავად საგანგებოდ მომზადებული შინდის წვენი მოგვანოდა, თან დაუამტა: — წყალი დაასხი, ისე ვერ შესომ. ე წყალი რომ ხშიანობს, თამარას რუიდან მოდის.

ფადიმე ილმაზის სახლის სხვენიდან ზავრიეთის წარმტაცი ხედი იშლება. თავისებური ადგილმდებარეობის გამო აქურები ფერდობებს ატერასებენ და თამარის არხით მოყვანილი წყლით რწყავენ.

ფადიმეს მალე დავემშვიდობეთ, დიასახლისმა წყაროს სათავემდე წარმატებული გზა გვისურვა.

ასეთი მასშტაბის საირიგაციო ნაგებობა ამ მხარეში ალბათ არ მოიძებნება. სოფლის სანახებამდე არხი ჯერ მოვაკებულ ტერასაზე მოდის, შემდეგ მთის ფხვიერ ნაწილზე გადადის, სულ ზემოთ კი სათავესთან, კლდეში ხელოვნურად გამოკვეთილ ლიობში მოჩქევს. ხშირად მკვეთრად უხვევს და დამრეც დაქანებას მიუყვება.

ზოგ ადგილას თამარის რუ ისეთ ციცაბოზე გადის, რომ ფეხის მოკიდება ბორდიურზეც კი გვიჭირს, ამიტომ პირდაპირ არხში ჩავდივართ. ძლივს ვიჭერთ თავს, რომ არ წაფიცეთ და გზა განვაგრძოთ. რაც მთავარია, კამერა არ უნდა დაგვისველდეს. წინააღმდეგობას ზემოდან დაქანებული ცივი და მჩქეფარე წყალი ხმაურით გვიტევს. წვალელები მივიწვევთ წინ. ზემოთ და ზემოთ წყალს სისწრაფე და ძალა ემატება. სათავესთან კარგად მოჩანს ამ უნიკალური ნაგებობის ხუროთმოძღვართა ოსტატობა. ზუსტი მათემატიკური და საინჟინრო გამოთვლის წყალობით არხი 800 წელია მოქმედებს. ციცაბო ფერდობზე ამოყვანილი კედლები ძველებურად მტკიცედ დგას, ჯებირის ზედაპირი მხოლოდ ახლახან, ისიც რამდენიმე ადგილას გაამაგრეს ბეტონით. მდინარის სათავესთან გავიცანით თამარის არხის მეთვალყურე ქართველი ახალგაზრდა მევლუდ ჭარაბაშვილი. ისიც გვიდასტურებს, რომ არხი თამარას უშენებია, სიგრძით ორი კილომეტრია, თვითონ ყოველდღე ნიჩბით ასუფთავებს, რომ სოფელს სუფთა წყალი მიანოდოს. წყალი სასმელად კარგია, მევსომთ ხოლმეო.

გვჯერა, დედოფლის არხში წყალი ქართული სოფლებისთვის კიდევ მრავალი საუკუნე ივლის.

თამარის წყარო პარხლის წყალს უერთდება, მდინარეს, რომლის ხეობაშიც ცნობილი ქართული ტაძარია აგებული. სოფლიდან სამხრეთით გუნ გერმესის ზეკარი იწყება და გზა დორთქილისეში გადადის.

ოთხთა ეკლესია „დროთ ქილისა“

დროთ ქილისე იგივე ოთხთა ეკლესია პარხალზე უფრო ძველი და მძვენიერია. ოთხთა მთის ძირას, კაკლისა და კომპის ხეებით გარშემორტყმულ მცირე ვაკეზე დგას. ბაზილიკა X საუკუნის მეორე ნახევარში დავით დიდ კურაპალატს მოუპირკეთებია. მასვე აქ სემინარია დაუარსებია.

1917 წლის სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიშიში მოცემულია ოთხთა ეკლესიის შესახებ ისტორიული ცნობები და ხალხური გადმოცემაც. როდესაც იოანე მთაწმინდელმა საერო ცხოვრებაზე ხელი აიღო, მალულად ოთხთა ეკლესიის ლავრაში წავიდა და იქ ეკურთხა ბერად. ადგილობრივი მოსახლეობის ნაამბობით, იმხნის, ოშკისა და ხახულის შემდეგ ეს მეოთხე შესანიშნავი ეკლესიაა და სახელიც ამიტომ ეწოდა. ამავე დროს, ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს: „მცხოვრებნი გამაჰმადიანებული ქართველები არიან. ქართული ყველამ იცის. ადგილობრივ მუსულმანებს ტაძრის დიდი რიდი აქვთ, რატომღაც მისი უმინიათ. ამბობენ, ვინც კი აქ დასახლდა, ყველა გადაშენდაო. ამიტომ ლავრის მახლობლად სახლებს ვერ ნახათ. დღემდე შემორჩა ლეგენდა: „ერთხელ, ერთმა მწყემსმა ეკლესიაში ფარა შერეკა, მაგრამ ეს ფარა შემდეგ მოვარდნილმა წყალმა იმსხვერპლაო.“ (ე. თაყაიშვილი, „დაბრუნება“ ტ. I. თბ. 1991. გვ. 219)

სამაგიეროდ ეკლესიას არ უფრთხიან ოქროს მაძიებელნი, რომელთაც საძირკველი მთლიანად გამოუთხრიათ, კედლები და ბოძები დაუნგრევიათ. მწყემსები თივას ლავრაში ინახავენ. სახურავიდან კი წყალი ჩამოდის, რომელიც საბოლოოდ ანადგურებს ისედაც მომსპარ ფრესკებს. არადა, შეიძლება ოთხთა ეკლესიის მონატულობა ხელოვნების გამორჩეულ ნიმუშად ჩაითვალოს. ასეთ სახეებას სხვაგან ვერსად ნახავთ.

„აფსიდის დიდი სარკმლის შიდა პირზე ლურჯ ფონზე დახატულია ფიგურა, რომელსაც უპყრია ოთხთა ეკლესიის მსგავსი სამნავიანი ბაზილიკა. მას ახლავს ერთსტრიქონიანი წარწერა „სიონი“. ამდენად, ეს არის სიონის, ანუ ზეთა იერუსალიმის ალევორიული გამოსახულება.

ყოველ დილით სხივი, „მზე აღმოსავლისა“, ეკლესიაში პირველად სწორედ „სიონის“ კომპოზიციას სწვდება, ანათებდა და გულმხურვალედ მლოცველ ბერებს მხნეობას მატებდა, თანაც შთააგონებდა, რომ ოთხთა ეკლესია გაიგივებულია ბიბლიურ სიონთან, რომელიც არის „სახლი ღმრთისაჲ წუერსა ზედა მთასასა...“ და იერუსალიმის სიონის ბაზილიკასთან, რომელიც არის „დედაჲ ყოველთა ეკლესიათა“.

შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ოთხთა ეკლესიის „სიონი“ სურათოვანი ანარეკლის X საუკუნის შუა წლებში ტაო-კლარჯეთში გაძლიერებული ეროვნული აღტიკინებისა, ბაგრატიონთა გენეალოგიური წარმოშობისა დავით წინასწარმეტყველის ნიალიდან და დავით კურაპალატის შორსმჭვრეტი მიღწევებისა. (ვ.ჯობაძე. „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“. გვ.201)

ბასიანი

ექსპედიცია დასასრულს უახლოვდება, სამშობლოში ბასიანის პროვინციის გავლით ვბრუნდებით. აქ ერთი ისტორიული ადგილი გვეგულება, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ქართველმა მეცნიერმა ჯაბა სამუშიამ აღმოაჩინა.

ბასიანის ველი დიდი, თვალუნვდენელი ტრამალია. შეუძლებელია, მისი ნახვისას 800 წლის წინათ მომხდარი სახელგანთქმული ბრძოლა არ მოგაგონდეს. ბასიანის ბრძოლას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, აქ გამოჩნდა ქართული ლაშქრისა და სარდლობის სტრატეგიული უპირატესობა. სწორად და ზუსტად გამიზნული ტაქტიკური შეტევის წყალობით 90 ათასიანმა ქართველმა არმიამ 400 ათასიანი ურდო გაანადგურა.

სამშობლოსაკენ მომავალნი ჭოროხის ნაპირებს მოვუყვებით. დაუმონავი მდინარე კლდეებს ბობოქრად ეხეთქება. ამ ტალღებს ბევრი ისტორიული ქარტეხილი ახსოვს. ეს მდინარე ხომ მუდამ საერთო იყო, ისეთივე საერთო, როგორც ჭოროხის შვილების წარსული და თურქეთისა და საქართველოს დღევანდელი ურთიერთობა იმედს გვაძლევს, რომ მომავალიც იმედია იქნება.



მიხეილ ქურდიანი
(1954-2010)



ავთანდილ ადიგვილი
1940-2007

30 თებერვალი

ბ უ ფ ო ნ ა დ ა

მეორე მოქმედება

სურათი მერვე

სცენა წარმოადგენს პარლამენტის წრი-
ული დარბაზს, რომელიც სავსეა ხალხით. აქ
არის ყველა ნოე, ისინი სხედან და მათ წინ არის
წარწერები ნოე I, ნოე II, ნოე III და ა.შ. მარცხენა
კუთხეში ერთი სექტორის ნაცვლად დგას აკვარ-
იუმი, რომელშიც ხალხია. იქ დგას სავარძლები.
აქ სხედან სერიოზული და ინტელიგენტურო-
ბის გამომეტყველების ადამიანები, უმრავლე-
სობა ევროპულადაა ჩაცმული, ზოგიც ჩოხა-
ახალუხშია გამოწყობილი. აკვარიუმს დიდი
ასობით აწერია „ოპოზიცია“, მის გვერდით
დგას ფირნიში წარწერით — „არ მიეკაროთ – სა-
სიკვდილოა!“, ან „ხელს ნუ ახლებთ (ჩაყოფით)
— საშიშია!“ ოპოზიციონერთა შორის ზის გეორ-
გიც. აკვარიუმის სადარაჯოდ დგანან გვარდი-
ელები.

განცალკევებულ სათავედომარეო სკამზე
ზის ნოე VII, ტაძრის გუმბათი წარმოადგენს 100
000 000 ბონის იმიტაციას ნოე პირველის პორ-
ტრეტით.

ნოე VII: ბატონებო! ჩვენი სამშობლოს ავ-
ტორიტეტი მთელს დედამიწაზე დღითი დღე იზ-
რდება. ამჟამად ჩვენ გვემხრობა და გვიცნობს
პროგრესული მსოფლიოს დიდი. რაც ცხადია,
უპირველეს ყოვლისა, პატივცემული და საყ-
ვარელი ბელადის, სახალხო მოძრაობის დიდი
მარშლის, ბატონ ნოე პირველის თავდაუზოგავი
მეცადინეობისა და ამ საქმეში მისი პირადი წე-
ლილის დამსახურებაა. მინდა სასიხარულო ცნო-
ბა მოგანოდოთ. ამ ზაფხულს ჩვენს ზღვისპირა
კურორტზე ისვენებდა შორეულ აღმოსავლეთში
მოზინადრე ტომის მაო-მაოს ბელადის მეორე
ცოლი (გვარს არ ვასახელებთ), რომელთანაც
პირადი საქმიანი კონტაქტი დაამყარა ჩვენი
მთავრობის პრემიერ მინისტრმა (გვარს არ ვა-
სახელებთ) და აი შედეგიც: გუშინწინ მივიღეთ
ცნობა, რომ მაო-მაოს ტომმა დაე-იურედ სცნო
ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა. ხოლო
გუშინ ჩვენს მთებში ზამთრის შევებულების გასა-
ტარებლად ჩამობრძანებულმა ბანტუსტანის

დასასრული. დასაწყისი N1,2



ქალთა ემანსიპაციის კონგრესის პრეზიდენტმა (გვარს არ ვასახელებთ) პატივცემულ და საყვარელ ბელადს, სახალხო აჯანყების დიდი მარსპალს (გვარს არ ვასახელებთ) უწოდა — „მუქურა, რომელსაც იმედის თავლით შესცქერის მთელი მსოფლიოს გზასაცდენილი და დაჩაგრული ქალობრიობა“. ქალობრიობა კი, მოგეხსენებათ, კაცობრიობის უდიდესი ნაწილია. ახლა კი საზეიმოდ ვალებ სხდომას და ისტორიული სიტყვის სათქმელად ტრიბუნასთან ვინვევ პატივცემულ და საყვარელ ბელადს, სახალხო მოძრაობის დიდ მარსპალს, ბატონ ნოე პირველს.

ოვაცია. ნოე I მომღიმარი დგება, მის მკერდს ამშვენებს ოცამდე სხვადასხვა ორდენი. იგი თამამად მიდის ტრიბუნასთან. მისი პარტიის წევრები ესვრიან ყვავილებს. ოპოზიციონერები რალაცას ყვირიან პროტესტის ნიშნად, როგორც მათი პირის მოძრაობით ჩანს, მაგრამ არაფერი არ ისმის.

ნოე I (ტაშის გრაილს ადის ტრიბუნაზე. მარჯვნივ მსხდომ თანაპარტიელებს ელეგანტურად დაუქნევს თავს და ახელს ასწევს დარბაზის დასამშვიდებლად. იმნამასვე სრული სიჩუმე ჩამოწვება. ნოე I მრავალმნიშვნელოვნად ასწევს თითს და იტყვის თხრობითი კილოთი): ა (ტაში), ბ (ტაში), გ (ტაში), დ (ტაში), ორატორი ირონიული ინტონაციით იკითხავს ე? (მხურვალე ტაში). ორატორი ხელის ენერგიული მოძრაობით ბლუსავით შესაძლებელი საპასუხით მიაყრის) ვ, გ, თ, ი! (ისტან მკვეთრი ძახილის ნიშანი), მქუხარე ტაში, ორატორი მაგიდას მუსტს დაჰკარგავს და მუქარის ტონით აგრძელებს) — კ, ლ, მ, ნ, ო — პ, უ, რ, ს, ტ.

მისი პარტიის წევრები უკლებლივ ყველა ფეხზე წამოიჭრებიან და მქუხარე ტაშისცემაში გაისმის მათი შეძახილები: „მაშ,რა ეგონათ!“, „სწორია“, „ფისიმც დასხმიათ!“. ისმის სიმღერა: „აღვმართოთ დროშა სამფეროვანი, გავცეთ პასუხი მტერს ჯეროვანი“.

ნოე I (ხელით ანიშნებს თავისიანებს, დაშომინდითო და ახლა უკვე შეწუხებული ამბობს): უ, თ (ტაში, ორატორი იწყებს ჩამოთვლას) — ქ ლ ყ? (ტაშით აწყვეტინებენ. ხანგრძლივით, ქუხარე ტაში), ნოე პირველი როლში შედის უკვე თითქმის ყვირილით პირზე ქაფმომდგარი, მალღლა შემართული მუშტით კითხულობს) შ ჩ ც? (და უცებ) ძ ჩ ჭ ხ ჯ (ხანგრძლივი მქუხარე აპლოდისმენტები — „ცოცხლად დარჩენილი ჩვენს მხარეს იქნებიან“, „მოვიანებით დახოცილებიდანაც არ იქნება ურიგო მომხრეების ამორჩევა“, „ურა, ვაშა, მრავალჟამიერ“. ამასობაში ტირბუნაზე მდგარი ორატორი გრაფინიდან დაისხამს წყალს, გადაჰკარავს და როგორც კი პაუზა ჩამოდგება, ფოლადგარეული ხმით დაასრულებს) ჰ (ოვაცია. დარბაზი წამოიშლება. ყველა, ოპოზიციის გარდა, უკრავს ტაშს და ბლავის ჰიპ, ჰიპ, ურა. ორატორი ტირიბუნიდან ჩამოდის მასტან მიიჭრებიან, ხელში აიტაცებენ და ისე მიიყვანენ სავარძელთან).

ნოე VII: ბატონებო, მე, როგორც პარლამენტის სხდომაზე თავმჯდომარეს, მევალება სინყნარისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ როგორ უნდა ჩავიდინო ეს, როდესაც თავად მზად ვარ, ხმა შევუერთო თქვენს ყიჟინს. გაოგნებული და

აღფრთოვანებული ვარ ჩვენი პატივცემული და საყვარელი ბელადის გამოსვლით. ასეთი საპარლამენტო სიტყვა არა თუ მშობლიურ, არამედ მსოფლიოს არცერთი ქვეყნის პარლამენტ არ მოსწრებია (ტაში), ეს სიტყვა არის ჩვენი ცხოვრების ანი და ჰოე. მასში ნათქვამია ყველაფერი, რისი გამოთქმაც კი შეიძლება მშობლიურ ენაზე (ტაში. უცებ იღებს სერიოზულ სახეს და ხაზგასმული სიმშვიდით აცხადებს) გადავდივართ კამათზე. სიტყვა ეძლევა შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ნოე II (ტაში).

ნოე II: სიტყვავ რომელის ჩვენ მოვისმინეთ, ცხოვრების გარდაქმნის აბსოლუტურად ახალი სტრატეგიის და ტაქტიკის ნიმუშია და ამავე დროს რა გვითხრეს ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცოდით. თითქოს არაფერი, მაგრამ როგორი კლასიკური, ნოე პირველისათვის ჩვეული გენიალური სიცხადით არის ჩამოყალიბებული ეს სიტყვა. ერთი ზედმეტი ასოც კი არ ყოფილა ნათქვამი. და მაინც, თუკი ჩვენ ეს ყველაფერი ვიცოდით, რატომ არ ვთქვით აქამდე. არ გვყოფნიდა გამბედაობა და პოლიტიკური გამოცდილება. ბატონი ნოე ამ თვალსაზრისით გამორჩეული ფიგურაა (ტაში).

ახლა საქმეზე... ბატონმა ნოემ თავის სიტყვაში ბრძანა, ყველა მერცხალს აქვს ქვეყანა, სადაც გაზაფხული უნდა მიიყვანოსო“, ჩემი დღევანდელი გამოსვლაც მერცხლებს ეძღვნება.

როგორც სტატისტიკურმა სამმართველომ ჩვენი თხოვნის საპასუხოდ გვაცნობა — წლევანდელი გაზაფხული სამშობლოს მოუყვანია 812.643 მერცხალს. ეს ბუნებრივად იყო, მერცხლებმა გაიგეს, რომ ჩვენ შევძელით ქვეყანაში ჭეშმარიტად დემოკრატიული რეჟიმის დამყარება. მაგრამ ამჟამად ვითარება გართულდა — მერცხლები ნელ-ნელა ტოვებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას (დარბაზს გაკვირვების ტალღამ გადაუარა).

აი, ამ მოვლენის სამწუხარო სტატისტიკაც; ჩვენი სამშობლოდან გაფრინდნენ:

ავისტოს მეორე ნახევარში — 409.355 მერცხალი.

სექტემბერში — 672.481 მერცხალი.

ოქტომბრის დასაწყისში — 363.197 მერცხალი.

ესე იგი 1.445.033 მერცხალი (დარბაზში გაკვირვებაა). დიას, ბატონებო, 812.643 მერცხალმა, რომლებიც გაზაფხულზე მოფრინდნენ, თან წაიყვანეს მათი აგიტაციის გავლენის ქვეშ მოხვედრილი კიდევ 623.390 არასრულწლოვანი მერცხალი. ოქტომბრის მეორე ნახევრის მონაცემები ჯერ არ მიგვიღია. რას იფიქრებს ჩვენზე ევროპა?! მართალია ჩვენ საძღვრები საიმედოდ გვაქვს ჩარაზული. ისე რომ ჩიტი ვერ გაფრინდება. მაგრამ მერცხლები/ როგორ უნდა დავარწმუნოთ ჩვენ ერთი ლიგა, რომ მერცხლები რეჟიმისადმი პროტესტის ნიშნად არ ტოვენებ ქვეყნის ტერიტორიას. აქ, რა თქმა უნდა, უცხოეთის დაზვერვის ხელი ურევია, მაგრამ ისიც გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ არც ჩვენი ოპოზიცია აკლებს ხელს მტრულ პროპაგანდას (დარბაზში გამოცოცხლებაა. ოპოზიციის წარმომადგენლები ისევ უხმოდ ყვირიან. აკვარიუმის კედლებს მიაკრავენ წარწერას —

ფაქტები?)

ფაქტები გნებავთ? აი ისინიც — ამ სამიოდე დღის წინ გახლდით რესტორან „ორიანტიში“ ორ ქალბატონთან ერთად.

ნოე VII: გავრების დასახელება საჭირო არ არის.

ნოე II: გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ მათი, როგორც მონმეების ჩვენება უკან ინახება ჩემს სეიფში და აი, ჩემი ყურით მოვისმინე, თუ ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, მათ შორის კი პარლამენტის ორი დეპუტატი...

ნოე VII: დაასახელეთ გვარები!

ნოე II: გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ მათი ფოტოები და სიმღერის ჩანაწერი უკვე ინახება ჩემს სეიფში. დიახ, ოპოზიციონერები; მათ შორის პარლამენტის ორი დეპუტატი მღეროდა პროვოკაციულ სიმღერას — „გაფრინდი, შავო მერცხალო“, რის შედეგადაც რესტორნის ფანჯარასთან მცხოვრებმა მერცხალმა დასტოვა ბუდე და ემიგრაციაში წავიდა.

შეძახილები დარბაზში: „ეს ღალატია“, „პროვოკატორთა ფეხქვეშ მინა უნდა ინვოლდეს“, „ვის რად უნდა უმერცხლო სამშობლო“, „ოპოზიცია სამშობლოს მტერია“, „რას უყურებს ბუნების დაცვის საზოგადოება“, „ვაი სირცხვილო, სადამდე დავედით“, „რომელ ქვეყანაში წავიდნენ მერცხლები?“

ნოე VII: წინადადება შემომაქვს, შეიქმნას საგანგებო კომისია მერცხლების გადაფრენის მიზეზების გამოსარკვევად და ოპოზიციის ანტისამშობლოებრივი საქმიანობის დასადაგენად. ვინ არის მომხრე? ყველა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ! თავი არავის შეუკავებია. წინადადება ვაგვიდა. ვაგრძელებთ კამათს. სიტყვა ეძლევა საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ნოე III-ს.

ნოე III: ბატონებო, მთელი ცივილიზებული მსოფლიო ელოდება ჩვენს საბოლოო სიტყვას, ჩვენი პოზიციის საბოლოო გარკვევას ამ სამი დღის წინ აფრიკის სამხრეთ ნაწილში მომხდარი სამხედრო კონფლიქტის მიმართ და ჩვენს პასუხს ამჟამად ბატონი ნოე პირველის ისტორიული სიტყვის შემდეგ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა დემოკრატიის დიდი ბურჯია (ტაში). ბატონმა ნოემ პირველმა თავის ისტორიულ სიტყვაში ასეთი ფრთიანი გამოთქმა იხმარა: „თანამედროვე დემოკრატიისათვის მკვდარი იმპერიებილა აღარ არიან საშიშნიო“ (ტაში). ამ სიტყვების ჭეშამრიტებას ჩვენს სამხრეთ აფრიკაში მომხდარი ამბებიც გვიდასტურებენ. თქვენ უკვე იცით, რომ სამხრეთ აფრიკაში ინგლისელთა და ბურთა გაერთიანებულ 115.000 არმიას თავს დაესხა ზულუსთა რაზმი, რამაც ამ რაიონში შეწყვეტილი საომარი მოქმედების განახლება გამოიწვია. ამ ოცდახუთი წლის წინ სამხრეთ აფრიკაში ინგლისელებსა და ბურებს შორის მიმდინარე ომის მიმართ ჩვენი მთავრობის დღევანდელმა მეთაურმა გარკვეული დამტკიცე პოზიცია დაიჭირა, მაშინ იგი ამბობდა: ბურები და ინგლისელები ერთმანეთს ებრძვიან და ჩვენ ვალდებული ვართ, გავარკვიოთ ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი. ვისთვის არის ეს ომი სამართლიანი და ჭეშმარიტი და მისი მხარი უნდა დავიკავოთ და

მან მართლაც განსაცვიფრებელი სიციხადე შეიტანა ამ საკითხში. იგი წერდა: „მარა სიმპათია ბუნებისადმი სრულებით არ მოითხოვს სიძულვილს ინგლისელთადმი. ბურებს თანაუგრძნობთ იმიტომ რომ ეს პატარა ერია და თავის სამშობლოს, თავის თავისუფლებას იცავს. ინგლისი? ინგლისი სასიყვარულო და სათანაგრძნობოა მრავალნაირად. ინგლისი ეს აკვანია ყოველივე იმისა, რითაც დღეს თავი მოაქვს განათლებულ კაცობრიობას“. ე სარის ცივილიზაცია და დემოკრატია (ტაში).

აი, ბატონებო, ასეთივე უეჭველი და არაორჭოფული პოზიცია დაკავება გვმართებს ჩვენ ამ ახალი კონფლიქტის მიმართ. ადრე თუ ინგლისი ცდილობდა სამხრეთ აფრიკაში ცივილიზაციის შეტანას, ხოლო ბურები თავის სამშობლოს იცავდნენ და ორივე სიმპათიის ღირსი იყო, ახლა სიტუაცია შეიცვალა. ბურები და ინგლისელები გაერთიანდნენ და ახლა ერთობლივად იცავენ სამშობლოსა და ცივილიზაციას ზულუსებისაგან.

ჩვენ მხარს ვუჭერთ და თანაუგრძნობთ სამხრეთ აფრიკელი აბორიგენების ზულუსებს, როდესაც ისინი ინგლისურ სკოლებში სწავლას მოითხოვენ და ამით ცივილიზაციასთან ზიარებს და ვკიცხავთ ინგლისელს, ვინც ძალას ატანს ზულუსებს, რომ მათ მშობლიურ ენაზე აიძულებენ სწავლას; მეორეს მხრივ, ჩვენ ვკიცხავთ ზულუსებს, რომლებიც წინაარმდეგობას უწევენ ინგლისელებს, რომლებიც მათ თავისუფლებას ართმევენ და მხარს ვუჭერთ და თანაუგრძნობთ ინგლისს, რომელიც განვითარების პირველყოფილ თემურ საზოგადოების საფხურზე მდგომი ზულუსების საზოგადოებას განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, მონათფლობელობაზე გადაყვანას ცდილობს და ამდენად შეჰყავს ცივილიზაციის სისტემაში. მოვა დრო და ზულუები ინგლისელთა წყალობით გაივლიან ფეოდალურ წყობილებას და ასე შემდეგ, და ასე მოვლენ ჩვენამდეც.

ასეთია ჩვენი მთავრობის პრინციპული პოზიცია ამ საკითხში.

მქუხარე ტაში

ოპოზიცია აკვარიუმში ბობოქრობს. ისინი მინის კედელზე აკრავენ ლოზუნგებს: „ნოე III მტერბის აგვტია“, „ნოე მესამე მტერბისგან იღებს ქრთამს“, „ჩვენ პასუხს მოვითხოვთ“.

ნოე VII: ბატონო ნოე მესამე, ოპოზიცია თქვენ ბრალს გდებთ მექრთამეობასა და სამშობლოს ღალატში. იმედია თქვენ შესძლებთ საკადრისი პასუხი გასკეტ ცილისწამებას (ტაში).

ნოე III: ცხადია ბატონებო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყანა ამჟამად საომარ მდგომარეობაში იმყოფება სამხრეთელ მეზობელთან. მე როგორც სამშობლოს დიპლომატიის მეთაურს ძალ-ღონე არ დამიშურებია, თავი არ დამიზოვავს, რომ ძმათამულები ომი სამშობლოსათვის ამეშორებინა, მაგრამ თქვენ იცით, აქედან არაფერი გამოვიდა, ამიტომ ჩვენი ამოცანა გახდა, რაც შეიძლება მოკლე დროში მოგვეგო ომი, რათა გაპარტახება აგვეცილებინა, როგორც ჩვენი, ასევე მეზობელი ქვეყნისათვის, რომელიც მართალია ახლა გვეომება თავისი ნაციონალისტური მტავრობის გამო, მაგრამ როგორც კი

იქ გაიმარჯვეს დემოკრატიული წყობილება, ის სივე ჩვენს ერთგულ მეზობლად გადაიქცევა.

ოპოზიცია მინაზე მუშტებს აბრაზუნებს.

ნოე III: ჩვენი სახელოვანი არმია მტრის ქალაქებს ზედიზედ იღებს (ტაში), მაგრამ მეზობელი ქვეყანა მდიდარია და თუ მის ეკონომიკას ჩვენ ლახვარი არ ჩავეციტ, ომი უსაშველოდ გაგრძელდება (დარბაზში ტაში, შეძახილები „სწორია“). საკითხი ოპოზიციის მიერ ასეა დაყენებული — ვიღებ თუ არა მე ქრთამს ჩვენთან მეომარი ქვეყნისაგან? დიახ, ვიღებ (დარბაზს ენა ჩაუვარდა). ნიშნავს თუ არა ეს, რომ მე სამშობლოს მოღალატე ვარ. არ ნიშნავს. ოპოზიციას გაუგია რომ მე ქრთამს ვიღებ, მაგრამ თუ იციან ოპოზიციონერებმა, რამდენს ვიღებ — დღეში მილიონ მანეთს ოქროთი. განა ეს მომაკვდინებელი დარტყმა არ არის მეზობელი ქვეყნის ომიტ შერყეული ეკონომიკისათვის, კიდევ ათი ასეთი დღე და მენდეთ, ჩვენი მეზობლების ეკონომიკა წელში ვეღარ გაიმართება (ოვაცია, შეძახილები: „ბრავო“, მივანიჭოთ ნოე III-ს ეროვნული გმირის ორდენი“).


ნოე VII: ინციდენტი ამონურულია, ბატონო ნოე III! მინდა იცოდეთ, რომ არცერთ თქვენს პარტიას კოლეგას წამიტაც არ შეპარვია ეჭვი თქვენს კეთილსინდისიერებაში და თუ თქვენგან ასე დაბეჯითებით მოვითხოვდით პასუხს, მხოლოდ იმიტომ რომ კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავით თქვენი ოქროპირობით (ტაში), ახლა კი სიტყვას მინათმოქმედებისა და კულტურის მინისტრს ბატონ ნოე IV-ს გადავცემთ.

ნოე IV: ბატონებო, თავის სიტყვაში ბატონმა ნოე პირველმა ბრძანა: „ომსაც თავისი კულტურა აქვს“. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ ჩემი დღევანდელი გამოსვლა კულტურას ეხება ომის პერიოდში.

ერთმა უკაცრავად პასუხის ჟურნალისტმა (გვარი დამავინყდა) ოპოზიციური გაზეთიდან ამა წლის 3 მაისს გაზეთის მეორე გვერდზე დაბე-

ჭდა ტელეფონი, სადაც მან ტავს უფლება მისცა ასეთი თავხედური განცხადება გაეკეთებინა — „იმაზე მეტი უფრო ცირკი რა უნდა იყოს, რომ სამშობლოს პარლამენტის გაცხოველებული სხდომები ცირკში ტარდებოდ“. ამით ჟურნალისტს (გვარი დამავინყდა) უნდოდა ეთქვა, რა მთავრობაა ის მთავრობა პარლამენტის შენობას რომ ვერ ააშენებსო.

ამის პასუხად ჩვენ დავუკავშირდით უდიდეს მშობლიურ არქიტექტორს 9 გვარი დამავინყდა), 58 წლის, სიმაღლე 188 სანტიმეტრი, წონა - 82 კილოგრამი, ცხოვრობს ფრანგი უტოპისტის (გვარი დამავინყდა) სახელობის ქუჩაზე 49-ე სახლში, მეორე სართული, ბინა 27, ტელეფონი 3.69.14 და შევუკვეთეთ პარლამენტის შენობის პროექტი, რომელიც მან ზუსტად სამი თვისა და 17 დღის შემდეგ ჩავვაბარა. პროექტი მონონებულ იქნა კულტურის სამინისტროს მიერ (ოქმი 987 ამა წლის 9 ოქტომბერს). — მინისტრი მე ვარ. პარლამენტის შენობის ასაგებად გამოიყო ტერიტორია მინათმოქმედების მინისტრიეს ბრძანებით (ბრძანება 891) მინისტრყ მე ვარ. დღეს ეს პროექტი განსახილველად გამოგვაქვს პარლამენტის სხდომაზე. შემოიტანეთ პროექტი (რამდენიმე კაცი შემოაგორეს რაღაც უზარმაზარ მაკეტს, რომელიც ტილოთია დაფარული). პარლამენტის ახალი შენობის ტერიტორიისთვის შევარჩიეთ ქალაქის ცენტრში აღმართული მთა (სახელი დამავინყდა), რომელიც ზღვის დონიდან 770 მეტრია. პარლამენტის შენობისათვის საჭირო მოედნის მისაღებად მოგვიხდება ამ მთის გადაჭრა. 750 მეტრის სიმაღლეზე იქ დაიდგმება ეს უნიკალური პროექტი, რომელსაც თქვენ გაგაცნობთ ჩვენი სახელოვანი არქიტექტორი (გვარი დამავინყდა). გთხოვთ!



ოთარ ბალათურია

მანანა თვზაძე

შხიხაბი ჰოხხაბისათვის

ოთარ ბალათურია

ყოველი ადამიანი თავისებური გამოცანაა — ზოგი უფრო მარტივი, თავიდანვე რომ ამოხსნი, ზოგს კი ძნელად გაუგებ რამეს. ასეთები უფრო მეტად ხელოვანთა შორის გვხვდებიან.

ოთარ ბალათურიას გარეგნობა, მისი ახალგაზრდული ქურთუკი, ბიჭურად ჩქარი ნაბიჯი და რაც მთავარია, გეგმებისა და საქმეების სიუხვე და სიმრავლე, ხშირად იწვევს გაოცებას. თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სიყმაწვილიდან ვარჯიშობს, თავგადაკლული ფეხბურთელია, მოცურავე და ეს სიყვარული შვილსა და შვილიშვილსაც გადასდო, არც არაფერი იქნება გასაკვირი. მაგრამ მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, იგი მაინც, შემოქმედი პიროვნებაა — ორმოც წელზე მეტ ხანს იმსახურა მოზარდ მაყურებელთა სახელწიფო თეატრში. ამ სცენაზე იდგა, როგორც მსახიობი, ასისტენტობას უწევდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს — შალვა განერელიას, სპექტაკლები დადგა როგორც რეჟისორმა, დანერა რამდენიმე პიესა, საზოგადოების ყურადღების მიღმა რომ არ დარჩენილა და, რომლებიც თბილისის, ქუთაისის, გორის, ახალციხის, ფოთის, ოზურ-

გეთის თეატრებში დაიდგა. საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახელმწიფო, ახმეტელის სახელობის, რუსთავის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალ „ოქროს ნიღბის“, ასევე საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სხვადასხვა წლების ჯილდოების ლაურეატი, დღესაც ბევრს დგამს, თუმცა სცენაზე თითქმის აღარ თამაშობს.

საერთოდ, მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი თავის პატივისცემა ყოველ დროს შეინარჩუნო და შენი საქმე პატიოსნად, პროფესიონალურად აკეთო, საზოგადოებას გონიერებისა და ადამიანურობისაკენ მოუწოდო. დღეს, როდესაც ტელევიზიის თითქმის ყველა არხზე სისხლი ღვარად მოედინება, ერთი ძალადობა მეორეს ენაცვლება და ეს სურათი მყარად აღიბეჭდება ადამიანთა მახსოვრობაში, ყველაზე სავალალო ის არის, რომ ბავშვები უფროსების სასტიკ გამოცდილებას უერთდებიან. კაცობრიობის საუკეთესო გონი საზოგადოებას ყოველთვის კეთილშობილი ადამიანური საწყისებისკენ მოუწოდებდა, რომ სიკეთე სიყვარულსა ზრდის და აფხვიერებს, მაგრამ, როდესაც სიკეთე და ხელგაშლილობა სამყაროში საკმარისად აღარ მოიპოვება, როგორღაც უნდა ეცადო და საკუთარ თავში უარყოფითი ენერგია კი არა, არამედ თანაგრძნობის, სიყვარულის ენერგია დააგროვო. ხელოვნებაში ნებისმერი გზაა შესაძლებელი, ოღონდ ამ გზაზე პატარა სანთელი მაინც უნდა გენტოს და თუ ერთხელ მოგნათლეს, ეს არ დაივიწყო. მხოლოდ გონიერებით, გულითა და რწმენით გავარკვევთ რისთვის მოვევლინეთ ამ დედამიწას.

ყველაფერი, რასაც ახლა ვამბობ, სულაც არ ნიშნავს ოთარ ბალათურიას ბუნების იდეალურობას. იგი ისწრაფვის მისკენ, ანუ უბრალოდ მიდის გზაზე, მაგრამ — არ მიხობავს. სწორედ ამამაა მისი პიროვნების საიდუმლოს გასაღები, მისი ნიჭისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის გამოცანა — იგი პასუხისმგებელია საკუთარი ოჯახის წინაშე, საკუთარი საქმის წინაშე, პროფესიის, მეგობრებისა და კოლეგების წინაშე.

შემოქმედებითი პორტრეტი წლების განმავლობაში ყალიბდება — მსახიობის სცენური არსებობის ყოველი წამის, საოცრად რთული, ათასგვარი წინაარმდეგობებით სავსე ცხოვრების შეცნობა ძნელია, რადგან არტისტის რეალური ცხოვრება და თეატრი უცნაური, ფანტასტიკური ძალით ერწყმის ერთმანეთს. ამ ადამიანთა ბედს მიღმა მოსჩანს ის დრო და მოვლენები, რომლებიც მათ აყალიბებენ.

ოთარ ბალათურიას მეხსიერებაში უამრავი ადამიანის ხსოვნაა დაღეჭილი, რომლებთანაც ურთიერთობა, შრომა და მეგობრობა მოუწია. ეს ის ხალხია, რომელთან ერთადაც იგი თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის გარკვეულ ეტაპს ქმნიდა. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ყმანვილთა გულს სამყაროს ბევრი სიკეთის შეგრძნების საშუალებას აძლევდა და ცხოვრების შესახებ მათ ნათელ შეხედულებებს განსაზღვრავდა. ბატონ ოთართან საუბრისას ხვდები თუ რატომ შემორჩა ადამიანთა მახსოვრობას ეს თეატრი ლეგენ-

დად. ხელოვანთა დიდი დასი მას არა სახელისა და დიდებისათვის, არა მხოლოდ წარმატებისათვის ქმნიდა, არამედ მაყურებელთან იმ უმთავრესზე სასაუბროდ, რაც საზოგადოებას იმ დროს აღელვებდა. დღეს, როდესაც საოცარი სისწრაფით ქრება ნამდვილი ინტელიგენტის სახე და მხოლოდ სევდა გვრჩება გარდასულ დროსა და ამბებზე, შესანიშნავად აღზრდილ ადამიანებზე, როდესაც ღმერთისგან ბოძებული ინტელექტი რაღაც მოქმედების მოლოდინში კი არ თვლემდა, არამედ სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა... როდესაც ნიგნი საცხოვრებელი სახლის მოსართავი ატრიბუტი კი არ იყო, არამედ სულიერი საზრდო, როდესაც ადამიანებს არ ავინყდებოდათ სიყვარული, მეგობრობა და საერთოდ, განცდები, მოზარდ მაყურებელთა თეატრი მსგავსად საზოგადოებისა, სახეცვლილებებს განიცდის. თეატრის კედლებში, მის ატმოსფეროში რაღაც უხილავი თვისებები ჩაიბუდებს ხოლმე და თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ თეატრს არასოდეს ახასიათებდა ხმაური, რეკლამის სიყვარული, დღეს კი საკუთარი თავის ქებაა მოდური.

ოთარ ბალათურიაც იმ დროიდანაა, თუმცა სრულიად თანამედროვე, მხიარული, ხანაც — ბრანზიანი მოკამათე. მან შეძლო იმ იდეალებთან დარჩენა, რომლებთან ერთადაც ცხოვრება დაიწყო. ფაქტობრივად, მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება მოზარდ მაყურებელთა თეატრთანა დაკავშირებული. უამრავ სპექტაკლში აქვს როლები ნათამაშები. ჩემი აზრით, მისთვის ყოველთვის მთავარი იყო ადამიანის საკუთარ თავთან, ახლოლებთან ურთიერთობა და მის შემოქმედებაშიც პირველ პლანზე სწორედ ადამიანთა ურთიერთობები, მათი ბედი მოდიოდა. დღეს ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც თაობათა შორის უფსკრულია გათხრილი, თითქოს ორი პლანეტის მაცხოვრებელი ვიყოთ — ისინი, ვისაც ჯერ კიდევ რაღაც ახსოვს და ისინი, ვინც წარსულის გარეშე გაიზარდა. არადა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს — ხედავდე, გიყვარდეს და იცავდე იმას, რაც გიყვარს. ათეული წლების მანძილზე, სხვადასხვა რეჟისორებთან შემოქმედებითი ურთიერთობისას, გამოიკვეთა ოთარ ბალათურიას ნიჭიერი, თავისებური სამსახიობო ინდივიდუალობა. არაერთი წერილიც დაიწერა მის მიერ სცენაზე, კინოსა თუ ტელევიზიაში განხორციელებული როლების შესახებ. 40 წლის მანძილზე მოზარდ მაყურებელთა თეატრში მის მიერ შესრულებული როლებიდან არც ისე ცოტა იყო მთავარი, გავიხსენოთ გურამი — „სადა ხარ, სოფიკოში!“, ჩონთა — „მოკვეთილიდან“, გოდუნი — „რღვევაში“, უფლისწული — „კონკიაში“, ქალაქის მერი — „სიმონა მამარის სიზმრებში“, მაგრამ ოთარ ბალათურიას შესრულებით, ყოველი მეორე პლანის როლიც მთელი სპექტაკლის კონტექსტში ჩანერილ მნიშვნელობას და წონას იძენდა. მას შეეძლო მაყურებელთა დარბაზი ანთებული თვალებით, თავისებური ხმის ინტონაციებით მოეხიბლა. ტექსტში აღმოეჩინა ღრმა აზრი და ეს აზრი თეატრში მოსულ მაყურებელთან, ასაკისა და ინტელექტუალური სიმაღლის მიუხედავად, გასაგებად მიეტანა. როგორც არ უნდა ყოფილიყო სპექტაკლი ან როლი, როგო-

რადაც არ უნდა ემუშავათ პარტნიორებს, ოთარ ბალათურია ყოველთვის ყურადღებამოკრებილი იყო, თითქოს რაღაც იმდაგვარს უფრთხილდებოდა, რაც მხოლოდ მან იცოდა, რაც როლს ზევით იდგა. ყველაფერი საკუთარ ტყავზე უნდა გამოეცადა, საკუთარ სულში დაეძებნა, საკუთარი გონებით შეემეცნა და გამოეთქვა.

თეატრსა და ინსტიტუტში მოღვაწეობისას გამოიკვეთა მისი დრამატურგიული ნიჭი, უნარი — სიტყვის ბუნების ზუსტად შგრძნებისა. მას, სწორედ რომ ფილოლოგის სიყვარულით უყვარს სიტყვა და მისი მთავარი საიდუმლოც ალბათ ესაა — ერთი ცხოვრება აქვს, რომელსაც არ ყოფს წარსულად და აწმყოდ, იგი მთლიანია მთელი თავისი მდინარებით, სამყაროში საკუთარი ადგილის მოძიებითა და სამყაროს საკუთარ თავში აღმოჩენით.

პიესამ „ამიკო“, რომელმაც ოთარ ბალათურიას დრამატურგის სახელი გაუთქვა, გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწერა. თავდაპირველად სწორედ მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა, შემდეგ საქართველოს სხვა თეატრებში გადაინაცვლა. სპექტაკლის რეჟისორი თავად ოთარ ბალათურია იყო და მუშაობა თავიდანვე საინტერესოდ წარმართა. მსახიობები თანაბრად, მწყობრი ნაბიჯით მიდიოდნენ პიესის ავტორისა და დამდგმელი რეჟისორის ჩანაფიქრისაკენ. დარწმუნებული ვარ, ამ სპექტაკლზე მუშაობა ნათელ ეტაპად დარჩა ამიკოს — ნუგზარ ყურაშვილის მეხსიერებაში. ოთარ ბალათურიას მსახიობური ინტელიგენტობა, თეატრალური ინტუიცია ხელის შემშლელი კი არ აღმოჩნდა არტისტებისთვის, არამედ ორგანულად შეერწყა სპექტაკლის იმპროვიზაციულ რეჟისურას.

პიესის პერსონაჟთა ხასიათების მრავალფეროვნება, მძლავრი ირონია, სიტყვებს მიღმა დარჩენილი იუმორი და რაც მთავარია, თვითონ თემა, რომელსაც ერთ პიროვნებაში გაერთიანებული დრამატურგი და რეჟისორი სრული სისავსით ფლობდა — სამყაროში ადამიანის მარტოობის თემა, დღემდე ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის. ოთარ ბალათურიამ იმგვარი სიზუსტით, გრძნობიერებით გაშალა ეს თემა პიესაში, რომ ყველა ეჭვი და ილუზია, რაც სპექტაკლის ცქერისას იბადებოდა, მოახლოებულ ფინალთან ერთად ძალაუნებურად ქრებოდა. დღევანდელი გადასახედიდან, პიესა „ამიკო“ ავტორის შემდგომდროინდელი ნაწარმოებების ერთგვარ პრელუდიად აღიქმება.

„...პიესის ავტორმა, ოთარ ბალათურიამ, თითქმის შეუძლებელი შეძლო: შექმნა სასტიკი და ამავდროს თბილი, ნაღვლიანი და თან ძალიან სასაცილო წარმოდგენა...“

...მან ზუსტად მიაგნო დღევანდლობის ერთ-ერთ საგანგაშო სენს (მისი „თეატრი — თეატრში“ ხომ ჩვენი საზოგადოების ერთი პატარა წვეთია), თავად საზოგადოება ნელ-ნელა მართლაც დიდი აბსურდის თეატრს ემსგავსება...

...იქნებ ავტორმა ეს ხერხი იმიტომ მოიშველია, რომ როგორმე სპექტაკლის ჩარჩოებში მოექცია ჩვენი მდულარე, მოუთოკავი ცხოვრება? თუ უბრალოდ მაყურებელს გაუფრთხილდა,

მოერიდა ჩვენი სასტიკი რეალობის პირდაპირ ჩვენებსა?..

...შემთხვევითი არ არის, რომ თავიდან ამიკო, ხმლით ხელში, სირანო დე ბერჟერაკის როლში გველინება... სწორედ ეს გახლავთ მისი ტრაგედიის მიზეზი. რაფრის შემქმნელ საზოგადოებას სხვა გმირი სჭირდება..."

ამგვარად წერდა 1997 წელს სპექტაკლის რეცენზენტი მ. ბარბაქაძე.

გარე სამყაროს ტემპერამენტულმა აღქმამ და აქტიორული ენერჯის გამოვლინებებმა თავი იჩინა, როდესაც ოთარ ბალათურიამ ზღაპარი-კომედია „ავი ლომისგან დღეს, ვინ გადაარჩენს ტყვეს?..“ შეთხზა და რომელიც 1999 წელს, ასევე თავად დადგა მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

მაგრამ მთავარი პიესა ალბათ მაინც სევედიანი კომედია — „მეფე ლირი თავშესაფარში“, რომელიც 2001 წლის საუკეთესო პიესად აღიარეს, თითქმის ერთდროულად დადგეს ახმეტელისა და მესხეთის, ოდნავ მოგვიანებით კი ბათუმის, ქუთაისის, გორის, ოზურგეთის, ფოთის სახელმწიფო თეატრებმა, ასევე დაიდგა ზესტაფონის სახალხო თეატრში.

პიესაში დასმული აქტუალური პრობლემები, სოციალური რეალობა მხოლოდ ფონია ადამიანის შინაგანი სამყაროსა და ბუნების წარმოსაჩენად. პიესის გმირთა საოცარი, თითქმის კოსმიური მარტოობა მათ მიმართ საოცარ თანაგრძნობას იწვევს. ოთარ ბალათურიას თითქოს უფრო მკვეთრი, წინააღმდეგობებით სავსე ხასიათები იზიდავს, არტისტულ შესაძლებლობებს მაქსიმალურად რომ ამჟღავნებს. მაგრამ პიესის დატანჯული, თავისი არსებობის ტვირთით, განცდებითა და ეჭვებით დახუნძლული გმირები ამ სამყაროში ავტორთან ერთად მოგზაურობისას, ჭკვიანურად, ემოციურად და ამავედროულად, ირონიულად შესცქერიან სამყაროსაც და თავის თავსაც.

ოთარ ბალათურია ნახევარტონებით ხატავს ხასიათებს, რომლებიც არ გვაგინყდება. მის ახალ ნამუშევარს მსახიობებთან ერთად განვიცდით და რადგან ისინი სპექტაკლის შემდეგაც არ გვანებებენ თავს, დიდხანს ვფიქრობთ მათზე. ამ პიესაში ვლინდება დრამატურგის არა მხოლოდ პროფესიონალური ოსტატობა, არამედ პიროვნული კულტურა, რაც ჩვენს დროში ასე დასაფასებელია.

პიესა „მეფე ლირი თავშესაფარში“, 2004 წელს, კონკურსმა „თანამედროვე დრამატურგია“, საუკეთესო დრამატურგიულ ნაწარმოებად აღიარა და ახმეტელის სახელობის თეატრში დაიდგა. ორიგინალური იყო სპექტაკლის საერთო გადაწყვეტა, შეიქმნა საინტერესო სახეები, საზოგადოებაში კი იმდენად დიდი იყო რეზონანსი, რომ მის შესახებ ცნობილი გახდა ბალტიისპირეთის ქვეყნის — ლატვიის, ქალაქ ვალმიერის თეატრისათვის და 2009 წლის ავსტრისის თეატრში, თავად ოთარ ბალათურიას რეჟისურით, ფესტივალ „ცესისი 2009“-ის ფარგლებში, კიდევ შედგა მისი პრემიერა. სპექტაკლი სამი ნომინაციითაა წარდგენილი ლატვიის თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყოველწლიურ ჯილდოზე, მას ლატვიური საზოგადოების დიდი ყურადღება ხვდა წილად, არა ერთი რეცენზიაც მიეძღვნა.

მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც, რეცენზიების ნაწილმა საქართველოში ჩამოაღწია და დღეს საშუალება გვაქვს ისინი მკითხველ საზოგადოებას შევთავაზოთ:

ლივია დუმინია
მზერა თავშესაფრიდან დღევანდელ დღეს

ვალმიერის თეატრმა გასული წლის აგვისტოს თვეში, ცესისში, ღია ცის ქვეშ წარმოადგინა პრემიერა — „მეფე ლირი თავშესაფარში“. სექტემბრიდან მას ვალმიერის თეატრის დიდ სცენაზეც ითამაშებენ. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის ტემპი ზოგჯერ ნელდება, დადგმა ყურადღებას იმსახურებს, რადგან მაყურებელს სთავაზობს, როგორც ხარისხიან სანახაობას, ასევე იმ დროსთან სიახლოვეს, რომელშიც ვცხოვრობთ. იგი არავის ტოვებს გულგრილად. ამავე დროს, სპექტაკლში, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თამაშობს რეჟისორი ფელიქს დეიჩი, ეს მოვლენა კი აუცილებლად სანახავია.

ქართველმა რეჟისორმა ოთარ ბალათურიამ საკუთარი პიესა დადგა, რომლის მთავარი გმირები მოხუცებულთა პანსიონატის მაცხოვრებელნი არიან. პანსიონატი უნდა დაანგრიონ, მის ნაცვლად „სექს-ბიზნესის“ ინკუბატორი ააგონ, მოხუცებულები კი სხვა „თავშესაფარებში“ გადაანანილონ. მოხუცთა ერთიანი შეკრული ოჯახის დაშლა, მათ მოკვდინებას უდრის. სპექტაკლის მოქმედება პანსიონატის ეზოში ვითარდება. მხატვარ ივარ ნოვიკის ჩინაფიქრით სცენის კონსტრუქცია ერთდროულად პანსიონატის შეღანძლული კედლებიცაა და „მეფე ლირის“ სათამაშოდ გამიზნული ადგილიც. სპექტაკლის ფინალში, იგი, მართლაც ინგრევა. სცენის მოწყობილობა ცხოვრებისა და პანსიონატის მაცხოვრებელთა არამყარობაზე მიგვიითხებს.

დოდო, რომელსაც დაცე ვევრსი თამაშობს, ერთდროულად ქალურად მიმზიდველი და ნამდვილი რეჟისორული წვდომითაა დაჯილდოებული. აკადემიური თეატრი მან თავად მიატოვა იმის შიშით, რომ გამოაგდებდნენ. ახლა კი თავის თანამოძმეებთან ერთად შექსპირის „მეფე ლირის“ დადგმას აპირებს და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ამგვარად სურს. შექსპირის ტრაგედია სპექტაკლში ორმაგი დატვირთვით წარმოჩნდება: თავიდან სპექტაკლი კომედიურია, არ შეიძლება არ გაიცინო, როდესაც სცენაზე ორი ლირი ერკინება ერთმანეთს: იურის ჰელდეს — ნოდარი და აიგარ ვილიმის — ვანიკო. ჭკვიანი დოდო მათ გლოსტერისა და კენტის მნიშვნელოვნებას უხსნის, ამავე დროს თავიდან იცილებს რუსულენოვან არკადის (ფ. დეიჩი), რომელსაც საოცრად სურს სპექტაკლში მონაწილეობა. იგრძნობა როგორი სიამოვნებით იძირებიან მსახიობები მათთვის ასე ნაცნობ თეატრალურ სტიქიაში, მაგრამ ლირის თემას სხვა დანიშნულებაც აქვს, შვილებისგან მიტოვებული ლირის მარტოობა, ზოგადად ყველას ეხება. აქ ყველა მარტოხელა კუნძულია და ყოველი მათგანი თავისებურად ცდილობს სა-

კუთარი ტრაგედიის დაფარვას: რ. რუდაქის — გიორგი გარეგნულ უხეშობას ეფარება, ლ. კალეის ქეთი — განწირულ სურვილს ტელეფონის ნომერი გაიხსენოს, არკადი — ყველაფერში მონაწილეობა მიიღოს და მთავარი როლი ითამაშოს, ყოფილი სცენური ვარსკვლავი სანდრო (ტ. ლასმანისი) — ლოთობას, ლ. დევიციის რუსიკოს სურს ვინმეს მოუაროს, ი. იევიჩის ანას კი სახლისკენ გზა გაკვლევა უნდა. აქ თვალბილულიც ბრმაა, ისევე, როგორც ბრმაა მშობლიური სიყვარული, რომელიც დოდოს აიძულებს ბინა ვაჟიშვილს მისცეს. ი. ლავინშის სრულ განწირულებებში მყოფ მამას, ამ ცხოვრებიდან მდუმარედ წასვლა სურს. ოთარ ბალათურია ჰყვება საზოგადოებაზე, რომელშიც მოხუცები კეთროვანებთან არიან გათანასწორებულნი და ამიტომაც უნდა გადაძალიან ისინი. სპექტაკლში განსაკუთრებით ჟღერს არასაჭირო ადამიანების მოტივი, რაც ძალაუფლებურად იმაზე გვაფიქრებს, თუ როგორ ავადგოთ ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის, როგორ მოვექცეთ მოხუც ადამიანებს. საქართველოსა და ლატვიის ისტორიული გამოცდილების ერთიანობა საშუალებას იძლევა იმ თემების წარმოსაჩენად, რომელთაც წარმატებული ქვეყნები არ იცნობს — ეს მხოლოდ იმათი ხვედრია, ვინც თავად განიცადა ცვლილებათა ეპოქა. ამ ეპოქამ ადამიანები გამარჯვებულებად და დამარცხებულებად დაჰყო. მოხუცები დამარცხებულთა არც ისე საშურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ახალგაზრდები კი წვალებით ცდილობენ გამარჯვებულთა შორის ჩაწერას. მორალი, თანაგრძნობა მათთვის სრულიად უსარგებლო ფუფუნებად ქცეულა. დროის ამგვარი მსხვერპლია ყოფილი პოეტი გია (ა. აპინისი), ყოფილი ფილოლოგი მიშა (კ. სალმინში), საზღვარგარეთ მიმავალი ვაჟიშვილი (გ. რავინში), ვითომ ყრუ-მუნჯი კლარა (მ. მენიკი). კარგია, რომ ავტორი უმადურ შვილებს მხოლოდ არამზადებად არ გვიხატავს, არტისტები მათი სულის იმ ფარულ კუნჭულებს წარმოაჩენენ, რომელთა მიმალვასაც ისინი, კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ტკივილითა და ტანჯვით ცდილობენ.

„მეფე ლირის თავშესაფარში“ ნაცნობი სიტუაციებით, აქტუალური და გასაგები თემებით გადადგვილის დროის პანორამას. ყველაფერში პირადი დამოკიდებულება იგრძნობა, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოხუცებულობა ყველას მოგველის.

მიმზიდველი დაპირისპირებანი

რეჟისორი დოდო, რომელიც პანსიონატში „მეფე ლირის“ დასადგმელად მიიწვიეს, თავისებური დევნილია, მან თეატრი, ფაქტობრივად, საკუთარი სახლი დაკარგა. დაცევერსი თავდავიწყებითა და ფაქიზი იუმორით თამაშობს „ღვთის მიერ ხელდასმულ“ შემოქმედს, რომლისთვისაც თეატრის მუზის სამსახური, სიცოცხლეს უტოლდება. იგი იმდენადაა შეპყრობილი სპექტაკლის საკუთარი ხედვით, რომ ზოგჯერ რეალურ პირობებსა და ცხოვრებისეულ გროტესკულ პერსონაჟებს ვერც აღიქვამს. უსიამოვნო სინამდვილე ყინულოვანი წყალივით აფხიზლებს —


პანსიონატის ლიკვიდაცია მისი ხელოვნების განადგურებასაც მოასწავებს. თითქოს მხოლოდ მაშინ ფხიზლდება დოდო, თავისი არსებობის უმწიფობას ხედავს და საქმიან მეტროლოად ქცეული უკანასკნელ ძალებს იკრებს, რითაც უნებლიედ ხელოვნების მუშაკთა დღევანდელ ურთულეს ცხოვრებას გვახსენებს.

ვფიქრობთ, ო. ბალათურიას, მაყურებლის თანაგრძნობისა თუ მრისხანების გამოსაწვევად, მიზნად არ ჰქონდა დასახული ცხოვრების მთელი რიგი აღწერილობების სცენაზე წარმოდგენა. ტრაგიკომედიის კანონთა მიხედვით, პიესაში, სახეთა და სიტუაციათა სერიოზულობა მოულოდნელად ირონიაში გადაიზრდება, ტრაგიკულიდან კომიკურში ამგვარ თავისებურ გადასვლებს, მსახიობთა ანსამბლი, შესანიშნავად გრძნობს და ახორციელებს.

მაყურებელს, რუსიკოც (ლილიტა დევიციე) და ქეთიც (ლედლე კალეა) „ღმერთის ბაბუნავერად“ შეიძლება ეჩვენოს. მსახიობი ქალები გროტესკის ზღვარზე თამაშობენ და ნათლად ჩანს, თუ რამდენი ტანჯვის გადატანა მოუხდათ ამ ბავშვური სინათლისა და გარშემომყოფთა კეთილგანწყობის მისაპოვებლად. ანიკოს (ინარა იევიჩია) კი სულაც არ სურს თავის ტკივილებთან განშორება. როგორი მეტყველია მისი დუმილი, როდესაც ტელეფონით ვაჟიშვილის მუდარას ისმენს და ხმას არ სცემს.

მეფე ლირის როლის ოხუნჯი პრეტენდენტები — ვანიკო (აიგარს ვილიმსი) და ნოდარი (იურის ჰელდე), თითქოს ყოველ წუთს რომ მზად არიან მხიარული სიმღერის სამღერლად. მათგან სრულიად განსხვავებული, მოღუშული გოგი (რიჰარდს რუდაქსი), საკუთარ ამბავს არავის რომ არ უმხელს. სიურპრიზად იქცა რეჟისორ ფელიქს დეიჩის თამამი თამაში არკადის როლში. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია სპექტაკლის სახეთა შორის — ზოგჯერ ფიქრობ, რომ სწორედ იგი ლაპარაკობს პიესის ავტორის მაგიერ.

მსახიობთა გამომსახველი თამაშით სულ პატარა ეპიზოდებიც კი რჩება მაყურებლის მესხიერებაში. მაგალითად, ვაჟიშვილი (გირტს რავინში), რომელსაც პანსიონატში მამა (იურის ლავინში) მოჰყავს და რომლის მდუმარე ტრაგიკული მსვლელობა სიმბოლურ დატვირთვას იძენს. სხვა ტრაგედია მოსჩანს შავით მოსილი, იდუმალი ქალბატონის (რუთა ბირგერე) გამოჩენაში და მის მსუბუქ ფრანგულ სიმღერაში.



თუა ურუშაძე

დიმიტრი თავაძე

ქართული სცენა მრავალი გამოჩენილი თეატრალური მხატვრის

შემოქმედების სარბიელი იყო. ყოველი მათთ განის შემოქმედება

ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ტრადიციებთან

ერთად მის ისტორიას ქმნიდა.

დიმიტრი თავაძე ერთ-ერთი იმათაგანია, ვინც დეკორაციული

ხელოვნების სათავეებთან იდგა და თავისი შემოქმედებით ბოლომდე

თეატრს ერთგულად ემსახურებოდა.

ამა წლის თებერვალში დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა

გამოჩენილ მხატვარს დიმიტრი თავაძეს,რომლის შემოქმედება ძირითადად შ.რუსთაველის სახ. თეატრს უკავშირდება, თუმცა

წლების განმავლობაში მრავალი ნამუშევარი სხვადასხვა თეატრებში შესრულებული აქვს, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

მხატვრის მიერ შესრულებული მრავალი დეკორაციების და კოსტიუმების ესკიზები, მაკეტები მონაშენ მის უსაზღვრო შემოქმედებით ძიებებზე, ინტერესზე,სიყვარულზე თეატრისადმი,

მხატვრობისადმი.

დიმიტრი თავაძე ბევრისგან განსხვავებით

თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს დღიურს უზიარებდა და გარკვეულ შეფასებებს აძლევდა.მხატვარი დიდი პატივისცემით თავის პირველ მასწავლებელს

იხსენებს:"ჩემი ხატვის მასწავლებელი იყო ვანო ჭიჭილაძე (ქ.ქუთაისი),

ბრწყინვალე ადამიანი და აღმზრდელი. მას მასწავლებელში ჰქონდა

სამხატვრო სტუდია,მისი ინიციატივით ჩამოყალიბებული. თუ ვინმე ახალგაზრდა მოსწავლეს შეამჩნევდა მიდრეკილებას ხატვისადმი სტუდიაში იწვევდა.გვამაცადინებდა ნატურიდან ხატვაში, გვიყვებოდა

ცნობილი მხატვრების ბიოგრაფიებს და სხვ. იმ დროს ჩემთან ერთად

სწავლობდა ცნობილი თეატრის მხატვარი პეტრე ოცხელი."

თეატრისადმი სიყვარული ბავშობიდანვე გაუჩნდა, ოჯახის წევრებთან

ერთად მონაწილეობას ღებულობდა სამოყვარეო სპექტაკლების დადგმაში და გაფორმებაში.

თეატრალური ხელოვნებისადმი ინტერესი ძლიერდება 1925 წელს

ქ.ქუთაისში შ. რუსთაველის სახ. თეატრის გასტროლების დროს. კ. მარჯანისვილის ხელმძღვანელობით დადგმული სპექტაკლები მხატვარს განსხვავებულ სამყროს უქმნიდა.იგი თავის დღიურში აღნიშნავს

"რუსთაველის თეატრის დადგმები, მსახიობთა თამაში, დეკორაციების გაფორმება,მეჩვენებოდა ძალიან დიდ მოვლენათ. ჩემთვის ოცნება გახდა როდის წავიდოდი თბილისში უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრელებლად და როდის მექნებოდა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ მენახა შ.რუსთაველის სახ. თეატრის დადგმები."

მხატვარ დიმიტრი თავაძის ცხოვრებაში მოვლენები სწრაფად,

მოულოდნელად და ნაყოფირად ვითარდებოდა. სამხატვრო აკადემიის

სტუდენტისათვის თავისი უფროსი ძმების მეშვეობით სპექტაკლ

"ლამარაზე " დასწრება (მხ. ლ. გუდიაშვილი) მნიშვნელოვანი ხდება,იგი

თავისმოსაზრებებსაღტაცებით ახლობლებს უზიარებს.თითოეული შემდგომი სპექტაკლი მისთვის მშვენიერების სამყარო ხდება და თეატრში დამკვიდრების სურვილს უჩენდა.

დ. თავაძე შემდგომში აღნიშნავს:"ოგორ ვიფიქრებდი მე მაშინ იმას, თუ როდისმე ასეთი თეატრის და დასის წევრი გავხდებოდი და დავეუფლებოდი მთავარი მხატვრის მოვალეობას." მაგრამ ეს გზა საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი, შემოქმედებითად საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა.თეატრის სამღებროდან დაწყებული, სამხატვრო სადეკორაციო ცეხი, რეჟისორის თანაშემწეს მოვალეობის

შესრულებამ განაპირობა თეატრალური ხელოვნების მნიშვნელოვანი სპეციფიკური მხარეების ღრმად შესწავლა. შემდგომში მხატვარი აღნიშნავს: "ჩემს თეატრალურ მხატვრობაში ძალიან დამეხმარა რეჟისურაში მუშაობამ. სპექტაკლების

გაფორმების დროს ვაზროვნებდი როგორც რეჟისორი და როგორც მხატვარი."

დიმიტრი თავაძის შემოქმედებითი ხელნერის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი როლი რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა და მხატვარმა ირ. გამრეკელმა ითამაშა. "ს. ახმეტელი იყო გასაოცარი ენერჯის მქონე და მოსიყვარულე ადამიანი. თუ ვინმეს შეამჩნევდა

მონდომებას საქმეში, ინიციატივას, ნიჭს და სხვა დადებით თვისებებს, ყოველნაირად ხელს უწყობდა მას. ასე მოვიპოვე უფლება მხატვარი გამხდარიყავი და დიდი სანდრო ახმეტელის გვერდით მემუშავა."

XXს-ნის დასაწყისში სახვით ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებმა, რეჟისორულმა ძიებებმა, დეკორაციული ხელოვნების მხატვრული სახე მნიშვნელოვნად შეცვალა და მხატვარს გარკვეული, მოქმედი როლი მიანიჭა. შემოქმედებითი ბრძოლის პროცესში განსხვავებული ხედვით

სასცენო სივრცის და მისი მორთულობის საკითხები ურთიერთსაპირისპირო მიდგიმებით წყდებოდა. ქართულ სცენაზე

ეს პროცესები თავისებურად აისახებოდა და ეროვნული მხარეების

გათვალისწინებით თვითმყოფად სახეს იღებდა. ამ პროცესში თავისი

შემოქმედებით დიმიტრი თავაზე აქტიურად იყო ჩართული.

დრამატურგიულ მასალაზე დაყრდნობით, რეჟისორული კონცეფციის

გათვალისწინებით, მხატვარი თითოეულ ნამუშევარში მისთვის დამახასიათებელ, ინდივიდუალურ ხელნერას ავლენდა. გარესამყაროს ინტერპრეტაციის საკითხს სცენაზე პლასტიკური გადანყვეტილებების

განსხვავებული ხერხების მეშვეობით ანხორციელებდა. რეჟისორული

კონცეფციის სრულად გადმოცემისათვის მხატვარი ოსტატურად პლასტიკურ-სივრცობრივ და ფერწერულ ხერხებს აერთიანებდა და ერთიან კომპოზიციურ სადეკორაციო სისტემას ქმნიდა, რომელიც

განსაკუთრებულ გარემოს მსახიობებს უქმნიდა და უადვილებდა

მათ თამაშს. მხატვარი ყოველივე სპექტაკლში სასცენო სივრცეს ლაკონური, პიესისათვის სახასიათო კონსტრუქციით ავსებდა და გამორჩეული ფერწერული გამით ამდიდრებდა. მხატვარი ლადო გუდიაშვილი აღნიშნავდა: "დ. თავაძის ნამუშევრებში აშკარად ეტყობა კოლორიტის მთლიანობა, ფერების ჰარმონიულად

შესამება და სურათის კომპოზიციისადვილად აშენება.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს დიმიტრი თავაძის მიერ

შესრულებული კოსტიუმების ესკიზები. პიესიდან გამომდინარე იგი ყურადღებით ეცნობოდა თითოეული პერსონაჟის ადგილს სპექტაკლოში. ხილოდ შემდგომ იწყებდა კოსტიუმზე მუშაობას. ყველა მხარის გათვალისწინებით კოსტიუმში მხატვარი ხაზს უსვამს მის ინდივიდუალურ თვისებებს, განწყობას, რომელიც ორგანულად

ერთვოდა სადეკორაციო სისტემის ძირითად გადანყვეტას და გათამაშების პროცესში გაფორმების მოძრავ ელემენტად წარსდგებოდა.

მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი შექსპირიანას ეთმოდა. წლებების განმავლობაში შესრულებული დეკორაციების და კოსტიუმების ესკიზები მრავალსახოვანი და მრავალფეროვანი სახით

არიან. ლაკონურობა, ისტორიზმი, ახალი ტენდენციები, ფიქრი, ფერადოვანი გამის ნაირსახეობა, გარკვეული აქცენტებით მათ მეტ შთამბეჭდავს ხდის. მრავალი წლების მუშაობის განმავლობაში მხატვარი

არასოდეს არ კარგავდა თეატრალური მხატვრისათვის დამახასიათებელ

ზომიერების შეგრძნებას და ამით ყოველთვის გამორჩეული იყო. მაგალითად სცენაზე შეტანილი და ჩასმული აქსესუარები და დეტალები

აზრობრივ დატვირთვას ემსახურებოდნენ და არ არღვევდნენ მთლიანობის შთაბეჭდილებას. მხატვარი აქტიურად განათებას იყენებდა.

ეს ხერხი მოქმედებაში აძლიერებდა არა მარტო საკვანძო მომენტებს, არამედ მხატვრული გაფორმების ძირითად თემას ავლენდა.

მატვარ დიმიტრი თავაძის თითოეული ნამუშევარი ტრაგედია თუ კომედია, თანამედროვე თემატიკა, ფსიქოლოგიური დრამა თუ ზღაპარი და ა. შ იქნებოდა, ნაწარმოების ჟანრს ღრმად შეესატყვისებოდა, მისი ხასიათის ხაზგასმას ემსახურებოდა.

ღვანლმოსილი მხატვრის როლი ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია,

მისმა ხაგრძლივმა და ნაყოფიერმა შემოქმედებამ თავისი ძიებებით, ნოვატირული მოტივებით, მიღწევებით, გარკვეული ადგილი ქართული სცენოგრაფიის ისტორიაში დაიკავა.



მამა-შვილი ვაჟა და ლექსო ოთარაშვილები. სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში 2009 წელი

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 95-51-70,
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ შეგვეწიოთ!
„თიბისი ბანკი“ საბანკო კოდი - **TBCBGE22**
ანგარიშწორების ანგარიში - **GE78 TB74 6463 6080 1000 01**
ლიტერატურა და ხელოვნება

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შექენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ლექსო ოთარაშვილი
ოპერატორი
თამუნა ოთარაშვილი

რედაქციის მისამართი:
დიღმის მას.5კვ, 14კორ, ბ.80
ტელ: (+995 32) 52 60 14; (+995 99) 25 60 14.



ISSN 1512-3189

ფასი 3 ლარი